

ՁՄԵՆ ԿՆՅՆՅՅՈՐԴՈՒ

ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ ԳՐԱԳՐԱԿԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ

30470



ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ ԳՐԱԳՐԱԿԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ

1903Ե.

ՁՄԵՆ

№ II, III, IV, V, VI —

*[Handwritten signature]*



14036

Handwritten signature or mark in purple ink.

# ქართველთა მატიანა

## შესავალი

თვით სახელოვან მეცნიერებსაც ბინდ-ბუნდი წარმოდგენა აქვთ ქართლის-ცხოვრებაზედ: ერთნი მას სთვლიან თხზულებად მეფის ვახტანგ VI-ისა, რომელიც მოკვდა აშტარხანს 1737 წელს, მეორენი ამტკიცებენ, ქართლის-ცხოვრება მოგონილია რომელიმე გაუნათლებელ კაცისაგანო, რომელსაც ამ მატიანეში უფრო მეტი სიცრუე შეუტანიანო, ვიდრე ისტორიული სიმართლე კავკასიის ერთა შესახებო. არის კიდევ ბევრი წინა-უკმო თქმულება შესახებ ქართველთა მატიანისა და ეს თქმულობანი ამტკიცებენ ანუ მათ ავქსონთა უმეცრებას ანუ საგნის არსებითად შეუგნებლობას.

საქართველოს დაწერილი ისტორია ძველადგანვე იწოდება ქართლის-ცხოვრებად, რომელიც დაბეჭდილია ორ დიდ ტომად. პირველი მათგანი შეიცავს საქართველოს ისტორიას უუძველეს დროიდან 1469 წლამდე და დაბეჭდილია ბროსეს-მიერ 1849 წელს, ხოლო მეორე გამოცემულია ჩუბინაშვილის ზედამხედველობით 1854 წელს და შეიცავს საქართველოს ისტორიას 1469 წლიდან 1800 წლამდე.

მაშასადამე, როდესაც ვლაპარაკობთ შესახებ ქართლის-ცხოვრებისა, ვითარცა ისტორიულ ძეგლისა, უნდა გვახსოვდეს, რომელს მისს ნაწილს შეეხება ჩვენი მსჯელობა, უუძველესს, თუ ახალს, რომელიც იწყება 1469 წლითგან.

მართავე ეს ნაწილები საკმაოდ განირჩევიან ერთმანეთისაგან ენის მხრივაც და იმ ქრონიკებითაც, რომელნიც შეადგენენ ამა თუ იმ ნაწილს ქართლის-ცხოვრებისას.

პირველის ნაწილის ენა, საზოგადოდ, ძველებურ-მწიგნობრულია, შიგა და შიგ მწერლებს უხმარიათ იმისთანა სიტყვები და ფორმები, რომელნიც მეთექვსმეტე საუკუნეს აქეთ აღარა გვხვდებიან, მეორე ნაწილის ენა კი უფრო ლიტერატურულია, სასაუბრო ენის მიმსგავსებული.

ავტორები ქართლის-ცხოვრების პირველის ნაწილისა, რადენიზეს გარდა, არ ვიცით, ვინ არიან: იგინი, თარგმანთა მზავსად, არ გვაცნობებენ თავიანთ სახელსა და გვარს. მეორე ნაწილის ავტორებს კი, ერთის გარდა, ჩვენ არა თუ არ ვიცნობთ, არამედ სრულიად და სავსებით ვიცით, როდის დაიბადნენ, სად დაასრულეს თვისი ქვეყნიური ცხოვრება.

ამას გარდა, პირველის ნაწილის ქრონიკებში, მეტადრე რომელნიც დაწერილან IX—X საუკუნემდე, შემთხვევათა ქრონიკონები აღნიშნულია აქა-იქ, ხშირად, შეცდომით, მეორე ნაწილის მემატეიანეები კი, განსაკუთრებით ვახუშტი, თითქმის მუდამ აღნიშნავენ ყოველი ამბის თარიღს.

ზარნა, საერთო მგზავსებაც არის მათში: აქაც და იქაც მემატეიანენი აუწყებენ მკითხველს, თანამედროვენია იგინი იმ ამბებისა, რომელსაც აღწერენ, თუ სხვის ნაშრომთაგან სარგებლობენ, უცვლელად გადმოაქვთ დედნის პირი, თუ ცვლილებით ანუ შემოკლებით, ტყავზედ ეწერა დედანი, თუ ქაღალდზედ, ვის, სად და როდის გადაეწერა ეს დედანი.

აღვნიშნეთ-რა ქართლის-ცხოვრების საზოგადო თვისებები, განვიხილოთ ახლა მისი ნაწილები ცალკ-ცალკე, პირველად კი მეორე ნაწილი, რომელსაც უფრო ნდობით ეპყრობიან მეცნიერნი.

## I. ქართლის-ცხოვრების მთავრე ნაწილი

ა. ავტორები, რომელთა შრომანი შეადგენენ ქართლის-ცხოვრების მთავრე ნაწილს, ესენია:

1. ბატონიშვილი ვახუშტი, ავქსონი საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიისა, შობილი 1696 წლის ახლო ჟამს და გარდაცვლილი მოსკოვს 1772 წელს. ქართლის-ცხოვრების მთავრე ტომი იწყება მისის ისტორიით. ვახუშტი ხელმძღვანელობს მრავალ ისტორიულ წყაროებით, რომელთა ბლომა ნაწილმა ჩვენამდე მოაღწია, და წარმოგვიდგენს საქართველოს ისტორიას 1469 წლითგან 1745 წლამდე (ქართლის ცხ., ტ. II, გვ. 1—258). ვახუშტისა და მის შრომის შესახებ ჩვენი წერილი უკვე დაიბეჭდა 1902 წლის „მოამბეში“ (№ III).

2. „განგრძობა ქართლის-ცხოვრებისა“ (ქართ. ცხ., გვ. 259—306). ეს ქრონიკა შეიცავს ქართლის ისტორიას 1466 წლითგან 1605 წლამდე და თავდება გადამწერის შენიშვნით: „ქ. სამი დედანი ვნახე. ამის მეტი არ ეწერა. და სიტყვანიცა და ლექსნიც ესრეთ ეწერნეს. სხვა თუ არის სადმე მეტი და ან თვით ამისავე ავქსონსა ლექსსა და სიტყვას დაუწუნებთ, თქვენ იცით და მან, მე შენდობილმცა ვიყო, აღმწერი აღმკითხავთაგან, ცოდვილი ზაქარია, ძე დეკანოზისა, უღირსი მღვდელი. აგვისტოს წელსა ქრისტესით ჩდა.“

ქრონიკონი ჩდაა უდრის 1761 წელს. ამ მატეანის შინაარსს ემოწმება: ა) „მესხეთის დავითნის“ ქრონიკა, რომელიც უკვე დაბეჭდა ე. თაყაიშვილმა, ბ) შემოხსენებული შრომა ვახუშტისა და გ) ზოგიერთი სიგელ-გუჯარი.

3. სეხნაა ჩხეიძე (ქ. ცხ., გვ. 307—342). მისი ქრონიკა, მოღწეული 1739 წლამდე, იწყება ისტორიით მეფის ვახტანგ V-ისა, რომელიც აღვიდა ტახტზე 1658 წელს. სეხნაა ჩხეიძე კარგად ცნობილი სახე-ღმწიფო მოღვაწეა მე-XVII საუკუნის დასასრულისა და მე-XVIII-ის დასაწყისისა, და ამ

დროის ამბებს იგი აღწერს, ვითარცა თვალით მხილველი, ვითარცა თანამშრომელი მის დროის მეფეთა და მმართველთა.

4. ჰაპუნა ორბელიანი, ავტორი „ქართლის ისტორიისა“ (ქ. ცხ., გვ. 343—474). მისი შრომა არის გაგრძობა სენია ჩხეიძის მატეიანისა და შეიცავს ისტორიას 1739 წლითგან 1758 წლამდე. ჰაპუნა თანამედროვეა იმ ამბებისა, რომელსაც მოგვითხრობს. თავის მატეიანის დასაწყისშივე ეს ავქსონი გვაუწყებს:

შევედექ ამბავს ქართლისას  
 ჰაპუნა ორბელიანი;  
 განმადლიეკა შეუემან,  
 ვინ არას გვირგვინიანი;  
 ადვსწერე ყოფლი ყოფილი,  
 მრავალგზის საჩივრანი.  
 ვინ წარიკითხეთ, ნუ მკიცხავთ,  
 სიტყვა თქვით შენდობიანი.

ჰაპუნას მატეიანე თავდება შენიშნვით: „სრულ იქმნა ძალითა ღვთისათა წიგნი ესე მცირე ქართლის-ცხოვრება ხელითა ხარების საყდრის დეკანოზის ძის დავითისითა. აღმომკითხველთა გვედრებით, უკეთუ ნაწერსა ამას შინა ჩემსა ცთომილება იხილოთ რაიმე, ნუ შწყევთ, არამედ კურთხევასა ჰყოფდეთ ჩემთვის, თქვენ უზრუნველად იქმნებით და მე დიდად შემწე მექმნება. თვესა აგვისტოსა რიცხვსა ლ, ქორონიკონსა უა“ (=1773 წ.).

5. ოძან ხერხეულიძე, თანამედროვე ერეკლე II-ისა და ავქსონი მატეიანისა „ერეკლე მეორის მეფობა“, რომელშიც მოთხრობილია ამბები 1722 წლითგან 1780 წლამდე (ქ. ცხ. გვ. 475—500).

ოძან ხერხეულიძის შრომა უნდა საფუძვლად დასდებოდეს პ. გ. ბუტკოვის თხზულებას „Материалы для новой истории Кавказа“, რომელიც, ვითარცა ხერხეულიძის ქრანტიკაც, იწყება 1722 წლითგან.

6. პატონაშვილება დაერთ და ბაგრატი გიორგისძენა, აექსონნი „კახეთის ისტორიისა“, რომელიც არის გაგრძობა ვახუშტის-მიერ შედგენილ საქართველოს ისტორიისა. მათი ისტორია შეიცავს 1744 წლითგან 1800 წლამდე მომხდარ ამბების მოთხრობას (ქ. ცხ. გვ. 501—516).

7. ფანსადან გორგაჯანიძე (ფარსადან გიორგი ჯანაშვილი\*), თანამედროვე მეფის როსტომისა († 1658), ვახტანგ V ისა († 1675) და სხვ. მის-მიერ შედგენილ ვრცელ „ქართლის-ცხოვრებიდამ“ დაბეჭდილია მხოლოდ ნაწილი, ისტორია როსტომისა, ვახტანგისა, გიორგი XI-ისა (ქ. ცხ., გვ. 517—569).

ამ მოკლე ნუსხიდან სჩანს, რომ საქართველოს ისტორია 1469 წლითგან 1800 წლამდე დაუწერიათ კარგად ცნობილ და ფრიად სარწმუნო კაცებს, რომელნიც, აქვე დავუმატებთ, არ კმაყოფილდებიან მარტო საქართველოს ისტორიის მოთხრობით, არამედ თვისს ნაწერში შემოაქვთ ძვირფასი მასალა არა თუ მარტო კავკასიის ყველა ერთა ისტორიის შესასწავლად, არამედ შორეულელებისაც—თურქთა, სპარსთა, ავღანთა, რუსთა, ყირიმელთა.

მა ასე, ქართლის-ცხოვრების მეორე ნაწილი ჩვენ უნდა მივიღოთ ნამდვილ და ძვირფას ისტორიულ წყაროდ, თუ, რასაკვირველია, არ უარ-ვყოფთ მისს უეჭველს ღირსებას. მხოლოდ მისთვის, რომ დაწერილია ქართველთაგან ქართულს ენაზე.

## II. ქართლის-ცხოვრების პირველი ნაწილი

ქართლის-ცხოვრების პირველი ნაწილი იწყება ვახუშტის ვრცელის გამოკვლევით (ქ. ცხ., გვ. 1—14), რომელიც მას წაუმძღვარებია თავის საკუთარ შრომისთვის, „საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიისთვის“. რა აღვლილი აქვს აქ ვახუშ-

\* ამ ისტორიკოსის ცხოვრებისა და მის ნაწერების შესახებ ცნობები იხ. ჩვენს წიგნში „ფარსადან გორგაჯანიძე და მისნი შრომანი.“

ტის შრომის წინასიტყვაობას, მის მიერ დაწერილს სულ სხვა მიზნით, ჩვენ აზრით.

ამ „წინასიტყვაობას“ მიჰყვება მერმენდელი 9-სტრიქონოვანი ჩანამატი, რომლის ღირსებაზე ლაპარაკი გვექმნება ქვემოთ. ამ ჩანამატის შემდეგ იწყება თვით მათიანე.

აღვნიშნავთ იმ წყაროებს, რომლებზედაც დამყარებულია ქართლის-ცხოვრების პირველი ნაწილი.

## I. ქართლის ცხოვრების I-ის ნაწილის წყაროები.

### ა. ქრონიკები.

1. ქართლის მოქცევაჲ. ამ წყაროდგან ქ-ის-ცხოვრების პირველს ნაწილში შეტანილია (გვ. 57—101) ყველა ცნობა შესახებ ქრისტიანობის გავრცელებისა საქართველოში და საყდრის დაარსებისა ივერიაში. ქართლის-ცხოვრება თვითონვე აღნიშნავს (გვ. 41 და სხ.), რომ ამ ცნობებს იღებს ქართლის-მოქცევიდან, ასე:

„ვითარცა წერილს აწეს ესე განცხადებულად მოქცევასა-ქართლისასა“.

მოქცევაჲ-ქართლისა, როგორც ნათქვამია მასში, უწერათო წმ. ნინოს თანამედროვეთ, მღვდელს აბიათარს, სიდონიას, სალომეს, პეროჟავრას და მეფე მირიანს. ყველა ამათ დაუწერიათ ის, რაც თავის თვალთ უნახავთ და რაც წმ. ნინოს უამბნია მათთვის.

რომ, მართლაც, ეს ქრონიკა ძველს დროს შედგენილია, სჩანს იქიდან, რომ იგი თავდება ამ სიტყვებით:

„წიგნი ქართლის-მოქცევისაჲ, რომლითა დმერთმან ნათელი გა-  
შობაჲწინაჲ, ... ვითარცა ტაქანტი, წინამძღვართაგან დაფარული, შე-  
მდგომად მრავალთა ჟამთა და წელთა ვაზვეთ.“

პრა სჩანს, ვის ეკუთვნის ეს შენიშვნა, ბერაის, შატბერდის კრებულის შემდგენელს, თუ მრავალს, რომელიც ცხოვრებდა მე-VII საუკუნის დასასრულს და მე-VIII-ის დასაწყისს.

ვიციტ მხოლოდ, რომ ეს პროველი იძიებდა ქართლის მოქცევის ამბავს. შეიძლება, ამ პროველის მიერ შეკრებილი ცნობები ქართლის მოქცევის შესახებ მის შენიშნვითურთ ბერაიმა უმეტ-ნაკლებოდ შეიტანა თავისს დიდს კრებულში (მე-X ს.).

2. უსახელას ქრონიკა, ქართლის მოქცევისთვის წამძღვარებული. მასში მოყვანილია მოკლე ისტორია საქართველოსი, მის მეფეებისა, ღმერთებისა, ეპისკოპოსებისა, კათალიკოზებისა და სხ. 324 წლითგან ქრ. უწინარეს ჟამისა მეცხრე საუკუნემდის საქრისტიანო ხანისა. თუმცა ამ ქრონიკაში ქართლისცხოვრებასთან შედარებით ბევრი ახალი ცნობაც არის, გარნა ამ ორივე ძეგლების მოთხრობათა მსვლელობა, საზოგადოდ, ერთნაირია.

3. მცხეთის ცხოველ-მეოფელ ჯგანის აღმართვა. ეს ქრონიკა არის ვარიანტი ამგვარივე მოთხრობათა, რომელნიც შეტანილია ქართლის-მოქცევისა და ქართლის ცხოვრებაში. იგი გადაწერილია ვინმე გოგას მიერ მე-X—XI საუკუნეში და იოანე ბოლნელის ფრიად საყურადღებო ქადაგებებთან ერთად შეტანილია დიდს ეტრატის კრებულში (№ 144, in folio, გვ. 424). სხვა-და-სხვა ადგილას, წერილებ შუა, გადამწერის ხელით ჩაწერილია „სტეფანე“. ეს სტეფანე შეიძლება იყოს ის სტეფანე, რომელიც მე-VIII საუკუნეში სთარგმნიდაო წიგნებს ქართულად ან და ის სტეფანე, რომელიც მე-X საუკუნეში ითვლებოდა გამოჩენილ მწიგნობრად.

მს ვარიანტი ჩვენ უკვე სრულად დავბეჭდეთ (ივერია, 1898, № № 184, 185).

4. სომეხთა მოქცევაჲ, თხზულება აგათანგელისა, რომლისაგანაც სარგებლობს ქართლის ცხოვრება (გვ. 71), როდესაც შეეხება რიფსიმეს, გაიანეს და მათთან ერთად წამებულთა ისტორიას („ვითარცა წერილარს წიგნსა მას წამებისა მათისისა, მოქცევისა სომეხთასა“). ეს თხზულება თ. ჟორდანიამ აღმოაჩინა მე XI საუკ. კრებულში და მისი ერთი ნაწილი დაბეჭდა თავისს ქრონიკებში (ტ. 1, გვ. 19—27).

5. ჯუანშერ ჯუანშერაძე, სიძე მეფის არჩილ II-ისა (X 718 წ.). მისს ქრონიკას ასრეთი სათაური აქვს: „ამბავი ვახტანგ გორგასლისა მშობელთა და შემდგომად თვით მისი, დიდისა მის და ღვთის მსახურისა მეფისა, რომელი უმეტესად კაცთაგან განთქმულად გამოჩნდა ყოველთა მეფეთა ქართველთასა.“ ეს ქრონიკა შეიცავს საქართველოს ისტორიას მე-V საუკუნითგან მე-VIII საუკ. დასაწყისამდე (ქ. ცხ., გვ. 108—184) და თავდება ამ სიტყვებით:

„ხოლო წიგნი ესე ქართველთა ცხოვრებასა ვიდრე ვახტანგისამდე აღიწერებოდა ჟამითი-ჟამად, ხოლო ვახტანგ მეფისითგან ვიდრე აქამომდე აღწერა ჯუანშერ ჯუანშერაძემა, ძმისწულის ქმარმა წმ. არჩილისამან, ნათესავმან რევისამან, მირიანის ძისამან: და ამიერითგან შემდგომთა ნათესავთა აღწერონ, ვითარცა იხილონ და წინამდებარემან ჟამმან უწყებად მისცეს გონებასა შათსა, ღვთივ განბრძობილსა“ (ქ. ცხ., 184).

ამ ჯუანშერს სამთავროდ მიეცა ჯვარი, ხერკი (საგურამო), მთიულეთი, ტფილისი და მანგლისი (ქ. ცხ. 179).

6. სუმბატ დაგითასძე, ავტორი „ბაგრატიონთ ამბავისა“ (ქ. ცხ., გვ. 161—221). ბაგრატიონების ამბავს სუმბატი იწყებს ამ სამეფო გვარის გენეალოგიით და საქართველოს ისტორიას მოგვითხრობს მე-XI საუკუნემდე. მისი მოთხრობა სწყდება ფრაზაზედ: „მარიამ, დედა ბაგრატ მეფისა, წარვიდა კოსტანტინეპოლს რომანოზ იმპერატორის წინაშე, ... ძიებად პატივისა კურატპალატობისა ძისა თვისისათვის, ვითარცა არს ჩვეულებადი და წესი სახლისა მათისა და მოყვანებისათვის მის ცოლისა“.

რომანოზ იმპერატორი გარდაიცვალა 1034 წელს და ამ წლის ახლო ხანს, ალბად, სცხოვრებდა ჩვენი სუმბატ დავითისძე.

ბაგრატიონების ჩამომავლობას ურიათა მეფის დავითისაგან აღნიშნავს თვით მეათე საუკუნის მწერალი იმპერატორი კოსტანტინე ძოწითმოსილი თავის წიგნში *De administrando imperio*.

სუმბატის ქრონიკა უკვე გამოსცა ე. თაყაიშვილმა თავის შენიშნვებით (ნახე მისი „სამი ქრონიკა“).

7. ბაგრატ III (980—1014), ქართლისა და აფხაზეთის გამაერთიანებელი 985 წელს. მან დასწერა წიგნი „აფხაზთა ცხოვრება“. ამ თხზულებიდან იერუსალიმის პატრიარქს დოსითეოსს, რომელიც მოვიდა საქართველოში მე-XVII საუკ. მეორე ნახევარს, როგორც თვითონვე ამბობს, ამოუღია ცნობები შესახებ აფხაზთა მეფეებისა და ისტორიისა. ამავე ქრონიკას არა ერთხელ იხსენიებს ქართლის - ცხოვრებაც, მაგ.: „და იყო მათ შორის ბრძოლა ფიცხელი, რომელი თვითვეულად ჰპოო ცხოვრებასა აფხაზთასა“ (ქ. ცხ., გვ. 196). ეს წიგნი დღეს დაკარგულად ითვლება.

8. თანამედროვე, ავტორი გიორგი მეფის (1072—1089) და მის ძის დავით აღმაშენებლის (1089—1125) ცხოვრებისა. მწერალი, რომელსაც თავის სახელი არ გამოუცხადებია, აღნიშნულ მეფეების ცხოვრებას მოგვითხრობს ისე, როგორც თვალთ მხილველი, როგორც თანამედროვე და უმაღლესს კარზე მყოფი მოხელე. მაგალითებრ:

(გვ. 239) ესე ყოველი თგაღითა ჩვენითა ვიხილეთ და თრიად უფროს ამთ წარმოთქმულთასა, რამეთუ ვინ წარმოთქვა თვითვეულად, რა დღეთა ჩვენთა მოიწია ჭირი.

(გვ. 254) წინა დაიდვა ოდესმე სამოციქულო წასაკითხვად, და რა უამს დასრუდის, ნიშანი დაწვის ბოლოსა წიგნისასა. ხოლო მოქცევასა წელიწდასასა მით ნიშნითა აღთუაღეთ: ოცდაოთხჯერ წარეკითხა.

(გვ. 257) მრავალგზის გვიხილავს იგი დამღტობეჲად დაწვთა თვისთა ცრემლითა ხილვასა ზედა თვითო სახეთა სენთასა.

(გვ. 260) ნათესავი ქართველთა ორგულ-ბუნება არს ჰირველ-ათგანვე თვისთა უფალთა. რამეთუ რა უამს განდიდნენ, განსუქნენ და დიდება ჰპოონ და განსვენება, იწუებენ განზრახვად ბოროტისა, ვითარცა მოგვითხრობს ძველი მატეანე ქართლისა და საქმენი აწ ხილულნი.

ამ დროს ქართველების მატიანე უკვე ძველი ყოფილა, როგორც ზემო ამონაწერიდან სჩანს. დავით აღმაშენებლის მემატიანე, საზოგადოდ, ფრიად ნასწავლი კაცი ყოფილა, მას ხელთ ჰქონია არათუ მარტო ქართული წყაროები, არამედ ევროპიულებიც, რომლებიდანაც აქა-იქ ნაწყვეტები მოჰყავს. მაგალ.,

(ქ. ცხ; გვ. 260) ალექსანდრე (მაკედონელმა) ქმნა ესრეთ: პირველად მამულისა თვისისანი შეკრიბნა და მით დაიპყრნა დასავლდისნი ევროპი, იტალია, რომი და აფრიკეთი და მათითა წარტანებითა დაიპყრა ეგვიპტე შესრულმან კარქედონით და მიერ ეგვიპტით— ჰალესტინე და ფინიკე და კილისკისა თვისად შემქმნელი წინა-განწყობ დარიფს და რაჟამს სპარსეთი მოიხრთო, მაშინდა ჰსძლდა პირის ჰინდოსა, და ეგრეთცა ამით მოვლო ეოკელი ქვეყანა და ჰქმნა, რა იგი ქმნა.

ჩვენმა ავტორმა ალექსანდრე მაკედონელის ისტორიის გარდა იცის აგრეთვე უმბროსი, არისტოტელი, ტროიანელთა მეომრების მალობელნი, იოსიპოსი, ტიტლივი და სხ. (ქ. ცხ., გვ. 248, 200 და სხ.).

9. თანამედროვე, ავტორი გიორგი III დიდისა (1156—1184) და მის ასულის თამარ მეფისა (1184—1213). ავქსონის თანამედროვეობა მტკიცდება მით, რომ იგი სწერს ამბავს, როგორც თვალით მხილველი. მაგალ.:

(გვ. 283) რომელი აწ სჩანს დაწერასა შინა ამისსა ათერთმეტთა მოქცევათა ჟამთა თამარ სამგზის სანატრელისათა

(გვ. 271) ესე იქმნა დღეთა ამათ ჩვენთა.

(გვ. 333) ხოლო საქმეთა მისთათვის რაღდა სხმარ არს თქმად..., ვითარცა თვით მოწამე არს ჩვენ მიერ ხილული.

შენამ. ენა მე-X—XII საუკ. მემატიანეებისა უმაღლესად განვითარებულია და პოეზიით აღსავსე, ზოგიერთგან მემატიანე თითქო კიდევ ლექსობს, ისე კეთილხმოვანად, შეწყობილად სწერს.

აღნიშნულ დროის ამბებს, მემატიანეებს გარდა, შეეხებიან არა თუ მარტო ქართული წყაროები, რომლების შესა-

ხებ საუბარი გვექმნება ქვემოთ, არამედ არაბულიც, სომხურიც და ბიზანტიურიც.

10. „ამბავი ჩინგიზ-ყაენისა, თუ გითარ გამოჩნდეს ქვეყანასა აღმოსავლეთისასა“ თვალთმხილველისა (ქ. ცხ., გვ. 342—425).

მემატიანემ კარგად იცის მონგოლური ენა, მატანეში ხშირად ურთავს მონგოლურს სიტყვებს, ფრაზებს. იგი მიუდგომელი მწერალია, იმოდენად მიუდგომელი, რომ საცა საჭიროა, იქ უშიშრად ამხილებს თვით მეფესაც კი.

ღვთის მხილველი მოსე იტყვისო, სწერს მემატიანე (ქ. ცხ., გვ. 366), „მთავრსა ერისა შენისასა არა რქვა ბოროტი“, გარნა ვინათგან ესე წიგნი შეამდებარე არს კეთილას მოქმედთა და ბოროტის მოქმედთათვის, შენდობილ იყავნ სიტყვანი ჩემნი, რამეთუ ჟამთა აღმწერელთა ჭეშმარიტის მეტყველებს არს და არა თვალხმავისთვისმე. შემდეგ ავტორი ჰკიცხავს რუსულად მეფეს დასაზრახ საქციელისათვის.

რის მოწამეც თითონ არ ყოფილა მემატიანე, იმის შესახებ ცნობებს იღებს სხვათა ნაწერებიდან, მაგ., ვინმე მღვინჯელის ქრონიკიდან („ვითარცა დასწერს ბერი ვინმე მღვინჯელი“, ქ. ცხ., გვ. 354).

შალვა ახალციხელის დატყვევებისა და წამების ისტორიას ავტორი გადმოგვცემს მოკლედ: „ესე აქამომდე სულ მცირედ აღიწერა ჩვენ მიერ“, (ქ. ცხ., გვ. 351).

რომ მემატიანე ყოფილა სამცხელი ანუ მატანის წერის დროს სამცხეში უცხოვრია, ეს სჩანს მისის შემდეგის გამოთქმილად:

„მოვიდა სამცხეს“ (ქ. ცხ. გვ. 392)

„მოვიდა ბექას წინაშე“ (გვ. 492)

„მოვიდა პირველად კოდას და არტანს“ (გვ. 445)

„მივიდეს ქუთაისს“ (405)

„მივიდეს ტფილისს“ (410).

რომ „მონგოლთა მოსევის ამბის“ დამწერად შეიძლება ყოფილიყო ცნობილი მოღვაწე აბუსედაძე (მე-XIII საუკ.), ამის შესახებ რაოდენიმე სიტყვას ვიტყვით თავის ადგილას.

11. „ძეგლი ერასთავთა“ თანამედროვესა შეტანილია ეტრატზე გადაწერილს სვინაქსარში. ქრონიკაში წარმოდგენილია მოკლე ისტორია საქართველოსი და ვრცელი—ქსნის ერისთავებისა, ოსეთიდგან მოსულ მთავართა. დაახლოვებით, ქრონიკა შეეხება 1292—1400 წლების ამბებს.

მს შესანიშნავი ძეგლი ხელში ჰქონია ცნობილს მეღვინეთ ხუცესიშვილს, რომელსაც ამ ძეგლის პირი გადულია და მიუცია ბროსესთვის და მას გადუთარგნია ფრანგულად და დაუბეჭდია („Addit.“, გვ. 372—384). მეღვინეთ ხუცესიშვილის ვარაუდვალების შემდეგ ეტრატზე ნაწერი დედანი დაკარგულა, გარნა შენახულა მისი პირი, რომელიც თ. ჟორდანიამ თავის ძვირფას შენიშვნებით დაბეჭდა მის მიერ გამოცემულ „ქრონიკების“ მეორე ტომში (გვ. I 30)

როგორც ეს ქრონიკა, ისე ერეკლე II-ის მიერ შედგენილი „სია თავად-აზნაურთა“ ერისთავების შემოსვლას ქსან—არაგვის ხეობაში მიაკუთვნებს იმპერატორის იუსტინიანეს დროს.

„ძეგლი ერისთავთა“ ფრიად საყურადღებო წყაროა არათუ მარტო ქართლის ცხოვრებისა, არამედ ოსეთის ისტორიისაც. მასში, ვითარცა ქართლის ცხოვრებაშიაც, სხვათა შორის, მოხსენებულნია ოსთა მთავარნი და მეფენი—სუნღუ, ფარეჯან ამასაჯან, ბალათარ და სხ. ერთ ადგილას ნათქვამია (ქრონიკები, გვ. 7): „შალვა მოიყვანა ცოლად ოვსთა მეფის ასული სახელად ბირდი.“ ეს შალვა, ბალათარი და მეფე ოსთა ფარეჯან თანამედროვენია ვახტანგ II-ისა (1282—1292), დავით VI-ისა (1292—1310).

12. ცხოვრება გიორგია ბრწყინვალისა (1318—1346) შევსებულია ისტორიკოსის ვახუშტის მიერ თანახმად ამ მეფის გუჯრებისა და „სამართლის წიგნისა“ (ქ. ცხ., გვ. 448, შენ. 1).

13. ლანგ-თემურის შექმსეგა და მასი ბრძოლა ბაგრატ მე V-სთან (1360—1395) და ამის შვილ გიორგი მე-VII-სთან (1395—1407). ეს ქრონიკა დაწერილია თანამედროვესაგან. ლანგ-თემური შვიდჯერ შემოესია საქართველოს, შვიდ გზის ააოხრა და ქართველები ყოველთვის მამაცურად უზედებოდნენ, დიდად აზარალებდნენ. მებატიანე ამბობს (ქ. ცხ., 461):

„მე კერეთ ვერ ძალ-მიძს აღწერა და შესხმა ქების ახოგნე-ბათა მათ ჭაბუკთა ქართველთასა, ვითარ იგი სპარსთა წიგნთა შინა წერილ არს ქება სპათა ქართველთასა“. \*)

და მართლაც, ქართველებთან ბრძოლისათვის ამ ლანგ-თემურს მაჰმადიანობისაგან მიებოდა უმაღლესი ჯილდო — ყაზი-ობა. (ედ. გიბბონ, ტ. VII, გვ. 178).

ჩვენ გავათავეთ განხილვა ქრონიკებისა, რომელნიც შეადგენენ ქართლის-ცხოვრების პირველს ნაწილს. მკითხველი კარგად დაინახავდა, რომ ეს ქრონიკები დაწერილია სხვა-და-სხვა პოლიტიკურ მდგომარეობის დროს.

ამისთანა ქრონიკები რომ ხელად გვაქვს, უსამართლოდ შიგვაჩნია პატკანოვის სიტყვები: „საქართველას ძველს მატიანეში ჩვენ ვხედავთ, შედარებით, ახალს, უგერგილო კამპილიაციას, გამაუცდელის ხელით გამოჭრილს, ცნობილს ყაღიბზე“; „რამდენიმე წმიდანის ცხოვრების გარდა საქართველას ლიტერატურის ძველის ხანადგან სხვა ძეგლნი ისტორიულ შინაარსისა არ დაშთენილან“ (Ванск. надписи, გვ. 201, 206).

პირიქით, ქართული მატიანე დამყარებულია არა თუ „რამდენიმე წმიდათა ცხოვრებაზე“ და ჩვენ მიერ შემო-აღნიშნულ ქრონიკებზე, არამედ კიდევ სხვა უქკნობელ და უხრწნელ ძეგლებზედაც.

\*) ხედ მიწვევით არვიცი, სახელდობრ, რა წიგნებია ეს „სპარსთა წიგნები“, რომლებშიაც არის ქება ქართველებისა; ვიცი თხოლოდ თხზულება შიხ-აბ-ედ-დინ ელკალაშენდისა († 1418), რომელშიაც, მართლაც, დიდი, უმაგალითო ქებაა ქართველ მფეეებისა. (იხ. „Царница Тамара“ გვ. 17—18).

ძართველი მემკვიდრეები არას დროს არა სწერენ წინდაუხედავად, როგორმე, გარნა ყოველთვის სცდილობენ, რაც შეიძლება, სიმართლით აღწერონ ეს თუ ის ამბავი, საცა თვითონ არ დასწრებიან პირად, იქ ცნობებს იღებენ სხვა-და-სხვა სარწმუნო წყაროთაგან—გუჯრებიდამ, სიგელებიდამ, სვინაქსრებიდამ, წარწერებიდამ, გადმოცემებიდამ და სხ. აი, ამგვარ წყაროების განხილვას შევუდგებით აწ.

## ბ. ქართლის-ცხოვრების ძეგლები წყაროთა.

1. გამოლაშქრება ამპროტორის ირავლისა (622—629) და სკვითთა ხაყანის ჯიბლუსა (ძიბელისა). ამ თხზულებას ხშირად იხსენიებენ ქართლის-ცხოვრების ქრონიკების ავტორები და მისგან მოჰყავთ სხვა და სხვა ცნობებიც.

„თამარ მეფის ცხოვრების“ აღმწერელი რუს-გიორგისსა-ქციელს აღარებს სკვითთა ხაყანის ჯიბლუს ყოფა-ქცევას; იგი ამბობს (ქ. ცხ., გვ. 288): „მისვე ძველისა ხაღან სკვითისა შემსგავსებულად მოსდგომია აქაცა: მუნ (ბიზანტიას) თუ იგი მოადგა დედოფალსა ქალაქთასა (ე. ი. კოსტანტინეპოლს), აქა ესე დედოფალსა დედოფალთასა და მეფესა მეფეთასა“ (ე. ი. თამარ მეფეს). ხაღანი ჯიბლუ რომ შემოერტყა კოსტანტინეპოლესო, ისე გაგდებული რუსი დაბრუნდა და ომი აუტეხა თამარ მეფესო.

სხვა ადგილას (ქ. ცხ., I, 373) მოყვანილია მისგან შემდეგი ნაწყვეტი: „ოდესმე იხსნა ერი თვისი ღვთისმშობელმან უმსჯავრისა მისგან სიკვდილისა, ვითარ ოდესმე იხსნა ქალაქი იგი კოსტანტინეპოლი, რაკამს ბარბაროზთა კარემოცვა მხელავრთ მთავრობასა სარკასონისსა და მძინვარედ აღდგომასა ხაღან სკვითთა მთავრისასა, ვითარ დანთქნა მბრძოლნი მისნი ზღვად; რამეთუ აღდუნა ზღვა და განდნა ჩივთი ნავისა და დაინთქნეს მძინვარედ და ხმელეთსა ზედა მყოფთა აწვიმა ტეცხლი, ვითარ ძველ-ოდესმე სოდომელთა ზედა“.

ძრონიკა „გამოლაშქრება ირაკლისა და ჯიბლუსი“ ჩვენ გადმოვწერეთ ტყავზედ ნაწერ წიგნიდან (ეკლ. მუზ., № 471),

რომელიც გამოსცა გიორგი მთაწმინდელმა 1042 წელს, და დაებეჭდეთ კავკასიის სასწავლო ოლქის „სბორნიკში“ (XXVII).

ქრონიკაში წარმოდგენილია საშიშარი მდგომარეობა კოსტანტინეპოლისა, რომელსაც ჩრდილოეთის მხრით მიჰსეოდა სკვითთა ხალანი და სამხრეთის მხრით კი სპარსთა ლაშქარი სარვარონის სარდლობით. ღვთისმშობელმა იხსნაო ერი თვისი განწირულებისაგან, ჰქმნა მრავალი სასწაულები, ზღვა ააღელვა და დაანთქმევინა მტრის ნაგები ლაშქრითურთ, ცეცხლის წვიმა აწვიმაო და სხ.

ირაკლი შეურიგდა სკვითთა ხლანს და მასთან ერთად გამოილაშქრა, დაამარცხა ყენი, აიღო ტფილისიც და ძღვევამოსილებით დაბრუნდა.

ეს ქრონიკა არ უნდა იყოს ბერძნულ თქმულებათაგან ნათარგმნი, ამ თქმულებათა ნამდვილი პირი, რადგან ასრე დაწვრილებით, როგორც ჩვენი ქრონიკა, აღნიშნულ ამბებს არ გადმოგვცემს არც ერთი უცხოური წყარო.

ჩვენი ქრონიკა შედგენილი უნდა იყოს ქართულის ძველის გადმოცემების თანახმად: მისი ნაწყვეტები გვხვდება ა) დავითისა და კოსტანტინეს ცხოვრებაში (სამოთხე, 323), ბ) ქართ. ცხოვრებაში (გვ 170—174) და გ) ბაგრატის შრომაში (№ 186, გვ. 2315—2322). ბაგრატი ამბობს, რომ მოთხრობა უღვთო მაჰმადიანთა სარწმუნოების შესახებ ამოვიღე ძველ წიგნებიდანო, და ამგვარ წიგნებად კო ჩვენ მიგვაჩნია ა) აბუკურაჲ (XI ს.), ბ) წინამძღვარი 1217 წელს გადაწერილი (№ 65), გ) უწყებანი არსენი კათალიკოზისა (X ს), დ) უწყებანი ეფრემ-მცირისა (XI—XII ს.). ეს ეფრემ-მცირე, მოგვითხრობს-რა ირაკლის გამოლაშქრების ამბავს და მაჰმდის გამოჩენისას, ისევ იმოწმებს ძველს წიგნებს (№ 162, გვ. 144 და სხ.).

2. ნებროთის წიგნი. მირიანის († 342) ცხოვრებაში ნათქვამია, ამ მეფემ ქრისტიანობის მიღება იწება მხოლოდ მაშინ, როდესაც დარწმუნდა, რომ ძველნი და ახალნი წიგნნი

ერთნაირად მოგვითხრობენო ქრისტეს მოსვლის ამბავს და „ნებროთის წიგნიც“ ამტკიცებს მათს ნათქვამსო.

ამ ნებროთის წიგნიდამ ჯუანშერ ჯუანშერიანს ამოუღია ცნობები (ქ. ცხ., 122—123) შესახებ ბაბილონის გოდლის აშენებისა, ენათა შერევისა, ერთა გადასახლებისა (მოხსენებულთა სულ შვიდი ერი: ინდი, სინდი, ჰრომი, ბერძენი, აგმაგუგი, სპარსი, ასური)

ამავე ენათა შერევის ამბავს მთელს 91-ს ტაეპს უძღვნის პოეტი შავთელი (XII საუკ.) და ჩამოსვლის იმავე შვიდს ერს—ასურს, ინდს, რომს, სინდს, ბერძენს, სპარსს, აგმაგუგს.

„ნებროთის წიგნის“ ზოგი ადგილები ჩვენ უკვე დავბეჭდეთ ქართლის-ცხოვრების მაგვარსავე ცნობებთან შედარებით („სბორნ.“, XXIX).

ძველის-ძველად საქართველოში მეფობდნენ ნებროთიანნი. ამ ნებროთიანებს შეიძლება ჰქონოდათ საგვარეულო ძველი— „ნებროთის წიგნი“ და როგორც ქ. ცხოვრება ამბობს (გვ. 123), საიდუმლოდ დაეცვათ იგი თავიანთ გვარეულობაში.

3. ცხოვრება ანდრაა მაცაქულისა. ეს თხზულება, როგორც მოწმობს გიორგი მთაწმინდელის მოწაფე გიორგივე, ძველადვე თარგმნილი იყო ქართულად და ითვლებოდა საეკლესიო—სარჯულო კითხვების განსამარტავ წიგნად. ამავე წიგნით სარგებლობდნენ ქართველი მემატიანეები, როდესაც საჭირო იყო აღეარათ, რომ საქართველოს ეკლესია არის სამოციქულო ეკლესია და დამყარებულია იმისთანა სიმტკიცეზედ, ვითარც არის კვართი უფლისა (ქ. ცხ., 39—37 და სხ.).

4 ცხოვრება ჰეტრე (მურვანოს) მათუქლასა. ამ ეპისკოპოსის ცხოვრება ასურულს ენაზე დასწერა მისმა მოწაფემ ზაქარიამ და მერე ითარგმნა ქართულად\*) (ქ. ცხ. 102—103).

\*) ნ. მარმა შემოკრიბა სრული ცნობები შესახებ ჰეტრესი და მის „ცხოვრებასთან“ ერთად ჩინებულად გამოსცა: (Житие Петра-ивера, царевича, подвожника и епископа майумскаго, V вѣка“.

5. ცხოვრება აბო ტფაღელისა (+ 786 წ. 6 იანვ.). ეს შესანიშნავი თხზულება დაწერილია თანამედროვე იოანე საბანიძისაგან ქართლის კათალიკოზის სამოელის ბრძანებით და შეტანილი ტყავზედ ნაწერ კრებულებში—IX საუკუნისა (№ 19), IX—X საუკუნისა (№ 95) და X საუკუნისა (№ 425 წ. კ. საზოგად.).

ამ ვრცელს ნაწარმოებში ბევრი ძვირფასი ცნობებია, შესახებ საქართველოს, აფხაზეთის და ხაზარეთის პოლიტიკურ-სარწმუნოებრივ ყოფა—მდგომარეობისა არაბთა მფლობელობის პირველს საუკუნეს.

აბოს ცხოვრება უკვე გადმოვსწერეთ სამივე ვარიანტიდამ და ერთად დავბეჭდავთ მაშინდელ დროის ლექსიკონითურთ.

6. ცხოვრება წმ. აჩილასა (+ 718), დაწერილი თანამედროვის ლეონტი მროველისაგან, შემოკლებულად შეტანილია ქ. ცხოვრებაში (გვ. 181—184) და სრული პირი კი ჩვენ გადმოვიღეთ 1733 წლის მამათ ცხოვრებიდამ და დავბეჭდეთ ჩვენს წიგნში „მწერლობა მეთე საუკუნემდე.“

7. ცხოვრება წმ. რაქდენისა (+ 504 წელს ანუ მის აბლო ხანს) შედგენილია, როგორც ამბობს ავქსნი, თანახმად ძველთა მატეათა და აღწერათა (სამოთხე, გვ. 169, 178)

8. ცხოვრება წმ. შუშანიკასა (+ VI საუკ.) შეტანილია ტყავზე ნაწერს კრებულში მე IX საუკუნისა (№ 95). ენა ამ თხზულებისა არის შვენიერი ნიმუში ძველის ქართულ ლიტერატურულ ენისა. მასში დაცულა წარმართულ დროინდელი სახელები თვეებისა (აპანი, ვარდობისა).

ეს საყურადღებო თხზულება უკვე გადმოვსწერეთ და დასაბეჭდად დავამზადეთ.

9. ცხოვრება ასურთა მამათა (სამოთხე, 193—302; ქ. ცხ; 151—158). ამ მამების ცხოვრებამ ჩვენამდე მოაღწია მე XVII—VXIII საუკ. ნუსხებით, თუმცა ზოგიერთის ცხოვრება შედგენილი იყო ძველადგანვე, მაგალ., კათალიკოზის ბასილის შიერ. პატრიკის ვაჩეს ძისა (სამოთხე, 253).

10. ცხოვრება ნეოფიტე ურბნელისა (სამოთ., 306—313), რომელიც აწამა აჰმადმა, ამირა მუმლის ბაღდადელის სპასპეტმა. ამ ეპისკოპოსის „ცხოვრება“ თავდება ასრე: „ვპოვეთ ისტორიაჲ ნეოფიტესი სასწაულების მოთხრობათა შინა ღირსისა შიო საკვირველით მოქმედისათა, რომელნიცა სხვა და სხვათა მიერ აღწერილნი შეჰკრიბნა ნეტარმან ბასილი, მამათ მთავარმან ქართველთამან, ძემან პატრიკის ვაჩესმან“ (გვ. 312),

11. ცხოვრება ევსტათი მცხეთელისა, რომელიც აწამეს ტფილისს ხოსრო ნუშირვანის (531 — 589) დროს (სამოთხე. 413—322). ეს თხზულება შეიცავს კარგს ისტორიულ მასალას და ემოწმება ქართლის მოქცევის ცნობებს.

12. ცხოვრება ანტოკეთის მთავრების დავითისა და კოსტანტანესა (+ 741). ამ მატიანის ავტორს მოჰყავს ცნობები შესახებ ერეკლე იმპერატორის გამოლაშქრებისა, მაჰმადის შობისა, არაბთა ლაშქრის შემოსევისა მურვან-ყრუს მეთაურობით (ქ. ცხ., გვ. 170, 173—174). არაბნი იჭერენ დავით და კოსტანტინე მთავრებს და აწამებენ წყალ-წითელას კიდევად (ქუთაისის ახლოს, მოწამეთს). მემატიანე თანამედროვე არ არის, იგი ცნობებს იღებს, როგორც თვითონვე ამბობს (სამოთ., გვ. 324), ძველთა უწყებათაგან.

13 ცხოვრება წმ. კოსტანტისა, რომელიც აწამა ჯაფარმა ბაბილონს 854 წ. 10 ნოემბერს. მისი ცხოვრება დაწერილია თვალთმხილველისაგან (№ 97 და № 170 ეკლ. მუზ.), რომელსაც თავის შრომაში შეუტანია მრავალი საყურადღებო ცნობები მაშინდელი დროის აღმოსავლეთის პოლიტიკურ მდგომარეობისა.

14. ცხოვრება აღანიათ-ქართველისა, კახეთის თავადისა. ამან თავისმიერ დაარსებულნი სკოლანი და მონასტერნი შეამკო მრავალგვარ წიგნებით, მერე წავიდა პალესტინას, ბიზანტიას, თესლონიკეს, რომს; მისი დიდი მეგობარი იყო იმპერატორი ბასილი (867—880), რომელსაც თავის შეილები აღზრდა მიენდო ილარიონისთვის. ეს დიდი მოღვაწე გარდაიცვალა ულუმბოს (თესლონიკეში), მის მიერვე დაარსებულს

ქართველთა მონასტერში 53 წლისა. გვამი მისი იმპერ. ბასილიმ გადმოასვენა კონსტანტინეპოლს ერის სათაყვანოდ და მერე აქედგან მიასვენა ქართველთავე მონასტერს, რომანას.

იმპერატორის მინდობით ილარიონ-ქართველის ცხოვრება აღწერა ფილოსოფოსმა ვასილიმ ბერძნულად და მერმე ბერძნულიდგან ქართულადაც თარგმნეს. მისი ცხოვრება შეტანილია ათონის კრებულში 1074 წლისა (ტფილისი, 1901 წელს); ეტრატზე ნაწერს სვინაქსარში XI საუკუნისა (№ 222 ეკლ. მუხ.), სამოთხეში და მოკლედ პროფეს. ცაგარლის წიგნში—*Палестинский сбор. вып. 10, გვ. 32—42.*

15 ცხოვრება გობრონასა, დაწერილი ტბეთის ეპისკოპოსის სტეფანესაგან ერისთავთ-ერისთავის აშოტის († 918) მინდობილობით. გობრონი არაბებმა შეიპყრეს ციხე ყველში და აწამეს 914 წლის ახლო ხანს; მაშასადამე, მისი ცხოვრების აღმწერილი სტეფანე არის თანამედროვე. ეს სტეფანე იყო ფრიად განათლებული კაცი. იგი ცნობილია არა მარტო გობრონის ცხოვრებით, არამედ შატბერდის ტყავზე ნაწერ კრებულითაც.

16. ეტრატზე ნაწერი კრებული IX—X ს. (№ 19 ეკლ. მუხ., in folio, გვ. 489).

17. ეტრატზე ნაწერი კრებული X ს. (№ 95 ეკლ. მუხ., in folio, გვ. 1316).

18. ეტრატზე ნაწერი კრებული X ს. (№ 144 ეკლ. მუხ., in folio, გვ. 424).

19. ეტრატზე ნაწერი კრებული X ს. № 425, გვ. 1088)

20. ეტრატზე ნაწერი კრებული X ს.—შატბერდის კრებული იოანე-ბერაისა (№ 1141 წ. კ. საზ., გვ. 634).

ამ დიდ-დიდ ხელთნაწერებში მრავალნაირი წერილებია, სახელდობრ: ცხოვრებანი და სწავლანი ქართველთა და მსოფლიო მამათა, ფიზიოლოგი, <sup>1)</sup> თუალთაჲ, <sup>2)</sup> ტაძრის აგება

<sup>1)</sup> ზენის ნუსხით დაბეჭდა პროფ. ა. ხახანაშვილმა თავის წიგნში—*Очерки истории груз. словес. (გამოც. 2, 325—328)*

<sup>2)</sup> დაგებულეთ მე XXIV გამოც. *Сборникъ-ისა.*

ლოდს<sup>3)</sup>, ფსალმუნთა განმარტება, ქართლის - მოქცევაჲ და ქართველთა მეფენი 324 წლითგან ქრ. დაბადებამდე მე-IX საუკუნემდე ქრ. შ.,<sup>4)</sup> მცხეთის ჯვრის აღმართვა, წმ. ნინოს ქადაგებანი, ბოლნელ ეპისკოპოზის ქადაგებანი, ცხოვრებანი შუშანიკისა, აბოსი, გულანდუხტისა, სატინიკისა (სატინიკის „ცხოვრება“ ვილაც ბარბაროზს ამოუგლეჯია დედნიდან და დაკარგულა), გადამწერთა და მთარგმნელთა შენიშენანი და წარწერანი. თუ რა ფასისა არიან ესრეთნი წარწერანი და შენიშენანი, ამას ცხადად გვიჩვენებს თუნდა შემდეგი შენიშენა № 95-ის გადამწერისა (იხ. გვ. 1222):

დიდება შენდა, სამებაჲ წმიდაჲ. დასრულდა წამებაჲ წმიდათა მარწამეთაჲ საკითხავები. თავი: ლწ.

კურთხეულნო ერნო მომავალნო, რომელნი ჩუენსა შემდგომად უფლად ხართ:

პირველ ოდეს ამას წიგნსა დავიწეე, ესრე შედგა გულსა, ვითა დედათა წამებაჲ და ცხორებაჲ ოდენ დაწერო და მით გავასრულე. და ვიხარე, დიდითა შრომითა და გულსმოდგინებითა ვძებნე დედაჲ და ესთენ ვზოვე, ვერდარა შემეძლო ძებნაჲ; მერმე ესე მამათა მარწამეთაჲ, რომელი ჰარხაჲს არა ეწერა, იშხნით მივღე და მით გავასრულე.

და ესე ცხორებნი დედათა და ღუთის მოყურეთა მამათანი. მაწეებით ამას ქუემოსა კერძოსა მოფაქციენ; თუმცა პირველ კამეგონა, თავსა ზედა მამათა მარწამეთაჲ კამდა. განა დედათა წამებითა და ცხორებითა ოდენ ვლამოდე გასრულებასა...

ჭირნი კულა დიდნი მინახიან. ღმერთმან დაგაჯეროს. სული გრიგოლ ჰატარასა მოხსენეთ წმიდათა ლოცვათა თქუენტა.

გაბრიელ ქსკაველი და გაბრიელ ხორვაი დიად დამიდგეს თანა (ღმერთმან შეუნდგენ ცოდვანი!); ოდეს მიმჭირდის, მათ მივჭმართი, ჰურაი მცოან.

<sup>3)</sup> გამოსცა პროფეს. ნ. მარტო პეტერბურგს 1901 წელს.

<sup>4)</sup> გამოსცეს ე. თაყაიშვილმა და თ. კორდანიამ განმარტებით და ძვირფას შენიშენებით.

იოვანე კაცუეთილმან კუტაღითა დჯნოჲ მომართუა.

ძრებული № 425 შესანიშნავია კიდევ მით, რომ თავიდან ბოლომდის საგალობო ნიშნებით მოწყობილია. მისი შემდგენილი მიქელ მოდრეკილი ამბობს, რომ ეს საგალობლები ეპოვე ძველს წიგნებშიო, ქართულს ენაზე გავაწყეო საგალობლები ქართულა, ბეძმულა და მეხუცა.

აღნიშნულს ხელთნაწერებზე, ვითარცა ხელთ - უქმნელ ძეგლებზე მე IX-X საუკუნოებისა, დამყარებულია აგრედ-წოდებული ოქროს ხანა საქართველოსა.

21. „განყოფა ქართველთა და სომეხთ ეკლესიისა“, თხულება კათალიკოზის არსენისა (მე X ს.). ეს ვრცელი მატეანე იძლევა ძვირფასს ცნობებს, რომელნიც საკმაოდ შეავსებენ ამგვარსავე ქარ.-ცხოვრების უწყებას. არსენის შრომა თ. ჟორდანიამ საყურადღებო შენიშვნებითა და საფუძვლიან განმარტებით დაბეჭდა თავის ქრონიკებში (ნაწილი I, გვ. 303—342).

22. ათონის ეტრატზე ნაწერი კრებული 1074 წლისა, უკვე დაბეჭდილი ჩვენ მიერ საეკლ. მუზეუმის საფასით და ა. ხახანაშვილის წინასიტყვაობით (XXVI + 368).

შინააჩსა: ა) ივერიის ლავრის დამააწესებელთა ისტორია, დაწერილი გიორგი მთაწმინდელის მიერ 1035 წლის ახლო ხანს იმის ჩვენებით, რომ იგი ამ ისტორიას სწერს თავლით მხალველთა სიტყვით, აგრეთვე თანახმად „მამარა ცხოვრებისა“, ეფთვიმეს ნუსხისა, მამათა ნაწერებისა, წიგნისა, რომელშიაც შეტანილი იყო სახელები ძველთა წიგნთა (გვ. 1, 17, 18, 24); ბ) ცხოვრება ილარიონ - ქართველისა, გ) ცხოვრება მოციქულის იოვანესი, დ) საგალობლები პატივად შემოხსენებულთა წმ. მამათა, ე) აღაპნი მათ მოსახსენებლად, ვინც რაიმე სამსახური გაუწია ლავრას. დამატება: ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა (+ 1066), დაწერილი მის მოწათის გიორგი-მწერლისაგან.

ძრებულო შეიცავს დიდს მასალას არა თუ მხოლოდ საქართველოს მე-X—XI საუკ. ისტორიისათვის, არამედ ქართველ-

ბერძენთა და ქართველ-რუსთა კავშირისა და განწყობილების შესახებაც. ორიოდე მაგალითი..

ა) ქართველ-ათონელი ბერძენებს უთმობენ კუნძულ ნეონის შემოსავალს და კარაკალის მონასტერს; სალუნის სლავიანებს აძლევენ მიწას ტაძრის ასაგებად. ბულგარიაში, დღევანდელს ჩეპელდერეს და მაშინდელს პეტრიჩს, აგებენ საკუთარს ეკლესიას ბულგართა გასანათლებლად, აგრეთვე აშენებენ ტაძრებს თესლონიკეს ნათლის მცემლისას და დობროიკს წმ. გიორგისას, და ყველა ამ ტაძრებში ამწესებენ სახელოვან მოღვაწეთ, მაგალ., ფილოსოფოსს იოვანე პეტრიწის და სხვ. თვით წმ. გიორგი მთაწმინდელი ჰმუსრავს საკერპოს ლივედიაში, საცა მოსახლეობდნენ ბულგარნი.

ბ) ქართველ-ათონელთა ღვაწლით მყარდება კეთილი განწყობილება საქართველოსა და ბიზანტიას შორის. ქართველები ჰშველიან უკანასკნელს ამბოხებათა და უბედურებათა შამს: ნიჭიერ ქართველებს იმპერატორები ამწესებენ თავის სამსახურში. ქართველ წმიდანთა ცხოვრება იწერება ბერძნულს სვინაქსრებში. ქართულს წიგნებს ასწორებენ ბერძნულის თანახმად.

შველა ეს ცნობები მტკიცდება არა მხოლოდ ქართულის მატანიით და მის წყაროებით, არამედ ბერძენთა და სომეხთ მწერლების გადმოცემითაც. ჩვენ ვიცით, მაგალ., რომ ჯოჯიკი (Tzitzius), ძე ივერიის პატრიკის თევდოტესი, იყო დაროსტოლოს პრეფექტად 1016 წელს, რომ ბიძაშვილი თევდოტესი, ვარაზფაჩე იყო იმპერატორის პროტოსფათარად და 1038 წელს იხსნა ედესა არაბთა აოხრებისაგან, რომ აბულარბის (Aboucap) შვილმა ვასილიმ დავით კურატპალატის (+ 1001) კარვის მცველმა, მანძიკერტის რაზმით უკუაბრუნა სახელოვანი ტოლრულებეგი 1054 წელს. ყველამ იცის ისიც, რა სამსახური გაუწიეს ბიზანტიას თორნიკიმ (მე-X ს.) და ლიპარიტ ორბელიანმა 1048 წელს.

ბ) შ, ცხოვრებაში ვკითხულობთ (გვ. 215): საბერძენეთში შეიქმნა დიდი ღელვა. ბასილი იმპერატორის სპასალარად და წარვიზი, ძე განდგომილის ფოკასი, შეითქვენ და მეფედ

გამოაცხადეს კსიფენი და მიიბირეს მთელი აღმოსავლეთი. სილი შეძრწუნდა, გარნა ღმერთმა უშველა მას. წარვიზი განუდგა კსიფენს თავის მომხრეებით, გარნა წარვიზი მოჰკლეს და კსიფენი კი შეამწყვდიეს დალასონის ციხეს, შეიპყრეს და მიჰგვარეს იმპერატორს. ამან კსიფენი დაამწყვდია ერთს კუნძულზე და მისთა თანაგამზრახთა თავები გააყრევინა და მათ შორის ფერისსაც, ჯოჯიკის ძეს.

ამ ფერისის შესახებ ათონის კრებული იუწყება (გვ. 290—291): ბევრს ჰსურს შეიტყოს, სად შეისწავლა ჩვენმა მამამ (გიორგი მთაწმინდელმა) ბერძნული ენა და ვინ მოგვიძღვნა ჩვენ ეს დაუშრეტელი საუნჯე. ვინ და ფერის ჯოჯიკის ძემ, ქმარმა ბაგრატ მეფის (+ 1014) ასულის წულისაჲ. რად მოვიხსენე აქ ბაგატის ასული, დაი ვასილი ბერისა? იმიტომ, რომ ეს ქალი თავის ძმას ვასილზე ნაკლები არ იყო სიწმინდით. ამ ფერისმა და მისმა მეუღლემ მოინდომეს მიეწვიათ თავისთვის რჯულის მოძღვარი და მასწავლებელი, და ორივემ გადასწყვიტეს მიეწვიათ გიორგი-მწერალი, დავით კურატპალატის (+1001) მწერალთა უხუცესი. მიიწვიეს და მიანდეს მას თავისი სასულიერო და სახორციელო საქმენი. ამ გიორგისთანვე იყო მცირე წლოვანი მისი ძმისწული გიორგი მთაწმინდელი. ცოლქმარმა, ნახეს-რა მშვენიერი ყრმა გიორგი, თავის შვილად გამოაცხადეს. გავიდა რამდენიმე ხანი. იმპერატორი ბასილი გაურისხდა ფერისს და თავი მოჰკვეთა: ამბოხში მონაწილეობის შიღება შესწამეს; მისი სახლობა კი კოსტანტინეპოლს წაასხეს. იქ დარჩნენ 12 წელს. ფერისის ცოლმა და გიორგი მწერალმა ყრმა გიორგი მიაბარეს სწავლულ კაცებს, რომელთაგან ისწავლა ბერძენთ ფილოსოფია და სიბრძნე. შემდეგ ფერისის ცოლს ეპატია და ნება მიეცა სამშობლოში დაბრუნებულიყო. გამოეთხოვნენ კოსტანტინეპოლს და მოვიდნენ სამშობლო სოფელს ტვარწატაფას. აქ გიორგი ყრმამ შეიტყო, რომ მისი დედა მომკვდარიყო. ეს ცნობა მოუტანა მას მისმავე მამამ, აქ გადმოსახლებულმა...

აჯანყება ნიკიფორე ფოკასი, როგორც ვიცით, იყო 1022 წელს. არისტაკესი ამბობს, ფერისს და მისს სიძეს ანდრონიკეს თავები გააყრევინეს აგარაკს, არსენის (არზრუმის) სანახებზედო (Hist. de la Géorg, გვ. 308; არისტაკესი, თ III).

თუ რა გვარი ძვირფასი ცნობებია ათონის კრებულის აღაპებში შეტანილი, სჩანს შემდეგის ორიოდე მაგალითიდანაც.

ა) აღაპნი №№ 60, 120 და 121: აპრილსა 30-ს დავაწესეთ აღაპი სუმბატ კურატპალტისათვის საბა ქმნილისა და მეულელისა მისისა მარიამისთვის, ბასილიკის ასულისა...

სუმბატ კურატპალტნი ორნი იყვნენ, ერთი იყო სუმბატ დავითისძე († 992) და მეორე სუმბატ ბაგრატიისძე († 1011). აღაპში სუმბატი ახლად გარდაცვალებულად სჩანს. გარნა აღაპი შეუდგენია (დაუწერია) ლავრის მამას იოვანეს, ბერძენთაგან ქართველთ მონასტრის (ათონის) გაძარცვის თვალთ მხილველს. ეს იოვანე უნდა იყოს ეფთვიმეს მამა, ვინაითგან მამა ავთანუ II იყო მხოლოდ 1168 წელს და ბერძნებმა კი ქართველთა ათონი აიკლეს 1021—1022 წ.

ბ) აღაპი № 153: ივლისის 25-ს, წმ. ანას გარდაცვალების დღეს ვაწესებთ თამარ მეფის აღაპს. ოდეს ჩვენნი კელინნი გადიწვა, აღმოსავლეთს (საქართველოს) წარგზავნეთ ჩვენნი ძმანი, რომელთაც თამარმა უბოძა 20 დუკატი და 2-ნი სტავრანი, ღირებულნი ოც-ოც დუკატად. კვალად იმავე თამარ მეფეს ნიკოლოზ გულაბრიძის ხელით გამოეგზავნა ჩვენთვის 20 პერპერი, რომლითაც საწისქვილე არჩი გამოვიყვანეთ, ავაშენეთ წისქვილი და ბოსტანი შევქმენით. მანვე გაიმეტა ჩვენთვის კიდევ ბევრი, გარნა ამ წყალობათ ჩვენამდის ვერ მოაღწიეს ღირთა კაცთა გამო.

ღირ-კაცებად, აღბად, იგულისხმება იმპერ. აღექსი, რომელმაც ფულის მოყვარეობით შეიპყრა საქართველოდგან დიდის შესაწირავით მიმავალი ბერები პალესტინეს და ათონს და გაძარცვა იგინი. ბერები ისევ დაბრუნდნენ საქართველოში. თამარმა წინანდელზე მეტი მიუბოძა მათ და აღექსის წინააღმდეგ კი გაგზავნა დიდძალი ლაშქარი, რომელმაც კირ-აღექსი

კომნიანესთან ერთად დაიჭირა ტრაპეზუნტი (Le beau—Hist. du Bas Emp., XVII, 254, შენ. 2; ქართ. ცხ., გვ. 318).

ნიკოლოზ გულამბრისძე ფრიად განათლებული კაცი იყო: კათალიკოზობა და მწიგნობართ უხუცესობა მისთვის მიეტაცა მიქელ კათალიკოზს. თამარმა გამეფებისავე უმაღლ ნიკოლოზ გულამბრისძე დაიბარა იერუსალიმიდან.

ბ) ჭარ.-ცხოვრება არ ამბობს, სად ასაფლავია: ბაგრატ IV (+ 1072). ათონის კრებული კი ამბობს (გვ. 305):

„ხოლო არს მამულსა მისსა (ბაგრატ მეფის) წარჩინებული სამღვდელთ მოძღვრო საყდართა შორის სამეფოსა მისისათა—საყდარი ჳყონდიდისა, სადა იგი მრავალთა წმიდათა მარტვილნი დაუსუენებიან და თვისი საფლავი მუნ განემზადა, რათა, რაჲმს აღესრულოს, მუნ დაემარხოს“.

დ) ალაპი № 164: ოკტომბრის 10-ს ალაპი არს ბაადურისთვის, ყვარყვარეს (+ 1582) ძისა. იგი გარდაიცვალა 21—22-ის წლისა. მშობელნი და ძენი მისნი ღიდად შეწუხდნენ და გამოგზავნეს დიდი საწირავი იერუსალიმს, სინას, ტრაპიზუნტს, კოსტანტინეპოლს და ათონს; მხოლოდ ჩვენს ლავრას მოსცეს 20,000 ოთმანური ოქრო და ვერცხლი (ათ. კრ., გვ. 267—269; ქ. ცხ., ტ. 2, გვ. 165—167)

მ) წმ. ეფთვიმემა და წმ. გიორგი მთაწმინდელმა ბევრი სიკეთე დასთესეს. უკანასკნელი საქართველოში მოგზაურობდა 1059—1065 წ. და ყველგან ასწავლიდა ერს, აგროვებდა ყმა-წვილებს ათონს აღსაზრდელად. გიორგი მთაწმინდელს სამგოსნო ნიქიც არ აკლდა. მის მიერ გამართულ და გადაწერილ საბარებაში სწერია შემდეგი აკროსტიხონი:

ზანსაკრთმელთა ღუთისა საქმეთა წიგნი,  
მშაზნითა მადლით აღმომშობელი ჩვენი,  
მტკივნად გაქუს ოფლით ნამუშავეკნი;  
რამელთა გწუერის, სვემდათ წყაღსა ცხოველსა,  
ზარნა ჩვენდაღცა იოხდით, რამელისაცა  
იტყვან თაგნი სტიქარონთანსი სახელსა.

მართლაც, სტიქარონთა მეთაური ასოები შეადგენენ სახელს: გეორგი. ამავე მოღვაწეს გამოუთქვამს სხვა ლექსიც, რომლის შინაარსი ესრეთია:

X რეკა მწუხრისა, რეკა მწუხრისა  
 რავდენს ადგიდრავს სკანებელსა  
 სიერმისა დღისას სამშობლო მხარეს,  
 რომელ მიუვარდა, სად არს სხელი მშობლისა,  
 და, მას რომ ვშორდებოდი ჟამსა მიმდებსა,  
 უკანასკნელად შესმა რეკა ძედისა!

და ვეღარც ვიხილავ შე ბრწუანვალე დღეთა  
 ჩემისა შატურის გაზფხუდისასა.  
 რავდენი აწდარა ჩანს აწ შორის ცოცხალთა  
 მაშინდელთაგან კისკასთა, ნორჩთა ურმათა!  
 რეკა მწუხრისა ანდა ესმისთ უურთა მათთა  
 და მტკიც არს დაძინება მათი საფლავთა...

მხვდება მეცა წოლამ მიწას ნესტიანსა,  
 ჩემზედა ხმასა მწუხარეს, ნადვლიანსა  
 ქარი მიმოჭყფენს მიდამოს ველიანსა;  
 სხვა მდერადი გაივლის ამას ადგილსა  
 და, ეჭა, არა თუ შე. არამედ ისა  
 დაჭმდერს ხმასა მწუხარეს და ნადვლიანსა, \*)

23. არტანუჯის კრების დადგენილებანი. ეს კრება შესდგა ხრტილას (ქ. ცხ., 225) ბაგრატ III-ის († 1014 წ.) მეფობაში. დადგენილება ამ კრებისა დაბეჭდა თ. ჟორდანიამ (ქრონიკები, 125—128).

24. ძეგლის-წერა ანუ დადგენილებანი ურბნისის კრებისა 1103 წელს. (ქ. ცხ., 242).

\*) ეს ლექსი, კალინოვსკის ცნობით, სიტყვა სიტყვად კახლავს უთარგმნია ინგლისურულად. რუსულად ასრე იწყება: „Вечерний звонъ, вечерний звонъ, какъ много думъ наводитъ онъ“...

ქართული ინგლისურად. რუსულად. სიტყვით  
 სიტყვად კახლავს (უთარგმნია ინგლისურად)  
 (ეს მთლიანად რუსულია)

25. ანდერძი დავით აღმაშენებლისა

26. დავით აღმაშენებლის „შესხმა“. თქმული მის მოძღვრის არსენის მიერ.

ეს სამი ძეგლი (23, 24, და 25) შეტანილია დიდს სჯულის წიგნში, რომელიც გადაწერილია 1217 წელს და აგრეთვე გელათის კრებულში (თ. ჟორდანიას, ქრონიკები, 1, 238).

27. თამარ მეფის „შესხმა“ შანუ შავთელის (ჩახრუხადის) აბდულომესიანისა.

28. თამარ მეფის „შესხმა“ შოთა რუსთაველისა.

29. შეფხის ტყაოსანი მისივე.

ამ სამს თხზულებაში (27, 28, 29) გალექსილია თამარ მეფის „ცხოვრება“, უფრო ვრცლად მოთხრობილი მემატეანის მიერ (იხ. ჩვენი წერილები „ივერიაში“, №№-ები 160, 162, 167, 188, 199, 204, 223 და აგრეთვე ჩვენივე ჯერ დაუბეჭდავი წერილი რუსთაველისა და შავთელის (ჩახრუხადის) შესახება.

30. ეტრატზე გადაწერილი კრებული მე XIII ს. (№ 85, გვ. 752). შინაარსი: გამოკვლევა ქართულის კინკლოსისა იოვანე შავთელის მიერ 1233 წელს. საგალობელნი კათალიკოზის არსენი ბულმაისიმისძისა და კარელ ეპისკ. საბასი. საგალობელნი დავით აღმაშენებლისა. ქრონიკა აბუსერიძე-ტბელისა შესახებ ლავრის აშენებისა ოპიზის ახლოს, საქართველოს და პყრობისა ხორაზმელთაგან, მონასტრის აგებისა ხიხას

მარტო სახელები ამ წერილებისა კმარა, რომ კრებული № 85 ჩავსთვალოთ დიდ-ფასიან ძეგლად მე XIII საუკუნისა. კრებულის შემდგენელნი და ის პირნი, რომელთა ცხოვრებანი ნაწერები შეტანილია მასში, კარგად ცნობილ არიან ქართ. ცხოვრებითაც. იგინი არიან სახელმწიფო მოღვაწენი მე XI, XII და XIII საუკ.

თვით აბუსერიძე, ვგონებთ, არის ის მესხი, რომელმაც დაგვიტოვა საქართველოში ჯელოლედინის და მონგოლთა შემოსევის ამბავი (ნახე ზემო, გვ.).

კრებულის ზოგიერთი წერილები თ. ჟორდანიას შენიშვნებით და განმარტებით დაბეჭდილია ქრონიკებში (ნახე 2,

103—123), გარნა იოვანე შავთელის კვინკლოსის გამოკვლევა და კრებულის ზოგიერთი წერილები გადმოწერილია ჩვენ მიერ სრულად და დასაბეჭდად დამზადებული.

**31. ძეგლის-წება გახანის მონასტრისა ეტკატზე დაწერილი და დამტკიცებული კათოლიკოზის გიორგისა და თამარმეტის სპასალარის ივანე მხარგძელის მიერ. († 1237 წ.).** ეს შესანიშნავი ძეგლი წარმოგვიდგენს არა მხოლოდ თამარის, ლაშა-გიორგის და რუსუდანის დროის მოღვაწეთა ისტორიას, არამედ საქართველოს შინაურ ცხოვრებასაც საზოგადოდ და მონასტრებისა კი განსაკუთრებით. ენა და ხერხი წერისა და შინაარსი ნაწერისა ღირსია ყოველმხრივ შესწავლისა.

ძეგლის-წება მთლად გადმოწერილია დაუღალავის ბ. ჟორდანიას მიერ და სათანადო შენიშვნებით დაბეჭდილია მის წიგნში—Историч. документы Шюмгвимскаго монастыря (Тифлисъ. 1896, გვ. 29—49).

მ. ჯანაშვილი

(შემდეგი იქნება)

## ქართველთა მატიაწა

ბ. გუჯრები, სიგლები, წყალობის პარათები და სხ.

სიგელ-გუჯრებსა, წყალობისა და შეწირულობის ბარათებს უბოძებდნენ მეფენი, კათალიკოზნი და მთავარი ეკლესიებს, თავად-აზნაურებს და სხვათ. იგინი იწერებოდნენ—ძველს დროს, დაახლოვებით მე-XIV—XV საუკუნემდის—ტყავზედ, და შემდეგ კი—ქალღვრზედ. უწყალობებდნენ მათ „ძალითა“ ღვთისათა, მსოფლიო და საქართველოს ეკლესიის უმთავრეს წმიდანთა, დედაქალაქის მცხეთისა და უფლის კვართისა; შემდეგ ამისა მათში იწერებოდა, ვის რა უწყალობებოდა ანუ ეძლეოდა, ხშირად იხსენიებდნენ წყალობის მიზეზსაც („ერთგულს სამსახურს“, „მამულისთვის თავდადებას“, „ტყვეთა გამოსყიდვას“, „ტაძრის აგებას“, „სკოლათა გამართვას“, „წიგნების გადაწერას“ და სხ.), მერმე იწერებოდა კრულვა, თუ ვინმე დაარღვევდა შეწირულობას და წყალობის წიგნის სიმტკიცეს და ბოლოს მწყალობელნი და შემწირველნი ამ გვარს წიგნებს ხელს აწერდნენ და ხანდახან ბეჭედსაც ასომდნენ (მეფენი, ამას გარდა, იხსენიებდნენ იმასაც, თუ სადამდის უწვდებოდა მათი თვითმპყრობელობა).

ამგვარ ნაშთთა რიცხვი ფრიად დიდია, რამდენიმე ათასი და უმეტესიც. მათს შესწავლას, რასაკვირველია არა ყველასი, მოჰხმარდა დიდი შრომა; მათ იძიებდნენ ბროსე, იოსელიანი,

\* იხ. «მოამბე» № 2, 1901 წლის.

ბაქრაძე, ფურცელაძე და დღესაც იძიებენ ცაგარელი, ხახანა-  
შვილი, მარრი, ჟორდანი, თაყაიშვილი და სხ.

მ. თაყაიშვილმა გამოსცა დიდი კრებული სიგელგუჯრებისა და წყალობისა და შეწურულობის ქაღალდებისა (ტფილისი, გვ. 529).

ა. ხახანაშვილმა თავის კრებულში (ქუთაისი, 1891, გვ. 178) შეიტანა ფრიად საყურადღებო სიგელ-გუჯარნი.

თ. ჟორდანიამ დიდძალი შესანიშნავი ისტორიული სიგელ-გუჯრები და ქაღალდები ზოგი შემოკლებულად, ზოგი სრულად შეიტანა თავის წიგნებში, (ქრონიკები, ნაწილი I და II, „შიომღვიმის მონასტრის დოკუმენტები“ და სხ).

დ. ბაქრაძემ გურიის მთავრების სიგლები, გუჯრები და ბარათები დაბეჭდა თავის შრომაში Археолог. путеш. по Гуріи и Аджарѣ.

დ. ფურცელაძემ საეკლესიო, სათავად-აზნაურო და გლეხთა სიგელ-გუჯარნი და ბარათები შემოკლებულად გამოსცა რუსულად.

შრავალი ამგვარივე საბუთები გამოქვეყნებულ იქნა სხვა-და-სხვა პირთაგან სხვა-და-სხვა დროს. ბევრი დავებქდეთ აგრეთვე ჩვენც და სხვათაც „ივერიაში“, „მოამბეში“, „მწყემსში“ და „კვალში“

ჩვენ გადმოვიღეთ კიდევ ასიოდე ფრიად საყურადღებო სიგელ-გუჯრის პირი: იგინი შეეხებინან ისტორიას კათოლიკოზობისას და სხ.

დიდძალი სიგელ-გუჯარი ჯერ გამოუქვეყნებელია. იგინი შენახულია ქუთაისისა და თბილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონების უწყებაში, საეკლესიო მუზეუმში, წერაკითხვის საზოგადოების ბიბლიოტეკაში, აგრეთვე მოსკოვს, პეტერბურგს, ათონს, კერძო პირთა ხელში და ეკლესია-მონასტრებში.

ამ საბუთებითა და ქაღალდებით ყოველთვის ხელმძღვანელობდნენ მემბტიანენი, ისტორიკოსნი, სჯულმდებელნი, ქვეყ-

ნის მზომელნი და აღმწერელნი გლებთა, აზნაურთა, თავადთა, სამღვდლოთა, მთავართა მამულებისა\*).

ქართლის ცხოვრება გუჯრებით სარგებლობს ძველადგანვე, მე-VII საუკუნიდგან. ჯუანშერ ჯუანშერიანის მატანის სხვა-და-სხვა ადგილას ვკითხულობთ:

...შეიტანნეს ეოფლისა საგანძურისა გუჯარნი, და რა გუჯარნი დაწენეს, აღწენეს ნათესავნი თვისნი და ქვეყანაჲ, და დადეს... (ქ. ცხ., I, 171).

...რჩილ ჰქცჳ მიჭრს:.. გუჯარნი იგი ტყავისანი მარტად დავსხენ (იქვე, 175),

...გეისარმან წარმოსცა ორი გვირგვინი და გუჯარი\*\* მიჭრსა და აწნილს (იქვე, 177).

...ესე მოკვითხრობს ჩვენ აღწერილი გუჯარი, რომელსა შინა აღწერილ არიან მეუფენი და წარჩინებულნი ტომებთა და სოფლებით მათით (იქვე, 178).

\*) ამგვარი აღწერა, სავსე მრავლის საყურადღებო ცნობებით, სხვათაშორის, დაგვიტოვა ერეკლე II-მაც. აი ამ აღწერილობის სათაური: „შემოკლებით აღწერა საქართველისა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა, რომელნიც აღწერილ არიან ძველად მეფეთაგანცა და უკანასკნელ მეფისა მიერ ირაკლისაგანცა, ვითარცა არს მოხსენებულ ტრაქტატსა შინა დადებულსა, ოდესცა შეეკრა მის დიდებულებას იმპერატრიცა ეკატერინასა წელსა 1783.“ („ივერია“, 1884, №№ IV, V, VI, VII, IX, XI).

\*\*) „გუჯრად“, რასაც ვირველია, იგულისხმება აქ „ბულღა“. ბიზანტიის იმპერატორები, როგორც ამ შემთხვევაში, დასდებდნენ რა ხელშეკრულებას ქართველ მეფებთან, ეს ხელშეკრულებანი შექმნდნენ „ოქროს ბულღაში“. ასე, როდესაც იმპერ. ლეონ ძოწითმოსილმა (886—912) თავის ჯარს უბრძანა დაეჭირათ ცეცხუმი, ცინე არზრუმის ახლოს, ქართველთა მეფე ადარნასემ (881—923) უკმაყოფილება გამოუცხადა და მიუთითა „ბულღებზე“, რომელნიც ამტკიცებდნენ მის უფლებას ცეცხუმზედ და ამ მაზნით კოსტანტინეპოლს გაგზავნა თავისი პროტოსფათარი (მეჭურჭლეთ უზუცესი) ჩორჩანელი და გაატანა პირი „ოქროს ბულღებისა“, რომელთაგან ერთი მის ზიერაც ხელმოწერილი იყო (Addit. 1851, გვ. 188—152; გან, II, 27—28).

აკ აღნიშნავ ზოგიერთ უფრო საყურადღებო სიგელ-გუჯრებს.

1. მტრატზედ ნაწერი გუჯარი შიომღვიმის მონასტრისა (№ 1 ეკლ. მუზ.), დამტკიცებული მეფეების ფალღესაგან († 893), კვირიკესაგან († 913), კოსტანტინესაგან († 908) და ბაგრატიანსაგან. მასში ცნობაა შესახებ „სალარებთან“ ბრძოლისა. ამ სალარებს დაეპყრათო ბარდავი (განჯა) და აღარბადაგანი (ქ. ცხ., 197). გუჯარი საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ მასში მოიპოვება ძველი სახელები ზომათა, ფულთა, აღნიშნულია ფასები სხვა-და-სხვა საგნებისა და სხ.

„სალარი“ (არაბულად) ვაქარი (იხ. გორგიჯანიძის ლექსიკონი).

ნამდვილი პირი ამ გუჯრისა შენახულა მე-XIII საუკ. ტყავზე ნაწერ გუჯრის უკანა მხარეს, საიდგანაც იგი უმეტნაკლებოდ გადმოუწერია თ. ჟორდანიას და დაუბეჭდია (Докум. ШИОМГВ., 1—3).

2. იერარქიული დადგნილება და მირონის შემზადების წესრიგი. ეს ძველი, დამტკიცებული არჩილისაგან († 718), დაშთენილა ნაგვიანეს ნუსხებში (ქრონიკები, 1, 45—46). ქ. ცხოვრებაში იგი შეტანილია მოკლედ 680 წლის ქვეშე (გვ. 172): „... ხოლო ოდესცა ენებოს შემზადება და კურთხევა მირონისა, აკურთხოს თვისსა ეკლესიასა... მრავალნი მრავალგზის ამათ პირთათვის გვეკითხვიდეს და დავბრკოლდებოდით ჩვენ უმეცრებით. და ესე მცირედნი სიტყვანი, ვითარცა თესლის მკრებელმან მიმოგანთესულნი, წმიდათა წერილთაგან ერთად შემოვკრიბენ ჯერჩინებითა შენითა, კაცო ღვთისაო“.

3. მცხეთის გუჯარი 1040 წ. დაბეჭდილია პროფ. ჩუბინაშვილის მიერ (ქრისტომ., 203 — 208) და თ. ჟორდანიასაგან (ქრ., 1, 181—188). მისი ზოგი ადგილები იგივეა, რაც ქ. ცხოვრებაშია (ნახე. გვ. 212—213, 218, 221—222). მასში მცხეთისთვის შეწირულ წიგნთა შორის ნახსენებია:

მატიანენი საშინაონი  
და საადაშონი,

ვეტხლით მოჭედილნი  
და მატეანენი სათვეონი,  
ვეტხლით მოცურვილნი.

მუჯარი შეიცავს მდიდარს მასალას შესახებ საქართველოს მე XI საუკ. ისტორიისა და განსაკუთრებით კი საპატრიარქო საყდრისა.

4. ტყავზე ნაწერი გუჯარი მე XI ს. მასში ბაგრატ IV არჩევს მიჯნაძორელთა და ოპიზართა დავას. მიჯნაძორელნი თავის უფლებას სადავო აგარაკზე ამყარებდნენ სიგელებზე ერისთავთერისთავის გურგენისა († 968), მეფეთ მეფის გურგენისა († 1008), ბაგრატ III -ისა († 1014) და გიორგი I-ისა († 1027), გარნა ოპიზარნი—ბაგრატ მამფალის († 883) სიგელზე. დავის გასარჩევად მეფეს მიეწვია კათალიკოზი, ეპისკოპოსნი, ერისთავთერისთავნი, ერისთავნი, ხევისბერნი ზემონი და ქვემონი.

მს გუჯარი დაბეჭდილია ბაქრადი<sup>1</sup> ა, ფურცელაძისა და სხვათაგან.

5. მტრატზე ნაწერი სიგელი, ბაგრატ IV -ისაგან ნაბოძები 1058 წელს.

მს ძვირფასი ნაშთი უკვე დაიბეჭდა საფუძვლიანის შენიშვნებით თაყაიშვილის მიერ („Сигель Баграта IV“) და თ. ჟორდანიისა („Къ матеріаламъ исторіи Грузіи XI—XII вѣка“).

6. ტყავზედ ნაწერი გუჯარი, მიცემული შიომღვიმისათვის გიორგი II-ის მიერ 1073 წელს.

წმ. შიოს მონასტრის წინამძღვარ მიქელმა გვთხოვა განვუახლოთ სიგელები, მიცემული მონასტრისთვის მამა - პაპათა ჩემთაგან, მთავართა და აზნაურთაგან, და ჩვენც შევიწყნარეთ მისი თხოვნა, განვუახლეთ ძველი სიგელები და დაუმტკიცეთ ლავრას ყველა მისი მამულები (Докум. Шіомгв., 9—11).

7. ტყავზე ნაწერი გუჯარი, იმავე მეფის მიერ იმავე მონასტრისთვის ბოძებული 1082 წელს.

„სახელოთა ღვთისათა: ესე ბრძანება ჩემი არს, გიორგი ბაგრა-  
ტონიანისა, ნებისა ღვთისათა მეფისა აფხაზთა და ქართველთა, რანთა,  
კახთა და სომეხთა, შარვანშე და შანშთა და უოვლისა აღმოსავლეთისა  
და დასავლეთისა თვითმპერობელისა“ (იქვე, 12—14).

8. ტყავზე ნაწერი სიგელი, მიცემული შიომღვიმისთვის  
დავით აღმაშენებლის მიერ 1123 წელს.

...შიომღვიმის მამებმა კარგა გვემსახურეს მაშინ, ოდეს  
წინააღგვიდგა ძაგამი თავის უღვთო შვილით მოდისტოსით. ამის-  
თანა ერთგულებისათვის ბერს არსენის ვუბრძანეთ ააგოს შიო-  
მღვიმელის უდაბნოში ეკლესია ყდ წმიდისა... ამას გარდა  
მონასტერს განვუახლე ყველა მისი სიგელები, ძველნი და ძვე-  
ლის ძველნი ნასყიდობანი: ნუ ვინ გაბედავს ამ მონასტერს  
გამოახვას ჩემ მიერ შეწირული ბროლისა, ბაზიჯისა და მინის  
კანდელნი, სასანთლენი, ჭურჭელნი და 30 ლიტრა ვერცხლი.  
სანთელი მას უნდა მოუტანონ ვაჭრებმა. პური უნდა მიეცეს  
სამარდისოდ 500 დრაჰკნისა ყოველწლივ, ღვინო თითო კერა-  
საული... ვწირავ მონასტერს 30 ჯორს, 2000 ცხვარს. ამას-  
თან მონასტერს ჰყავს კიდევ 3000 ცხვარი. ამ დიდს ფარას  
(5000 ცხვრიანს) უბაჟოდ ეთმობა საზამთრო და საზაფხულო  
საბალახე... თვალსა და მარგალიტს და ორს ბროლის სასან-  
თლეს ვწირავ ჩემს ხატს, 100 დრაჰკანს ვუნებნავ მღვდელსა  
და მგალობლებს; ნუ ვინ იკადრებს მოუსპოს ამათ ეკუთუფა.

მს სიგელი, რომლის შინაარსი მოკლედ მოვიყვანეთ, სი-  
გელი კი არა, უფრო ქრონიკაა, მატიანე. იგი სრულდება თვით  
დიდის მეფის აღმაშენებლის ამგვარ ხელმოწერით: სიმტკიცეო  
ყოველთაო, ღმერთო, მტკიცე მტკიცედ აქციე.

9. ტყავზედ დაწერილი სიგელი მანდატურთ-ხუცესის და  
ამირსპასალარის ჭიაბერისა, მიცემული შიომღვიმისათვის

„...ჩემსა ერჩენისა ქუნებასა შინა ვკადრე და მოვახსენე  
ნე ღუთისა სწორსა შეფეთ შეფესა თამარს და მათ მიერ  
ბრძანებითა და კითხვითა გკადრე და მოვახსენე შენ, წმიდასა  
შიოს და შენთა ცრემლთა მიერ აღშენებულსა უდაბნოსა მღვი-  
მესა ...მეხითარაისძენი ოქროი და მახარაი, ბრაჭი და იოანე

მათითა სახლითა და მამულითა, ნასყიდითა და უსყიდულითა, რომელნი მიიღებდნენ ყოველთა წელიწადსა შინა ცუინსათხუთმეტსა ლიტრასა... გიბედნიერენ ღმერთმან მიუკუნისამდე ჟინოვნით მიხითარაისძენი მათითა სახლითა და მამულითა კელმოსხლეტით და მოუდევრად მომიხსენებინ და შეუვალად ყოვლისა შესავლისაგან და არა ზედა-აც ბეგარაი. ვითა, სადაცა სხუაგან შემოაწირულნი ვაჭარნი თქვენნი ყოვლისა მავნებლისაგან შეუვალნი და ნებიერნი სხენანა, ეგრეთვე ესენი სხდნენ...

ამ დიდ მნიშვნელოვანს სიგელს ხელს აწერენ მეფე (თა-მარი?), თვით ჭიაბერი, კათალიკოზი თეოდორე, შოთაი, რომელიც თავის ჟინოვნის მამულსაც შიო მღვიმელს უმტკიცებს, ავაგ ორბელი, იოანე ურბელი. (დაწვრილებით იხ. ჩვენს წიგნში Царица Тамара, გვ. 122—125).

ეს სიგელი ემოწმება ქართლ. ცხოვრებას, როდესაც ჭიაბერის ჟინოვნის მამულზე ლაპარაკობს. მემატინე ამბობს: „ჭიაბერს, მანდატურთ-უხუცესს, მოუმატეს და უბოძეს ჟინვანი, ქალაქი და ციხე, შრავლითა მთეულითა“ (გვ. 297).

10. ტყავზე ნაწერი სიგელი, მიცემული თამარ მეფის მიერ 1202 წელს და მის მიერვე ხელმოწერილი.

სიგელი დაბეჭდილია თ. ჟორდანიას *Докум. Шіомгвимскаго монастыря-ში* (გვ. 25—28), ხოლო ხელმოწერა თამარისა ჩვენს პალეოგრაფიულს ტაბულაში (*Царица Тамара*, გვ. 120).

11. ტყავზე ნაწერი სიგელები 1200 წლისა და სხვა წლებისა, რომელნი შეიცავენ საგულისხმო ცნობებს შესახებ ქართველების გალაშქრებისა მცირე აზიას მონგოლების ყაენებთან ერთად (იხ. ქრონიკები, ნ. II, *Документы*, კრებულები ხახანაშვილისა, თაყაიშვილისა და სხ.).

აღარ განვაგრძობ სიგელ-გუჯართა აღწერას. ვიტყვი მხოლოდ, რომ ასრეთი საბუთები კიდევ მრავალია, სიგელ-გუჯარნი ბარათაშვილებისა, თუმანიშვილებისა, ჟურულიანთი, მეფის ალექსანდრესი († 1442), მეფის ლუარსაბისა († 1558),

როსტომისა († 1658), მრავალძალისა, ზევდგინიძეთა და სხ. უარეს მნიშვნელოვანი არიან, როგორც ისტორიულნი წყარონი. ამათ შორის ფრიად საგულისხმოა ლუარსაბ მეფის გუჯარი, რომელშიაც მოხსენებულია წიგნი ქართლის ცხოვრებას

ბი თვით ამ ლუარსაბ მეფის გუჯრის მოკლე შინაარსი:

... 1546 წელს მე, მეფე ლუარსაბმა და კათალიკოზ-პატრიარქმა შევადგინეთ მცხეთის საყდრის ქანების ნუსხა და აღმოჩნდა: მაცხოვრის ხატი, შემკული 501 თვალ მარგალიტით... ერთი ცალი ქართლის ცხოვრება, ერთი ცალი სამართლის წიგნი, ვერცხლი ერთნახევარი ლიტრა, ფულად ვერცხლი. 2<sup>1</sup>/<sub>4</sub> ლიტრა, მეფის შემოწირული ფული 1<sup>1</sup>/<sub>4</sub> ლიტრა ტფილისის სწყავით, ფული ვერცხლისა 3 ლიტრა...

ეს სიგელი ჩვენ სრულად დავბეჭდეთ „ივერიაში“ (1899, № 39) და ამავე სიგელის ნუსხის მიხედვით საპატრიარქო ტაძრის ქონება მილიონად შევაფასეთ.

ზახანაშვილმა დაბეჭდა კიდევ ერთი გუჯარი, რომელიც შეიცავს ცნობებს შესახებ ქრისტიანობის გავრცელებისა კავკასიის მთიულებში (იხ. გუჯარები, გვ. 60).

ზევით შევნიშნეთ, რომ სიგელ-გუჯარებით მემატრიანეებიც სარგებლობდნენ. ასრე: ვახუშტი მოიყვანს-რა ზევდგინიძეთა ისტორიას, ამბობს: „ესრე წერილ არს გუჯარსა მათსა“ (საქ. ისტ., გვ. 307). იგივე მემატრიანე ამბობს: „მცხეთის აღმაშენებლის აღექსანდრეს ქორონიკონთ ემოწმებიან მრავალნი სიგელ-გუჯარნიო“ (ქ. ცხოვ., 2, გვ. 6) ვახუშტსვე თავის გეოგრაფიაში თავად-აზნაურთა სიები მოჰყავს ამ თავად-აზნაურთა სიგელ-გუჯარების თანახმად.

და ხშირად თვით მოთხრობასაც ამყარებენ სიგელ-გუჯარებზე. მაგალ. დავით ლაშასძის და დავით რუსუდანისძის ისტორიის დამწერი ამბობს: „მრავალი სიგელი იპოვების და მეცა მინახავს, რომელ სიგელისა თავსა სწერია: „მეფენი ბაგრატიონნი, ნებითა ლუთისათა, დავით და დავით“. და ხელიცა ორთა-

ვესი ჰრთავს: „ჩემ დავითისაგან მტკიცეა“ და „ჩემ დავითისაგანცა მტკიცეა“ (ქ. ცხ., I, გვ. 382).

## დ. ხელნაწერები ისტორიულის მინაწერებითა და წარწერებით.

თითქმის ყოველს ქართულს ხელნაწერში არის რაიმე საყურადღებო ისტორიული მინაწერი წარწერა, შენიშვნა, აღაპი და სხ. იგინი უჩვენებენ, სად, ვინ და როდის დასწერა ანუ თარგმნა ხელნაწერი, ვინ და სად შეამზადა სამისო ეტრატე, მელანი, ვინ შეკაზმა, დახატა ასომთავრულები, ვინ გამოისყიდა ტყვეობიდან და რამდენად, — რა მიზეზით ჩავარდა ტყვეობაში ხელნაწერი და სხ.

ქართული ხელნაწერები გადაწერილია ტყავზე (ეტრატზე), ქალაღზე. ყველა ხელნაწერი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, ჯერხნობით რამდენიმე ათას ცალად ითვლება. იგინი ინახებიან წერა-კითხვის საზოგ. ბიბლიოტეკაში, საეკლ. მუზეუმში, აგრეთვე გელათს, სხვა და სხვა ეკლესიაში, კერძო ოჯახებში, მოსკოვს, პეტერბურგს, ლონდონს, პარიჟს, ვენას, რომს, ათონს, პალესტინას, სინაზე და სხ. მათგან, დაახლოვებით, 2000-მდე ხელნაწერი დაწერილია ეტრატზე მხოლოდ ტფილისში ჩვენ შევისწავლეთ რავდენიმე ასი ტყავზე ნაწერი წიგნი. ამახედ უფრო მომეტებულ ხელნაწერების აღწერა წარმოადგინეს ა. ა. ცაგარელმა, დ. ზ. ბაქრაძემ, ა. ს. ხახანაშვილმა, ნ. ი. მარმა, ე. ს. თაყაიშვილმა, თ. დ. ჟორდანიამ, პლ. იოსელიანმა, მ. ბროსემ, გ. ე. წერეთელმა და სხ.

მომყავს მოკლე ცნობები ზოგიერთ უფრო საყურადღებო ხელნაწერების შესახებ.

1. შრბნისის ტყავზედ ნაწერი ოთხთავი, დახატულის იდეოგრაფიულის ასომთავრულებით შემკული და გადაწერილი იუნანე ტატანელის წარჩინებულის ხელით. ბაქრაძის აზრით, ეს სახარება გადაწერილია მე-VII საუკ. დამდეგს (ქორონიკონი წაბლალული აქვს).

სახარების თარგმნას აღრევე იხსენიებს ქართლის ცხოვრება. ჯუანშერ. ჯუანშერიანი ამტკიცებს (ქ. ცხ., გვ. 110), რომ ვახტანგის († 537) დედამ სანდუხტმა, რანის ერისთვის ბარზაბოდის ასულმა, ქრისტიანობა მიიღო მხოლოდ მაშინ, როდესაც სახარება უთარგმნესო. შიოს „ცხოვრებაში“ ნათქვამია (სამოთხე, 237), რომ მეფე ფარსმანმა (მე-VI საუკ.) შიომღვიმის მონასტერს, საცა სამოღვაწეოდ შევიდა ევაგრე, მეფის მოადგილედ ყოფილი, შესწირა 30 ლიტრა ოქრო, ოქროს ბარძიმი, ვერცხლის ჭურჭელნი, ოქროს დიდი ჯვარი და შეენიერად მოკაზმული სახატება ვახტანგ გორგასლისაო (ევაგრეს შესახებ იხ. ქართ. ცხოვრება, გვ. 154, 159).

ამ წიგნის გადამწერის ტატანელის გვარი ჩვენ არსად სხვაგან არ შეგვხვდრია. ნიმუში მისი ხელისა და აგრეთვე იდეოგრაფიულ ასომთავრულებისა ჩვეურთეთ ჩვენს წიგნში „Царица Тамара“.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ მე VII საუკუნისად მიჩნეულ სახარების ტექსტი გადაწერილია ასომთავრულით, ხოლო სახარებათა საკითხავები ნუსხურით. და ორთავეს შემსრულებელი, როგორც ვთქვით, ყოფილა იოვანე ტატანელი. ან ეს სახარება არ უნდა ჩავთვალოთ მე VII საუკ. ძეგლად და ან არ უნდა ვამტკიცოთ ბაქრაძესავით, რომ, ვითომ, ნუსხური განვითარდა მთავრულისაგან მე X XI საუკუნოებშიო!

2. შამის-წირვა იაკობისა, ძმისა უფლისა, ეტრატზე დაწერილი (№ 86, გვ. 168).

შნა წიგნისა, წერის ხელი და სხვა ნიშნები საბუთს გვაძლევენ, ეს ხელნაწერი მივიჩნიოთ 786 წელს გადაწერილ ძეგლად (იხ. ჩვენი „ქართული მწერლობა“, გვ. 84).

მთელი წიგნი გადაწერილია ასომთავრულით, მხოლოდ ჟუკანასკნელი ორი გვერდი (დანაშთენი დაკარგულა) გადაწერილია კათალიკოზის სვიმონის მიერ ნუსხურით. გადამწერი წიგნისა თუ თვითონ კათალიკოზი სვიმონ არ ყოფილა, მისი თანამედროვე იქნებოდა, რაიც სჩანს ამგვარ აღგილებით (გვ. 98):

ძლიერებათა ცხოველს მყოფელისა ჰატოისნისა ჯუარისა მცხეთისა. . . ბრძანებითა და გამორჩევითა და კელდასხმითა დირსისა მა-

მისა ჩუწნისა ქრისტეს მიერ სჯომან ქართლისა კათალიკოზისა...  
იკურთხევის ძმა ჩუწნი...

3. ჯრუჱის ტყავზე ნაწერი ნახატებიანი სახარება 936 წლისა, რომლის შესახებ ბროსე სწერს: „Nous avons ... un bel Evangile, au couvent de Djroudch, copié en 256—936, 6540 du monde, suivant le système chronologique géorgien“ (Hist., გვ. 281).

მეათე საუკუნემდის დაწერილი თარიღიანი სახარება ჯერეთ ითვლება მხოლოდ ოთხი:\*) ჯრუჱისა (936 წლ.), ათონისა (913 წ.), პარხალისა (973 წ.) და გრუზინსკისა (955 წ.).

4 ტყავზედ ნაწერი კრებული, რომელშიაც შეტანილია მოძღვრებანი ბასილი დიდისა, მარკოზისა, ეფრემისა, მაკარისა და სხ., გადაწერილი 924 წელს (ბაქრაძე, საქართველოს ისტორია, გვ. 235).

5. ტყავზედ ნაწერი კრებული, გადაწერილი ცოდვილის იოანეს მიერ საბას ლავრაში 941 წელს (იქვე, გვ. 236). სახალიონს გარდა მასში ჩართულია სახალხო თქმულება იმის შესახებ, როგორი იქნება წელიწადი, ბედნიერი თუ უბედური, როდესაც პირველი იანვარი მოვა ორშაბათს, სამშაბათს და სხ.

6. მეტაფრასი 861 წლისა, ტყავზედ დაწერილი. ხელნაწერი შეიცავს გრიგოლის ცხოვრებას, აგრეთვე ხანძოეთის და შატბერდის აღმაშენებელთა ცხოვრებას და სხ.

...ცხოვრება ესე დაიწერა ქნსა 861, დასაბამითგან 6551, ჰატრიაჩობასა იერუსალიმს აკათონისსა, კათალიკოზობასა მიქელისსა, მეფობასა ქართლს აშოტისსა, ძისა ადარნასესსა, მეფობასა აფხაზეთს გიორგისსა, კალტანტინეს ძისა, ერისთაობასა სუმბატისსა, ადარნასეს ძისა, მაგისტროსობასა ბაკრატ მაგისტროსისა, ძისა ადარნასესისა, მაგისტროსობას ბაკრატ მამფელისა, ადარნასეს ძისა, ერისთაობასა დავით მამფელისა, სუმბატის ძისა, დროსა მას, ოდეს ანჩას მამადმთავრობდა მაკარი, ოდეს ნეტარის გრიგოლის მიერ აღშენებულს მონასტრებში მამასახლისობდნენ აზნაურთა ძენი—ხანძოეთს—მამა თეოდორე, დის

\*) Н. Кондаковъ. Опись памятниковъ древности, гв. 158.

წული ცხვედასი, და შატბერდს — მამა გრიგოლი ღიპარიტის ძე. ხანძოეთას წინამძღვარმა, მისმა ძემ იოანემ და ამ წიგნის გადამწერმა გიორგიმ იგულის მოდგინეს და შეადგინეს ცხოვრება ნეტარის გრიგოლისა. ხანძოეთის მკვიდრი მოძღვარი გაბრიელ ბასილის შესახებ გვიამბობდა, რომ ეს დირსი კაცი თავის მრავალწლოვან წინამძღვარობის დროს გაკრეშე სატრაპეზოისა საჭმელს არ იგემებდაო.

ხანძოეთი, შატბერდი, ანჩა, ოპიზა, ტბეთი, პარხალი — ეს იყო უმთავრესი ადგილები, საცა ქართველი მოზარდობა იღებდა განათლებას მე-X-ე საუკუნეში. უშესანიშნავენი ხელნაწერები, რომელთაც კი მოალწიეს ჩვენამდე მე X—XI საუკუნიდგან, ანუ დაწერილნია აქ, ანუ გადაწერილნია აქაურ დედნებით, ანუ დაწერილია აქაურ სკოლებში ნასწავლთაგან. ამ მონასტრების მამები ხანდისხან სახელმწიფო საქმეებშიაც ერეოდნენ, იარაღს ისხამდნენ და მამაცურად იბრძოდნენ სამშობლოს თავისუფლებისათვის (იხ. ქვემო).

#### 7. შარხალის ტყავზე ნაწერი სახარება 943 წ.

...დირს გიქმენ მე კლახვი იოვანე, ნართაუჲად ბერაჲ, აღსრულებად წმიდასა ამას სახარებასა, ოთხთავსა, მოღვაწეობითა სულისა წმიდასაჲთა და შეწვენითა ღმერთ შემოსილთა კაცთაჲთა... სალოცგელად მეფეთა ჩვენთათვის: დვთივ დიდებულისა ბაგრატ ქართველთა მეფისა, დვთი მაგისტროსისა, სუმბატ ერისთავთ ერისთავისა და დვთივ მონიჭეგულთა ძეთა მათათვის. დაწერა ქნსა 973... მე იოვანე ბერამან, მწერაჲმან შატბერდეჲმან, შატბერდს დავსწერე და შარხალს შევწირე სალოცგელად უოველთა ძმთა შატბერდელთა\*).

8. ტყავზე ნაწერი წიგნი — სამოთხე, გადაწერილი 977 წელს მრავალის ისტორიულის მინაწერებით. (ქრონიკები, 1, გვ 108).

...მე იოვანე თორნიკ უოფიღმან და ძმამან ჩემმან იოვანე ვარაზგანე, ძეთა სულგურთხეულისა ჩორდვანეჲსისამან მოვიგეთ წმიდა ესე

\*) სრული გამოკვლევა ამ წიგნის შესახებ იხ. თაყაიშვილის გამოკვლევაში "სამი ქრონიკა", გვ. XLV—LVII.

წიგნი... სალოცველად და სადიდებლად ძლიერისა და ღვთის მსახურისა მეუფისა და ყოფლისა აღმოსავლეთისა კურთხვასა და დავითისათვის... , რამეთუ მართლმადიდებლობისა თვალი არს და მსგავსად შემოქმედისა თვისისა სიმდაბლისა წესსა შინა დაუკლებელად იქცევის... და მათსა შემდგომად სალოცველად თავთა ჩვენთა: შირველად იოვანე თორნიკე ყოფილისათვის და აწ წმიდათა მეუფეთა მიერ იოვანე სვინკელაზისათვის... (ამან) მსწრაფელ შეიწავლა ხატი ერისკაცობისა და შეიმოსა სახე მეუღაბნოეთა... რაჟამს აღმოჩნდა საბერძნეთს კაცი განლაღებული (სკლეროსი) და მხდომად აღუდგა მეუფეთა, ამან ისწრაფა და მოიწია ძლიერისა და ყოველ კერძოვე უძლეველისა დავით კურთხვასა და ბრძანებითა ამითთა დაამხუა განზრახვად მისი და განაძტკიცა მეუფენი... და მერმე იოვანე ვარაზფანესთვის და მეუღლისა მისისა და შეიღთა მისთა მიქაელისა და ჩორდვანელ—ზორვარისა, ჩორდვანელისათვის და თორნიკისათვის და ძმისწულთა ჩემთა ჩორდვანელ ჰატრიკისათვის და ბაკრატ ჰატრიკისათვის. და სალოცველად სულისა ბაკრატ მაგისტროსისა და მშობელთა ჩემთა ჩორდვანელისათვის და მარია მისათვის და ძმათა ჩემთა ბაკრატისთვის და არშუშაისათვის და აბუჭარბისათვის და მამის ძმისა აბუღჭარბისათვის და არშუშაისათვის და ყოველთა სახლისა ჩემისა მიცვალებულთათვის... ესე ანდერძნი მე უდიდსმან დავით, დისწულმან ღმერთ შემოსილისა მიქელ მადრეკილისამან დავსწერე.

9. ტყავზე ნაწერი ბიბლია (დაბადება) 978-წლ. (ქართული მწერლობა, გვ. 125—126).

მეფეთა წიგნის ბოლოს:... „მე იოვანე თორნიკე ყოფილმან ძემან სულკურთხეულისა ჩორდვანელისამან მოვიგე წმიდა ესე „წიგნი მეფეთა“... კურთხეულარს მწერალი, კურთხეულ არს მკითხველი, მაღლი მსმენელითა. დაიწერა წმიდა ესე წიგნი კელითა სამთა მწერალთათა: მიქელისითა, გაორგისითა, და სტეფანესითა.... ოდეს ნანდვილი ესე ბიბლია დაწერილან, ქორონიკონიყოფილა რჟს“ (=978).

მინაწერები ორ უკანასკნელ წიგნებისა (8, 9) ემოწმებიან ქართ. ცხოვრების და სხ. მოთხრობათა შესახებ ამ დროის.

ქართულ ისტორიისა, დავით კურატპალატისა, მის სპასალარის თორნიკისა და ჩორდვანელის გვარშთამომავლობისა.

ეს დავით კურატპალატი, „თვალი მართლმადიდებლობისა“ და „სახე სიმდაბლისა“ ასოლიკის თქმითაც (გვ. 135, 179) „თვისის სიწყნარითა და წვილობის-მყოფელობით აღმატებოდა ყველა თანა მედროვე მეფეთ. მისის წყალობით მშვიდობა და კეთილდღეობა დამყარდა აღმოსავლეთის ქვეყნებში, მეტადრე არმენიასა და ივერიაში. მან მოსპო ყოველ მხრივ ატეხილნი ომნი, აჯობა ყველა მეზობელ ხალხებს და ყველა ხელმწიფენი თავის ნებითვე დაემორჩილნენ მას“.

ჩვენამდე მოაღწია ამ დიდებულის მეფის ვერცხლის დიდ ჯვარმა, რომელზედაც აწერია:

| ა   | ჟ  | აესო    | ქრისტე |
|-----|----|---------|--------|
| ქე  | დთ | ქრისტე  | დავით  |
| ად  | კო | ადიდე   | კურო-  |
| დე  | პა |         | პალა-  |
| დღ  | ლა | დღეგრ-  | ტი     |
| ეგ  | ტი | ძელობით | ამინ.  |
| რძე | ან |         |        |
| ბით |    |         |        |

ეს ჯვარი ეკუთვნის საეკლესიო მუზეუმს. დავით კურატპალატი გარდაიცვალა 1001 წელს.

ჩორდვანელები სახელგანთქმულ იყვნენ მე X—XI საუკ. ამათ გვარს ეკუთვნოდნენ დიდებულნი მოხელენი, ჩინებულნი სპასალარნი, სწავლულნი კაცნი, მთარგმნელნი, მწერალნი, მხატვარნი.

სხენებული ხელნაწერების მინაწერების შემწეობით შეგვიძლიან აღვადგინოთ შთამომავლობის ხე ჩორდვანელებისა, გარნა ვიდრე მოვიყვანდეთ ამ „ხეს“, ჯერ უნდა განვიხილოთ გიორგი მთაწმინდელის მიერ მეთორმეტე საუკ. მეორე მეოთხედს თარგმნილი სვინაქსარი.

10. ტყავზე ნაწერი სვინაქსარი, XI საუკ. (№ 222 საეკლ. მუზ.). ამ წიგნში მოყვანილია მოკლე ცნობები შესახებ მსოფლიო წმიდანებისა 1-ლ ენკენისთვიდგან დაწყებული მეორე წლის 31 აგვისტომდე.

სვინაქსარში შეტანილია ქართველ წმიდანების ცხოვრებაც, სახელდობრ ილარიონ-ქართველისა (გვ. 86), იოანესი (გვ. 359), ეფთვიმისა (319—326).

ეფთვიმეს ცხოვრება საკმაოდ ვრცლად მოთხრობილია


...ნეტარი მამა ჩვენი ეფთვიმე ტაოდგან იყო. მამა მისი იყო სახელოვანი მხედარი. მან მოიძულა მსოფლიო ცხოვრება, ჩოხა შეიმოსა და ათონს მივიდა. ეფთვიმე დაშთა დედისა და პაპის ხელში. პაპამ იგი წაიყვანა კოსტანტინეპოლს და წარუდგინა იმპერატორს ნიკიფორეს († 966). იქვე ათონიდგან მივიდა მამა მისი იოანე და მოითხოვა, რომ მისცენ შვილი მისი, გარნა პაპამ არ ისურვა დაეთმო შვილისშვილი. მაშინ ნიკიფორემ დააყენა ყმაწვილი ეფთვიმე თავისთან ახლოს, ხოლო მისი პაპა და მამა მოშორებით, ცალკ-ცალკე და უბრძანა მათ: „ამ ყმაწვილს მე განვუტევებ და თქვენგან რომელთანაც მოვა, მან აღზარდოსო“. იგინი დათანხმდნენ. ეფთვიმემ მიიბრძინა მამასთან, რომელმანც ათონს წაიყვანა.

სვინაქსრის ცნობით (გვ. 359) ეფთვიმეს მამის საერო სახელი იყო აბულჭერი, „ათონის კრებულით“ (გვ. 7) ზემორეხსენებული პაპა ეფთვიმესი იყო სიმამრი აბულჭერისა, ე. ი. დედის მამა ეფთვიმესი, და აბულარბი ერქვა.

შთამომავლობის ხე ჩორდვანელებისა. ზემორე აღნიშნულ ხელნაწერების (8, 9, 10) მინაწერებიდამ სჩანს, რომ ა) თორნიკი, იოვანე ვარაზფაჩე, ბაგრატ, არშუშა და აბულარბი ღვიძლი ძმები იყვნენ, შვილნი ჩორდვანელისა და მარიამის; ბ) მათი მამისძმანი (ბიძები) იყვნენ აბულარბი და არშუშა; გ) იოვანე ვარაზფაჩეს ჰყვანდა ძენი მიქელ, ჩორდვანელი-ზორვარ, ჩოროლდი და თორნიკი და დ) ერთ-ერთის ძმისწულები იყვნენ ჩორდვანელი პატრიკი და ბაგრატ-პატრიკი.

თორნიკი, აბიას ქმარი, იყო ძე პროტოსფათარის ჩორდვანელისა = Zourvani-სა, რომელიც ერთ აწეწილ საქმის შესახებ მოსალაპარაკებლად წარგზავნილიყო წინაშე იმპერატორის რომანოზისა (919—945) (Addit; გვ. 146).

ჩორდვანელი აშოტი { თანამედროვე რომანოზ ლაკაპენისა  
Zourvanesi Azates { (919—945)



მიქელ ჩორდვანელი ზორკარი ჩოროლდი. თორნიკი II.

X\* (ბაგრატი I, ანუ არშუშა II, ანუ აბულარბ II)

ჩორდვანელი—პატრიკი. ბაგრატი—პატრიკი.

სხვა წყაროებით: ა) იოვანე = აბულჰერი არის „თვისი“ თორნიკი I-ის (ათონის კრებ., გვ. 8), ბ) სულიერი და ხორციელი ძმა (ბაქრაძე, საქართ. ისტ., 245); გ) მეუღლე იოანე = აბულჰერისა, ეფთვიმეს მამისა, იყო აბულარბის ასული (ათონის კრებ., გვ. 7); დ) ეფთვიმე მიიყვანეს წინაშე ნიკიტორესი (+ 966 16 აგვის.).

X (ტაოს მთავარი).

აბულჰერი (იოანე), აბულარბ I-ის ასულის ქმარი.

ეფთვიმე თარგმანი (+ 1028 წ.)

\*) თ. ჯორდანიას და ზოგი ერთნი სხვანი ამას თორნიკ I-ად სთვლიან (ქრ., 1, გვ. 109).

ბაქრადის ცნობა, რომ ეფთვიმეს მამა იოვანე თორნიკი I-ის ძმა იყო, შეცდომად მიგვაჩნია. იგი, როგორც გადმოგვცემს ათონის კრებული, უნდა ყოფილიყო მისი სულიერი ძმა და ნათე ავი, რადგან იოანე=აბულჰერს ცოლად ჰყვანდა თორნიკის ბიძის აბულარზ I-ის ასული. ამას გარდა, თუ იოანე აბულჰერი თორნიკი I-ის ძმა ყოფილიყო, თავის მამის ძმისწულს როგორღა შეირთავდა!

## 11. ტყაგზე ნაწერი დავითნება.

პლ. ანტ. ცაგარელმა გვაუწყა ცნობები შესახებ მე VII—VIII, VIII—IX და IX—X საუკუნოების დავითნებისა. დღეს ჩვენ ხელთ გვაქვს მეცნიერულად გამოცემული ხელნაწერი დავითნი 974 წლისა (№ 38 საეკლ. მუზ.) პრავალის მინაწერებით, პასხალიონით, ამა თუ იმ ფსალმუნთა ავტორების აღნიშვნით და სხ.

ეს დავითნი დაყოფილია თავებად, თავები მუხლებად. მუხლნი ითვლებიან ყოველს ფსალმუნში ცალკე და მთელს დავითნში ერთად და „ყოვლად შეკრებით ფსალმუნნი არიან 150 და მუხლნი 2900“

ბოლოში ჩართულია გალობანი მოსე წინასწარმეტყველის დის მარიამისა, სამოელის დედის ანნასი, წინასწარმეტყველის ამბაკუმისა, იონასი, სამთა ყრმათა, ყდ წმდის მარიამისა და სხვ.

მთელი დავითნი გადაწერილია მეტად შვენიერის და ფრიად ხელოვნურის ხელით.

პასხალიონში მოყვანილია სრული სწავლა შესახებ წელიწადისა, მთვარის მოქცევისა და სხ. ავტორის სიტყვით, გაზაფხული იწყება 20 მარტს, შეიცავს 91 დღე-ღამეს; ზაფხული იწყება 19 ივნისს და შეიცავს 91 დღე-ღამეს; შემოდგომა იწყება 18 სექტემბერს და შეიცავს 92 დღე ღამეს; ზამთარი იწყება 18 დეკემბერს და შეიცავს 92 დღე ღამეს.

წელიწადში 12 თვეა, 365 დღე-ღამე, დღეთა ჟამნი წელიწადში არის 4,380 და ღამეთა აგრეთვე 4,380 და სულ 8760.

ნაკიანს წელიწადს თებერვალში 29 დღეა და მარტივში 28.

20 მარტსა და 18 სექტემბერს დღე-ღამე თორმეტ-თორმეტი ჟამია; 19 ივნისს დღე 15 ჟამია, ღამე—9; 15 დეკემბერს დღე 9 ჟამია, ღამე—15.

ავტორი წიგნში ურთავს ქართულს ხუთასწლოვანს კინკლოსსაც და ასრულებს მას აგრედ წოდებულ არაბულ ციფირების ჩამომწკრივებით, ამრიგად: 9. 8. 7. 6. 5. 4. 3. 2. 1. †

სრული აღწერა ამ შესანიშნავ წიგნისა მოვიყვანეთ ჩვენს გამოცემაში „ქართული მწერლობა“ (გვ. 139—190), გარნა აქ დაფურთავთ კიდევ ორიოდ სიტყვას არაბულ ციფირების შესახებ.

ცნობილმა დუბუა დე-მონპერემ ქუთაისის ბაგრატიის ტაძრის „არაბულის“ ციფირებით აღნიშნული თარიღი 223 (=1003) გადაიღო და წარუდგინა პარიზის „აზიის საზოგადოებას“. ამ საზოგადოების წევრთ, შეჰკრიბეს-რა ცნობები შესახებ „არაბულ“ ციფირების შემოღების დროისა, განაცხადეს, რომ თვით არაბთ ციფირების წერა ზანგეჯად შემოიღეს 1166 წლითგანო, თუმცა ეს ციფირები ინდოეთში მე IX საუკუნეშიაც იხმარებოდაო და აქედგან შემოვიდოდაო საქართველოში\*). ნეტა რას იტყოდნენ „აზიის საზოგადოების“ წევრნი, თუ მაშინ სკოდნოდათ არსებობა 974 წელს გადაწერილ ქართულ დავითნისა, რომელშიაც ყველა „არაბული“ ციფირი მეტად შნოიანად გამოსახულია!

12. ფსალმუნთა თარგმანი (განმარტება), ტყავზე დაწერილი (№ 135 საეკლ. მუზ.). წიგნი ბერძნულითგან გადმოუთარგმნია ეფთვიმეს († 1028) და გადაწერილია 1035 წელს.

\*) М. Баратаевъ. Нумизмат. факты Грузинскаго царства, гв. 15 — 16

ზადამწერის შენიშნვა (გვ. 508 და სხ.): კაცის პირველი სიმდიდრე წიგნთა მოძღურებაჲ არს. მზე და მთავარე კორცთა ჩუენთა საკმარად დაჰბადნა ღმერთმან, ხოლო წიგნნი სულთა ჩუენთა განმანათლებელად მოგუჲმადონა.

ამისთვისცა მე, დავით ჯიბისძემან, ტვრთმძიმემან ცოდვითა და უღებმან სინანულითა დავწერე ესე წიგნთ ბრძანებითა ეზრა მამად მთავრისა შემოქმედისა და მწყალობელისა ჩემისაჲთა. დავწერე კელითა სულიერთა ძმათა ჩემთაჲთა საბაჲსითა, მიქაელითა და გაბრიელითა და გავასრულე კელითა შვილისა ჩემისა ივანესითა. და შევმოსე უღირსითა კელითა ჩემითა და დავდევე შემდგომად სიკუდილისა ჩემისა შატბერდს... სადიდებელად ეზრა მამად მთავრისა და მამისა ეფრემისთჳს და მიცვალებულთა პირველთა მოძღვართათჳს და სუმეონისთჳს და მშობელთა ჩემთა ივანესთჳს და შუშანისთჳს; სულიერთა ძმათა და ჩემთანა აღსარებულთა ყოველთათჳს კორციელთა და ძმათა ჩემთა გაბრიელის და მარიემისთჳს შატბერდისა და ხანძთისა ცოცხალთა და მიცვალებულთა და ყოველთა თჳსთა ჩემთათჳს... აწ გვეუდრები ყოველთა, რომელნი მოხუალთ გამოსაცდელად საწუთოსა ამას და აჩრდილებრ წარმავალისა ცხოვრებისა: რაჟამს მოგეცეს ფლობაი ყოფად ხილულსა ამას მზესა ქვეშე და ჩუენ მტვერ და ნაცარ ქმნილ ვიყვნეთ, მოგვიხსენენით... მოვლენან ჟამნი დაუსრულებელნი და ჩუენ აღარა კელგვეწიფებოდის აღმოკითხვად, ვითარცა ჩუენსა პირველთა წასრულთა მამათა და ძმათა... ამის წიგნისა ეტრათი კახისა საფასოჲთა ვიყიდუ... დაიწერა ქნსა: სნგ (=1035).

წიგნში არის დიდად საგულისხმო სწავლა—მოძღვრება შესახებ სესხის აღებისა, რომელიც მთლად დაიბეჭდა „ქართულს მწერლობაში“.

ამ მოხსენებულთა მამად მთავარი ეზრა და მტბევარი საბა 1026 წელს მომხდარ ამბითაც ცნობილნიან.

ამ წელს ბერძენთ იმპერატორს გაუორგულდა ნიკიფორე კომნიანოსი, ვასპურაკანის მმართველი. მას მიემხრო პაგრატ მეფე. ეს არ მოეწონათ ბევრს მთავრებს, რომელთაც დასტ-

ოვეს ბაგრატი და კოსტანტინეპოლეს წავიდნენ. იქიდგან მალე დაბრუნდნენ დიდის ლაშქრით, ნიკიფორე მოჰკლეს, გააოხრეს საქართველოს დასავლეთი სათემოები და ტბეთს შემოერთებენ. მეფის ერთგულთ—ეპისკ. საბამ, ეპისკ. ეზრამ და მრავალ აზნაურთ ტბეთში ააშენეს სიმაგრედ სვეტი, განმტკიცდნენ გულით და სახელოვანად დაიცვეს მამულისა და სამეფოს თავისუფლება (ქართლ. ცხ. გვ. 217; Скабала. გვ. 8).

ამავე ხანს ამბოხებდა მოჰხდა იმპერიის დასავლეთ მხარესაც. მეამბოხეთა მოთავედ იყო კოსტანტინე დიოგენი, რომლის მომხრედ ბერძნები სთვლიდნენ ქართველს გიორგი ვარაზ ვაჩესაც, ნათესავს პატრიკის თევდატისა და ბერის ზაქარიასი. ბერძნულ წყაროების ჩვენებით, ეს გიორგი ვარაზვაჩე გაწკებლეს, ხალხის წინაშე გაატარეს და გააცილეს დასამწყვდევად Скабала., გვ. 21)

ამ ამბავს აღნიშნავს გიორგი მთაწმინდელიც. იგი სწერს (ათონის კრებ., გვ. 60): „დიდად საკუთარ და წარჩინებულ იქმნა გიორგი წინაშე რომანოზ მეფისა და მერმე, თუ ვითარ იქმნა, ღმერთმან უწყის, განდგომილებაჲ და ორგულობაჲ დასწამეს დიოგენისა ვისთვისმე, რომლისათვის თქვეს, თუ მინიუნდაო მეფობაჲ გიორგის. და ამის მიზეზისათვის ექსორია იქმნა გიორგი მონოვატს და მუნ აღესრულა ექსორიობასა შინა და მონასტერი (ათონისა) და ჩვენ ყოველნი მას ჟამსა დიდსა ღელვასა და მიმოტაცებასა შთავცვივენით და რაიცა ღრისტი ტურფაჲ იყო, მამათა ჩვენთა მოგებული, ყოველი იავარ იქმნა და ეგრეთვე განძი და კუმაში. და ვინაითგან ბერძენთა ესე ვითარი ჟამი პოვეს, კელყველს ყოველითა ღონისძიებითა, რათამცა ქართველნი ამას მონასტრისაგან აღმოჰფხურნეს...

შეკველია, ბერძნები ათონის ქართველებზე ჯავრს ყრილობდნენ იმიტომ, რომ ბაგრატ მეფე მიემხრო იმპერატორის ორგულს ნიკიფორეს და ბერძნები, ალბად, ჰფიქრობდნენ, ათონის ქართველთა ლაფრაც თანაგანმზრახია ბაგრატისაო.

13. სწავლანი და მოძღვრებანი, ტყავზე დაწერილი 1030 წ. (№ 1 საეკლ. მუზ., გვ. 908). თარგმანი ეკუთვნის—ნაწილი ეფთვიმეს და ნაწილი დავით ტბელს. გადაწერილია ბასილის მიერ დავალებით ზაქარიასი, ბანის ეპისკოპოზისა (ბანა-ოლთისის მხარეს იყო, აწ ჰქვიან ფენაკ, ფანასკეტი). მინაწერების ავტორი ჰგმობს ათაბაგს მზე ჭაბუკს, რომელმაც, ქართლის ცხოვრების თქმითაც, საქართველოს მიაყენა დიდი უბედურება. მოსახსენებლად დაწერილს წარწერებში მოყვანილია 200-მდე ქართული სახელები და გვარები. ერთს ამ გვარს წარწერაში სწერია: „მე თეოდორე დიაკვანმა მხედრული ვისწავლე სხვათა დაუხმარებლად, ხუცური კი მასწავლა ჩემმა მოძღვარმა, რომელსა მოიხსენებდეთ“ (გვ. 455).

14. ღასურათებული თთვენი, ტყავზე დაწერილი მე-XI-ს. (№ 460 საეკლ. მუზ.). წიგნი გამოცემულია ქართველ ეპისკ. ზაქარია ვალაშკერტელის (ვალაშკერტი=ალაშკერტი) მოღვაწეობით, იმ ზაქარიასი, რომელიც მონაწილეობას იღებდა გიორგი I-ისა (†1027) და იმპერატ. ბასილის († 1025) შორის სამშვიდობო ზავის ჩამოგდების საქმეში. ამ მაკურთხეველის სახელი იხსენიება ალაშკერტის ტაძრის დანგრეულ კედლების წარწერებშიაც. ეს წარწერები ჩვენ უკვე დავბეჭდეთ (ივერია, 1899, №№ 24, 95, 105)

ამ წიგნის შესახებ კონდაკოვი სწერს (Опись, Спб., 1890, გვ. 166): „ხელნაწერი მდიდრად დახატულია მინიატურებით... ყველანი უუმჯობესის ხელით ნახელოვნებია...“

### 15. ტყავზედ ნაწერა ფურცელი

ეს ფურცელი და ზემოაღწერილი სვინაქსარი (14) „სპარსთა ტყვეობიდან“ გამოუსყიდნიათ და სიონისთვის შეუწირავთ. ეს ფურცელი ფრიად შესანიშნავის წიგნის ნაშთია ამ გადარჩენილის ფურცელზედ სწერია:

...და სალოცველად სულისა მზრდელისა და შემოქმედისა ჩემისა დავით ქართველთა კურატპალატისა († 1001 წ.), რომლისამცა სული ბრწყინავს სასუფეველსა ცათასა.

და საკსენებლად სულისა მოძღუართა და მშობელთა ჩემთასა არსენი მამად მთავრისა, ბაკურისსა და თეკლასა, პატრიარქისა ასათისსა, დავითისსა და დავანჩულისა.

და მეცა უხმარი შვილი მათი და არა ღირსი წყალობისაჲ ხსენებულმყავთ წმიდათა ლოცვათა თქვენთა, რათა ერთობით ღირს ვიქმნეთ ადგილსა მას საწადელსა მართალთა საყოფელსა და საუკუნოდ წარუვალსა.

დაიწერა ქალაქსა შინა დიდსა კოსტანტინეპოლის ახალსა ჰრომსა დასაბამითგან წელთა ვითარ ბერძენნი ითვალვენ ხფლ ინდიკტიონსა 13, ქართველთა ქნ<sup>ს</sup>სა სნ, მეფობასა ჰრომანოზისსა, პატრიარქობასა ალექსისა და ჩემსა მწირობასა პილურისა მონასტერსა, კელითა შვილისა ჩემისა ბასილი ეტრატაესითა. ქრისტემან სასყიდელი შრომისა მისისაჲ მიანიჭენ. ამინ.

მ<sup>წ</sup>ნი ს<sup>წ</sup> უდრის 1030 წელს. ეს ბასილი ეტრატაჲ უნდა იყოს ის ბასილი ეტრატაჲ მალუშისძე, რომელმან 1031 წელს ათონის მამის გრიგოლის ბრძანებით გადაწერა მცირე რჯულის წიგნი, თარგმნილი ეფთვიმეს შიერ (№ 96 საეკლ. მუზ.; ივერია“, 1897, № 91, 42).

სახელოვანი მალუშიძეები ანუ მარუშიძეები ქართ. ცხოვრებითაც ცნობილ არიან. ქართლის ერისთავის იოვანე მარუშიძის თაოსნობით ქართლი და აფხაზეთი შეერთდა 985 წელს და ბაგრატ III შეიქმნა ჯაერთიანებულ და გაძლიერებულ საქართველო-აფხაზეთის თვით მპყრობელ ხელმწიფედ.

16. ძრებული, ტყავზედ დაწერილი 1059 წ. (№ 453 საეკლ. მუზ., გვ. 326). მასშია: ოთხთავი, ისტორიული მოთხრობა ხელთუქმნელს ხატზე, შენიშვნები და მინაწერები გადამწერთა, კაცხის მამულების სია, ხელმოწერილი მეფეთა მეფის ბაგრატის მიერ.

წიგნის თავში ჩართულია უუშვენიერესად დახატული კამარები, ჯვარი და სხ. ბოლოში თვალწარმტაცად გამოსახულია ედესის მეფე ავგაროზი, ხელთ უქმნელი ხატი და სხ.

მინაწერები და შენიშენანი დიდის ფასისანი არიან, და გვაძლევენ ცნობებს ლიპარიტ ორბელიანისა, მის ძის იოვანესი და სხვათა შესახებ.

შველა მინაწერები და შენიშენები, აგრეთვე მოთხრობა ხელთ უქმნელ ხატის შესახებ სრულად გადმოწერილი გვაქვს.

17. ტყავზე დაწერილი წიგნი 1066 წ. (№ 134, გვ. 680). მინაწერებში ცნობებია შესახებ ბაგრატის ქალის მითხოვებისა რძლად იმპერატორისა.

ბაგრატის ასული მართა==მარიამი ჯერ ყრმობაშივე წაიყვანეს კოსტანტინეპოლს 1056 წელს, საცა მივიდა სწორედ იმ დღეს, რა დღესაც გარდაიცვალა დედუფალი თეოდორა და გიორგი მთაწმინდელმა, რომელიც მაშინ იქვე, კოსტანტინეპოლს, იყო, იწინასწარმეტყველა \*): „დღეს იმპერატრიცა მობრძანდა და დედუფალი წაბრძანდაო“. მართლაც მისი სიტყვა აღსრულდა. ბაგრატის ასული მართა (მარიამი) ბიზანტიაში გახელმწიფდა, შეირთო-რა იმპერატორი მიქელი (1071—1078).

ეს მართა (მარიამ) დედუფალი დიდად მფარველობდა ათონის ლავრაში მოღვაწე ქართველებს, რომელთაც ალაპი დაუწესეს მას.

„თუესა ნოემბერსა კა ალაპი არს დედოფლისა ჩუენისა მარიამ მართა ყოფილისაჲ და ძისა მათისა კოსტანტინე პორფიროგენისაჲ დიდთა და მრავალთა ქველის მოქმედებათა მათათვს, რომელ აჩუენნეს ჩუენზედა...“ (ათონ. კრებ., გვ. 250, ალაპი 133).

ბერძნულ წყაროებით, მაგალ, ნიკიფორე ბრიენით, იმავე წელიწადს (1071), რა წელიწადსაც მართა მისთხოვდა მიქელს, იმპერატორ ალექსის (1081—1118) ძმამ ისაკ კომნენმა შეირთო ალანთა ქალი ირინე, ბიძაშვილი მართასი (მარიამისა). ქართლის ცხოვრებით (გვ. 233) ამ მართასმამას მეფე ბაგრატ IV-ის ცოლად ჰყვანდა ოსეთის მეფის დურღულელის ასული ბორენა. აქედგან ცხადად სჩანს, რომ ბერძნები აღანუბად უწოდებდნენ ოსებს.

\*) ათონის კრებული, გვ. 306.

აღანთა ოსობა მტკიცდება კიდევ შემდეგის საბუთით.

მეფე გიორგი I მეორე გზობის შეეუღლა ოსეთის მეფის ასულს, რომლისაგან მიეცა დემეტრე (ქ. ცხ; გვ. 221). ზოგიერთ აზნაურებს ამის გამეფება უნდოდათ, ვარნა ბაგრატ IV-მ და დედა მისმა ხელი შეუშალეს. მაშინ დემეტრემ აიღო ანაკოპია (1033 წელს) და იმპერატორს მიემხრო (Hist., I, 315; Всев. Миллеръ-Осетинскіе Этюды, III, 41).

ოსეთის მეფის ასულს, რომლის სახელი ქართლის ცხოვრებაში არ იცის, კედრინი იხსენიებს ალდა აღანად: „რომანოზ III-ე) (1067—1070) მაგისტროსობა უბოძა დიმიტრის, გიორგი აბასგისა და ალდა ალანელის ძესო“ (Скабалановичъ. Византийское государство и церковь въ XI в., გვ. 153).

ამას გარდა, კიპერტის რუკებში დარიალის სივიწროვე იწოდება ალანთ კარად. ამ კარს ქართლის ცხოვრება სხვა-დასხვა ნაირად იხსენიებს, სახელდობრ, დარლ-ალანად, დარი-ალანთ-კარად, დარუბალად, დარლ-ალად (ქ. ცხ., გვ. 34, 51; მარიამის ვარიანტი, გვ. 129). დაწდა ოსური სიტყვაა და ნიშნავს გრძელს (შეადარე დარლ-ხობ=გრძელი მთა). მაშასადამე, დარლ-აღანთ-კარა ასრე უნდა ითარგმნოს: გრძელი ალანთა (ოსთა) კარი (ალანთა გრძელი კარი).

ქართლის-ცხოვრების ამ ცნობას ემორწმება აგრეთვე ხალხური ლექსი ოსეთის მეფეების შესახებ, რომელთაც „ეჭირათო ქვეყნის ოთხივ კუთხის ვიწრო კარი“.

ამას გარდა, ბერძენ-რომაელთა მწერლები ამბობენ, რომ ალანებს წინად მასსაგეტა ერქვათო. ეს სიტყვა უნდა წარმომდგარიყოს ან ძველის ქართულის (სვან.) მასსაგ-ილამ (მსავ=ოსი) (მასავეთი=მასაგეთი) ან და ოსურისავე სიტყვით მასსაგ—კოშკი (მასსაგ-ეთი). ასრევე ოსურის სიტყვიდამ ხაზარ—სახლო წარმოსდგა სახელწოდება ქვეყნისა ხაზარ-ეთი.

18. მტრატზე დაწერილი სამოციქულო 1083 წლ. (№ 335 საეკლ. მუზ.). წიგნის გადამწერი გიორგი მთაწმინდელის მოწაფე, გიორგივე, შენიშნავს (გვ. 229), ამ წიგნს ეწერდით მაშინ, როდესაც საქართველოს თავს დაატყდა დიდი უბედუ-

რება, როდესაც თურქებმა აიკლესო მთელი მესხეთი. თურქების შემოსევას აღნიშნავს ქართ. ცხოვრებაც და ზოგიერთგან, თითქმის, ერთ და იგივე სიტყვით გიორგის მოთხრობასთან.

## 1083 წლის მოთხრობით

## ქართლის-ცხოვრებით:

სრულიად აოკრდა სამცხეჲ  
თჳნიერ რაჲმე ნეშტისა,  
რომელნი სიმაგრეთა შინა  
დაშთეს, გინა სალმობიერნი  
და ურვეულნი (გვ. 229).

მოოკრდა ქუტყანა...  
თუ სადმე ვინ დარჩომი-  
ლიყო კლდეთა, ღელეთა,  
ქვაბთა და კურელთა... ზამთრისა  
სიფიცხითა, უსახლობითა და შიმ-  
შილითა ეგრეცა მოისრა (გ. 237).

19. ტყავზე დაწერილი სახარება გიორგი მთაწმინდელის დედნით (№ 257).

...სახარებასა მართალსა და მზისაჲ უფროჲს ბრწყინვალესა, ახლად განწმენდილსა წმიდისა მამისა ჩუენისა მიერ გიორგი მთაწმინდელისა, რომელსა შინა არა არს ერთიცა ასო მრუდი, გინა ნაკლული და არცა მეტი (გვ. 264).

20. დავითნი, გადაწერილი ტყავზედ ამბროსის მიერ 1494 წელს (№ 351). დავითნის მინაწერებში მრავალი ისტორიული ცნობებია შესახებ სამცხის მფლობელების მხეჭაბუკისა, დედისიმედისა, ბაადურისა და სხ. აქ მოყვანილი ცნობები შეავსებენ ქართ. ცხოვრების მოთხრობას ამავე პირთა შესახებ (იხ. „ივერიაში“ 1898, № 229, 230).

აქვე მოხსენებულნი პირნი და მათ შესახებ საყურადღებო ცნობები შეტანილია, იმავე ამბროსის ხელით, ათონის კრებულში (გვ. 265—267) (იხ. ზემო „ათონის კრებული“).

21. ტბეთის სახარება, ტყავზე დაწერილი 1161 წ. („ივერია“, 1900, № 229).

გვ. 639—640: ჩემმა აღმზრდელმა გვირგვინოსანმა მეფე დიმიტრიმ ღირსმყო მე, უღირსი ჰავლე ტბეთის ეპისკოპოსად კურთხევისა. ღმერთმან ღირსპყოს იგი დაჯდომად მარჯვენით ქრისტესსა და მის ძეს გიორგის, ლომთა უმხნევესს და არწიესა

უმალლეს აღსულს, მიანიჭოს უფალმა მრავალნი გამარჯვებანი და ძლივანი... მეხუთე წელს თვისის მეფობისა მან აიღო ანისი, ტყვეჰყო ანუალწყვიტა 36,000 აგარიანი, წაართვა მათ აუარებელნი სიმდიდრენი, კარავნი, ცხენნი და სხ. ძლივს გადაარჩინენ და გადაიხვეწნენ მოწყლული სოჟ-ქამანისძენი. ტბეთში წიგნები ბევრი იყო და გულანი კი არა. დავაწერინე ეს წიგნი სალოცველად ჩემის აღმზრდელის დიმიტრისთვის და მისის ძის გიორგისა და მოსახსენებელად ჩემთა მშობელთა—მიქელისა და მარიამისა, ძმებისა გიორგისა, თეოდორესი, კვირიკესი და დებისა გურანდუხტის და ნონასი, დისწულთა მთავარეპისკოპოსის არსენი ქუთათელისა, მთავარეპისკოპოსის იოანე ანჩელისა, მთავარეპისკოპოზის ანტონი ოპიზელისა, დიმიტრი მეფის მოძღურის არსენისა...

ანისი აიღო მეხუთე წელს თვისის მეფობისაო. მეხუთე წელი გიორგის მეფობისა უდრის 1161-ს (1156 + 5).

ძართლ. ცხოვრების გარდა, გიორგის მიერ ანისის აღების შესახებ მოგვითხრობენ აგრეთვე ვარდან დიდი, სტეფანე სიუნელი და მაჰმადიანთ მწერლები და ყველა ესენი, ვითარცა ზემომოყვანილი წარწერაც, ანისის აღების წლად სთვლიან 1161 წელს (Addit., 253—254). გიორგი მეფის დაბრუნების შემდეგ შაჰარმენმა ისევ აიღო ანისი. გიორგიმ ხელახლა გაილაშქრა და აიღო ეს დიდებული ქალაქი 13 ივნისს 1163 წელს. „მეფის ლაშქარი შესდგებოდა მხოლოდ 7,000 მეომრით, — სწერს სამუილ ანელი, — შაჰარმენისა კი 30,000-ით, გარნა მეფემ დაამარცხა იგი; ჩვენ თვითონ ვნახეთ, რომ ქართველებმა ტყვედ შეიპყრეს 23,000 მეომარი. 21 აგვისტოს 1164 წ. მეფე გიორგიმ დაანგრია დოვინი (= დვინი) და ტყვედ წაასხა 60,000 კაცი. ამავე ცნობებს გადმოგვცემენ იბნ-ალათირი და მიქაელ სირიელი (ვახუშტი. საქართ. ისტ., გვ. შენიშ. 2).

22. ლარგვისის ხელნაწერი, აფგაროზ ბანძაისძის მიერ ტყავზე გადაწერილი 1348 წ. (№ 557).

ზვ. 310—311: წიგნისა ამის წერა ვიწყე ჟამსა ლელვისასა, უბედურებათა, ძვირობისა, იმ წელს, როდესაცა ჟამი მძინვარა

რებლა და ქნი იყო 1348... ბევრი ვიშრომე, ვინაითგან, ვიცოდი, რომ შრომა დაშთება და მშრომელი წარვალს. ღმერთმან უწყის, რომ სიჭაბუკისას დავიწყე წერა და მოხუცებულმა გავასრულე 1365 წელს.

„წყალობითა ღვთისათა მე ვიცოდი:

- ა კელი: სწავაა ხუცობისაჲ
- ბ კელი: მწიგნობრობისაჲ
- ვ კელი: წერაა ხუცურისაჲ
- ღ კელი: შექმნაა ეტრატისაჲ
- ძ კელი: შეკრვაა წიგნისაჲ
- წ კელი: მხატვრობისაჲ
- ჭ კელი: მკერვლობისაჲ
- ც კელი: ტყავის კერვისაჲ
- ძ კელი: ხურავნობისაჲ
- წ კელი: ყოვლისავე მსოფლიოჲსა მუშაობისაჲ.

ზადამწერი ამბობს, რომ ეს წიგნი თათრის ტყვეობას გადაარჩინა ნაზირმა გიორგიმამო (გვ. 13).

23. ღიდი კრებული, რომელიც შეიცავს, თითქმის, ყველა საეკლესიო წიგნებს და მაჰმადის გამოჩენის ამბავს (იხ. „მოამბე“, 1901, № VI, გვ. 36—90). კრებულში იმდენი ცნობებია შესახებ იმერეთის გამგებლის გ. აბაშიძისა, რომ ქართლის-ცხოვრებასაც თუ არა გადმოეცა რა მის შესახებ, მაინც აბაშიძის გამგეობის ხანას ამ ხელნაწერთაც საკმაოდ შევისწავლიდით.

აქ ვათავებთ ხელნაწერების განხილვას და შევნიშნავთ, რომ მეასე ნაწილიც არ მოვიხსენიეთ იმ ხელნაწერებისა, რომელნიც ჩვენ შეგვისწავლია და რომელთა შესახებ ძვირფასი ცნობები მოიპოვება ცაგარლისა, ბაქრაძისა, ხახანაშენლისა, მარრისა ბროსესი, თაყაიშვილის, ჟორდანიასი და სხვ. გამოცემებში.

## 2. წარწერანი შენობებზე, მატურებსა და ფულებზე და სხ

წარწერები ქართველთ ტაძრებისა და, საზოგადოდ, ყველა სხვა ნაშთებისა იგივე მატიანთა, იგივე ქართლის - ცხოვრება, ხოლო დაწერილი არა ქალაქებზე, არამედ ქვებზე, ფულებზე, კურქელზე... წარწერათა შინაარსი თითქმის არაფრით განსხვავდება მატიანის ცნობებისაგან შესახებ სხვა და სხვა პირთა და მათ მოქმედებათა. მომყავს მხოლოდ რავდენიმე წარწერათა შინაარსი.

1. ატენის სიონის კედელზე დ. ზ. ბაქრაძემ შეამჩნია ფრიად შესანიშნავი წარწერა, რომელიც მოგვითხრობს იმასვე, რასაც ქართ. ცხოვრება და სხვა წყაროები.

ატენის წარწერა:\*) ქ.-ცხოვ. (გვ. 190) ცხოვრება კოსტანტინესი\*\*)

აგოვსტოსსა ე-სა, დღესა შაბათსა, ქენსა ოგ-სა ზა წელსა სარკინოზთ-ასა ა... ტფილისი დატყუა ბულა და შეიპყრა და მოკლა ამირაჲ საჰაკ და მასვე თვესა აგოვსტოსსა კვ-სა დღესა შაბათსა ვეზირა შეიპყრა კახამ და ძე მისი თარხოვ...

მაჰმადის გამოჩინებიდან 219 წელს მოვიდა ბულა დიდის ლაშქრით. აღაოხრა მთელი სომხეთი, შეიპყრა მისი მთავრები, მოადგა ტფილისს, რომელიმას ეწინააღმდეგებოდა, მოკლა ამირა სააკ, აღაოხრა და გადასწვა ტფილისი და გაანადგურა მისი არემარე...

...შეიპყრეს კოსტანტინე და მიჰგვარეს ტფილისს ბულას, რომელმან წარუგზავნა იგი ჯაფარს და ამან აწამა და მოჰკლა 10 ნოემბერს, პარასკევს, დასაბამითგან ხუნზ წელს.

ბულას მოსვლა ტფილისს ატენის წარწერით და კოსტანტინეს ცხოვრებით ყოფილა 853 წელს (780 + 73 = 853;

\*) ბაქრაძე. საქართ. ის., გვ. 214.

\*\*) სამოთხე, გვ. 368.

6457—(5508+96)=853), გარნა ბუღას მოსვლა სომხეთს ქართ. ცხოვრებით ხვდება 851 წელს: მაჰმადი+632 წ.; 632+219=851. და ტფილისს მოწვევამდე სომხეთიდან გავიდოდა 1—2 წელიწადი მაინც.

2. ზარზმის გუმბათის წარწერა: მე, ივანე სულაისძემ აღვაშენე ეს ეკვდერი მაშინ, როდესაც სკლეროსი განდგა და კურატპალატ დავითმა, — აღიდგნ ღმერთმან იგი, — უშველა წმიდა იმპერატორებს და ჩვენ ყველანი წარგვგზავნა შველად მათდა. სკლეროსი უკუვაქციეთ. დავითმა აღაშენა ეს ტრაპეზი.

ამასვე გადმოგვცემს ქართ.-ცხოვრება სკლეროსთან ბრძოლის შესახებ (იხ. ზემო, გვ.).

3. ლოდისყანის ტაძრის წარწერა: ქრისტე, აღიდე მეფე ჩვენი სუმბატ.

ამ სუმბატის (923—258) შესახებ ცნობებს გვაძლევენ, ქართლის ცხოვრებას გარდა, არაბთა მწერალი მასსუდი, ჯრუჟის სახარება 936 წლისა, მის მიერ მოჭრილი ფული და სხ.

ლოდისყანის ეკლესიის წინაპირზე გამოსახულია მზას საათა.

4. კუმურდოს წარწერა: „შეწენითა ღვთისაითა იოანნე ებისკოპოზმან დაღვა საძირკველი ამას ეკლესიასა კელითა ჩემ ცოდვილისა სკარისთა ლეონ მეფისა ზწ — აღიდგნ ღმერთმან — ქნს რჰდ (=964 წ.) თუესა. მაისსა დღესა შაბათსა ა მთოარისსა, ერისთვობასა ზვასსა ესე ბალავარი მუნ დაიდვა. ქრისტე შეეწიენ მონასა შენსა. ამინ.“

ლეონი მამის სიკოცხლეშივე ჰმართავდა ქართლს, მერმე გამეფდა აფხაზეთს (ქ. ცხ. გვ. 202). სპასალარი ზვია ანუ ზვიადი სპასალარია ბაგრატ III-ისა (980—1014).

წარწერანი: ა) ნიკორწმინდისა: ძეო ღვთისო, აღიდგნ შენ მიერ გვირგვინოსანი ბაგრატ, მეფე აფხაზთა და რანთა და ქართლისა კურატპალატი და აღზარდენ ძე მისი გიორგი; ბ) კაცხისა: წმიდაო სამებაო, აღიდგნ შენ მიერ დამყარებული ბაგრატ, მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა და დიდი კურატპალატი ყოყლისა აღმოსავლეთისა, გ) ატენისა: ატენის ციხისთავმა გურგენ აღაშენა ატენს სასახლე და ქალაქი სალოცველად მე-

ფეთ მეფის ბაგრატ სევასტოსისა და ძისა მისისა გიორგი კურატპალატისა.

ამნაირადვე იხსენიება ბაგრატ მეფე მათიანესა და სხვა ისტორიულ წყაროებში.

6. წარწერა ბედიის ბარძიშედ: ყდ წმიდაო ბედიის ღვთის მშობელო, მეოხ ეყავ ძისა შენისა წინაშე ბაგრატს, მეფესა აფხაზთა, და დედასა მისსა გურანდუხტს, ამ ბარძიშის შემომწირველთა, ტრაპეზისა ამის გამმშვენებელთა და ტაძრისა ამის მაშენებელთა. (ვახუშტი, გვ. 1119, შენიშნ. ბაქრადისა).

7. წარწერა ქუთაისის ბაგრატის ტაძრისა:\*)

ძ. ზ. მეუფეო მფლობელო ყოველთა მეფეთაო ოვმეტესად აღიდე ძლიერი ბაგრატ კურატპალატი აფხაზთა მეფე მამით დედით დედოფლით და ძით მათით ამინ.

შეწეენითა ლუთისაითა ბაგრატ წყალობითა ღვთისათა აფხაზთა და ქართველთა მეფე... გურანდუხტ დედოფლისა აღაშენა წმიდა შტოი საყდართა...

ქ. ოდეს განიმტკიცნა იატაკი ქორონიკონი იყო 223 (=1003 წ.) (იხ. ქ. ცხ., გვ. 211—212; ზემო, გვ.).

8. წარწერა დავით აღმაშენებლის ბეჭდისა, რომელიც, აღბად, მემკვიდრეობით მიიღო თავის მამისაგან: წმიდაო გიორგი, შენდა მონდობილი ვძლევ მტერსა (ნ. კონდაკოვი: Опись, გვ. 41).

### 9. თამარ მეფას ჯგანა

ძელო ქეშპარიტო, ძალო ჯუარისაო, შენითა წინაწარძლომითა ყოვლადვე შემწე და მფარველ ექმენ მეფესა და დედოფალსა თამარს. (იქვე, გვ. 90; ქრონიკები, გვ. 269).

\*) Баратаева Нумизмат. факты, გვ. 41.

## 10. თამარ მეფის სახსენებელი (ტიტული)

ფუღზე

სიგელ-გუჯრებში:

დედოფალი მალაღბარისხოვანი, დიდება სოფლისა და სარწმუნოებისა თამარ, ასული გიორგისა შემდეგი მესსიისა ღმერთმან აღიდლოს ძლევენი მისნი.

სახელითა ლუთისაითა. თამარისაგან ბაგრატიონიანისა ნებითა ლუთისათა მეფე აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა და დედოფალთა დედოფლისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა ფლობით მპყრობელისა.

11. ქართლის ცხოვრება და სხვა წყაროები აღნიშნავენ ქართველთა კულტურის მოფენას დალისტანს, დიდო-საჩეჩოს, ოსეთს. ლეკეთისა (ხუნძახის) და დიდო-თუშეთის მმართველებს ძველს დროს ამწესებდნენ ქართველი მიფეებიო, ქართლ. ცხოვრებასთან ერთად ამბობენ ვახუშტიცა და ანტონი I კათალიკოსიც; აწინდელი ოსეთი ხომ ქართლის სამეფოს ნაწილი იყო. ყველა ამ ცნობებს ამოწმებს იმ ქვეყნებში დღევანდლამდე დაშთენილი კვალი ქართველებისა. საჩეჩოს, მდ. ასსაზე, შენახულა ძველი ტაძარი ქართულის წარწერებით 830 წლისა. ეს წარწერები იხსენიებენ ეპისკოპოზ გიორგის და ასის ერისთავს დავითს (Материалы по арх. Кавказа, вып. 1. Москва. 1888); დალისტანს, სოფელ დათუნას ახლოს, უდაბურს ღელეში არის საყდარი. აღიხანოვ-ავარსკი ამბობს, რომ ეს ქართული ტაძარი უნდა იყოს აგებული არა უადრეს VIII საუკუნისა და უგვიანეს X საუკუნისაო („Кавказ“, 1896, № 254). ამ ტაძრის ძველი ასომთავრულით გამოყვანილი წარწერა, სამწუხაროდ, დაზიანებული, ამბობს: „...სადათა აღვ...ნთ ესე ეკლესიაჲ ოჭადლ ონ წთა კზმან და ..“ (ე. თაყაიშვილის მოხსენები დამარქეოლ. საზოგ. 2 მარტს 1902 წ.). ფრანგმა ლიოზენმა გადმოქცვა წარწერა, რომელიც გადმოუხატავს ბელაქანში: „ქ.

ლო შნ სულსა ბირთლსსა: ესე ქვაჲ (თუ ჯგვარი!) მისი არს. საჩეჩნოსა და ინგუშებში კვირის დღეები ქართულად იწოდება: ორშუთ (ორშაბათი), კირინდე (კვირა) და სხვ. ღვდელს ჰქვიან მოძღურ (=მოძღვარი). ღმერთის სახელიც ერთნაირია: ქართულად ღუთა, ოსურად ხუტაუ, ლეკურად (თავასარანულად) ღუტაჲ, ჩერქეზულად ღთა (ღ=ხ: ღწევა-ხწევა, ღეთის-ხთის; თ=ც: თიკანი-ციკანი).

ამგვარი, ქართლის-ცხოვრების შემავსებელი და მის ცნობათა დამამტკიცებელი, წყაროები ბევრია, გარნა სიმოკლისათვის ჩვენ აღარ ვიხსენიებთ.

მ. ჯანაშვილი

(შემდეგი იქნება)

1903<sup>6</sup>

15

# ქართველთა მატინე

მ. ძეგლნი საერო ლიტერატურასა, სახალხო  
გადმოცემანი, რწმენანი და სხ.

საერო ლიტერატურასა და სახალხო გადმოცემებში დაშენილა დიდ-საყურადღებო ცნობები შესახებ ცხოვრებისა და მოქმედებათა არა თუ თითოეულ ისტორიულ პირისა, არამედ მთელის ერისაც.

ამგვარ თხზულებათ, გარდა გმირულ ნაწარმოებისა, ეკუთვნიან ვეფხისტყაოსანი, „შესხმა“ შავთელისა (ჩხრუხაძისა), „შესხმა“ რუსთაველისა, „რუსუდანიანი“, „დავითიანი“ გურამიშვილისა, „არჩილიანი“ არჩილისა († 1712), ნაწერები ბესიკისა, ანტონი I-ისა, „ზენი და ჩვეულებანი ქართველთა“ ვახუშტისა, სამართლის წიგნი აღმაშენებლისა, აღბუღასი, გიორგი ბრწყინვალისა, კათალიკოზის მალაქიასი, სამთავნელისა, ვახტანგ VI-ისა, დასტურლამალი მისივე, მამულთა ასაწერი დაფთრები, გუჯრები, სიგელები, მოგზაურობანი და სხ.

შშეტესი ნაწილი ამ ძეგლთა შესწავლილია და გამოცემული; ზოგიერთის შესახებ ზემოთა ც ვეკონდა მოკლე საუბარი. ამიტომ აქ შევდგებით მხოლოდ საერო გადმოცემებსა, თქმულებათა და ლეგენდებზე და აღვნიშნავთ, რა ერთობა აქვს ყველა ამას ქართლის ცხოვრების ამა თუ იმ მოთხრობას და თქმულებასთან.

\*) იხ. «მოამბე» № 3, 1901 წლისა.

1. ქართველთა რწმენით, დედამიწა დაყრდნობილია დიდს ვეშაპზედ, რომლის მოძრაობა აჩენს მიწის ძვრას, მაღალ მთებისა და მყარ კლდეების რყევას.

მსევე, თითქმის, ამავე სიტყვებით გამეორებულია „ქართლის მოქცევაში“ (გვ. 38):

„მდეს შეიძრის ვეშაპი იგი დიდი, რომელ არს ზღუასა შინა, შეძრის ყოველი ქუეყანაჲ, ვიდრემდის დაირღვან მთანი მყარნი და კლდენი“.

## 2. შაკაკის შელოცვა

ვინ ხართ უწმინდურნო?  
რად შეგიპყრიათ ეს კაცი?  
გადით, წადით,  
კლდეს ეცით, წადით  
ბნელეთს, წმიდა გიორგი  
აქ არის, მარჯვენათი  
ჯვარს გვსახავს.  
(იხ. „საინგილო“).

## ქართლის მოქცევა (გვ. 47)

(უწმინდურნო) საბასტანით  
წამოხვედით? დიდ არს თქვენი  
ლაშქარი? მახვილი დაეცით  
ქართა და ნიაფთა! წარვედით  
ბნელთა ჩრდილოჲსათა, მათა  
მათ კედარისათა? აქა  
მოვიდა იგი, რომელსა თქვენ  
ველტოდეთ. (და განძრა  
მარჯვენე თვისი და დასწერა  
კელითა სახე ჯვარისა, და  
მეყსეულად უჩინო იქმნა  
ყოველი იგი სიმრავლე).

ხელში გვაქვს ტ. მომცელიძის გრძელი ავგაროზი, გადაწერილი ძველის დედნიდამ 1854 წელს. ავადმყოფი ევე-დრება ქრისტე მაცხოვარს, ლეთის მშობელს, ყველა წმინდანებს, შიოს, ნინოს, დავით და კოსტანტინეს, წმ. გიორგის ქართლისას, იმერეთისას, სვანეთისას, გურიისას, სამეგრელოსას, აფხაზეთისას, ოსეთისას, ჩერქეზისას, — დაიფარონ იგი ყოველისა ჭირისა, სენისა, სნებისა, სნეულობისა, ჟამისა-უჟმურისა, ავი ზნისა, ავის ქარისა, ავის ჭირისა, ეშმაკის კვეთებისაგან და ყოველისა ავის საქმისაგან.“

3. ვნების ოთხშაბათს, სალამოს, ქართველები ანთებენ ჭიკოკონას ავსულთა გასარეკად. ცეცხლზე ხტებიან და იმღერიან: არი ურული, ურული, ურული კულიანები.

მე XI საუკ. ტყავზე ნაწერ კრებულში (გვ. 127) ვკითხულობთ: „კანონს ეწინააღმდეგებიან ისეთნი, ვინც აღანთებენ ცეცხლს თავიანთ სახლის წინ და ამ ცეცხლზე გადახტიან.“

4. საქართველოში ჭამის დროს კაცი ცალკე სხდებიან და ქალნი ცალკე. ამასვე აღნიშნავს ცხოვრება შუშანიკისა († VI საუკ.). უღვთო ვასკენი შუშანიკს რომ აძალადებდა მასთან ერთად პურის ჭამას, ამ ქალმა მრისხანედ უთხრა: „ოდეს ყოფილარს აქამომდე, თუმცა მამათა და დედათა ერთად ეჭამა პური!“ (სამოთხე, გვ. 185).

5. ქართველებს სწამთ, რომ საიქიოსაც არის ცხოვრება, იქაც დახოცილები მხიარულობენ, სჭამენ, სმენ; ცოცხალ ნათესავების სიკეთე მათ ახარებს, ავი—აღონებს; თუ ვისიმე ჯავრი ჩაჰყვათ, ამ ჯავრის ამოყრას ავალებენ ცოცხლებს და სხ.

ღავით აღმაშენებელმა რომ ანისი აილო (1124 წ.), მისი დიდებული ტაძარი აკურთხებინა, მერე მივიდა დედოფლის კატრონიკის საფლავზე და მალლა ხმით ჩასძახა: „გიხაროდენ, დედოფალო! ღმერთმა განათავისუფლა შენი საყდარი აგარიანთაგან.“ კატრონიკამ ხმა მოსცა: „მადლობა უფალსა!“ (საქართველოს ისტორია გვ. 183).

6. მკვდარს ქართველები, ჩვეულებისამებრ, გლოვობენ საერთო ზარ-ტირილით, იწვევენ მთელს უბანს, გამოჩენილს მომტირლებს, მოზარეებს და ზარით ტირიან, მოზარე მომტირლები აქებენ განსვენებულის მკლავს, ჭკუას, ზნე-ჩვეულებას, სილამაზეს, თანაც ყველანი თჳს იტყებენ, თმას იწიწკნიან, საცმელს იფხრეწენ, ძაძას იცმენ...

ამ ჩვეულებას აღნიშნავს ვახუშტიც თავის „ზნე-ჩვეულებებში“ და ქართლია ცხოვრებაც.

აი, მატეანის თქმით (ქ. ცხ., გვ. 53), როგორ დაიტირეს ქართველებმა ფარსმან ქველი (113—129):

„იქმნა გლოვა და ტირილი და ტყემა ყოველთა ზედა ქართველთა, წარჩინებულთაგან ვიდრე გლახაკთამდე. იტყებდეს თავთა ყოველნი და ყოველთა ქალაქთა და დაბნებთა დასხდიან მგოსანნი გლოვისანი (ე. ი. მოზარეები), შეკრბიან ყოველნი და ახსენებდიან სიმხნესა და სიქველესა, სიშვენიერესა და სახიერებასა ფარსმანქველისასა და იტყოდნიან: „ვაჟ ჩვენდა ..“

7. ზებირ გადმოცემით მთიულეთს, სოფელ ბეთლემის მაღალს და შიუვალ კლდეზე აგებულს ეკლესიაში სცხოვრებდა წმ. კაცი, ისეთი წმიდა, რომ კითხვის დროს წიგნს მზის თინფთინზე აყრდნობდა ხოლმე.

მს თქმულება აღუნიშნავს ვახუშტსაც. „მყინვარის კლდესა შინა არიან ქვაბნი, გამოკვეთილნი ფრიად მაღალსა კლდესა და უწოდებენ ბეთლემსა; გარნა საქიროდ ასავალი არს: რამეთუ არს ჯაკვი რკინისა გადმოკიდებული ქვაბიდამ და მით აღვლენ. იტყვიან უფლის აკვანსა მუნ და აბრაამის კარავსა, მდგომს უსვეტოდ, უსაბლოდ, და სხვათაცა საკვირველებათა არამედ მე ვლუშებ“ (ქართლი, გვ. 115).

8. მართ. ცხოვრება (გვ. 333):

„დიდონი მშთავარსა და უხარშავსა ქამენ. მრავალნი ძმანი ერთსა დედაკაცსა მოიყვანებენ ცოლად. რომელნიმე უჩინარს რასმე ეშმაკს თაყვანის სცემენ და ზოგნი უნიშნოსა შავსა ძაღლსა...“

ვახუშტი (გვ. 324): დიდონი უბილწესნი ზნითა, ქცევითა არიან. არა უწყიან ნათესავი და ნათესაობა. ყოველსა სულიერსა ქამენ. მოჰგვრის მამა მცირესა ძესა თვისსა ცოლსა და ვიდრე აღიზრდების ძე მისი, მცირე, თვით მამა თანა-ეყოფის დედაკაცსა მას, ხოლო ოდეს აღიზრდების ძე იგი მისი, მაშინ მისცემს დედაკაცსა მას ცოლად და განუყოფს შენდობაც. რომელნი უვის მის დედაკაცისა თანა შობილნი მამასა: ნახევარს მისცემს ძესა და არს ძე ძისა მისისა და ნახევარს დაიპყრობს თვით და ძმა არს ძისა მისისა, მის ქალის ქმრისა“

სჩანს, თამარის დროიდან ბევრი არა შეცვლილა-რა დიდოთა ზნე-ჩვეულებაში.

9. შახუშტი შენიშნავს: იმერეთს არიან აზნაურნი მრავალნი და კეთილნი ყოვლითა ზნითა აზნაურთათა. ვითარცა ძველად სიტყვა იყო ივერიასა შინა: დარბაისლად შესხნი, თავადი ქართლისა, აზნაური იმერეთისა და ვაჭარი კახეთისა. (სამცხე, გვ. 30).

ეს ძველი სიტყვა დღესაც არსებობს ჩვენს ერში და დღესაც გაიხმის კიდით კიდემდე, ამ სახით:

შირველ თქმულია ძველთაგან  
 სიღარბაისლე შესხისა;  
 ჰურადობა და ვაჭრობა  
 ქართველს არ ეზრახვისა;  
 ზრდილნი არიან იმერნი  
 შტურთა შიმცემი რისხვისა,  
 რში და ლხინი კახისა  
 მოსაწონია კაცისა.

მსრეთი თქმულება გაზვიადებული არ არის. სტრაბონი და ძველი დროის სხვა მწერლები, მართლაც, შეაქებენ ქართველებს პურადობისა, სიმხნე-ვაჟკაცობისათვის.

10. იგივე ვახუშტი ძველისავე თქმულით ხელმძღვანელობს და ამბობს (იქვე, გვ. 58): სიტყვა იყო ივერიასა შინა ქართველ მეფეთათვის: „იციანო ქართლოსიან — ნებროთიან-არშაკუნიანნი გმირობითა, ხოსროვანნი გოლიათობითა, ახოვნებიითა, შემმართებელობითა, ხოლო ბაგრატოვანნი — მხნეობითა, სიბრძნე-ქველობითა და ქვეყნისათვის თავდადებულობითა“.

მასვე გვაუწყებს ძველადგანვე დაშთენილი შაირი:

თარგამოსიანი ქართლას  
 ქართლს იჯდა შირველ ძეობით,  
 შერმე ფარნავაზ ტახტოსნად  
 იჯდა სიქველით, მხნეობათ;  
 არშაკუნიანთ იმეფეს.  
 შერმე ხოსროვანთ სეფობით;

აწ ვსუფევთ ბაგრატიონნი,  
ვგებთ ღმრთის შესათნობით.\*)

11. თავის ისტორიის წინასიტყვაობაში ვახუშტი ამბობს (ქ. ცხ., ნაწილი 2, გვ. 2), რომ საქართველოში უსწავლელ გლეხთაც იციან სიძლიერე გორგასლისა, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფისაო.

მართალს ამბობს ვახუშტი, როგორც სჩანს შემდეგ სახალხო ლექსებიდან.

### ა. გახტანგ გორგასალი.

გახტანგ მეფე ღმრთის უუფარდა:  
დიდამ მოესმა რეკა,  
იაღბუზზედ ფეხი შესდგა,  
დიდმა მთებმა იწეეს ღრეკა;  
ოსებში გადაიარა,  
ჩერქეზები გადარეკა.

### ბ. გახტანგ გორგასალი და ოსეთის მეფენი.

ჩვენ ვიყავით ცხრანი ძმანი,  
ჩარჯონიძე—ჭარხილანი:  
ოს-ბაჟათარ, დავით-სოსლან,  
ათხ სამეფოთ მებრძოლანი;  
ფიღაროს, ჯადაროს, საურ,—  
მტერთა რისხვით შემხედვარანი;  
გიორგი, ისაკ, რამანოზ—  
იქმნენ ქრისტეს კარგნი უმანი.  
ჩვენ გვიჭირავს მიმოყაღთა  
ათხივ კუთხის იწრო გზანი.

\*) ვახუშტით—ქართლოსიანნი მეფობდნენ 302 წლამდე ქრ. უწინ. ფარნავაზიანნი 93 წლ. ქრ. უწ., არშაკუნიანნი 265 წლამდე ქრ. შ., ხოსროვანნი 575 წლამდე და ბაგრატიონნი 1801 წლამდე.

კასრს სიმაგრე მძქვს, საბაჟო,  
 აქ მიჭირავს ხადის კარი,  
 საიქიანს მფიშედე,  
 სააქიანს კარკა მდგარი;  
 აქროსა და ვერცხლის მიწა  
 იმდენი მძქვს, ვითა წყალი;  
 კავკასიონი დაფიშვარ,  
 ოთხს სამეფოს კავუმკლავდი,  
 ქართველს შეფეს და მოვტარე  
 არ დაფადე ჩემი გვარი.  
 მამწვდა, ფიცით მილალატა,  
 მან დაიდვა ჩემი ბრალი:  
 ბაჟათარ წყალსა მიეცა  
 აღიხრდა ოსთა ჯარი.  
 ვინც ესე ლექსნი იხილათ,  
 ჩვენი სვით შესანდობარი.

ამ ლექსებში მოკლედ გადმოცემულია ის, რაც ვრცლად მოთხრობილია ქართ. ცხოვრებაში შესახებ ვახტანგ გორგასლის ბრძოლისა ოსებსა და ჩერქეზებთან, და რასაც გადმოგვცემს ამავე გორგასლის შესახებ ჩერქეზთა ლეგენდა, ჩაწერილი იური ყაზბეგის მიერ (იხ. მოსკოვის უწყებანი 1896 წ. № 25, 34, 40 და სხ.). ამას გარდა თვით „აღლოუზიანიც“ ჰმოწმობს, რომ ოსთა დიდს მეფეს აღლოუს დაპყრობილი ჰქონდა ოთხი სამეფო ჩრდილოეთისა.

### ბ. დავით აღმაშენებელი.

რას ნაჭარმაგვეს შეფენი  
 შვიდნი მე ჰურად დამესხნეს,  
 თურქნი, სპარსნი და არაბნი  
 საზღვართა გარე გამესხნეს,  
 თევზნი ამერთა წყალთაგან  
 იმერთა წყალთა შთამესხნეს, —

აწე ამათსა მკჳმედსა  
კუღზედან ხელნი დამესხნეს.

აქ მოკლედ გვეუწყება ყოველივე ის, რაც გააკეთა აღმაშენებელმა: მტრები დაამარცხა და გარეკა საქართველოდგან. დანგრეული ციხე-ტაძრები ააშენა. მწიგნობრობა განაძლიერა. გზები „ქვა-ფენილ ყენა“. საქართველო გააძლიერა. ნაქარმაგვეის სასახლე შეამკო და იქ გაუმართა სტუმრობა შვიდს მეფეს:

- ა. შარვანის მეფეს (მას მიათხოვა თავისი ასული თამარ)
- ბ. ბერძნის მეფეს (მას მიათხოვა თავისი ასული კატა)
- გ. ყივჩაყთა მეფეს (თავის სიმამრს)
- დ. ოსთა მეფეს
- მ. ბულასვარ ანის მფლობელს (ტყვედ წამოიყვანა)
- ნ. კახეთის მეფას (ტყვედ ჰყვანდა)
- ზ. არანის მფლობელს.

#### დ. თამარ მეფე.

1. საქართველს დედოფალი,  
დედა ქართლისა თამარი,  
სიშენიერით მისილი,  
ამომავალი მზის დარი,  
დავით სოსლანის მეუღლე,  
რომელს უმშვენა მან მხარი,—  
დიდუბეში იქორწინა,  
სადაც რომ საუდარი არი;  
ნადიმობა გაუმართა,  
მოიწვია თავის ჯარი,  
ასი სული გზვარი დაკლა  
და ორასი ნიშა ხარი,  
ლორჯი სუფრა გაუშალა,  
იქნებოდა ასი მხარი,  
ქვრივ-ობლებსა უწყალობა  
ოქრო-ვერცხლი დიდძალი.

იგივე ქართლის ცხოვრებით:

„მოვიდეს სრასა დიდუბისასა და მუნ ქმნეს ქორწილი შესატყვისი და შემსგავსებული ხელმწიფობისა და შარავანდელობისა მათისა... მშვეებელნი იშვებდეს, გლახაკნი გამდიდრდებოდეს, ობოლნი და ქვრივნი ღონიერ იქმნებოდეს და ეკლესიანი აღყვავდებოდეს. იყო ხმა მგოსანთა და მუშაითა და სახიობათა მქვრეტელნი. იყო რაზმთა სიმრავლე... დასხდეს ტახტსა ბედნიერსა ორნი მნათობნი, ორნი მზენი, განმნათლებელნი ყოველთანი და განიხარეს ყოველთა, დიდთაგან მცირეთამდე ყოველმან ერმან.“

2. ტრაპეზუნტის დაპყრობა.

ტრაპეზუნტის აღების შესახებ Lebbau ამბობს (Hist du Bas Empire, XVII, 254, შენ. 2): „კირ ალექსიმ, დიდმა კომნიანოსმა, 22-ის წლისამ, კოსტანტინეპოლით განშორებულმა, თავის დეიდის თამარის მეცადინეობით და ივერთა ლაშქრისა აიღო ტრაპეზუნტი, თვესა აპრილსა 17, 6712 წელს“ (= 1204).

ამასვე ქართ. ცხოვრება ასრე მოგვითხრობს: „თამარი განრისხნა მეფესა ზედა ბერძენთასა (ალექსი ანგარზე) და წარგზავნა მცირედნი ვინმე ლიხთიქითნი და წარუდეს ლაზია, ტრაპიზონი, ლიმონი, სამისონი, სინოპი, კერასუნდი, კიტორა, ამასტია, ირაკლია და ყოველნი ადგილნი ფებლალონიისა და პონტოსანი, და მისცნა ნათესავსა თვისსა ალექსის კომნიანოსსა, ანდრონიკეს შვილსა, რომელი იყო მაშინ თვაწინაზე თამარისსა შემოხვეწილ (ქ. ცხ., გვ. 325).

თვით იმპერატორი ალექსი, რომელსაც ამ დროს შემოესივნენ ვენეტიკიდგან ფრანგნი (ჯვაროსანნი), გაიქცა სიძისას, ბორღალეთს და იქ მოკვდა სიყმილით.

და მართლაც ალექსი იმპერატორი მეფობდა 1081 დან 1118 წლამდე, ხოლო თამარის მიერ დაარსებული ტრაპიზუნ-

ტის იმპერია არსებობდა 1462 წლამდე და ამ წელს დაამხეს იგი ოსმალებმა.

სახალხო ლექსი ეს ცნობა შენახულა ამ სახით:

თამარ მეფე და ხონთქარი  
 შაღაღმა ღმერთმა წაჭკიდა...  
 ზღვაში ჩაუშო ხომალდი,  
 ზედ აღმასები დაჭკიდა,  
 ზედ დასსა ქართველთ ლაშქარი  
 მრავალს წყალობას დაჭვირდა...

ლექსში მოთხრობილია თამარ მეფის მიერ ტრაპიზონის არე-მარეს დაქერის ამბავი, გარნა კეისრის მაგიერ ხალხს უხმარია ხონთქარი. ამავე ამბავს შეეხება შემდეგი ლექსიც:

თამარ დედოფალი გიყავ  
 ქებული სოფლის კიდემდე;  
 ზღვაში ჩაუშვი ხომალდი,  
 ხმელეთი ჩემსკენ მოვიტდე,  
 არზრუმსა დავსდევ ბეგარა,  
 ისპანს ხარჯი ავიდე,  
 ამდენის საქმის მოქმედმან  
 ცხრა ადგი ტილო წავიდე.

(ვარიანტი): უბისს ავაგე სყუდარი,  
 უწუდოსა წყალი ვადინე,  
 ისპანს დავსდევ ბეგარა,  
 სტამბოლს ხარჯი ავიდე,  
 თეთრს ზღვაში რკინა ჩავაგდე,  
 ხმელეთი ჩემსკენ მოვიტდე.  
 ამდენის საქმის მოქმედმან  
 ცხრა ადგი ტილო წავიდე.

ძარტ. ცხოვრებაც აღნიშნავს, რომ თამარი ჰფლობდა შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, ტრაპიზონტიდგან დარუბან

დამდე, ხაზარეთისა და რუსეთის საზღვრიდან შუამდინარემდე, და ერანსაც ძლიერა-მოსილად ეზრძორდნენ მისნი მეომარნი. თვით თამარი ამბობს (ქ. ცხ., გვ. 310):

ერანს ებრძოდეს ჩემ-მიერ მისთა სპასთა  
ჩვენნი მხედარნი, მოსავნი შენნი, სძალო,  
მოსწყულებეს, მოსწყუვიდნეს აგარის ნათესავნი;  
შუნიოთ მოხმულთა ნიჭთაგან ერთსა ამას  
შენდა შევწირავ, მიიხე ძეებრ, დემერთო.

„თამარიანა“. (ტ. 94):

უკლებობს ღაღი, მბრძოლთ გულის მჯადი,  
სპასთთა სისხლასა დანაკლებანი!  
ბედ-დიდობს მრავლად, აქვს სვე დიდ ვადად:  
ზონტას ზღვისითგან არს უფლებანი.  
უძრწის შა მალი, მით სთქვა: „შამალი  
მის კერძ მისტაცნა მცბიერებანი“.\*  
ეკლტვის ხალიფა, იტყვის შარიფა:  
აწ გაგვიცუდა სჯულის დებანი“.

3. სვანთა თქმით:

თარგმანი

თამარ დედოფალ ანისგვეჯდა,  
თხუმარს ხანგანდა ზურჩია,  
შდიმარს ხოწიბდა ლეშდიმი,  
თერარ ხოშიდ იავუნდიშ,  
შდიქარ ხოშიდ მარგალიტიშ,  
ჰაყბი დაგი ხანდან ვოქვრეშ,  
ყიას ხაბუდა ჰეშმარე,  
ქამენ ხაქუდა აბჯარი,  
ოსგან ხაქუდა ატლასი,  
შენრარს ხანდანდა ხეშნავრე.

თამარ დედოფალ მობრძანდა,  
თხემს ჰქონდა ზურჩი,  
ყურებს ეკიდა საყურე  
თვალეზი ჰქონდა იავუნდის  
კბილეზი ჰქონდა მარგალიტის  
ყბეზი ჰქონდა მოოქრული,  
ყელს ება იაშმი,  
გარედან ჰქონდა აბჯარი,  
შიგნიდან ჰქონდა ატლასი,  
მხრებს ეცვა სამხრეზი,

\* შამელმა (სირაელმა) მისი მხარე დაიჭირაო. სთქვა შეძრწუნე-  
შულმა შაჰ-მალმა (აჩქარებულმა).

კითხარდ ხასდანდა ჯაქვარე,  
ჩაფლარდ ხასდანდა ჩექმარე,  
ჩაეს ხასგუნდა ქვიშე ფერი,  
ჰუნგირ ხოგანდა ლიშკალი,  
ჰუნგირდ ხოთრაფ ვოქვრე ახად,  
საძუედ ხაბუდ ვოქვრე კობარ,  
ჰაღვირდ ხოსდან ვოქვრე რახტი,  
საგუუ ხოგან ვოქვრე ბუშტარ.

წვივებს ეცვა საწვივები,  
ფებთ ეცვა ჩექმები,  
ცხენს იჯდა ქვიშა-ფერს,  
უნაგირი ჰქონდა მოქედლილი,  
უნაგირი ოქროსეული,  
საძუედ ება ოქროს კაპარი,  
აღვირად ოქროს რახტი,  
საგულედ ოქროს ბუშტებო.

4. სიბრძნით, სიუხვით განთქმული  
შკვდარიც ვერ ვპოვეთ სად არი!  
ქვეუნად ვეძიეთ, ვერ ვპოვეთ  
სოფლის მნათობის სადარი!  
მისებრ მნათობი სად არი—  
ბრწეინვალე მზისა სადარი!

შეადრეთ ამას შავთელის ტაეპი 3:

ძე აღამისი მსგავსად ამისი  
ვისტა ეხილვან, მამნონ, სად არი?  
ღმერთმან სამთხით მოგვცა სამთ ხით  
ეთერ ბრწეინვალე, მზეებრ სადარი;  
აღმოსავლეთით და დასავლეთით  
სამხრით ჩრდილომდის ჰქონ, სად არი  
ზესკნედს ქვესკნედით და გარესკნედით  
უკანასკნედით უფსკრულ სადარი?

რუსთაველიც სწერს დავითისა და თამარ-მეფის შესახებ  
(ვეფხ. ტყ., ტ. 1582):

მე მათად საკამათებლად,  
ვინ არის აღმოსავლეთით  
დასავლეთს ზართა მარებლად,\*)  
ორგულთა მათთა დამწეკლად,

\*) ზართა მარ. ებლად: ზმად—თ ა მ ა რ ი.

ერთგულთა დამამკრებლად, —  
დავითის ქნარი ვითა ვთქვნე,  
სიხალხე, სიხაფეთანი!

პრიან კიდევ მრავალი სხვა გაღმოცემანი და თქმულებანი  
თამარის შესახებ, რომელნიც ამ დიდებული მეფის ისტორიის  
სინამდვილეს მოწმობენ.

### მ. ერეკლე მეორე.

ა. ზამშულია შეიკაზმა თოფითა და ჯინჯილითა:  
„უნდა ქალაქსა მივადგე, ამოვხრცო შიმშილითა.“  
ეს რომ ელექტემ გაიგო, გადაბრუნდა სიცილითა.  
ერეკლემ ხმაღსა გაიკრა, საფრები მოამზადა,  
შოგ ჩასსა მარჯვე ბიჭები, ესროლა ჩქარა-ჩქარად;  
ზარბაზნები დაადუნა, თხებივით დაილაღა.  
შარშან შემძვრალნი ჩირგვებში, დღესაც არ გამოძვრალანო.

ლექსში ერი გაღმოგვეცემს ერეკლე მეფის ბრძოლის ამ-  
ბავს აბღულაბეგთან 1748 წ. (საქართ. ისტ., გვ. 439).

ბ. ერეკლე ბატონიშვილი  
განა უბრალო კახია?!  
საგურამოს ლეკის ჯარდ  
შარტომან შუა გახია!

მის დაუხსოვნია გმირული ბრძოლა ჯერ ისევ ყრმა  
ერეკლესი ლეკებთან, საგურამოს, 1733 წელს, როდესაც  
შან, მართლაც, ლეკის ჯარი არა თუ შუაზე გახია, არამედ,  
თითქმის, მთლიანაც ამოსწყვიტა.

### ვ. ლეკან ერეკლეს მე.

ხმალი სჭრის პაკრატონისა  
მეფისა ერეკლესიო...  
ნეტავი გამაგნობინა,

ლევანს უქებენ შვილსაჲ:  
 აჯობა თავის მამასა,  
 სანამ იცვლიდა კბილსაჲ,  
 ურჯულთ გამომტვრია,  
 რაგორც ნაზირი ტვისაჲ!  
 თუ ლევან იქით მიბრუნდა,  
 საქმე სჭირს დადისტნისაჲ!

ლევანი სამხედრო საქმის კარგი მცოდნე იყო. რუსეთი-  
 დან რომ დაბრუნდა, მორიგე ჯარი დააწესებინა მამას. ბუტ-  
 კოვი ამბობს (1, გვ. 288): „გულოვანმა ბატონიშვილ ლე-  
 ვანმა, ერეკლეს უფროსმა ძემ, ამ მორიგე ჯარით თითქმის  
 მთლად მოსპო ძარცვა: შთიელთაგან. გარნა ლევანი რომ გარ-  
 დაიცვალა 1781 წელს..., ყოველივე მოიშალა.“ მანამდის კი  
 ფშავლებიც ასრე იხვეწებოდნენ:

გვიშველე, ჩვენო ლევანო,  
 გექნებით უნჯნი ვმანიო.  
 მოვიდა ძადლი მუცალი,\*)  
 ბეგრად მოგვთხოვა ქალიდ...

### ზ. თორღა და თორღაფსქენი.

შმირის თორღას ძენი ფრიად განთქმულ იყვნენ თამარ  
 მეფის ჟამს და „კახეთის თავად“ იწოდებოდნენ (ქ. ცხ., 297).

რომ მართლაც თორღას დიდი სახელი და გავლენა ჰქო-  
 ნა კახეთში, ეს მტკიცდება მრავალის შენობის ნაშთებით,  
 რომელთაც თორღას სახელი ჰქვიათ. გადმოცემით, სოფელი  
 კაკი წინად ქალაქი ყოფილა და სახელად რქმევია „ათას და ერთ  
 კომლოვანი თორღა“. ლავოდების თავს, აგრედ-წოდებულ  
 „დარუბანდის კედლის“ დასაწყევდს, არის ძველი ციხე—თორ-  
 ღა. ამავე სახელის ციხე არის ალაზნის ტოტს ლოპოტის თავს,  
 მალალს გორაზე, და აგრეთვე ხევსურთა სოფელს მუცუში.

\*) ლევთა ბელადი.

ფშავ ხევსურთა გადმოცემით, თორღა ყოფილა ბაგრატიონანთ ნაბიჭვარი, ხევსურეთში აღზრდილი და ხევსურის ქალის შვილი. ბეგარა მას უღია, სხვათა შორის, ფშავ-ხევსურებისაგანაც, ამიტომ ესენი გადამტერებიან და მოუკლავთ. აი, სახალხო ლექსი როგორ მოგვითხრობს ამ ამბავს:

ანდაკით ამკემაწთნეს  
 მონადირენა თრნიო...  
 მობუბუნებდა თორღვაი  
 რაგარც მანძალა ხარნიო.  
 —სადა რა აუაჟ, თორღვაო,  
 სად რა აუშვი ალიო?  
 —უმანდ სამ ვიუაჟ მუცუსა,  
 ბეგარას მაუმატეო;  
 თქვენც უნდა მამცეთ, ფშაულებო,  
 თითო შიშაქი ცხვარნიო...

თითამა მონადირემ ჰკრა ისარი და მოკლა თორღვა.

შართ. ცხოვრებით (გვ. 384) თორღვას ბოლო ასრეთი იყო: ბითო ყანმა დაიბარა დავით ლაშახე (1243—1269). მან სახლის გამგებლად დაუტევა თავისი ცოლი ჯიგთუ. ხათუნ და მესტუმრე ჯიქური და თითოეული თემი ჩააბარა თავის დიდებულებს. კახეთი მისცა პანკელს (პანკისელს) თორღვას. უბრძანა ყველას: დედოფლის ბრძანებას დაემორჩილენითო. მეფე წავიდა. თორღვამ იფიქრა, მეფეს ბითო აღარ გამოუშვებსო, უკუღვა პანკისს და კახეთი თავისთვის დაიჭირა და აღარა მორჩილებდა დედოფალსა და არცა მესტუმრუს ჯიქურსა. ბითომ შეიწყალა დავით მეფე და უკანვე გამოისტუმრა. დავით სერეთს რომ მოვიდა, ყველა დიდებლნი შეეგებნენ, გარდა თორღვასი. მეფე ტფილისს მოვიდა და აქედგან მრავალგზის მოუწოდა თორღვას, არ მოვიდა. მაშინ გაუგზავნა ბერი ხორნაბუჯელი. თორღვამ ალავერდს წაიყვანა და ასრე დააფიცა: „ამოვსწყდე უშვილოდ, თუ გვენოს რამეო“. თორღვა უშვილო იყო და ხორნაბუჯელს ჰყვანდა ძე, შალვა.

მრავალშვილიერი. ამის შემდეგ წამოჰყვა ხორნაბუჯელს. ტაბახ-მელას რომ მოვიდნენ, თორღუა შეიპყრა ჯიქურმა, და დედოფლის ბრძანებით კლდეკარის უფსკრულში გადაჩხეს. ფიცის გატეხისათვის ალავერდის წმ. გიორგიმ ბერის ხორნაბუჯელის თესლი ამოწყვიტაო ისრე, რომ გადარჩა მხოლოდ ერთი სული, შალვა.

წ. ნუგზარ (+ 1619 წ.\*) და ზურაბ (+ 1629 წ.)  
ერისთავნი.

მართლის ცხოვრება ამ მტარვლების შესახებ ისე დაწვრილებით არ ლაპარაკობს, \*\*) როგორც თვით ხალხი. ფშავხევსურთ ზებირ გადმოცემა სავსეა ამ მამულისა და სამშობლოს მოღალატე კაცების ამბებით.

ხევსურეთშია, ზურაბო,  
ვერ იქამ ერისთავბასა:  
ტაგიწვრილდება კისერი,  
ვერ შესძლებ ქვეითობასა.  
ხევსური კაცი უტია,  
ქაღუნდაურის ფრანგულმა  
ხმალ შუქი გამოუტია...  
ზურაბო, დაჯე, დაგვესენ,  
ნარჩომნ ვართ შენის ხმლისანი,  
თორ ჩვენც შამგეცდებით...  
დუღის ძირს წისქვილნ დაბრუნდეს.  
ზურაბის სისხლის წუღისანი...

ამ ზურაბის წინად მტარვლობდა ნუგზარ ერისთავი, მამა ზურაბისა. ხალხს მისი ერისთავობის დრო ასრე დაუხასიათებია:

ნუგზარ ერისთავის დრასაო,—  
სისხლის წვიმების დრასაო!

\*) ქ. ცხ., 39.

\*\*) იქვე, 40.

ამ ერისთავების შესახებ შვენიერი გამოკვლევა ნ. ხიზანაშვილისა იხ. „ივერიაში“ (1888, №№ 238 და სხ.)

### თ. ისტორიული თქმულება.

ეორღანასძე ქრაფრინდა,  
ხელი რამ ჭკრეს, გარდაფრინდა.

ეს თქმულება დაშთენილა ხალხში მას შემდეგ, რაც ყორღანასძემ გასცა მეფე სვიმონი (1558—1600 წ.).

ამ მეფის ერთგული სპასპეტი საჩინო ბარათაშვილი მოდიოდა კოჭრიდგან, გზაზე შემოეყარა კახაბერ ყორღანაშვილი, მეფის გამცემი. საჩინომ შეიპყრა, ხელი ჰკრა და გელიყარის კლდეზე გადაჩეხა და მიაძახა: „უკეთუ კეთილ არს განცემა მეფისა და ქვეყნისა, იხილე აწ შენცა“. ამის შემდეგ კახაბერ ყორღანაშვილი საანდაზოდ გახდა და მის მაგვარ მოლაღატის და უჭკუო კაცის შესახებ ერი იმეორებდა (და იმეორებს) ზემორე მოყვანილს ლექსს (იხ. ქ. ცხ., გვ. 28).

### ი. მგზავრ-მეომრის ნაწერა:

„ქნა სოფ. (=1528) მიიცვალა იმერელი ბატონიშვილი ვახტანგის ცოლი კახთა მეფის ასული ხვარამზე. ქნა სოფ. (1529) მიიცვალა ქუთათელი გერასიმე, იანვარს ი. ამასვე წელიწადსა დაჯდა მათი ძმისწული სვიმონ და წარვიდა და ეკურთხა საყდარსა ბიჭვინტისა. ამასვე ქნა მეფეთ მეფემან ბაგრატ განყო ლიხთ იმერი სამ საეპისკოპოსოდ. ბრძანებითა აფხაზეთისა კათალიკოზისა აბაშიძისათა. ინება ღვთივ გვირგვინოსანმან მეფემან მეფეთამან ბაგრატ და დედოფალთ დედოფალმან ელენე, დიდისა და ცათა მობაძავისა საყდრისა, ახმალისა იერუსალიმისა, გენათისა ეპისკოპოზისა მელქისედეკისა საყვარელისძისა (საუკუნოდმცა არს ხსენება მათი!). ამასვე დროსა იმავე პატრონმან გაიჩინა ხონელ ეპისკოპოსად ჩხეტისძე მანოელ, იმასვე აფხაზეთისა კათალიკოზისა ხელითა საყდარ-

თა შიგან ბიჭვინტისათა. ქნკონი იყო სიზ (1529), წარვედით აფხაზეთს საკურთხეველად ივნისსა კ. ამას ჟამსა მონაზონ იქმნა გიორგი, ძმა დავით მეფისა და უწოდეს სახელად გერასიმე, და ბაგრატცა, ძმა მეფის დავითისა და გიორგისა, რომელი უფლებდა მუხრანს, იგიცა მონაზონ იქმნა და უწოდეს სახელად ბარნაბე. ხოლო რა ჟამს მონაზონ იქმნა ბაგრატ, მპყრობელი მუხრანისა, და ესხნეს ძენი ოთხნი—ერეკლე, არჩილ, აშოთან და ვახტანგ, მაშინ მტკიცედ ეპყრა ქართლი მეფესა ლუარსაბს. ხოლო კათალიკოზი მელქისედეკ პირველვე განძებულ იყო და იდგა მონასტერსა არმაზისასა და იყო კათალიკოზად გერმანე და ტფილელად დომენტი და მროველად—გედეონ. ქნსა სით (=1531) ივლისსა ია მიიცვალა მხეცისძე, სარგის. ხოლო ოდეს დაიპყრა ქვეყანა სპარსეთისა შაჰისმაილ, მაშინ წარმოემართა და განიგულა დაპყრობა საქართველოსი. მოვიდა ძალითა დიდითა და სპითა ურიცხვითა და დაიბანაკა აღჯაყალას“... (ქ. ცხ., გვ. 271)... დაიწყო ჩვენმა ლაშქარმა მოდენა... მივედით ზედათმოგვს და თმოგვის ქალაქი მოვარბივეთ და ისევ ზედა-თმოგვს ამოვედით, და პატრნი დედისიმედი იქ მოვიდა და ორშაბათს ვანის ქვაბს მოვადექით და იერიშით ავიღვევით და პარასკევს დღეს ავიყარენით, ჩაუდევით, რჩეულიანი შემოვიწყვენით, კვირას დღეს ოლადის ქვაბი ავიღვევით. ამოვედით კარწახს, დავდეგით ივლისსა იბ დღესა... (ქ. ცხ., 290).

ესრეთი ძვირფასი ცნობები შემატყინეს შესხურ ამოუწერია დავითნის ქრონიკილამ, რომელიც სრულად გამოსცა ერთაყაი შვილმა.

## 2. ენა ქართლის ცხოვრებისა.

რახან გავიცანით ქრონიკები, რომელნიც შეადგენენ ერთეულს დიდს კრებულს, ქართლის-ცხოვრებად წოდებულს, საჭირო აღარც კი იყო ამ კრებულის ვითარცა ისტორიულის ძეგლისა, სინამდვილის აღსანიშნავად შევხებოდით მისს ენას ც. გარნა ჩვენ მაინც რაოდენიმე სიტყვას ვიტყვით ამ საგნის შესახებაც.

უწინარეს ყოვლისა უნდა შევნიშნოთ, რომ როდესაც ქართველები ამბობენ, ესა და ეს თხზულება დაწერილია „ანტონის ენით“, „რუსთაველის ენით“, „ათონის მამათა ენით“ ანუ „პეტრიწონულით“, „ჩახრუხაულით“, „არჩილურაით“ და სხ., ამით იმ აზრს ჰხატავენ, — ამა თუ იმ წიგნის დაწერივი ვის ჰბაძავდა, ვისი „ენით“ სწერდა, ჰბაძავდა იგი ანტონი კათალიკოზის წაბლალულს და მოუხეშავს ენას, თუ სწერდა მოკაზმულის და ძლიერის ენით რუსთაველისა ანუ ღვთიურ ენით შავთელისა, ფილოსოფოს პეტრიწონელისა ანუ შვათე საუკუნის მრავალ მოღვაწე მამებისა.

რადგან ქართლის ცხოვრების შემადგენელი ქრონიკები და წყაროები დაწერილია სხვა და სხვა დროს სხვა და სხვა პირთაგან, ამის გამო ამ ქრონიკებისა და წყაროების ენაც ერთნაირი არ არის. და ამიტომაც ენის მხრივ ქართლის ცხოვრებას ჩვენ ვყოფთ შემდეგ ნაწილებად, სახელდობრ:

1. ანბთა შეჯობელაბამდე
2. აქრას საუკუნის დასასრულამდე
3. მონგოლთა ხანას დასასრულამდე
5. ანტონის ეპოქის დასასრულამდე.

ქართლის-ცხოვრების ამგვარად განაწილების მიზეზს გვამღვეს თვით ჩვენის მატეანისვე ენა.

ა. წარმართულ დროინდელი სახელები თვეებისა გვხვდება მხოლოდ პირველს ხანაში.

ბ. არაბული და მონგოლური სიტყვები პირველს ხანაში არ არის; თუ სადმე გვხვდება ამგვარი სიტყვა, იგი უსათუოდ შეტანილია მერმენდელ გადამწერლებისაგან.

გ. ძველი სიტყვები თანდათან იცვლებიან:

ზორგა წირვად

შიტოლტა ბიჰვინტად

ეგურა ეგრისად, საეგროდ, ჯყონდიდად, რდიშად.

ოვსეთი ოსეთად

დაჩუბაჟ (დარღალან) დარიალად

აფშილი აფხაზეთად  
 სეფეწული ბატონიშვილად  
 მამის-მამა პაპად, ბაბუად  
 დედის-დედა დიდედად, ბებიად  
 მამის მამა ბიძად  
 ჭყორა მუხად\*)

დ. მამფალი, მუქუსმტე, მამამუქე, ბღჯანი... გვხვდება  
 დაახლოვებით მე-X საუკუნემდე.

ე. არაბთა მფლობელობის უამს შემოდის სიტყვები **დუკ-**  
**სმანა**, **მადრანა**, **მასრია**, **ამირა**, **აქიმა**...

ვ. ერისთავთ - ერისთავთა შემოდის, დაახლოვებით, მე  
 VIII—XI საუკ. და მალე ისპობა.

ზ. მე XI საუკუნითგან, დაახლოვებით, არსებითი ზმნის  
 imperfectum - ი იცვლება ვნებითი ზმნის ყოფა-ს imperfectum-ად.

### წასული უსრული (imperfectum):

| სგანუკად | მეგრულად | ძველ ქართულად | შემდეგ. |
|----------|----------|---------------|---------|
| ხვ-არდ   | ვ-არდი   | ვ-არიედ       | ვაუვ    |
| ხ-არდ    | არდი     | ხ-არიედ       | იუ'ვ    |
| არდ-ა    | არდ-უ    | არიედ         | იუო     |

ც. ზენა სოფლად უწინ იწოდებოდა ქართლი და მერმე  
 მესხეთი. ნეკრესს ძველად ერქვა ნელჭანი, ნენჭანი.

თ. თანდათან სრულიად გადის ხმარებიდან ასრეთი ფორ-  
 მები:

\*) ჭყორი დღეს მეგრულში ჭყონ-ად იხმარება. დავით და კოსტან-  
 ტინეს ცხოვრებაში, როგორც უკვე ვთქვით, საცა ქართლის-ცხოვრება  
 ჰხმარობს მუხას, იქ მამათა ცხოვრება ისევ ძველს ჭყორს სტოვებს.  
 მაგალ., „სანახებსა ჭყონდიდისასა, რომელ არს შეგრულითა ვნითა მუხა-  
 დიდი (ქ. ცხ., 174). „სანახებსა ჭყონდიდისასა, რომელ არს მეგრულითა  
 ვნითა ჭყორიდიდიჲ(მამათა ცხ., № 170, გვ. 159).

შეუკვეცებით (ქ. ცხ., 78) = უკვე შევცდით  
 შემომცასრულიყო (178) = შემოსრულ მცა იყო  
 ხულისა-დღე (73) = ხვალ, ხვალინდელ დღეს,  
 სადაათმე (98) = საიდგანმე, საიდანმე.  
 დაგატეობებ (111) = დაგატევებინებ  
 სიტყუაჲ საეროჲ (128) = ს. ერისადმი, საეროდ, საზო-  
 გადოდ სათქმელი სიტყვა-  
 შიგცნე სპარსნი (129) = მოგცე სპარსნი (შენ ანუ თქვენ).  
 მოკუდინ (130) = მოკვდი (ინგ. მოკ).  
 დილუამით (133) = დილომით, დიღმით  
 მინებ (136) ანუ მინა = მინდა, მნებავს.  
 მტკურადმდე (150) = მტკვრამდე  
 ხვასტაგი (172) = ხვადაგი,  
 მაქუნდა (178) = მქონდა, მაქვნდა  
 გაადგა (186) = განუდგა  
 გორგასალი (188) = გორგასლანი  
 ვეჟინი, უჟარმა (196) = ვეჯინი, უჯარმა  
 ეყოლა (205) = ენათესავებოლა; „ეყოლა მამის ძმის წუ-  
 ლის წულად“.

### ი. აცვლებს მართლწერას:

აგოკსტოსი — აგვსტო — აგვისტო  
 ჩუნ — ჩუნენ — ჩუნ — ჩვენ (ინგილ. ჩონ, მეგრ. ჩქი)  
 საბერძნეთა — საბერძნეთი  
 კტოეთი — კხოეთი კახეთი  
 ოკფალი — ოფალი — უფალი  
 ამენ — ამინ  
 თაყყუანისცემა — თაყვანისცემა  
 ცხორებაჲ — ცხოვრება  
 პატრიარქი — პატრიარქი  
 ბოდი — ბუდი — ბოდბე  
 საბასტანით (ვარიან. 47) — საიდგან  
 მღდელი (59) — მღუღელი — მღვდელი მღუღელი (ინგ.  
 ღდელ)

დღენდელად დღედმდს—ღღეენდლოამდე  
 ჰრქუა—ჰქუა—რქვა

(სვანურად)

|       |       |       |
|-------|-------|-------|
| მ-ქუა | მ-ქვს | მა-ქუ |
| გ-ქუა | გ-ქვს | გა-ქუ |
| ჰ-ქუა | ჰ-ქვს | ხა-ქუ |

უკუნააჩრე დავრჩი (ჰნ)=უკან რო დავრჩი  
 ვაჲ თავსა ჩემსა, რომელ არა წინარს მოვკუედ (ჰ4)  
 ვაჲ ჩემს თავს, რომ წინათვე არ მოვკვდი.

იპ. ზაროვნებითი ნაცვალისსხელი ში, შა, შე:

| ძგეჯად          | ძეგრუჯად         | ქართუჯად        |
|-----------------|------------------|-----------------|
| მო-მე-ც(ი)      | ქო-მუ-ჩი         | ქვე-მო-გვე-ც(ი) |
| მო-მი-ტევენ     |                  | მო-გვი-ტევე     |
|                 | მა-პატიი         | გვა-პატიე       |
| ნუ შე-მი-ყვანებ | ნუ შიშა-მიყონანქ | ნუ შეგვიყვან    |
| მი-ხსნენ        |                  | გვიხსენ.        |

იზ. ფულის სახელები

ძეკეჯად: მონკოჯების დროიდან შახაზას დროიდან

|              |                        |       |
|--------------|------------------------|-------|
| დრაჰკანი     | თანგი                  | აბაზი |
| ფლოური.      | ყაზანური               | შაური |
| დუკატი       | მანათი                 |       |
| ალექსატი     | ფული                   |       |
| პერპერა      | გიორგული (გიორგი ბრწყ. |       |
| თეთრი (ვერც- | ფული)                  |       |
| ხლის ფული)   | გროში (ოსმალ-ყურუმ)    |       |

იზ. მონკოჯური (თათრული) სიტყვება და ფრასები

|              |                 |
|--------------|-----------------|
| ჯილ—წელიწადი | თენგრი — ლმერთი |
| ყალოუნ—თავვი | მანგუ—უკვდავი   |

უქურ—ზროზა  
 ფარსინ—ავაზა  
 თავლინ—კურდღელი  
 ლუილ—ვეშაპი  
 მოლილ—გველი  
 მორილ—ცხენი  
 ყონი—ცხვარი  
 მეჩინ—ყაპუზუნა  
 თალან—ქათამი  
 ნოხინ—ძალი  
 ყაყაინ—ლორი  
 ქუნჯით—კერპთაყვანისმცე-  
 ყურნუ—საბჭო [შელი  
 ნოინ—ერისთავი, მთავარი  
 შანა—ციხის მცველი

ქუჩუნ—ძალა  
 ქუჩუნდურ—ძალითა  
 აპლა (არაბ—ღმერთი (გვ. 363)  
 ულდაჩ—მეხმლე (379)  
 სუქური—საგრილობელი  
 ყაფჩაჩ—მეტანისამოსე  
 ბაშმაყ—ქუსლიანი ფოსტლები  
 ყორჩი—მცველი  
 ევჩი—ეზოს მოძღვარი  
 მანღულ—თათარი (მონგოლი)  
 ღუმანი—ბევრი (10,000)  
 ქოუნ—ბატონიშვილი  
 ყარაული—დარაჯი  
 დივანხანა—სამსჯავრო სახლი  
 (423)

„თენგარიმეთუ ქაურქურბაჲ,  
 ბელარმეთუ ბუირლაჯი“.  
 „მან ქუშტემ ჩალატარ“

„ვითა ღმერთი გრვინვიდეს  
 ვითა აქლემი ბულრობდეს.“  
 „მე მოვკალ ჩალატარ“

ესა და ამისთანა სიტყვები და ფრაზები მატიანის (ქართ-  
 ლის-ცხოვრება) ძველს ნაწილში არ არის, არამედ მხოლოდ  
 ქ. ცხოვრების 342 გვერდს ქვემოდ.

### 3. გადასახვაფრება და გარყვანა მატიანის მოთხრობისა

რომ ძველი ნაწერები ხშირად ირყენებოდა დროს განმავ-  
 ლობაში, ეს ვიცით მსოფლიო ისტორიიდანაც და საღმთო წე-  
 რილის მატიანიდანაც. ქართული წიგნებიც არ უნდა გამოირ-  
 ჩეოდნენ ამ საზოგადო წეს-კანონიდან.

ჩახან გამოიცემოდა წიგნი, ე. ი. ხელნაწერი ერთად ერთ  
 ცალად დაიწერებოდა, მისგან იღებდნენ პირს, ერთს, ორს თუ  
 ბევრს და უგზავნიდნენ სხვა მონასტრებს, სხვა და სხვა სავა-

ნებს; ამ სავანეებსა და მონასტრებში კიდევ გადმოსწერდნენ ხოლმე პირებს და თავის მხრივ ავრცელებდნენ ხალხში, მიდამო მონასტრებსა და სავანეებში.

ხშირად, პირვანდელ ხელნაწერის მესამე, მეათე თუ მეოცე პირი დედნად ხდებოდა და მისგან ისევ გადაჰქონდათ პირი როგორც ნამდვილ დედნიდამ. საკვირველი იქნებოდა, წიგნის გამომცემლობის ამგვარ წესის გამო პირვანდელი დედნის ნაწერი მერმენდელს მისს პირებშიაც შეურყვნელი ყოფილიყო.

ჩვენ გვაქვს უტყუარი ცნობები, რომ ძველი ქართული წიგნება, დაწერილი მე X საუკუნემდე, საკმაოდ შერყვნილიყო და ამის გამო ათონის მამებმა მე X სა და მე XI საუკუნეში ესრეთი წიგნები ხელახლა გადაშინჯეს, შეასწორეს ანუ ახლად თარგმნეს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ბრძენი კაცები მოწინებით და დიდის სიფრთხილით ასრულებდნენ საქმეს, მაინც მათს ნაწერებშიაც შეპარულა არა ერთი „მრუდი“ და შეცდომა, რასაც, როგორც სჩანს ჩვენ მიერ განხილულ ხელნაწერებიდამ, აღნიშნავენ მათივე „უცბად მხხრეკელები“. ამ „უცბად-მხხრეკელებს“ ანუ, ეხლანდებულად რომ ვსთქვათ, კორრექტორებს მინდობილი ჰქონდათ წიგნის გადაწერის შემდეგ ახალის ნაწერის ძველთან შედარება, დედნის თანახმად გასწორება, დაკლებულის დამატება, დამატებულის გამოკლება, „მრუდის“ გამოთხეკა და „სწორით“ შევსება. უცბად-მხხრეკელის შრომა გადამწერისაზედაც დიდი და საპასუხო იყო.

ზარნა ყველა წიგნს არა ჰყვანდა უცბად-მხხრეკელი: ხშირად საქმე თავდებოდა გადამწერლის ხელით და მისს შეცდომებს მის დედნიდამ სხვა გადამწერლები იმეორებდნენ.

ჩვენ გაგვიკვირდებოდა, რომ ქართლის-ცხოვრებას ჩვენამდე „მრუდებ“ აცილებულს მოეღწია, მით უმეტეს, რომ ეს დიდი წიგნი დაწერილია არა ერთის კაცისაგან, არა ერთს დროს, არა ერთის ენით.

მსეთი თხზულებანიც კი, როგორც „ვეფხისტყაოსანი“, „აბდულმესიანი“ და „თამარიანი“, შეურყვნელად, შეუმატებლად ანუ შეუმოკლებლად ვერ გადარჩნენ.

ღიახ, ჩვენ არა თუ არ უფარ ვყოფთ, რომ ქართლის-  
ცხოვრებაში არის შერყენილი ადგილები, პირიქით, კიდევ  
აღვნიშნავთ, რომ ამგვარი ადგილები ბევრია, მეტადრე მატეა-  
ნის ძველს ნაწილში, მე VII—IX საუკუნემდე.

მსრეთი შერყენილება მოჰხდა სხვა და სხვა პირთა წყა-  
ლობით, სახელდობრ გადამწერლებისა, შემმუშავებლებისა, გა-  
მომცემელ დამბეჭდველებისა და სხ.

აღვნიშნავთ, ამათგან ვის რა წილი ხვდება ქართველთ  
მატიანის შერყენაში.

მ. ჯანაშვილი

(შემდეგი იქნება)

# უცხოეთის მიმოხილვა

1. დრეიფუსის საქმე და დემოკრატიის ძალა საფრანგეთში.—2. მომავალი არჩევნები გერმანიაში.—მ. ესპანია

დიდი ხანი არ ვასულა მას შემდეგ, რაც დრეიფუსი და აბრუნეს „ემმაკის კუნძულიდან“ და მეორედ გაასამართლეს, მაგრამ როგორ არ ჰგავს მაშინდელი საფრანგეთი დღევანდელს, როცა სახელგანთქმულმა დეპუტატმა ჟორესმა ისევ აღამაღლა თავისი მქუხარე ხმა უდანაშაულოდ დასჯილ ადამიანის უფლების აღსადგენად!

მაშინ მდგომარეობის ბატონი გალაღებული ამაყი გენერლები იყვნენ, იეზუიტების სასახლოდ აღზრდილები. როგორის რიხით და როგორის გაბედულებით კიცხავდნენ და სამშობლოს მოღალატის სახელით ნათლავდნენ ყველას, ვინც კი ბედავდა და სიმართლეს, ადამიანის უფლებას ესარჩლებოდა. ყალბის მქნელობა, ცილის წამება, საშიშ ცრუ ხმების გავრცელება და კიდევ ყალბის მქნელობა აი ის იარაღი, რომლის საშუალებით გაიმარჯვებ გენერლებმა და მათმა პატრონ იეზუიტებმა რენის პროცესში და სრულებით უდანაშაულო კაცი მეორედ იცვნეს დამნაშავედ. მაშინდელი მთავრობა იძულებული გახდა სასამართლოს დანაშაულის გასასწორებლად დრეიფუსი ამნისტიაში მოექცია, მაგრამ ამნისტია ხომ სიმართლის გამარჯვება არ არის; ამნისტია პატიებაა და მხოლოდ ბრალიანს ესაჭიროება. რათ უნდა პატიება უბრალოს, მართალს!

სახელოვანი ზოლა, რომლის ძლიერმა ხმამ შესძრა მთელი საფრანგეთი და უცხოეთიც, რენში დამარცხდა, მაგრამ საფრანგეთი საფრანგეთი არ იქნებოდა, რომ არ გამკლავებოდა მის სახელის გამტებ ბნელ ძალას და შეშფოთებული საზოგადოებრივი სინიღისი ხალხისა არ დაემშვიდებია.

14

1903წ.

1  
2  
3

# ქართულთა მათიანე

## ა. გადამწერნი.

1. ჩვენ დღეს გვაქვს აგრეთვე ე. თაყაიშვილის-მიერ და-  
ბეჭდილი ვახტანგ მეფის წინა დროის ქართლის-ცხოვრება; მი-  
სი დედანი გადაწერილია 1646 წლამდე ტოსტომ მეფის მეუ-  
ღლის მარიამისთვის, ე. ი. მაშინ, როდესაც ვახტანგი ჯერ არ  
იყო დაბადებული. გვაქვს აგრეთვე მე XII საუკუნეში სომხუ-  
რად ნათარგმნი ქართლის ცხოვრება, Chronique armeniene-  
ში შეტანილი.

პირველი ვარიანტის გადამწერს და მეორის მთარგმნელს  
საკმაოდ შეურყენიათ „ქართლის ცხოვრება“. ხუცურის კარგად  
ლუკოდინარობისა თუ გაუფრთხილებლად წერისა და თარგმნის  
გამო მათ აპრევიათ ასოები და გაურყენიათ შემდეგი საკუთა-  
რი სახელები:

| ქ. ცხოვრებათ: | Chron-arm. | მანდაძის ვარაანტით: |
|---------------|------------|---------------------|
| შიოშ          | ბიობ       | ბიობ                |
| არშაკ         | არბაკ      | არბაკ               |
| არდაშირ       | არდაბირ    | არდაბირ             |
| მოზიდან       | მოშიდან    | მოშიდან             |
| შაბურ         | ბაბურ.     | ბაბურ.              |
| ჯუანშერ       | ჯუანბერ    | ჯუანბერ             |
| და სხ...      |            |                     |

\*) იხ. «მოამბე» № 4. 1903 წლისა.

მსრეთი შეცდომა მომხდარა იმიტომ, რომ ხუცურად დაწერილს ქართლის ცხოვრებაში გადამწერსა თუ მთარგმნელს შეშლიათ მსგავსი ასოები,

| ხუცური | და | მხედრული |
|--------|----|----------|
| ა      |    | ი        |
| კ      |    | ბ        |
| მ      |    | რ        |
| ლ      |    | ო        |

ამისთანა შერყვნა და სიმახინჯე მართლწერის მხრივ მარიამის ვარიანტში ბევრია.

2. ჭართ. ცხოვრებით მირიან მეფის მეუღლე დედოფალი ნანა იყო ბერძენი. ერთ ადგილას მემატიანის მიერ წერებულად რომ ამ დედოფლის ბიძა „ხუარა სნეული იყო“-ო. დროთა განმავლობაში ეს ფრაზა გადასხვაფერებულა, სნეული ხუარა ხუარასნელად (ხვარასნელად) გადაქცეულა!

ეს სიყალბე გამოირკვა მხოლოდ მაშინ, როდესაც აღმოჩნდა მეათე საუკუნეში გადაწერილი შატბერდის კრებული. ამ კრებულში შეტანილი ქრონიკა მოქცევაჲ-ქართლისაჲ პირდაპირ ამბობს, რომ „ხუარა სნეულ იყო“\*) და ნინომ გაჰკურნაო. (გვ. 36)

### ბ. შემუშავებულნი.

1. ქართლის ცხოვრების პირვანდელს ნაწერს გადასხვაფერებდნენ და ადგილ ადგილ განაახლებდნენ ქრისტომატიებისა და კრებულების შემადგენელნიც, რომ ადვილი გასაგები გამხდარიყო მოსწავლეთათვის და ერისა, რომელსაც ამ ძველად ნაწერებს უკითხავდნენ მღვდელნი ეკლესიებში. რომ ეს ასრე

\*) ჭართ: ცხოვრება (გვ. 84): „მოგვი იგი მთავარი სპარსი სახელით ხვარასნელი იყო“. იგივე ჭართლ. მოქცევით (გვ. 36): „მოგვი მთავარი სპარსი ხუარა სნეულიყო... იყო მთავარი იგი დედის ძმანაჲსი დედოფლისაჲ“

იყო, ამას ცხად ჰყოფს შედარება ოთხის ვარიანტის მოთხრობისა შესახებ მცხეთის ჯვარის აღმართვისა:

| ქარ. ცხ.<br>(ბგ. 99)   | ძარ. ვარიანტი<br>(ბგ. 103)          | შატბ. კრებული<br>(შე-X-ს)                                     | შე-X-XI საუკ.<br>კრებული*)                                      |
|--|-------------------------------------|---|---|
| ყოველმან ქართლმან დღეინდელად დღემდე                            | ყოველმან ქართლმან დღეინდელად დღემდე | ყოველმან ქართლმან ვადრე დღენდელად დღემდღმ და ვიდრე უკუნისამდე | ყოველმან ქართლმან ვიდრე დღენდელად დღემდე                        |
| და იყო რაოდენისამე დღისა შემდგომად მარტვილსა უკანისა           | **)                                 | და იყო რაოდენისამე ჟამისა შემდგომად მარტვილის უკუნა           | და იყო რაოდენისამე ჟამისა შემდგომად მარტვილისა უკუნა            |
| იხილეს სასწაული დიდად საშინელი დღესა ოთხშაბათსა                |                                     | იხილეს სასწაული დიდი და საშინელი დღესა ოთხშაბათსა             | დღესა ოთხშაბათსა იხილეს საკვრველებად დიდი და საშინელი სასწაული. |
| აჲ ესე რა სვეტი ერთი ნათლისა სახედ ჟუარისა დგა ჟუარსა მას ზედა | აჲ ესე რა სვეტი ერთი ერთი...        | აჲ ესერასვეტი ნათლისა სახედ ჟუარისა და ზედა ჟუარსა მას        | და აჲ ესერასვეტი ნათლისა სახედ ჟუარისა და დგა ზედა ჟუარსა მას   |
| და ათორმეტნი ვარსკვლავანა სახედ                                |                                     | და ათორმეტნი ანგელოზნი და გვრ-                                | და ათორმეტნი ანგელოზნი და-                                      |

\*) „აღმართება ჯვარისა“ (ხელნაწ., № 144) დაგებულეთ „იკერიანი“ (1898, № 185, 190, 191)

\*\*\*) ცარიელი ადგილი ნიშნავს, რომ ვარიანტი შიაც ისეა, ვით ქცხოვრებაში.

გზრგზნისა გარემ-  
ის მისისა

გვირგვინი-  
სა . . . . .

გზნებუდი იუვნეს  
გარემოჲს მისა;

გზრგზნებულ  
იუვნეს.

ეგრევე სხედ ათ-  
ორმეტნი ვარსკუ-  
ლაენი და გზრგზ-  
ნებულ იუვნეს.

ხოლო ბორცვ  
იგი ჟურისა  
კმეოდა სხედ  
სუღნელად

ხოლო ბორცვი  
იგი ჟურისა  
კმეოდა სხედ  
სურნელად

ხოლო ბორცვ  
იგი ჟურისაჲ  
ერთსხედ კუ-  
მოდა სუღნელად

ხოლო ბორცვ  
იგი ჟურისაჲ ერ-  
განს(დ\*) კუმოდა  
სუღნელად

და ხედვდეს  
სასწაულსა აჲს  
უოველნი და  
მრავალნი უდ-  
რითოთაგანნი  
?ოიქცეს და  
ნათელს იღეს  
მას დღესა შინა.

და ვითარჲხედვ-  
იდეს სასწაულ-  
სა მას, მრავალნი  
უდმრთოთაგანნი  
მოიქცეოდეს და  
ნათელს იღებდეს  
და ალაშენებდეს  
ეკლესიათა

და უოველი ხედ-  
ვიდეს სასწაულსა  
მას, მრავალნი  
ოდოთა განნი  
მოიქცეოდეს და  
ნათელს იღებ-  
დეს და ალაშენებ-  
დეს ეკლესიათა

ხოლო ქრისტეანენი  
უფროს მორწმუნე  
იქმნებოდეს და ადი-  
დებდეს ღმერთსა

ხოლო მორწმუ-  
ნენი უფროჲს გა-  
ნმტკიცებოდეს  
და ადიდებდეს  
ღმერთსა

ხოლო მორწმუ-  
ნენი უფროს გან-  
მტკიცებოდეს  
და ადიდებდეს  
ღმერთსა

მერე კვალად  
იხილეს სხუაჲ  
სასწაული ჟუ-  
რისაჲ: ვითარ-

მერე კუა-  
ლად იხი-  
ლეს სხუა

და მერე კვალად  
იხილეს სხუაჲ სას-  
წაული ნატოისნ-  
ისა ჟურისაჲ:

და მერე იხილეს  
სხუაჲ სასწაული  
ნატოისნისა ჟუ-  
რისაჲ: ვითარცა

\* აქ ც-დ ქვეულა თ-ანი პირველი სიტყვისა (ერ-თ) და ს-ანი მეორე სიტყვისა (ს ახე). შეადარე: მადს=მადს=მაც (ვალად მადს, მადევს, მადევს); გვერდს=ინგ. გვერც (ახლოს)=მეხს. გუერც (სამი ქრონ., 89). ამავე კანონისა გამო: ათსამმეტრი=ათცამმეტრი=ცამმეტრი (ა-ნი ყველგან გამოტოვებულია: (ა) თერომეტრი, (ბ) თორმეტრი, (ვ) ცამმეტრი).

რა ცეცხლი ღვა  
თ ვსა ზედა მისსა  
შვიდ წილად მზისა  
უბრწყინვალესი

ვითარცა ცეცხლი  
ღვა და ვითარცა  
აღი ეგზეობდა  
ზედა თავსა ჟუარ-  
ისისსა სამგზის  
მზისა უბრწყინ-  
ვალესი

ცეცხლი ღვა და  
ვითარცა აღი აღი-  
გზეობდა ზედა  
თავსა ჟუარისისა  
შედგებოდა მზისა  
უბრწყინვალესი

ვითარცა სახმილსა  
ხაბურწყაღნი აფ-  
ღენ, ეგრე სახედ  
ანგელთსნი ღვთი-  
სანი აფიდოდეს  
და გარდამოვიდო-  
დეს მას ზედა

ზედა დაად-  
გრამას ვით-  
არცა საკმი-  
ლისა

და ვითარცა სა-  
კუმიღსა რა  
ხაბურწყაღი აღ-  
ვალნ ძლიერად,  
ეგრე სახედ იუო:  
აფიდოდეს ანგე-  
ლოზნი და გარ-  
დამოვიდოდეს ზე-  
და ჰატოისისსა  
ჟუარსა

და ვითარცა საკუ-  
მიღისა რა ხაბურ-  
წყაღი აფაღნ ძლი-  
ერად, ეგრე სა-  
ხედ ანგელოზნი  
აფიდოდეს და გა-  
რდამოვიდოდეს  
ჰატოისისსა ჟუარ-  
სა

ხალთ ბორცვი იგი  
ჟუარისა იძვრდა  
ძლიერად და ვი-  
თარცა სასწაული  
იგი დასცხრებოდა,  
ეგრეთვე ძრვა იგი  
დასცხრებოდა

ხალთ ბო-  
რცვი

ხალთ ბარცვი იგი  
ჟუარისა იხარებ  
და ძლიერად და  
უფელი ქუეყანა  
იბრძვოდა და მთა-  
თა და ბორცუთა და  
დედეთა არმური  
სულნელებისა  
აფიდოდა ცამღ  
და კლდენი შეი-  
მუსრფოდეს და სუ-  
ლნელებსა დიდძა-  
ლი მიეფინებოდა  
უფელსა ქუეყანასა  
და ესე არა ზედა-  
მოეთ იუო და არ-  
ცა თანა წარსულით,  
არამედ მუჟარ ჟამ  
და კმანი დიდნი

ხალთ ბორცვი იგი  
ჟუარისა იხილუ-  
ებდა ძლიერად და  
უფელი ქუეყანა  
იბრძვოდა და მთა-  
თა და ბორცუთა  
და დედეთა არ-  
მური ნისლისა  
სულნელებისა აფ-  
ვიდოდა, კლდენი  
შეიმუსრფოდეს და  
სულნელებსა დი-  
დი მიეფინებოდა  
უფელსა ზედა  
ქუეყანასა და ესე  
არა ზედა მოეთ  
იუო, არცა თანა  
წრტაცებით, არა-  
მედ მუჟარ ჟამ

(აკლთა)

ისმადეს და უო-  
ველი იგი ერი  
ჭხედვიდა მას და  
ესმოდა ოხრად იგი  
გაღობისაჲ.

კმანი დიდნი უხ-  
რადეს და უოველი  
იგი ერი ხედვიდა  
ამას და ესმოდა  
ოხრად იგი გაღო-  
ბისაჲ მას

ვითარცა იხილეს  
სასწაული იგი,  
დაუკვრდა უოველ-  
თა უფროსად და  
უმეტესად აღიდ-  
ებდეს ღმერთსა

შეშინდეს და დაუკვრ-  
და ფრად, შიშით და  
ძრწოლით თაუვანის  
სცემდეს ჰატოისანსა  
ჯუარსა და სიხარულითა  
დიდითა აღიდებდეს  
ღმერთსა

შეშინდეს და უკვრდა  
ფრად. ხიჯვად იგი  
კანუკვრდებოდა, შიშით  
და ძწულით თაუვანის  
სცემდეს ჰატოისანსა  
ჯუარსა და სიხარულითა  
დიდითა აკურთხევდეს  
და აღიდებდეს ღმერთსა

და ვითარცა  
იქმნებოდეს სა-  
სწაულნი იგი  
წლითი წლად და  
უოველი იგი ერი  
ხედვდეს, შიშით  
და ძრწოლით მ-  
ვიდოდეს თაუ-  
ვისცემად გულის-  
მოდგინედ

და იყო რადენისაჲ  
ჟამისა შემდგომად ვითა-  
რცა სასწაულნი და ხიჯ-  
ვანი დასცხრებოდეს ეგ-  
რევე ძრვანი იგი დიდ  
დიდნი და საშინელები  
დავესცხრეს და შემდ-  
გომად ამისა სხუანი მრ-  
ავალი სასწაულნი და ნი-  
შნი იქმნებოდეს ზედა  
ჰატოისანსა ჯუარსა ზე-  
ცით გარდამო და ჭხედ-  
ვიდა უოველი ერი და  
შიშით და ძრწოლით  
მივლენედ თაუვანისცე-  
მად გულისმოდგინედ ჰა-  
ტოისანსა ჯუარსა და  
სიხარულით აღიდებედ  
ღმერთსა

და იყო რადენისაჲ ეს-  
მისა შემდგომად, ვითა-  
რცა სასწაულნი იგი და  
ხიჯვანი დასცხრებო-  
დეს, ეგრეცა ძრვად იგი  
დიდი და საშინელი და-  
ვესცხრებოდა და შემ-  
დგომად ამისა სხუანი  
მრავალი სასწაულნი იქ-  
მნებოდეს ჰატოისანისა  
ჯუარისა ზედა ზეცით  
გარდამო და ხედავნი მას  
უოველი იგი ერი და  
შიშით და ძრწოლით  
მივლენედ და თაუვანის  
ცემედ გულისმოდგინედ  
ჰატოისანსა ჯუარსა და  
წარვიდიან სიხარულით  
და აღიდებედ ღმერთსა.

მას ჟამსა რევის ძეს  
მეფისასა ესკა ურმა  
მცირე წული, და  
იყო სნეულ და მიწვე-  
ნულ იყო სიკუდილად,  
და იგი ოდენ მხოლოდ  
ესკა მათ

მას ჟამსა იყო ვინმე  
კაცი ერთი მამიში  
ღუთისაჲ, რომელსა  
ერქუა რევ, ძმ მეფი-  
საჲ, და იყო ძმ რე-  
ვისა სნეულ და მი-  
წვენულ სიკუდიდ

მას ჟამსა იყო ვინმე  
კაცი ერთი მამიში  
მღუთისაჲ და მსახუ-  
რი ქრისტესი, რომ-  
ელსა სახელი ერქუა  
რევ, ძე მეფისაჲ და  
იყო ძე რევისი სნე-  
ულ და მიწვენულ იყო  
იგი სიკუდიდ

მოიღო და დაღვა იგი  
წინაშე ჯუარისა წმი-  
დისა და ცრემლით ით-  
ხოვდა

რამეთუ იგი ხოლო  
მარტოჲ ესკა: მოი-  
ღო იგი და დაღვა  
წინაშე პატრიარხისა  
ჯუარისა და ცრემლით  
ითხოვდა მისგან

რამეთუ იგი ხოლო  
მარტო ესკა მას.  
მოიღო იგი და დაღვა  
პატრიარხისა ჯუარისა  
წინაშე და ცრემლით  
ითხოვდა მისგან:

უკეთუ მომიბოძო  
ურმა ესე ცოცხალი,  
აღვაშენო კუბო  
საყოფად შენდა.

უკეთუ მომიბოძო  
ურმაჲ ესე, გუმბადი  
აღვაშენო საყოფელად  
შენდა.

უკეთუ მომიბოძოს  
ურმაჲ ესე ჩემი,  
გუმბადი აღვაშენო  
საყოფელად შენდა.

და მუნთქვესვე განი-  
კურნა ურმა იგი და  
განკურნებული და გან-  
ცოცხლებული წარი-  
უგანა

და ვითარცა იგი მწა-  
რედ და უწეინოდ ტი-  
როდა წინაშე პატრი-  
არხისა ჯუარისა, მუნ-  
ქვესვე განიკურნა ურმა  
იგი და სიხარულითა  
დიდითა წარიუგანა და  
ადიდებდა ღმერთსა  
და პატრიარხისა ჯუარისა

და ვითარცა იგი მწა-  
რედ და უწეინოდ  
ტიროდა პატრიარხის  
ჯუარის წინაშე, მუნ-  
ქვესვე განიკურნა ურმა  
იგი მისი და სიხარ-  
ულითა დიდითა წა-  
რიუგანა ურმაჲ იგი  
მისი განკურნებული  
და ადიდებდა ღმერთ-  
სა.

...მაკრითგან უფრო  
მოვიდოდეს ყოველნი  
უძლურნი და სნეულ-

...და მიკრითგან უფ-  
როს და და უმეტეს  
მოვიდოდეს სნეულნი

... მიერ ჟამითგან  
უფროს ხოლო და  
უმეტეს მოვიდოდეს

ნა, განიკურნებოდეს და სიხარულით ადიდებდეს ჯუარსა წმიდასა ქრისტესსა

მრავალნი და უძღურნი და განიკურნებოდეს და სიხარულით ადიდებდეს ღმერთსა და ჰატიოსანსა ჯუარსა

სნეულნი მრავალნი და უძღურნი და განიკურნებოდეს და სიხარულით ადიდებდეს ჰატიოსანსა ჯუარსა

მს შედარება გვიჩვენებს, რომ თუმცა ვარიანტი № 144 გადაწერილია მე X—XI საუკუნეში, გარნა მას უფრო ძველი ფორმები დაუცავს, ვიდრე დანაშთენს ვარიანტებს, მისი ძველი ფორმები გაუმარტივებიათ, შეუმოკლებიათ. მაგალითები:

№ 144

შატბ. კრებ.

მორაჲიქცა  
მასწავეს  
ხელავნ  
თაყუანისცემედ  
და მეყსეულად აღღგა  
მეფტ იგი სიხარულით და  
ყოველი ერი მისთანა,  
მივიდეს ხილვად ნიშისა მის  
ჯუარისა და ჰა იხილს  
სახს იგი ჯუარისაჲ  
მის უკვრდა ფრიად

რაჲამს მოიქცა  
გუასწავეს (მა==გუა)  
ხელვიდა  
თაყუანისცემედ  
და მეყს აღღგა მეფტ  
იგი და ყოველმან ერმან  
იხილეს სახს იგი  
ჯუარისაჲ მის და  
უკვრდა ფრიად

ხელავნ, მიგლქნედ, თაყუანისცემედ... ქართ. ცხოვრებაში გადაქცეულა ხელვდეს-ად, მივიდოდეს-ად, თაყვანისცემად და სხ.

2. აი კიდევ ერთი ადგილი როგორ შეურყვნია მატია ნის შემმუშავებელს, ადგილი, რომელიც ყოფილა დამყარებული ერის გადმოცემაზე, რომ ქვეყანა გეშანჯუა დაყრდნობა-ლი და მისი განძრევა მიწის ძვრას მოაველენსო.

მატანე (გვ. 85)

შატბ. კრებული (გვ. 38)

...იძვრინ ქუეყანაჲ სიმძაფრითა და ჰრბინ მებისტეხანო და ყოველსა მთასა (?) ეგზეზბინ გულისწყრომითა მათითა; ანუ ოდეს შეიძრას ყოველი ქუეყანაჲ ვიდრემდის დაირღვიონ მთანი და მყარნი კლდენი და ქვანი.

იძვრინ ქუეყანაჲ სიმძაფრითა მისითა და რბიოდინ მებისტეხანი კუალსა მისსა, ეგზეზბინ ცეცხლნი გულისწყრომითა მისითა, ანუ ოდეს შეიძრას გეშაჲ იგი დიდი, რომელ არს ზღუასა შინა და შექმას ყოველი ქუეყანაჲ ვიდრემდის დაირღვან მთანი მყარნი კლდენი.

როგორც ვხედავთ, კეთილმსახურ შემუშავებელს მატანიდგან გამოუდევნია ყოველივე, რაც ბუნების ძალით ხდება და არა ღვთის ბრძანებითა და ძლიერებით

### ბ. „ცხოვრებათა“ წეს-რიგის შემცვლელნი.

ქართლის ცხოვრების ძველს ნაწილში, ზოგიერთგან, მეფობა ამა თუ იმ ხელმწიფისა არეულია, წინა-უკმო გადატანილ—გადმოტანილია. ვის შეეძლო მოეხდინა ასეთი არევ-დარევა, თუ არა მკაზმავს და ანუ ვისმე წინდაუხედავს გადამწერს?! მაგალითებიც გვაქვს. შატბერდის კრებული და მეთაე საუკუნის საგალობელი მკაზმავს რვეულების არევით აუკინძავს. გამოუცდელს კაცს რომ ამ ძეგლებიდან გადაეღო პირი ისე, როგორც აკინძულია, ახალს წიგნში და მისგან გადაწერილებში დიდი ანახრონიზმები იქნებოდა. შეიძლება ესრე მოსვლოდეს ქართლის-ცხოვრების ძველს ნაწილსაც, რომლის სათანადოდ შესწორება დღეს ძნელი აღარ არის, რადგან, ჩვენს წყაროებს გარდა, ხელთ-გვაქვს ბერძენ-რომაელ მწერლების ნაამბობიც ჩვენის მეფეების შესახებ.

1. მეფე ანტაკი (ქართ. მოქცევით ანაკი) ქართლის ცხოვრებითაც ცხოვრობ იმ ეპოს, როდესაც პონტოს მეფე მიტრიდატ დიდი ებრძოდა რომაელებს (120—63 ქრ. წ.) და

როდესაც პლუტარხისა, აპიანისა და ფლორის მოწმობით ივერიაში მეფობდა Ἀρθῶχος Arthoces.

პრიკი შეიძლება იყოს იმავე დროის რომელიმე მეფე ქართველთ თემისა, კოლხიდისა ანუ ალბანიის. ამ ალბანიის მაშინდელ მეფეებს ერქვათ: არისტარქოს (გან, 166), Orhozes (იქვე, 172), Ὀροῖζη (იქვე, 165), Horoses (იქვე, 172), Orodes (იქვე, 192).

2. ძრისტეს დაბადების საუკუნის მეფობანა არეულია, თუმცა და ამ საუკუნის ქართველთ ისტორია ჩვენს წყაროებშია და ბერძულ—რომაულეზშია, საზოგადოდ, ერთნაირია. მოგვყავს მოკლედ ესეცა და ის მოთხრობაც.

### 3. პარგელა საუკუნე

### პარგელა საუკუნე

ქართლას-ცხფრებით

ტატიტით (გან 115-123 173 და სხ).

ასტყდა ომი პართელთა, ქართველთა და სომეხთა შორის. სპასალარმა სუმბატ ბივრიტიანმა მოჰკლა სომეხთ მეფე იარვანდი და მოკლულის ძმა არტაშატი (არტაშანი) გაამეფა. ქართველებმა მოიწვიეს ოვსნი, ლეკნი, პაქანიკნი, ძურძუკნი, დიდონი და ჯიქნი, შეესივნენ სომეხთს, დაარბიეს შირაკაუნი და ვანანდი შაჰრევანამდე და ბასიანამდე და დიდის ნაშოგროით დაბრუნდნენ კამბეჩანს.\*) მარდი სუმბატ დაეწიათ და დაამარცხათ. ქართველები ამის შემდეგაც არ ეხსნენ

ძართველთა და სომეხთ ურთიერთ შორის ბრძოლამ გამოიწვია დიდი დეღვა პართელთა და რომაელთ შორის. იმპერატორი ტიბერიოს (14—37) ივერთა და ალბანელთ მეფეებს აქეზებდა პართის მეფე არტაბანისთვის აეტეხნათ ომი. ივერიაში მეფობდნენ მიტრიდატი და ფარსმანი, ძენი მიტრიდატისა. ამათ შეისმინეს ტიბერიოსის სიტყვა. გააღეს კასპიის კარები, მოიწვიეს სკვითნი და მიესივნენ არტაბანს, რომელსაც სომეხთი დაეჭირა. სკვითებმა გააოხრეს ეს მხარე და დაბრუნდნენ იმპერატორმა ხელახლა მიუსია-

\*) კამბეჩანი=კამბეჩიანი=სტრაბონის Καμψασην.

სომხეთს: არბევდნენ მას მარადის და ახრებდნენ.

ქართველების წინააღმდეგ ამხედრდნენ პართის მეფე არტაბანი და სუმბატი, გარნაიგინი არც კი შემოსულიყვნენ საქართველოში, რომ ასტყდა ომი საბერძნეთსა (რომსა) და სპარსეთს შორის და არტაბანი, რომელსაც ქართველებმა აღუთქვეს მშვიდობა, დაბრუნდა, რომ მიემხროს სპარსელებს.

ქართველები მალე ისევ შეებრძოლნენ არტაბანს, რომელმაც მტრების წინააღმდეგ თავისი შვილი ზარენი გამოაღლაშქრა. ქართველებმა დაამარცხეს პართელნი, ზარენი შეიპყრეს და დარიალანში დაამწყვდიეს. ოსები ქართველების მომხრენი იყვნენ.

ამის შემდეგ მესამე წელს გამოილაშქრეს სუმბატმა და ბატონი შვილებმა არტავაზმა და ტიგრანმა. ქართველებმა და ოსებმა ზარენი მისცეს და იგინი დაბრუნდნენ. გამეფდნენ არმავს ფარსმან-ქველი და მცხეთას მირდატ, ძენი ამაზასპისა და დეროკისა. მირდატი ბოროტი კაცი იყო და სპარსელებს მიემხრო, ფარსმანი ქველი იყო, ახოვანი, ძლიერი, კეთილი, და დაამარცხა მირდატი. ფარსმანის მშველელი და მწე იყო მისი ახოვანი სპასპეტი ფარ-

მიტრიდატი სომხეთს. ფარსმანიც მისი შემწე იყო. არშაკი მოჰკლეს ვნ წელს, ქართველებმა აიღეს არტაქშატი.

პართის მეფე არტაბანმა ქართველების წინააღმდეგ გაგზავნა თავისი შვილი ოროდი. ფარსმანმა მოიწვია სარმატნი და მოემზადა საბრძოლად. „აქ გმირები, იქ დავლაო“, ეუბნებოდა ლაშქარს მეფე. რაწამს გამოჩნდა ოროდი, მეფე ელვასავით მიუხდა, ცხენი დაატაკა, პართელნი იძლივნენ. ამის შემდეგ გამოილაშქრა თვით არტაბანმა, გარნა შეიტყო-რა, რომ რომაელნი შეესივნენ შუამდინარესო, დასტოვა სომხეთი, საცა გამეფდა მიტრიდატი, ძმა ფარსმანისა.

პართელთ მიიწვიეს ვარდანი, კაცი გამჰრიახი. მიტრიდატს შეველოდნენ რომაელნი და მის ძმას მეფე ფარსმანს რადამისტი, კაცი ფრიად მოხერხებული.

რადამისტი შეებრძოლა თავის ბიძას მიტრიდატს, დაამარცხა, წაახრჩო და გამეფდა სომხეთში, გარნა რომაელებმა მოსთხოვეს ფარსმანს გამოეყვანა სომხეთი-დამ რადამისტი.

52 წელს პართის მეფემ მონდომა სომხეთის ტახტზე დაესო თავისი ძმა ტირიდატი. გარნა ეს ვერ შესძლო. სომეხთ გამოაძევეს რადამისტი, რომელიც მოჰკლა (59 წ.) მისმავე მამამ ფარსმანმა.


ნავაზი. სპარსელებმა მიიბი-  
რეს მეფის მზარეული და მოა-  
წამვლინეს. ფარსმანი რომ  
მოკვდა, მირდატმა ისევ დაი-  
ჭირა თავისი წილი სამეფო.

ფარსმანის ძე ადამი წავი-  
და სომხეთს. რომაელნი და  
სომეხნი დაეცნენ მირდატს  
და მოჰკლეს ადამის შემდეგ  
გამეფდა მისი ძმა ფარსმან  
(ქართლის მოქცევით: მირ-  
დატ)

75 წელს ვესპასიანე ივერთ-  
მეფე მიტრიდატს, ფარსმანისა  
და იამაზდის ძეს, რომაელთა  
ერის მეგობარს, უშენებს ციხეს.

მსგავსება მოთხრობათა, ზოგიერთ წერიმალეებს გარდა,  
შესამჩნევია. შესანიშნავი აქ ის არის, რომ, როგორც ჩვენი  
მატიანეც მოგვითხრობს, მაშინ საქართველო მართლაც ორ  
ჯამეფოდ ყოფილა გაყოფილი და არმაზის მხრისას სომხეთიც  
სჭერია.

ამ სახით, ვხედავთ, რომ ჩვენს მეფეებს 1-ლს საუკუნეში  
უმეფნიათ ამ რიგად:



\*) მიტრიდატი ანუ მითრადატ სპარსულადა და ქართულად იგივე  
მირდატია.

\*) ტიბერიოს თანამედროვენი იყვნენ დიონ-კასიუსით (გან, 178).  
ტიბერიოს 14-დან 37 წლამდე მეფობდა.

## დ. ფარსმან II და ქე მისი ამჟსს

მთილამ ჩამოვიდა დიდი ჯარი ოსთა. მცხეთილამ მათ წინააღმდეგ გავიდა 30,000 მეომარი. ოსნი წარიქციეს. ფარსმანის ქე ამჟსსი წაეჩხუბა თავის დიდებულებს და სომხებს. წაედავენენ მას მეგრელი, კლარჯეთის ხუთნი მთავარნი და სომეხნი. ამათ შემწედ მოიწვიეს რომაელნიც. ამჟსსი დაამარცხეს, მოჰკლეს.

ფარსმანი, მეფე ივერთა, დიონ კასიუს თქმით (გან, 173), იწვევს ალანებს ანუ მასაგეტებს და უსევს პართელებს. რომაელთა შიშისა გამო ვერ შეესივნენ სომხეთსა და კათბადუკას. პართელებმა, სცნეს-რა ვერაგობა ფარსმანისა, რომს წარგზავნეს ელჩები და უჩივლეს მას; გარნა ფარსმანი თვით წავიდა რომს თავის ცოლითურთ. იქ გაიმართლა თავი იმპერატორ არრიანესა და სენატის წინაშე; მას მამულები მოუმატეს და დიდი პატივი სცეს რომში და ნება დართეს კაპიტოლიაში მსხვერპლი შეეწირა; ბელლონის ტაძარში აღუმართეს ანდალმა 138 წელს.

იმპერატორი ადრიანე (117—138 ა. წ. ერთს მეფეს ისეთს პატივს არა სცემდა, ვითარცა ივერთა მეფეს და არც არავის იმდენს საჩუქრებს აძლევდა, რამდენსაც ამ მეფეს. ქართველ მეფეს მრავალ სხვა საჩუქართა გარდა, გამოუგზავნა სპილო და 500 კაცი მცველად. ფარსმანისაგანაც მიიღო ძღვნები და, სხვათა შორის, ქლამიდი.

ფარსმანი რომ მივიდა რომს უფრო ანტონინე პის ულოლია ვებდა, ვიდრე ადრიანეს. ანტონინე პიმ ლაზთა მეფედ დანიშნა პაკორი (ბაკური?)

საქართველოში იყო რამდენიმე მეფე, რომელთაც ბაკური ერქვათ. ბაკური, დანიშნული ლაზთა მეფედ ანტონინე პიოს მიერ (138—161), ალბად, იყო ბაკური, რომელიც ვახუშტის ქორონიკონით მეფობდა 231-დამ 246 წლამდე.

1. მე-23-ე მეფედ ითვლება ასპაგური, ძე მირდატისა, და ვახუშტის გამოთვლით მისი მეფობა ხვდება 262—265 წლებს. მათიანეს თქმით, სპარსეთში ამ დროს მეფობდა ქასრე არდაშირიო.

ეს სულ ანახრონიზმებია. ამ დროს სპარსეთში მეფობდა საფორ I (240—271).

ბერძენთა მწერლები ამბობენ, რომ ივერიაში ასპაგური და მასთან ერთად სავრომაკი მეფობდნენო საფორ II დიდის ჟამს (309—380) და იგინი საქართველოში ხელმწიფედნენო 368—374 წლებში.\*)

შეკველია, გადამწერსა და შემბუშავებელს საფორ I და საფორ II აურევია და რადგან ასპაგური საფორის ჟამს იყო, ამიტომ აღარ გამოურკვევია, თუ რომელის საფორის დროს მეფობდა და საფორ I-ის თანამედროვედ ჩაუთვლია.

რომ ეს ასრე უნდა ყოფილიყო, მტკიცდება იმავე ვახუშტის მოწმობით, რომელიც მე-23-ე მეფედ სთვლის ასპაგურის თანამეფობს სავრომაკს=საურმაგს (გეოგრაფია, გვ. 292) და მითაც, რომ ქართლის მოქცევაჲ მირიან მეფეს, ვითომდა ასფაგურის სიძეს, სთვლის ლევისძედ და არა სპარსთა მეფისა.

2. ლევა, შამა მირიანისა, ალბად, იყო რევი, რომლის მეფობა ვახუშტით ხვდება 186—213 წლებს.

ამ შემთხვევაში, მირიანი ქრისტიანულს აზრებს საკმაოდ შეითვისებდა თავის მამის ლევისაგანაც (რევისაგან), რადგან ამას „მცირედ რაჲმე სახარება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი სმენოდა და აქუნდა რაჲმე სიყვარული ქრისტესი“.

3. მირიანის მემკვიდრეა ბაკურა, ხოლო რუფინი, მწერალი მე-IV საუკ. დასაწყისისა, ამბობს, რომ საქართველოს

\*) გან, 185, 187.

მოქცევის ამბავი მიამბო ივერთ მეფისძემ ბაკურმაო, ფრიად სანდო კაცმაო.

ბაკურის შემდეგ ტახტზე აღვიდა მისი შვილი მირდატ (=მერიბან ბერძენ-რომაელ მწერლებისა). მერიბან ცოცხალი იყო 361 წელსაც (გან, 181).

4. შემდგომ მირდატისა (მერიბანისა?) მეფობდა ვარაზ-ბაკურმა (379—393 წ. ვახუშტის ქორონიკონით). გარნა ესრეთი ქრონოლოგია რომ შეუფერებელია ვარაზ ბაკურის მეფობისთვის, სჩანს ამავე მეფის და მის ძის მურვანოზის ცხოვრებით.

ამათი „ცხოვრება“ გვეუბნება (ქ. ცხ., 103): „იმპერატ. თეოდოსი მცირე (414—450) და სპარსთა ყაენი წაიჩხუბნენ სომხეთის გულისთვის და ომის დაწყების წინად იმპერატორმა მოსთხოვა ვ. ბაკურს მისი მოკავშირე ყოფილიყო და მზევლად გაეგზავნა მისთვის საკუთარი ძე, მურვანოზი: და მეფემაც გაუგზავნა იმპერატორს თავის 12 წლის ვაჟი, მურვანოზი და მასთან მრავალი სეფეწულნი. მეფის ძე დიდის დიდებით მიიღეს კოსტანტინეპოლში თეოდოსიმ და მისმა მეუღლემ ევდუკიამ. მურვანოზი იქვე აღიზარდა, მერე წავიდა იერუსალიმს, ბევრი იღვაწა და შეიქმნა მაიუმის ეპისკოპოსად.\*)

შოველივე ეს მსოფლიო ისტორიით იყო 414—431 წლებში, ვინაითგან ომი თეოდოსისა და ყაენს ბარამს შორის დასრულდა დაახლოვებით 431 წელს.\*\*)

ჩვენს ავტორებს კი თეოდოსი მცირე თეოდოსი დიდის უამს გადუყვანიათ და მისი მეფობის წლები ვ. ბაკურის მეფობის წლებადაც ჩაუთვლიათ:

თეოდოსი დიდი 379—395.

ვარაზ-ბაკურ 379—393 (?)

5. მე-30-ე მეფედ სწერია შანდუცა,\*\*\*) გარნა ქართლის-მოქცევით ეს მე-30-ე მეფობა უკავია თრდატს. გარდა ამისა;

\*) Н. Марръ. Житіе Петра-исера (правосл. цалъ сбор., т. XII, გამოც. 2).

\*\*) ე. ვიბზონი, 531—533.

\*\*\*) ვახუშტით მეფობდა 408-ლამ 410 წლამდე.

ამ მირდატის ცხოვრებაში გვხვდება არაბული სახელები — უბარაბ, ბალდადი; მირდატი ამ ბალდადში ტყვედ წაიყვანესო და აწამესო.

ბალდადი გააშენა ალ-მანსურმა 750 წელს. მაშასადამე, ამ წლამდის მირდატს ვერ წაიყვანდნენ „არაბნი“ „ბალდადს“.

მირდატის ცხოვრებაში მოხსენებული უბ-არაბი, ვინ იცის, იყო ის აბუ-არაბი, რომელიც ერია არაბთა პირველს გამოლაშქრებაში მეფის მირისა და იმპერატ. კოსტანტინე პოლონატის (668—685) ჟამს. „მირდატი“, იქნება, თვით მირია, რომელიც სასიკვდილოდ დასჯრეს არაბებმა ბრძოლის დროს.

რომ ყველა ამათ მეფობის ჟამი არეულია, ეს სჩანს იქილამაც, რომ მირიანის წინადაც მეფობენ ბაკური, მირდატი და ასფაგურ და შემდეგაც კიდევ ბაკურ, მირდაც და ბაკურ (ვარაზბაკურ). ვარაზბაკურად ჩვენ მიგვაჩნია ასფაგური\*), ხოლო ყველა ამათ მეფობის რიგი ასრქათა უნდა ყოფილიყო: ბაკური (პაკორი) — რევ (ლევ) მართალი, მირიანი, ბაკური, მირდატი, ასფაგური და საფრომაკი ერთად; ფარსმან, მირდატ.

#### მ. ვახტანგ გორგასალი (446—499 ვახუშტით).

რომ ვახტანგს ამ დროს (446—499) არ უმეტნია, ცხადად სჩანს თვით ამავე მეფის „ცხოვრებიდან“ და აგრეთვე სხვა და სხვა წყაროებიდან.

1. ვახტანგ გორგასალი იყო, საბერძნეთზედ გალაშქრების წინად, 22 წლისა (ქ. ცხ., 121)... და მირიანის აქეთ გასულიყო 157 წელიწადი. რახან მირიანი † 342 წელს და 342 † 157 შეადგენს 499 წელს, ამიტომ ვახტანგი ამ დროს მომკვდარი კი არა, როგორც ამტკიცებს ვახუშტი, არამედ ჯერ ისევ 22 წლის ვაშკაცი ყოფილა.

2. 499 წელს ვახტანგი ყოფილა 22 წლისა, მაშასადამე დაბადებულია 477 წელს (499—22).

\*) ვარაზ-ბაკური — (ვარაზ) — ფაგური (იხ. ქვემო მნიშვნელობა სიტყვისა „ბაკური“).

3. როდესაც ვახტანგი 60 წლისა სრულდებოდა, ქალაქ ტფილისის შენება იწყო წინანდელ სოფლის ტფილისის ადგილას. ამ შენებაში იყო გართული მეფე, როდესაც ყაენმა ხოსრომ ელჩი გამოუგზავნა და შემოუთვალა, მამა მომიკვდაო, ტახტზე მე ავედიო, საბერძნეთზედ ლაშქრობას ვაპირებ, უნდა დამეხმაროო. მეფემ უვარი შეუთვალა. ხოსრო საქართველოს დასარბევად წამოვიდა. უჯარმის ბრძოლაში ვახტანგი დასჭრეს და ამ ქრილობით მოკვდა.

რომელი იყო ეს ხოსრო?

მსეთზედ გალაშქრების შემდეგ ვახტანგის „ცხოვრებაში“ მოხსენებულია ოთხი გარდაცვლილი ყაენი და ერთიც ახლად გამეფებული (ქ. ცხ., 133—146). ესენი იყვნენ:

მრმუზდ III და მისი ძმა ფირუზი († 488)

ბალატი ანუ ბალაში (488—491)

ძობად I (491—531)

ხოსრო I (531 13 სექდ.—579)

შველა ამ ცნობებით სჩანს, რომ ვახტანგი მომკვდარა ხოსრო I-ის ჟამს, დაახლოვებით 537 წელს ( $477 + 60 = 537$ ).

4. რომ მართლაც ვახტანგი მკვდარი არ ყოფილა 499 წელს, ეს მტკიცდება კიდევ მით, რომ კათალიკოსი მან დაადგინა „ძიანანისაგან 170 წელს“ ( $342 + 170 = 512$ ).

ვახტანგ გორგასალი ანუ გურგასალი არის, რასაკვირველია იგივე ბერძენ-რომაელ მწერლების ივერთა მეფე გურგენა, რაიც ცხადდება ქართლის-ცხოვრების ქორონიკონითაც და ხსენებულ უცხოელ მწერალთა ცნობებითაც.

### შედაწებანა.

#### გურგენა

ბურგენი სპარსების შიშით მიდის საბერძნეთს და იქ შთება S წელიწადი (521—527).

#### გურგასალი

გორგასალი S წელიწადი საბერძნეთის და „ინდოეთის“ ომშია და ამ დროს საქართველოში მეფობს მისი შვილი დაჩი (შეად. Τζάμιც)

როდესაც ივერთა დიდებულნი და მათი მეფე გურგენ რომაელებს მიემხრნენ, სპარსელებმა ამდროდგან უფლებათა მოართვეს ამოერჩიათ თავისთვის მეფე (გან, II, 17).

ამ დროს (იუსტინიანეს ჟამს) ევროპა შეაძრწუნა ღელვამ, რომელმაც გააცნო დასავლეთი თურქთა სახელს. ამათ დაიპყრეს ბევრი ქვეყნები და სპარსეთსაც მუქარა შესთვალეს... (გიბბონ, 18, 481). ამ ბარბაროზთა გამოჩენამ მეგობრობა ჩამოაგდო იუსტინიანესა და ხოსროს შორის („საუკუნო ზავი“ დასდეს ურთი ერთ შორის).

„ზინადგან მოაკლდა მეფობა შვილთა გორგასლისათა, მით ჟამითგან უფლება ეპყრა ქართლისა აზნაურთა, არამედ დაესრულა უფლება ქართლისა აზნაურთა ბოროტთა საქმეთა მათთაგან. მას ჟამსა მცხეთა ათხელდებოდა და ტფილისი აღშენდებოდა, არმაზი შემცირდებოდა და კალა განდიდდებოდა. სპარსთა დაეპყრა სომხითი, ქართლი და ასფურაგანი“ (ქ. ცხ., 163). ქართველნი მეფეს ითხოვდნენ ბერძენთა ხელმწიფისაგან (იქვე).

სპარსეთში მოჰხდა დიდი ღელვა, ვინაითგან მას შეესია თურქთა მეფე. ხოსრომ დასტოვა საქართველო და რანი და სწრაფად წავიდა სპარსეთსა მაშინ ზემო ქართლისა და ქვემო ქართლის ერისთავებმა იმპერატორისაგან ითხოვეს მეფე და მან გამოგზავნა კლარჯეთ-ჯავახეთის მმართველი გურამი, გორგასლის ძის მირდატის დის წული. იგი აღიარეს მეფედ 575 წელს (ქ ცხ., 161).

ბერძენ—რომაელების კოლხიდის თემი კალადქენე (იხ. კიპერტის რუკები) არის იგივე ქართველთ კლარჯეთი; აქედგან მოვიდა გვარამი ბაგრატიონი (570—600) და, ალბად, ამავე გვარს ეკუთვნოდნენ ცნობილი გუბაძეები *Γουβαδης*

ამ ბაგრატიონ „ერისთავების“ (ბიზანტიურ წყაროებით—მეფე გუბაძეების), კლარჯეთის მმართველების, ძალა დიდი იყო და დიდს შემწეობასაც აძლევდნენ იმპერიას, როდესაც

ეს სახელმწიფო ეომებოდა სპარსეთს და არა თუ 570 წლამდე, არამედ შემდეგაც, როდესაც არაბნი გამოჩნდნენ.

რომ ვახტანგი დიდის კეისის მეფე იყო, ექვს გარეშეა, აბობოქრებულ დიდ ბუმბერაზებს, ბიზანტიასა და სპარსეთს, სამეფო არ ჩააყლაპინა, სცილლასა და ხარიბდას შორის მშვიდობიანად გამოატარა და ნება არ მისცა მტრებს გაეყოთ საქართველოც ისე, როგორც ამის წინად ბიზანტიამა და სპარსეთმა გაიყვეს სომხეთი.

პქ ვათავებთ ანახრონიზმების შესახებ ლაპარაკს. შემდეგი დროის მეფეების „ცხოვრებას“ ემოწმებიან ამ მეფეების მიერ მოჭრილი ფული, ცნობები ბიზანტიური, არაბული, სომხური და ქართული.

#### დ. ქართლის ცხოვრების დაბეჭდველი

პირველი ნაწილი „ქართლის ცხოვრებისა“, როგორც თავშივე ვთქვით, გამოუცია მ. ბროსეს, მეორე კი დაუბეჭდია დ. ჩუბინაშვილს

ქართლის ცხოვრებაში მის გამომცემლებს შეუტანიათ ვახუშტის შრომის ისტორიული ნაწილიც. ჩვენ უკვე ვიცით („მოამბე“, 1902, № III), რანაირის შეცდომებით და დამახინჯებით დაუბეჭდიათ ეს შესანიშნავი შრომა ვახუშტისა, რანაირად აურევიათ ქორონიკონები, გადაუსხვაფერებიათ ავტორის აზრი აქა იქ და სხ.

თუმცა ჩვენ ხელთ არა გვაქვს დაბეჭდილის „ქართლის ცხოვრების“ პირველის ნაწილის დედანა—ხელთნაწერა, გარნათვით დაბეჭდილის საზოგადო განხილვაც ნებას გვაძლევს განვსაჯოთ, რა ნაირად გამოცემულია ქართველთა მატეანის ეს ნაწილიც.

დედანშიაც რომ ყოფილიყო ისეთი შეცდომები, ვით გულგოდებულა გულგოდებულის მაგიერ, ხვარასნელა „ხვარასნელ იყო“-ს მაგიერ, მათი შემჩნევა არ უნდა გასძნელობო-

და გამომცემელს და იგინი უნდა აღენიშნა შენიშვნებში. ჩვენ აქ ამისთანა შეცდომების აღნუსხვაზედ არ შევიჩერდებით.

ღღეს ჩვენს ხელში მყოფ წყაროების შემწეობით წავაწყდით იმისთანა შეცდომებს, რომელთაც მხოლოდ გამომცემლის დაუდევრობით თუ გაუგებრობით გაურყენიათ მემატია-ნის ნაწერი.

1. ქართ. ცხოვრების 190 გვერდზე და Hist. de la géorg.-ის 265 გვერდზე ბროსეს დაუბეჭდია ქორონიკონი ზღ და მას უძღვნის შემდეგ შენიშვნას: „თარიღი უცნაურია, ვინაითგან შესდგება ორის ციფირისაგან—80 და 30, გარნა რაიმე მნიშვნელობა მაინც ექნება.“

მარიამის ვარიანტში ზღ-ს მაგიერ ზის ყღ, რომელიც უდრის 830 წელს.

2. ქართ. ცხოვრების 176 გვ. და Hist....-ის 241 გვ. ბროსე ბეჭდავს უაზრო სიტყვას ფიყაღთა ანუ ყიყაღთა და სცდილობს მის ახსნას (შენიშ. 4). გარნა შეცდომა მარტივია. დავით და კოსტანტინე მთავრების „ცხოვრებაში“ ფიყაღთას მაგიერ წყაღთა სწერია, და რომ ასეთი ვარიანტებიც არ გვექონოდა, მაინც შეგვეძლო, თვით ქ. ცხოვრების ნაწერის აზრით, მიმხედარ ვიყავით, რა უნდა წერებულ იყო დედანში—ფიყაღთა თუ წყაღთა.

მომყავს აქ ის ნაწყვეტი, საცა „ფიყაღთა“ გვხვდება, მით უმეტეს, რომ ესვე ნაწყვეტი ჩაითვლება ნიმუშადაც უუძველეს დროის ქართულ ენისა.

ქ. ცხოვრება (გვ. 176)

დავითის და კოსტანტინეს ცხოვრება (სამოთხე, გვ. 328)

...უნები და ეტლები მდინარისა კიდესა, რომელსა ჰქვიან ცხენის წყალი. და იქმნეს სასწაულნი ზეგარდამო,

ჰუნები და ეტლები მდინარის კიდესა, რომელსა ჰქვან ცხენის წყალი. და იქმნეს სასწაულნი ზეგარდამო ქუხილნი ელვანი და

ქუხილნი და ელვანი და ხარ-  
შაკი ბლუარისა\*), წვმანი მწა-  
გაწნი და სასტიკნი და გვემ-  
ნა იგინი სატლითა სისხლი-  
სათა. განალო პირი ქვეყანა-  
მან და აღმოაცენნა სიმრავ-  
ლენი ფაყაღთანა და ზღუა  
იქმნა ქვეყანა კმელი.

სეტყუანი და წვმანი მძაფრნი და  
სასტიკნი და განალო პირი ქუც-  
ყანამან და აღმოაცენნა სიმრავ-  
ლენი წყაღთანა და ზღუა იქმნა  
ქუყყანა კმელი.

რომ ბროსემ გლახად იცოდა ქართული ენა და, საზო-  
გადოდ, უხამსოდ თარგმნა ქართული მატიაზე, ეს ექვს გარე-  
შეა, თუ Hist. de la Géorgienne-ს შედარებით მის დედანთან.  
აი კიდევ ერთი მაგალითი:

ქართლის ცხოვრება

თარგმანი ბროსესი

(გვ. 260)

(Hist. de la G., p. 377)

და თუარა, ქართულსლითა სპი-  
თა ვერცარა აღექსანდრე იქმო-  
და კარგსა, და თუმცა დავითს  
სპარსთა მეფობა ჰქონებოდა ანუ  
ბერძენთა და ჰომთა ძალი ანუ  
სხუათა დიდთა სამეფოთა, მა  
შინმცა გენახნეს ნაქმარნი მისნი  
და სხვათა ქებულთანი!

Or, tout Alexandre qu'il  
était, sans ses soldats Géor-  
giens, il n'eût rien fait de bon.  
Maitre de la monarchie per-  
sane, disposant des forces  
de la Grece, de Rome ou des  
autres grands empires, on eût  
vu ce qu'auraient accompli  
David et ses héros.

ბროსეს თარგმანის თარგმანი: თვით აღექსანდრეც (მაკე-  
დონელი) უქართველთ მეომრებოდ ვერას კარგს იზამდა...

თარგმანი სულ სხვაა და მისი ქართული დედანი სხვა!

მემატიანეს ამის თქმა უნდა (ქ. ც., 260): აღექსანდრე  
მაკედონელში შეიერთა ძალნი ბერძენთა, იტალიელთა და ევ-

\*) ბლუარისა: უ-ბრჯგუ გამომცემელს დაუსომს, თორემ მე-VII  
XVIII საუკუნემდე უბრჯგუთი დაწერილი წიგნები ჩვენ არ გვინახავს.

როპელთა და მხოლოდ ამგვარად გაძლიერებულმა დაიპყრა ეგვიპტე, დაამარცხა დარიოზი და ინდოეთის მეფე პიროსი, გარნა თუ ამ მაკილონელს, ვითარცა დავით აღმაშენებელს, ებრძოლა მარტო ქართველთა ლაშქრით, ისიც დიდს ვერას იზამდაო; გარნა თუ დავითსაც, ქართველ ლაშქრის გარდა, დაეჭირა სპარსეთი, ჰქონებოდა ძალა ბერძენთა, რომაელთა და სხვა სახელმწიფოთა, მაშინ ნახავდით, რა დიდს საქმეებს შეასრულებდა ეს ჩვენი გმირი დავითიცა და რაგვარად სახელს მოიხვეჭდა ესეცაო.

ბროსეს ვერ გაურჩევია სიტყვა თუანა (თუარემ=თორემ=თუარა) სიტყვისაგან „თუ ანა“ და უთარგმნია ფრაზა: „და თუ არა ქართველითა სპითა, ვერცარა აღექსანდრე იქმოდა კარგსა“... და უნდა კი ეთარგმნა ფრაზა: „და თუარა, ქართველითა სპითა ვერცარა აღექსანდრე იქმოდა კარგსა...“

## მ. ყალბი ჩანამატი

შომყავს აქ ყალბი ჩანამატი „ქართლის ცხოვრების“ სათაურს; ამ ჩანამატმა, უმთავრესად, სახელი გაუტეხა ჩვენს მატიანეს, რომელიც მეცნიერებმა მიიჩნიეს ბუნდოვან ქმნილებად ვახტანგ VI-ისა.

აი რას ამბობს ეს ჩანამატი (ქ. ცხ., 1, გვ. 15):

„შტიოსანნი და დიდებულნი ქართველნი, ჟამთა ვითარებისაგან ქართლას ცხოვრება გარუენილიყო: რომელიმე—მწერალთა მიერ და რომელიმე—ჟამთა ვითარებისაგან არღარა წერებუდიყო; ხოლო მუხუთეპანი(?) ვახტანგ, ქემან ჯეონისამან და ძმისწულმან სახელადგანის გიორგისამან, შეკრიბნა მეცნიერნი კაცნი და მოიკვნა საცა რამ ქართლის ცხოვრებები ზოგნა და კრულად გუჯარნი მცხეთისანი, გელათისანი და მრავალთა ეკლესიათა და დიდებულთანი, და შეამოწმეს და რომელი განრუენილ იყო, განმართეს, და სხუაცა წერილნი მოიხატნეს, რომელიმე სომეხთა და სპარსთა ცხოვრებისაგან გამოახუნეს, და ესრეთ აღწერიეს.“

მს ჩანამატი, როგორც მოწმობს თვით ბროსე (ქ. ცხ., გვ. 15, შენიშ. 1) წარწერილია აქ არა მატანის გადამწერისაგან, არამედ სხვა ხელით და სხვა მელნით. გარდა ამისა, ჩანამატის შინაარსიდან სჩანს, რომ თვით ვახტანგს არაერთარი მონაწილეობა არ მიუღია მატანის გასწორებაში; ეს ცოტაა კიდევ, ჩვენ ვიცით ისიც, რაც კა ვახტანგ მე VI-ეს და არა მეხუთეს, როგორც ჩანამატშია, შეუქმნა და შეუსრულა მთელს თავის სიცოცხლეში.

ჩვენ ხელთ გვაქვს ისეთი ძეგლი, რომელსაც, გინდა თუ არა, უნდა დავუჯეროთ, რადგან ეს ძეგლი შექმნილია თვით ვახტანგ მეფისაგან. ჩვენ ვამბობთ მის მიერ შედგენილ ძეგლწერის შესახებ, რომელშიაც მას ჩამოუთვლია და აუნუსხავს ყველა ის, რაც გაუკეთებია და მოუღვაწია ამ ქვეყნად.

აი, თვით ეს ძეგლწერა (ეპიტაფია), რომელიც მას, უეჭველია, დაუწერია უბრწყინვალეს მეფეების—დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის და სხ. სახსოვრის მიბაძვით.

მე, უმცირესმან ძმათაგან,  
 ვახტანგმან სახელდებულად,  
 გუქმენ ოთხწელ მცხეთა, ურბნისი  
 სადგურ-კამარა გებულად,  
 ტფილისს სიონი ხელახლა  
შევძღვრწე ქანდაკებულად,  
 ჩემთვისცა სახლი სარკისა,  
 შიგ ლხინი მაწონებულად;  
 სტამბა მოვიდე ვლახეთით,  
 ვაშრაფდე წიგნთა მეჯანი;  
 ქციის რუ ხუნანს წავიდე,  
 გაღმითად მოვრწეე ვეჯანი,  
 მაშაერის რუ ხამ ტბას შევრთე,  
 შიგ თევზი ჩავჭსხი უვეჯანი;  
 ესე მთა მოვინადირე,  
 ვხორცე ირემი, შგეჯანი.

სამართლის წიგნი დაწერე—  
 მსჯულს არ უნდა ცილობა,  
 ვეფხის ტყაოსნის თარგმნობა,  
 სხვა წერილთ არ ვსთქვა ცილობა,  
 ჩემთანა მეფეთა ჭაბუკთა  
 უქმნია კარგა ზრდილობა.  
 ბაქას მიმიღო სოფელმან  
 სიმდიდრე, მეფეთ შვილობა.

მეფე, რომელიც ღვაწლად ითვლის „სარკის სახლში  
 ლხინს“, „მთაზე ნადირობას და მგელთა და ირემთა ხოცას“,  
 ნუ თუ არ მოიხსენებდა ქველის წერაში იმისთანა დიდს, პირ-  
 ველ ხარისხოვანს საქმეს, ვითარიც არის მთელის ქართველთა  
 მოღვმის მატთანის შედგენა, თუ გინდ მისი შემოკლება, შეს-  
 წარება, აღწერანება?!

მაშინდელს დროს ყველა ჩია და ქონდრის კაცი დაზიან-  
 ნებულის კედელზე თუ ერთ-ორ ქვას მოამაგრებდა, დიდებულ  
 ტაძრის კედელს თუ გალესავდა ან კარებს შეაბამდა, თავის  
 თავს აღმაშენებელად აცხადებდა. თუ ვინმე, გინდ ყოფილიყო  
 მამულისა და ერის მოლაღატე, ვითარცა შაჰყული და ალფ-  
 ქსანდრე ამილახორები, თუ ერთს, ორს სადმე შორი— შორ  
 იტყოდა და შეაწყობდა, თავი დიდად მოჰქონდა და  
 შთამომავლობას ავალებდა „ლოცვასა შინა მომიხსენებდეთ ამის  
 დამწერსო“.

მამბობთ, თუ ქართლის ცხოვრების, „შედგენაში“ ან „შე-  
 სწარებაში“ ვისმე მონაწილეობა მიელო, ან თუ ვისმე თავს  
 შეედო საქართველოს ქრონიკების შეკრება, ქართლის ცხოვ-  
 რების შევსება, უეჭველად მოიხსენებდა ამას სადმე და თუ  
 თვითონ არა, სხვები მაინც აღნიშნავდნენ, მავანმა და მავან  
 მეცნიერებმა ჩვენი მატთანე შეავსეს, შეაკეთესო.

ჩვენ გვაქვს სრული შეძლება დავრწმუნდეთ, რომ ვახ-  
 ტანგს არ შეუდგენია ქართლის ცხოვრება.

ვახტანგის მეგობარი, ისტორიკოსი სენნია ჩხეიძე გვაძლევს ყველა წვლილს ამ მეფის ცხოვრებიდან და ხმასაც არ იღებს ქართლის ცხოვრების შესახებ.

ღღეს ჩვენ გვაქვს ქართ. ცხოვრების ვარიანტი, მარაამის ქართ. ცხოვრება, გადაწერილი ვინმე გიორგის მიერ 1646 წლამდე. ე. ი. იმ დროს, როცხესაც ვახტანგი ჯერ არ გაჩენილიყო.

თვით ბროსემაც კი ბოლოს გამოაცხადა (როდესაც შეადარა ერთმანეთს ქ. ცხოვრების ვარიანტები), რომ ქართლის ცხოვრებას აძიენითგან ვახტანგს აღარ მივაწკრო.

ვერ წამოგვიდგენია, ან კი როგორ უნდა მიეწერათ ერთის კაცისთვის, გინდ მთელის კრებულისთვის, შედგენა დიდის მათიანისა, რომელიც შეიცავდა მრავალს ქრონიკებს, დაწერილს, სხვა და სხვა დროს, ხან ძველის და ხან, შედარებით ახალის ენით!

ასრე რომ ვამბობთ, ამით სრულიადაც უვარს არ ვყოფთ, რომ ზემორე მოყვანილი ყალბი ჩანამტი ვერ გაჩნდებოდა იმ დედანში, რომელზედაც დამყარდა დაბეჭდილი ქართული მათიანეო.

შახლოეს მიზეზად ყალბის ჩანამტის ჩაწერისა იმ დედნის სათაურს იქნებოდა ვახუშტის სიტყვები, რომლის აზრი სათანადოდ ვერ გაუგია ყალბ მქნელს.

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ქართული მათიანე იყოფება ორ დიდ ნაწილადო, რომ პირველი ნაწილი შეიცავსო საქართველოს ისტორიას 1469 წლამდე და მეორე 1469 წლითგან 1800 წლამდე. ეს მეორე ნაწილი იწყობა ვახუშტის მიერ შედგენილ ვრცელ ქრონიკით და ამ ქრონიკას წინ მიუძღვის იმავე ავტორის წინასიტყვაობა, რომელშიაც იგი იძიებს ქორონიკონებს გიორგი ბრწყინვალის შემდგომ დროისას.

პრეულ-დარეულ ქორონიკონების განმართვის და განჩევისთვის წარმოვსთქვათ გიორგი ბრწყინვალიდამ ვიდრე ჩვენამდეო, ამბობს ვახუშტი და შემდეგ განაგრძობს:

„ხალა აღუწერათ ცხოვრებასა სხელითა ლევანის ძის მეფის ვახტანგისათა, რომელი არა საგონებელ არს მის მიერ, განა თუმცა ბრძანებითა მისითა არს, არამედ მას თვით არღარა განუხილავს ვითარება მისი. ვინათგან სწერს ბაგრატიონთ ნათესაობა. შთამომავლობასა შინა სხვას ქორნიკონებსა, რომელნი ჩვენი აქ წერილის ქორნიკონებისაგან არიან. ხალა ცხოვრებასა შინა წერს ბრწყინვალეს გიორგის თავდადებულის ძედ (ქ.-ცხ., გვ. 2)

„ჩვენი ესე ქმნული და აღწერილი უფველნი ქორნიკონითა ქმნულ არიან, რომელნი დღესაც იპოვების და იხილვების შეძიებულისაგან, და ვითარცა გვინილაფს, ეგრეთც ჩავგირთავს ქრისტეს აქეთ და ქართული, რომელი არს ხუთასიანი (ე. ი. 532 წელი=კვირვალსი) ბრწყინვალის გიორგიდამ ვიდრე ქრისტესა ჩამე-მდე.

„ხალა უკეთე უმჯობესი და უჭეშმარიტესი ჰპოვოს ვინმე გონიერმან და განიხილოს ესეცა და იგიცა და იგი უკეთილესად აღუჩინდეს, არა არს ქმნილი ესე ჩვენი დამაუენებელი უმჯობესისა თქვენისა. გარნა ამინე და გულისხმავს აღმოჩენა, უწყებულებანი და შემგზავსებულად მისა ჯერ იუავნ ქმნული თქვენნი. ხალა ჩვენი შრომა ესე ამისთვის იყო: ვინადგან მეფის ვახტანგის სახელით აღეწერათ და ვინილეთ ესეოდენი წინააღმდეგნი და უსწორებლობანი, ესენი განვასწორეთ და განვამართეთ მოწმობითა ზეთ თქმულითა, რათა არა ვინ თქვას მხილველმან ამისმან შეურაცხება რამე, რამეთუ მეფის განზრახვას ვგონებ ესრეთ, ვითარცა აღვსწერეთ: ვინათგან ნათესაობის ქორნიკონსა სწორესა სწერს, გარნა შემწყობი ამისი შეტომილ არს“ (გვ. 10).

მახუშტის აზრი ცხადია. მეფეს განზრახვა ჰქონდა გიორგი ბრწყინვალის შემდგომ დროის და ბაგრატიონების ცხოვრებათა ქორნიკონები გაეწყობო, გააწყეს კიდევცაო მის სახელით, გარნა ჩვენ რომ განვიხილეთ, ეს გაწყობილი უმართლო აღმოჩნდაო და ამიტომ ვიკისრეთ ეს შრომაო, ვისაც არ მოგეწონებათ, თვითონ შეადგინეთო, რადგან წყაროები ყველგან იპოვება და იხილვებაო.

შალბის მქნელს ყოფილივე ეს ვერ გაუგდა და თვით დიდის მატინანის სათაურს ჩაუკოსებია ცნობილი ჩანამატი. თუ

ვახტანგს მართლაც მატიაზე ესწორებინა, მასში ქორონიკონებისა, რომლის გაწყობა მას სურდა, შეიტანდა, გარნა ასრეთს გაწყობილობას ქორონიკონებისას ამ მატიაზეში ჩვენ ვერ ვხედავთ ვერსად.

ქართლის ცხოვრების (1-ლის ნაწილის) სხვა და სხვა ადგილს ატყვია ვილასიკ მუშაობა, გარნა არა სჩანს, რომ ამგვარ მუშაკად ყოფილიყო ან ვახტანგი ან ვინმე მისი დროის „მეცნიერთაგანი“. ეს რომ ასრე ყოფილიყო, ძველი მატიალის ენას უეჭველად დაეტყობოდა ნიშან-წყალი მე XVIII საუკუნის დასაწყისის ენისა, თუნდა მაგალ., სქესების გასარჩევად შენობებულ ფორმებისა, რომელმაც მკვიდრი ბინა მოიპოვა თვით სულხან საბას ლექსიკონში. უფრო სარწმუნოა, ამგვარ მუშაკებად იქნებოდნენ ძველი დროისვე შემმუშავებელნი, გადაწყვერნი და შემომკრებნი ქართლის-ცხოვრების წყაროებისა, მაგალ. ანტონი მროველი, ბერაი, არსენი, ნინოს ცხოვრების აღქსონნი და სხვა.

ჩანამატის ავტორი მართალია მხოლოდ იქ, საცა ამბობს, რომ დროთა განმავლობაში ქართლის ცხოვრება გარყვნილიყო გადაწყვერთაგანო. ეს სიტყვები უმეტესად ყოველისა თვით ამ ყალბის მქნელს შეეფერება, ვინაითგან არსად იმდენი ყალბქმნილი ადგილები არ არის, რამდენიც მისსავე „ქართლის ცხოვრებაში“. შეადარე:

#### ქართ. ცხოვრება

(რუმბანცევის ხელნაწერი)

პირველად ვახსენოთ  
ესრეთ: რამეთუ ქართ-  
ველთა და სომეხთა ჰყავ-  
დათ ერთი მამა

ქართლოს იყო ყოველთა  
ზედა უხუცესი უმთავრეს  
და ესრეთ პატრის ცემდ-  
ნენ ძმანი მისნი, ვითარცა  
მფლობელსა თვისსა

#### ყალბ მქმნელის ქ. ცხოვ.

(ბროსეს გამოცემული)

პირველად ვახსენოთ  
ესრეთ: რამეთუ სომეხთა  
და ქართველთა ჰყავდათ  
ერთი მამა

შვიდთავე გმირთა  
ზედან იყო გამგებელ  
და უფალ ჰაოს და  
ესე ყოველნი იყვნეს  
მორჩილ ჰაოსისა

ქართლოსიანთა ენა იყო  
მხოლოდ ქართული  
აქამოდღე, რომელსა  
ზრახვიდნეს, ხოლო ოდეს

აქამოდღის ქართლოსიანთა  
ენა იყო სომხური,  
რომელსა ზრახვიდეს,  
ხოლო ოდეს შემოკრბეს

შემოკრბეს ესე ურიცხვნი  
ნათესავნი ქართლსა შინა,  
მაშინ ქართველთაჲ გარყ-  
ვნეს ენა თვისი და ამათ ყო-  
ველთა ნათესავთაგან შეიქ-  
მნა ენა მორთული

ესე ურიცხვნი ნათესავნი  
ქართლსა შინა, მაშინ ქარ-  
თველთაჲ დაუტევეს ენა  
სომხური და ამათ ყოველ-  
თა ნათესავთაგან შეიქმნა  
ენა ქართული.

გარყვნილებანი ბროსეს მიერ გამოცემულ ქართლის ცხოვრების  
1-ლს ნაწილში განსაცვიფროა, თვით საქციელი ქართველთ მათი-  
ანის ტექსტის გამრყვნელისა საგმობია და ღირსია მძულვარებისა.

ერის მათიანე არის მისი წმინდა წიგნი და ამის გამოცე-  
მაჲ მღვდელმოქმედებასავით უნდა შესრულებულიყო...

არ შეგვიძლიან არ ვუსაყვედუროთ ბროსეს, რომ იგდ,  
შეუღდა რა ქართულ მათიანის გამოცემას, დაამყარა იგი გარ-  
ყვნილ ვარიანტის ტექსტზე და მით დიდი ვნება მოუტანა  
ქართველთა „წმინდა წიგნს“: მეცნიერთ ზურგი შეაქციეს მას,  
როდესაც ჩანამატია წაიკითხეს.

გარნა, სასიხარულოდ კავკასიის წარსულ ბედ იღბლის შემ-  
სწავლელთა, თან-და-თან ჩნდებიან ახალ-ახალი ძეგლები და წყა-  
როები, რომელზედაც ასვენია ქართლის ცხოვრება: ჩვენი ისტო-  
რია დღითი დღე იპყრობს მსოფლიო მეცნიერების ყურად ღებას.  
ჯერ ამ მიმავალს წელსვე პროფეს. ნ. ი. მარმა აღმოსავლეთის  
კარგად მცოდნემ ქართველთ მათიანის შესახებ სთქვა შემდეგი  
(*Навк. Вѣстн.*, 1902, № 3): „იწერებოდა ქართული მათიანე დაა  
ხლოვებით მე-VIII საუკუნეს, თუ არა ადრეც“).

მ. ჯანაშვილი

(შემდეგი იქნება)

\*) („მოამბე“ IV, გვ. 65; სტრ. 2 ქვე-გან): 1081—1118 უნდა  
იყოს 1181—1218.

რედაქტორი  
აღ. ჭყონია

გამომცემელი  
აღ. ჯანაშვილი

მოამბე  
1903  
VI

# ქართულთა მატიანე

„ქართლის ცხოვრების“ ლექსენდები. საქართველოს  
ისტორიის დასაწყისი.

## I

### 1. საქართველოს დამაარსებელი. (მაშასხლისნი).

შველა ერის ისტორიის დასაწყისს ხანას ჰფარავს გავლილ საუკუნეთა წყვილიადი. ისტორია ერისა, ვიდრე გაჩნდებოდეს დაწერილი მატიანე, ზეპირად გადმოიცემის. თაობანი და შოდგმანი ამკობენ მას თავის წინაპრების საგმირო მოთხრობითა და ამბებით, წარმოიდგენენ მათ უძლეველ გმირებად, რომელნიც ადვილად ჰმუსრავენ დევებს, მრავალთავიან ვეშაპებს, უამრავ ალქაჯებს, ისე კისკასად ამარცხებენ დევებს, ვით ლომი კატას. როდესაც ეს გადმოცემანი და მოთხრობანი ეფინება მთელს ერს და ხდება მისსაერთო საკუთრებად და მასში იღვიძებს საეროვნო თვითცნობიერება, მაშინ იბადება მოთხოვნილება: ყველა ეს გადმოცემანი დაიწეროს, შესდგეს წერილობითი მატიანე საგულისხმიეროდ შთამომავლობისა.

შველამ ვიცით, გადმოცემა-ლეგენდები დაედვა საფუძველად ომიროსისა, ცეროდოტესი, ფირდაუსისა, ნესტორისა და მავარ მწერლების თხზულებებს. ამ გვარს ნაწარმოებში ბევრია იგავი, თხრობა საპოლიტიკო, სარწმუნოებრივი. ქვეყნის რომელიმე მარჯვე ადგილი თანდათან სახლდება, კაც-მრავალ

\*) იხ. «მოამბე» № 5, 1903 წლისა.

ქალაქად ხდება, იქნენ ძალას, ძლიერებას. ერს ეძლევა მიზეზი შეჭმნას „მითი“ მის დამაარსებლის შესახებ, რომელიც, იქნება, არც კი ცხოვრობდა ამ ქალაქში და არც კი არსებობდა. ამ გვარია, მაგალ., მითები შესახებ რომის დამაარსებელ რომულისა და რემისა, შესახებ ელინთა წინაპრის ელიონისა, შესახებ ეოლის, დორის, იონის და აქეისა, რომელთაც, ვითომ, დაეარსებინათ ქვეყნები ეოლია, დორია, იონია, აქაია.

ასრე ინასკვება ყოველი ერის ისტორია, მისი დასაწყისი, დასაბამი.

ჩვენი მატინეც ამ საკაცობრიო წესს ვერ ასცილდა. საჭირო შეიქმნა ეპოვნათ პირველი მარცვალი, რომელიც ქართლად აღივდა, და ჰპოვეს გმირი ქართლოსი, ძე თარგამოსისა. მარტოხელა კაცი, რაც უნდა დიდი ვაშკაცი იყოს, არა თუ ომში, ჭამაშიაც ბრალია, და მას, ქართლოსს, გვერდს ამოუყენეს ძმები—ეგროსი, წინაპარი ეგრთა, ჰეროსი, მოვაკანი, ბარდოსი, ლეკოსი, კავკაზოსი, ჰაოსი. ყველა ამათ, გარდა კავკაზოსისა, ჰაოსისა და ლეკოსისა, შეჭმნეს თითო ქალაქი—ქართლი, ეგროსი, ბარდოსი, ჰეროსი და მოვაკან—და მათში დასახლდნენ.

შემდეგ ოცნებამ შეჭმნა მეორე თაობა გმირებისა. ესენი იყვნენ ქართლისძენი—მცხეთოსი, გარდაბოსი, კახოსი და გაჩიოსი. ამათაც ააშენეს თითო ქალაქი და უწოდეს თავის სახელი.

ამასობაში ქართლოსი გარდაიცვალა. იგი დაიტირეს და დამარხეს მისივე ქალაქ ქართლში; მისი საფლავი აღიარეს წმიდა ადგილად და ქართველთა საფიცრად; თვით ქვეყანას უწოდეს მისი სახელი—ქართლი, საქართლო (სვან. ქართ=ქართლი).


ქმრის (ქართლოსის) გარდაცვალების შემდეგ მისმა ქვრივმა ააშენა ბოსტან-ქალაქი (მერმენდელი რუსთავი) და დედაციხე. კახოსმა ააშენა ქალაქი ბერ (ჩელეთი). გაჩიოსი დაესახლა ორბისციხეში, რომელიც ააშენა მისმა მამამ.

მათ მოჰყვა მესამე თაობა: უფლოსი, ოძრახოსი, ჯაფახოსი. ამათ შეჰქმეს უფლისციხე, ოძრახე, თუხარისი, ჯაფახეთი, წუნდა, არტანისი. უფლოსმა ააშენა აგრეთვე ურბნისი, კასპი.

შველა ამათ დაიპყრეს ქართლი, რომლის საზღვარი იყო: ზღვა სპერისა (ქორაოხის მხარე შავის ზღვისა), ალაზნის შესართავი, მდ. ბერდუჯი (დებედა) და ტავრისკენ მიმავალი მთები.

ამას გარდა, ყველა იგინი მამასახლისები იყვნენ და მათი უფროსი იყო მცხეთის მამასახლისი, რადგან თვით მცხეთა ითვლებოდა თავადად ყოველთა ქალაქთა ზედა.

ღრო, როდესაც ეს გმირები და საქართველოს დამაარსებელნი ცხოვრობდნენ, შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ ამავე წინაპრების საშთამომავლო შტოთი. ასე:



განმარტება ამ სახელებისა.

ამ სახელების დაბოლებანი გვიჩვენებენ, რომ იგინი არიან კუთვნილებითნი და არა საკუთრებითნი და, ამას გარდა, თუ

ყველა ამ სახელებს დაბოლოებდა ჰქონოდათ „ოსი“, მაშინ უფლოსის ქალაქს უნდა ჰქმეოდა უფლოსისციხე და არა უფლის ციხე, ოძრახოს ქალაქს — ოძრახოს ქალაქი და არა ოძრახე და სხვ. ჩვენს ამგვარს ნათქვამს ცხადად აჩენს შემდეგი შედარება.

## საკუთრებითი სახელები

## კუთვნილებითი სახელი

ქართლი

ქართლისი

ეგური (აფხაზ. აგრუა)

ეგრი-სი

გარდაბანი

გარდაბნი-სი

გაჩი (=გაცი)

გაჩი-სი=გაჩიანი

უფალი

უფლი-სი (უფლის-ციხე)

ოძრახე

ოძრახე-სი

ჯაფახი

ჯაფახი-სი

კუხი

კუხი-სი

კახი

კახი-სი

ცხეთი

ცხეთი-სი

სერი

სერი-სი (სრეთი)

ვაკე

მოვაკე

ვაკენი

მოვაკენი

მოვაკნი-სი

მოვაკნ-ეთი

ბარდი (ბერდი)

ბარდი-სი

ბარდავი

ბერდი სი | ბერდა.

მის მთელი თემი, მაზრა ანუ ქალაქი გაუპიროვნებია, გაუხორციელებია. თვით „დაბადებაშიაც“ ასრეა: თობელი (ტაბალი) ერთი კაცი კი არ არის, არამედ მთელი თემი, მთელი მოსახლეობა თობელთა, აგრეთვე მესხი, თარგამოსი, ლამერი და სხ.თითო კაცს კი არ წარმოადგენენ, არამედ მთელს მოდგმას, ტომს, გვარს, ნათესაობას.

ამავე წესით ქართველებს შეუქმნიათ ეპონიმები.

## ქვეყნის სახელა

## ეზონიქობა:

ქართ

ქართ-ოს

(ქართლ-ოს)

ეგურ

ეგურ-ოს

ეგრ-ოს

კახ

კახ-ოს

ცერ

ცერ-ოს

ჯავახ

ჯავახ-ოს

ცხეთ

ცხეთ-ოს

ხეც. სს=არს=არის = მეგრ. რწე. ამიტომ შეიძლება, სახელებში ქართლ-ოს, ეგრ-ოს, კახ-ოს და სხ. ეს ოს იყო ის იგივე სს არის და შემდეგ მიეღოს ნათესაობით ბრუნვის დაბოლოება (ვითარცა მამასი=მამისი).

ამათგან საკუთრებით სახელებად დღესაც იხმარებიან:

ა) უფლისა (საყვარელი სახელია მთელს იმერეთში).

ბ) შერასა (ასრე ერქვა, სხვათა შორის, იოანეს, წმ. ეფთვიმეს მამას)

ვ) ბეჭდას. ამავე სახელითგან წარმოსდგა სახელწოდება— ბერდუჯი (აწ დებედა). ბერდუჯი უდრის ბეჭდჭს, ვითარცა არტანუჯი—არტანურს: მეგრ. ჯა=ქართ. ტა: ხო-ჯი—ხა-რი, ყუ-ჯი=ყური და მრ. სხ. (არტანუჯი=არტანური, ბერდუჯი=ბერდური, ესე იგი რომელიც ეკუთვნის არტანს (არდაგანს), ბერდას (განჯას).

დ) კაჩა. ეს მიგვაჩნია სახელად ღმერთის გაჩისა (=გაციისა), რომელიც აღმართულ იყო ქალაქ ქართლს (არმაზს). რომ ქართველები თავის ღმერთების სახელს არქმევდნენ თვით ამ ღმერთების სამფლობელოსაც, ეს მტკიცდება სახელწოდებით მთებისა — არმაზი, ზადენი (ზადენ-გორა, ზედა-ზადენი). თვით ბოცო-ხევი და აბოცი, გვგონია, სახელია ქართველთ უპირველეს ღმერთის ბოჩოსი.


ე) კახა. ეს სახელი გვხვდება მე-VII საუკუნითგანვე: იხ. ზემო ჯიბისძის „დავითნი“ და აგრეთვე ნწმ წლის ატენის წარწერა და ქორენელის თქმით კი კახიას ექირა (არამის დროს) ორ ზღვას შუა მდებარე ქვეყანა (იხ. ქვემო).

3) ოძრხეს სიხელი გვიჩვენებს, რომ ამ „გმირის“ ხელობა იყო მეძროხეობა, ვინაიდან ოძრხე ნიშნავს საძროხეს (მეგრ. ო=სა: ო-ფეთქელი=სა-ფეთქელი, ო-ღეჯე=სა-ღორე, ო-ზომალი=სა-ზომი (სა-ზომელი). გარნა ეს ო ქართულში გამაგრებულა, ფესვს მიჰკვრია: ქართული ოხითა და ოხვა იმავე ფესვისაა, რომლიდგანაც წარმოსდგა მეგრ. ო-ხვამე=სვანლა-კვამ (საყდარი) და ძველი ქართ. ოხვამერიანი (ქუთაისში „არქელის გორა“).

ზ) მოვაკნისი ეპონიმია ვაკე ადგილისა, როგორც, მართლაც, არის განჯის ქვემოთი მტკვრის მარცხენა კიდე ბაქოსკენ. ვაკედ იწოდებოდა და იწოდება აგრეთვე იმერეთის ერთი ნაწილი, ხონიდან მოკიდებული ცხენისწყლისკენ.

თვით „ფაზიანილების“ „საშთამომავლო შტოში“ ჩვენ ვპოვებთ ეპონიმებს, რომელთაგან ზოგიერთნი დაუსახელებია ქართლისცხოვრებას. აქვე მომყავს ეს „შტოც“.

ფაზიანილების საშთამომავლო შტო.



აფხაზები თავის თავს უწოდებენ აბსუა, ხოლო ქართლის ცხოვრებით იგინი არიან აბსაძ-ები და აბსარი კი, როგორც სჩანს ფაზიანილების „შტოლამ“, ყოფილა ძე ეეტიისა.

სახელები ეკიაჯი და ანგი უახლოვდებიან ქართლის ცხოვრების არგვეთს, ეგურ-ს (აფხაზურად აგურა—გურია, აგრუა სამეგრელო; აგრუას სტრაბონი ასრევე იხსენიებს—agri). დაბოლოება ამ სახელებისა გვიჩვენებს კუთვნილებას: ეგ-ური=აგ-ური, ე. ი. ის, ვინც ეკუთვნის ეგს, აგს, ხოლო ქართლის ცხოვრებით აგ იგივეა, რაც დაბადების გოგ, და კიპერტის Atlas antiquus-ი კი გვიჩვენებს, რომ გოგარენები იყვნენ მესხეთის (ჯავახეთის) მცხოვრებნი და ის ადგილი, საცა იყო გუგარქი, გუჯარეთი და საცა ეხლაც არის გოგაშენი (შეადარე თამარაშენი და სხ.)

მს აგ-ები, აგოგ-მაგოგები ჯუანშერის ქრონიკით თვით ნებროთის მხილველნი იყვნენ და ცხოვრობდნენ ბაბილონს (ნებროთი 2716 წ. ქრ. უწინარეს).

ზოგი, მართლაც, მესხის მეზობელია „დაბადებითაც“. იე-ზეკიელი ამბობს:

ა) „ძეო კაცისაო, განიმტკიცე პირი შენი გოგსა ზედა და ქვეყანასა ზედა მაგოგთასა, მთავარსა როსს (=როშს), მოსოხს (=მესეხს) და თობელსა“. (იეზ., 38, 1).

ბ) „აჰა, მე შენზედა გოგ, მთავარსა როსისსა (=როში-სა), მოსოხს და თობელს“ (მისივე, 39, 1).

მს სახელები მეზობლად მოსახლე ერის სახელია, აღბად—გოგარენების (გოგაშენელების), მესხის, ერუშის (ერუშეთი) და ტბელის=ტობელის (თობელს სწერენ ტაბალადაც, ხოლო ტობა, ტვიბ, ტოპი ნიშნავს ტბას, ტბორეს (შეადარე ცაბახმელა).

გ) დაბადება (10, 2-3) იაფეტის შვილებად იხსენიებს ლამერს, მაგოგს, მადაიმს, იოვანს, ელისას, თობელს, მოსოხს და თირასს, ხოლო თარგამოსს—შვილად ლამერისა. თარგამოსს რაიმე დამოკიდებულება უნდა ჰქონოდა ქართველებთან: იმერეთში არის მთელი საზოგადოება თუ სოფელი, თარგამაული.

ამას გარდა, იეზეკიელის წიგნში (ლც, 3) მოხსენებულია: „სახლი თარგამოსი დასასრულისაგან ჩრდილოისა.“

საქართველოს ჩვენი მწერლები სულ მუდამ ჩრდილოეთის ქვეყანად უწოდებენ.

„სადაა არს ჩრდილომას იგი ქუეყანაჲ ანუ სადა არს სამოსელი იგი ოკუფლისა ჩუენისაჲ (შატბ. ქრ., 11).

„სამოსელსა ზედა წილ ითხინეს და წილით ჰხუდა ჩრდილოთა მცხეთელთა კუართი“ (იქვე 10).

„ჩრდილო (საქართველო) ბლუარსა (სამხრეთს) თანა იხარებდეს“ (იქვე, 23).

„მოხელა ღმერთმან ქუეყანასა ჩრდილომასსა კავკასიათა, რომელსა სახელი ერქუა სამართლად ჩრდილო“ (იქვე, 29).

ც. მედეა, მადი. სეროდოტე ამბობს (VII, 62): მიდიელებს წინად არიები ერქვათო, ხოლო როდესაც იქ მივიდა კოლხიდის მეფის ასული მედეა, მაშინ ამ ქვეყანას მედეა დაერქვაო. მედეასთან მისულა აგრეთვე მისი შვილი მედი, რომელსაც ბევრი ქვეყნები დაუპყრია და თვისის სამფლობელოსთვის დაურქმევია მიდია—მედია.

საქართველოს დასაწყის—ისტორიის ერთი წვერი სწვდება მიდიას. ასრე.

## 2. საგართია მიდიას: კადუსნი, გურგანნი, კასპნი და მათნი მეზობელნი.

### ა) ქართული წყაროს ცნობები.

უკვე დაიბეჭდა „დილარიანი“, დიდი წიგნი (800 გვ. მეტი), რომლის ენა იგივე მოსე ხონელის ენაა. გადაჭრით ვერ ვიტყვით, რომ იგი კვალ-წმინდათ იუფს ის თხზულება, რომელიც რუსთველის წინად დასწერა სარგის თმოგველმა, „კაცმა სწავლულმა და ფილოლოგმა“ (ქ. ცხ., 362), და მე-XVIII საუკ. მწერლებს ზოგი რამ თავისივე არ შეეძინათ შიგ. გარნა „დილარიანი“ ისეთი თხზულებაა

და ისეთის ენით დაწერილია, რომ მე-XVIII საუკ. ეგელა მწერლები ერთად მას ვერ დასწერდნენ.

„დილარიანი“ იგივე „შაჰნამე“, ხოლო იმ განსხვავებით, რომ ფიქციის ქმნილებაში წარმოდგენილია ცხოვრება ერანის მხრის გმირებისა, ხოლო სარგისის თხზულებაში—მეჭმელებანი ახაშ-ეკვიპტის მეფის დილარისა და მის მიერ დაპყრობილ მსოფლიოს მეფეებისა. ამ უკანასკნელთა შორის ეგელაზე ძლიერი და შემძლებელი არის ფარსმანი, მეფე კადუზთა, კოლხთა, საგაბუნიოსი, ბრუტოსთა. ფარსმანი უფალაა გმირებისა, რომელნიც შიშის ფარს სცემენ აზიის მეზობელ-გმირებს. 500,000 მეომრით ფარსმანი მიესჯა მზის ქადაქს, საცა მეფობებობს დილარი. მათ შორის ბრძოლა თავდება ფარსმანის დამარცხებით. დაძლეულს მეფეს დილარი სთვლის ეგელაზე სახელოვან ხელმწიფედ მეფეთა შორის და დიდს ჰატეფს სცემს.

პირველი ცნობა ფარსმანის გალაშქრების შესახებ დიდს დეღვას ჰბადებს დილარისა და მის მიერ დაპყრობილ მეფეების ბანაკში. მომყავს ეს ადგილი „დილარიანიტგან“:

„აქა მოსვლისათვის განსაკვირვებელისა მის გმირისა კადუზიანელთა მეფისა ფარსმანისა და ყმათა მისთა კაცის მჰამელთა ფალავანთა: მდეს კელმწიფენი და მეფენი იგი ერთმანეთისა. ქვრეტითა იშვებდეს და მხიარულობდეს, მას ჟამსა მოვიდა კაცი გრძნეულთა მეფისა გარშარაბისა, თაყვანი ჰსცა დილარს, ტახტისა ფერკთა ქვე მიწასა აკოცა და წიგნი თვისისა მეფისა მოართვა. რომელსა შინა ეწერა ესრეთ: დღე გრძელდინ, დილარ მეფეთა ზედა მეფე და კელმწიფე! მომლოცველი სკვირთელთა ზედა ძლევისა, შეუდგენ მოხსენებასა ჩემსა ესე ვითარითა სახითა: აწ ჟამსა ამას მოვიდა განსადიდებელი ძლიერებითა და გმირთა გმირი დიდი იგი მეფე კადუზიანთა, ფარსმან, უთვალავთა ფალავანთა დასებითა და მრავალთა კელოვნებათა მცოდნეთა რაზმებითა, რომელთაგან გაფრთხილება დიდად სახმარ არს. ახლავან ყმანი თვისნი ბრუტოსის მთისა და მას კერძოთა მათათა მოსახლენი გმირნი ვითარ ხუთასი ათასი, რომელთა საბრძოლველად უპყრიათ დიდ დიდთა ძელთა მსგავსნი რკინანი და თუმცა მათასა ბალობასისათა დაუშინონ, მათცა

ძირითურთ დაჰფშენეტენ, და საზრდელად მათდა არს თვით კაცთავე ხორცი საქმელად. კვალად ახლავან ყმანი თვისნი კოლხილისა კერძოსანი და საგაბუნოხსანი, რომელთასა ესრეთსა მპარაობასა იტყვიან, რომე რაჲცა უნდესთ, დღისით მზისით ესრეთ მოიპარენ, რომე ვერა სადა ვინ სცნასო. სიმრავლე მათი არა შეიგების, ყოველნივე არიან გმირნი და, თუ ჰსთქვა, კაცთა არად შემრაცხნი და იტყვიანცა—ჩვენდა საქმელად მოცემულ არიან ყოველნი კაცნიო. უბნობენ, რომე თვით მეფე მათი იყოს უძლიერესი ყოველთა ნამყოთა და აწმყოთა ხელმწიფეთა და გმირთაგან; ყმა კაცი არს, გულ მყარი და მკლავ მტკიცე და უკეთილესისა სახისა მექონი. მე მონასა კელმწიფებისა თქვენისასა მშვიდობისა სიტყვითა მთხოვა ძლიერმან მეფემან ფარსმან გზაჲ, და ბრძანებისამებრ თქვენისა მივეც ნებაჲ. ესერა გამოვლეს ქვეყანა ჩემი და მას გვირაბისა პირსა მოვიდნენ. ესვენ ღმერთებად რასმე სახელდებულთა არმაზ და ზადენს, გაჭიმ და გაიმს და ცეცხლსაცა თაყვანის ჰსცემენ“ (გვ. 577—578). სხვა ადგილას (გვ. 781) ნათქვამია, რომ ფარსმანი ქართლოსის რჯულის მეფეაო.

სამხედრო საბჭოს გამოუცხადა დილარმა, გავუგზავნი კაცს და ვკითხავ, ნებავეს საქმე მეგობრულად გაათაოს და დიდის პატივით დაბრუნდეს სამშობლოში, თუ ჰსურს ომი (გვ. 630). აახლა თვისი სპასპეტი მარსი, სიყვარული გამოუცხადა, მიულოცა მშვიდობით მოწევნა „აქამდე“ და იკითხა მიზეზი მისის-გამოლოაშქრებისა. ფარსმანმა შეუთვალა, ეს ვრცელი ქვეყანა ჩემთვის უბოძებიათ ღმერთთა ღმერთებს არმაზს და ზადენს, გაიმს და გაციმს და არავის არა აქვს ნება გამოსწიროს იგი მას, და თუ დილარ არ გაეცლება მზის ქალაქს, მიუსევს მას ბრუტოსელთ და დაანგრევენებს.

დილარი მოემზადა საბრძოლად. ფარსმანმა მიუსია ბრუტოსელნი, მერე საგაბუნიოს ბანძელნი, მერე თვით ფარსმან მიუხტა. დილარს გაუჭირდა ბრძოლა, გარნა გაემარჯვა. ფარსმანმა გამოაცხადა იგი მსოფლიოს მეფედ. დილარმა აღიარა გმირი—მეფე თავის უპირველეს მეგობრად და სთხოვა ერწმუ-

ნა ღმერთი ცათა შინა მყოფი. თარსმანმა გასწყვიტა ცეცხლის მსახური ღვდლები და ირწმუნა ღმერთი დილარისა. კადუზიანთ ეცვათ რკინის ჯაჭვები და მახედ წითელი კაბა. მის შემდეგ დილარმა შეირთო ანავსია, რომლისაგან მიეცა ვაჟი, სეზოსტრისის ტახტის მემკვიდრე.

შარსმანს გარდა დილარს ემორჩილებოდნენ მეფენი ინდოეთისა, ბაბილოვნისა, ჩინეთისა, სკვითისა, მცინვარისა, ციკლოპთა, პოლანთა, ბრიტანთა და სხ. და სულ 32 მეფე.

ძნელია სთქვას კაცმა, ვინ იყო დილარი, გარნა ის კი აგონებელია, რომ „დილარიანში“ უნდა იყოს შემოკრებილი ძველი ლეგენდები ანუ მათი ნაწყვეტები. და რადგან მთელს ამ დიდს წიგნში არსად არ არის ხსენება სომეხთა და მათ სამეფოსი, ამიტომ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ დილარისა და თარსმან მეფის დროს ჯერ არ ყოფილა დაარსებული ჰაოსიანთა სამეფო.

„დილარიანის“ ჩვენებით ცხადდება, რომ კადუზიანნი იყვნენ ქართველნი არა თუ მარტო სჯულით, არამედ ტომ-მოდგმითაც. იგინი ნათესავნია კოლხთა, ხოლო სეკატე, რომელიც სცხოვრობდა 550 წ. ქრ. უწინარეს, ამბობს, მოსახნი (=მესხნი) კოლხის ტომისანი არიანო. ცხადია, თუ კადუზიანნი არიან კოლხნი და კოლხნი კი—მესხნი, მაშ ყველა ეს თემნი ქართველნი ყოფილან.

ქადუსი ძველის მსოფლიოს უძლიერესი ერი იყო და მის სამშობლოდ ითვლებოდა ჩრდილოეთი მიდია, ე. ი. სამეფო, რომელიც დაარსეს მედეამ და მიდმა და რომელსაც ერქვა აგრეთვე საგართია. ეს საგართია კიპერტის რუკებით ჩაჰყვება არეზის მარჯვენა მხარეს მატეანის ტბის (აწ ურმიის ტბა) გაყოლებს თითქმის ინდოეთის ოკეანემდის, ქალაქ ჰარმოზიამდის, რომელიც სპარსეთის სრუტეს ყურეშია და რომლისაგან მის წყალსაქცევს დაერქვა ორმუზის-წყალსაქცევი.

## ბ) ბერძენ-რომაელთა მწერლებით

## 1. ჰირკანია.

ჰირკანია იყო ფრიად შვენიერი და მდიდარი ქვეყანა. ალექსანდრე მაკედონელი რომ ამ მხარეს შევიდა, ნახა აქ ბევრი „ბედნიერი“ ადგილები; მოსავლის სიუხვით, ხილის სიმრავლით მას ვერც ერთი ქვეყანა ვერ შეედრებოდა. თითო ვაზი იძლეოდა 9 თუნგ ღვინოს. თითო ლეღვის ხილამიკრიბებოდა 30 კოდამდე ლეღვი. ნამკავებში დაშთენილი მარცვალი მეორე მოსავალს იძლეოდა. აქ იყო ერთნაირი, მუხის მსგავსი, ხე, რომლის ფოთლებიდან სწვეთდა თაფლი, საყვარელი საქმელი აქაურ ერისა. აქ იყო ერთნაირი ფუტკარი ანტრედონი; ეს ანტრედონი მთებში ჰპოულობდა უხვს მასალას, ბუდობდა კლდეებში, აკეთებდა ფიქას, თაფლს და ამ თაფლის გოლი (ტბილი წვენი) სწვეთდა კლდეებიდან.

საზოგადოდ, ჰირკანია იყო ივერიის მომიჯნავე მხარე, ხოლო მატიანია—მესხეთისა.

პომპონი მელა, რომელიც ცხოვრობდა I ს. ქრ. შ., ამბობს, რომ კასპიის ზღვის ზედეთ მოსახლეობდნენო ხომარები, მასსაგეტები, ქაჯნი, ჰირკანნი, იბერნი, და მტკვარი და კამბიზი (იორა) ჰყოფდნენ იბერიასა და ჰირკანიასო (განი, 97—98).

ამ ცნობიდან სჩანს, რომ ერთს ამ სახელმწიფოში, ჰირკანიასა ანუ იბერიაში, შედიოდა საგართია, კადუსია, კასპიანა, გელნი, მარლნი. გარნა რომ კასპიანა დასახლებულ იყო ქართველებით, ამას ცხად ჰყოფს ჩვენება პლუტარხოსი, რომელიც ამბობს, კასპიანიდან მრავალნი ალბანნი და იბერნი შეუერთდნენ ტიგრანსო (იქვე, 127).

თვით საგართიას აქეთი პირი—მატიანია, იყო მომიჯნავე კუთხე მესხეთისა. ჰეკატე (ცხოვრობდა 550 წ. ქრ. წინ.) ამბობს: „მოსხი კოლხიდის ტომია და მომიჯნავეა მატინისა“ (იქვე, 8).

ამას გარდა, ზემო ხსენებულ „ქაჯების“ სახელით ძველადგანვე იწოდებოდა ქალაქი წუნდა (მესხეთში), არტანი და ციხის ძირი (გურიაში). ქაჯი რომ ქართული სახელია, ეს სჩანს სიტყვებიდან: ქაჯვა (გამოწურვა ღვინისა საწნებლით), ქაჯი (ავი სული), ქაჯება (კლდესავით მაგრობა).

ლიონოსი პერიეგეტის კომენტარიებში ევსტათე ამბობს (გან, 140), აღმოსავლეთი იბერია არას დროს არ ემორჩილებოდა პართეველებს და არც სპარსებს, მაკედონელთა უღელსაც გადარჩაო. ეს იბერები გადმოსახლდნენ თავიანთ დასავლეთ იბერებისაგანო, რომელნიც პირენეის (?) მთებში სცხოვრობდნენო. აქ, რასაკვირველია, ავტორს ქართველთ პერანგის მთა, რომელიც ჰყოფს ქართლსა და იმერეთს, პირენეად მოსჩვენებია. თვით ქართლის ცხოვრებაც აღნიშნავს ქართველების (ივერების) გადმოსახლებას, ხოლო არა პირენეიდან და არც პერანგიდან, არამედ ტიგრისა და ევფრატის (=ფროტოსის) ხეობიდან, სახელდობრ არარატის ქვეყნიდან. ეს ცნობა მტკიცდება არა თუ ვანის ლურსმურ წარწერებით, თვით ივერების სახელ წოდებითაც (იხ ქვემო).

რომ ჰირკანია, საგართია, კადუზია დასახლებული იყო ქართველ ტომ-მოდგმით, ამას ცხადად აჩენს არა თუ მარტო „დილარიანი“ და ადგილობრივი სახელნი, რომელთა შესახებ საუბარი გვექმნება, არამედ თვით ბერძენ-რომაელთა თქმულებანიც.

## 2. მიდია.

უკვე შევნიშნეთ, რომ სეროდოტეს თქმით მიდიელებს ეს სახელი დაერქვათ კოლხიდის მეფის ასულის მედიასაგანო, რომ წინად მიდიელებს არიები ერქვათო და მედია რომ მოვიდა, წინანდელი სახელი შეეცვალათო (სეროდოტე, V, 62). აღვნიშნეთ აპოლოდორის ნათქვამიც; რომ მედიას ძემ მიდმა დაიპყრა მრავალი ქვეყნები და თავის სამფლობელოს უწოდა მიდიაო და თვითონ მოკვდა ინდოეთის ლაშქრობაშიო (გან, 53).

სტრაბონი მოწმობს, მედია (=მედია) ისტორიული პირია და კოლხიდაში ყველას სჯერა, რომ აიეტი ამ ქვეყანაში მეფობდაო (2, 39).

აპოლონ როდოსელი გვაცნობებს, მედიამ წამლების მოსამზადებელი თაქანი (ლოკოკინას კანი) მოიძია კასპიის ტაძარშიო (იქვე, 51).

პრა სჩანს, რომელს ტაძარზეა ლაპარაკი; ალბად ეს ტაძარი იყო პირკანიის ქალაქს ჰეკატომფილში (Hecatompylos). ჰეკატა იყო თვით დედა მედიასი და ჰეკატას ტაძარი იყო აგრეთვე კოლხიდაში. ამ ტაძრის მოსალოცად ყოველ დღე დიდის ამბით მიდიოდა მედია სასახლიდამ.

აქაური ერი შეიძლება მივიჩნიოთ ნაშთად იმ ერისა, რომელიც, პოლიბიოს მოწმობით (გან, 52), შუამდინარდამ გადმოვიდა ზაგროსზე მიდიას. მათი ქვეყანა ერთის მხრით მოსამზღვრეობდა პონტს, თაზისს, მეორე მხრით კასპიის ზღვას. აქ ცხოვრობდა მრავალი „ბარბაროსი“ და მათ შორის ყველაზე მეომარი იყო ერი — მხედანა. თუმცა პოლიბიოს ცხადად არ ამბობს, ვინ იყო ეს მეომარი ერი, გარნა, მივიღებთ-რა მხედველობაში ყველა ზემორე მოყვანილს ცნობას, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს მხედანა-ენა იყო ქართველთა ერი, რომელიც ძველადგანვე წარმოადგენდა მხედრობას, რომელთა ცხოვრებაში სიტყვას მხედანა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: (გამხედრება, მხედარი, მხედრობა, სამხედრო, მხედრული (წერა), ხედნა და სხ.). თვით ჯორს, რომელიც, ალბად, ცხენის გაცნობამდე იხმარებოდა სამხედროდ, ჩვენში ჰქვიან სახედარი.

### 3. გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული სახელები.

#### პირკანიის ზღვა.

ძველი მწერლები ამბობენ ამ ზღვას, მტკვრის შესართავამდე ერქვა პირკანიის ზღვაო და მის შემდეგ კასპიისა. პირველი სახელწოდება დაენათლა პირკანელებისაგანო და მეორე — ერის კასპისაგანო.

ამ ჰირკანიის ზღვას ქართლის ცხოვრება უწოდებს გურგანის-ზღვას და, საზოგადოდ, ამ ზღვას ჰყოფს სამ ნაწილად და უპირისპირებს შავის ზღვის ნაწილებს, ასრე: „დაიპყრა (მაგალ; თამარ მეფემ) გურგანითგან სპერამდე (შავის ზღვის ქოროხის მხარემდე), კასპითგან შავ ზღვამდე (ფოთი-ბაქო), ანაკოფითგან (აფხაზეთშია) დარუბანდის ზღვამდე (დარუბანდით ხილხალამდის, მოვაკანი, შარვანი და ზღვის პირი ერთი სამეფო იყო (ქ. ცხ., 272) და აქაურს კარს ერქვა ზღვის-კარი).

2. ჰენრიხ კიპერტი ამბობს (Lehrbuch alten geographie, გვ. 67) ჰირკანიას ერქვაო ძველ ბაქტრიულად ვირკანია, ბერძნ. Βαρκανი, ახალ სპარსულად—გურგან, არაბულად ჯორჯან.

ზემოთ მოყვანილ ცნობებს გარდა ჩვენ კიდევ გვაქვს ბევრი საბუთი, რომ სწორედ ეს ერი ჩავთვალოდ ქართველ ერად, იმ ერად, რომელსაც ძველადგანვე უწოდებენ: სომხები—გარქაძე, არაბნი—ჯორჯანად, სპარსნი—გურგანად=გურჯად.

ბერძენთა მწერლები ამბობენ, ჰირკანიის ზღვა რგვალია, მთვარისებურიო. ამგვარი ცრუ აზრი გავრცელდებოდა თვით ერის სახელწოდების გურგანა-ს მსგავსებით ცნებასთან გურგალი (ჰურგალი—გურგვალი—ჰრგვალი).

ჰირკანიას სპარსელები სთვლიდნენ „მგელთა ქვეყანადო“ (სპარს. გურგ—მგელი). ასრეთი შეხედულება სპარსელების მხრივ გავრცელდებოდა ამის გამო: ა) აქვე ახლოს ცხოვრობდა ერი, რომელსაც ერქვა გელნი (gelae), ხოლო გელი (ინგ.) და გერი (მეგრ.) იმავე მგელს ნიშნავს და ამ სიტყვიდანვე წარმომდგარა გვარები გელაძე, გელაშვილი, გელოანი და ბ) ძველად ქართველებს ჩვეულებად ჰქონდათ ფარების კეთება ვიგრის ტყავისა (შეადარე სპარს. ვეგრ), მაგალ., ვახტანგ გორგასალს ჰქონდა ვიგრის ტყავის ფარი (ქ. ცხ., 118, 138).

ხოლო ნამდვილი, პირვანდელი ფორმა სიტყვისა გურგანა უნდა ყოფილიყო ჰურგანი. ამის შემამოწმებელ საბუთად ჩითვლება თვით ამ სახელის ნაირნაირი გამოთქმა—ჰირკანი—ვირკანი—ვარკანი—გურგანი—ჯურჯანი (ჯორჯანი). და ქარ-

თულის ენის კანონია, რომ ჭ იცვლება გ-დ, გ-დ, ხ-დ, ჯ-დ: ჰრგვალი—გრგვალი, ჰრკალი—გრკალი, ჰრგოლი—გრგოლი, ჰ-ყავ=სვ. ხა-ყა, გ-ყავ=სხვ. ჯა-ყა და სხვ.

მაშასადამე ჰურგანი (და ჰირგანი) დაუბრკოლებლივ გადაიქცეოდა გურგანად, გირგანად (და ამის მიერ, გიორგიად, როგორც ბერძნები გვიწოდებენ).

ჰურგანი=გურგანი, ჩვენის აზრით, შემდგარა სიტყვისაგან ჭურ და თანდებულისა გან.

თანდებული გან გვიჩვენებს, რომ ამ ქვეყნის (ჰირკანიის) ერთი მოსულა უნდათგან: ჩვენ დღესაც ვამბობთ ჩემგან, მისგან; ამავე აზრით ინგილონი ამბობენ გორიგან (და არა გორითგან). ამას გარდა გან=განი გვიჩვენებს ნაშადს, მხარეს, ადგილს: ერთ-გან, გარე-გან, შინა გან, კიდე-განი; სახლ-განი იგივეა, რომ ვთქვათ განას (ნაპირის) სახლი).

ამას გარდა ურია=ჰურია სვანურად ითქმის ვირია-დ და ამიტომაც ურგან=ჰურგან იმავე ვირგან-ვირკანია-დ გვესმის. \*)

სად იყო თავდაპირველად ქალაქი უნა=ჭუნა, რომელსაც ქართლ. ცხოვრება (138, 144) უწოდებს ურა-დ, ჰურა-დ?

უწ იყო ქალღთა ქვეყანაში და ამ ურ-ქალღთადამ აბრაამი წავიდა (2015 წ. ქრ. წ.) ქანაანის ქვეყანას. ამ ურისკენ უჩვენებს ქართ. ცხოვრება პირვანდელ სამშობლოს ქართველებისას. ამასვე იმეორებენ დღეს ვანის წარწერების შემსწავლელნი და დასძენენ, რომ უნანტა, უნანდა, უნანტი, ანანდა, ალანდა ერთი და იგივე სახელიაო.

შეცდომა გვეგონია, რომ სულხან საბას „ურასტი“ მიაჩნია სიტყვად, რომელიც, ვითომ, ნიშნავდეს „სიმრავლესავით.“ ეს სიტყვა და მისნი ნაწარმოებნი ჩვენ ასრე გვესმის:

ა) უნ-ანა (ურ არის, ურია)

ბ) უნან-თა (ურების მთა; შეადარე: მოგე-თა, სხალ-თა ამირან-თა)

\*) აზნაური სვანურად აზნავირ და კიდევ ვარგ. არა გვეგონია, ჰირკანიის მეორე სახელი—ვარკანი—იყოს იგივე ვარ-განი, ვარგანი, აზნაურნი.

ბ) ურას-თა (რადგან ურ=ურა, ნათეს. ურას)

დ) ურასქე  
ურასქედი { ქვეყანა, არე ურებისა

მ) ურასქედ=ურარი (არიედ=სვ. არდა=მეგრ. ორდუ, თვით ურვა ძველ ქართულად ნიშნავს (იხ. ლექსიკ.) შრომას, გარჯას, ზრუნვას.

ზარნა ურასქდ-ს მეორე ნაირი ახსნაც აქვს.

ურარტებს (არარატელებს) დიდძალი საქონელი ჰყვანდათ; მათი ცხენები ძველადგანვე განთქმული იყო მსოფლიოში. ხეთელებმა პირველად გააცნეს ცხენი ეგვიპტელებს. ამ ცხენების გამზრდელს ძველი ქართველები უწოდებდნენ ურასტე=ურარდე, ასე: ურას—ნიშნავს ახტა ცხენს, ულაყ ცხენს, ხოლო მტე ანუ ტე\*) იგივე ძველ-ქართული რდუა=რდა-ა\*\*\*) (ზრდა). მაშასადამე ურასტე და ურას-რდუ ერთი და იგივეა და ნიშნავს ცხენის (ურას) მზრდელს).

ამ უკანასკნელს ჩვენს ახსნას ეთანხმება აგრეთვე მეორე სახელი აქაურივე ერისა—რემენი (=არემენი). რემათა და არვეთა მწყემსს სხვანაირად ვერ უწოდებდნენ, თუ არა მერემენ-ად,\*\*\*) მერარვენ-ად.

პრეფიქსი ა (არემენი=არმენი), ჩვენის აზრით, იგივეა, რაც დღევანდელი აფხაზ. ა (ა-გურა—გურია, ა-ლაზ—ლაზი), მეგრ. ა (ა-ზომალი—საზომელი), სვან. ჯა (ლა-ზმა—საზომი) და ქართ. სა ანუ ა (ა-ყარი=სა ყარი, სხგენა, საცა ჰყრიან ხორბალს და სხ.; ა-დგილი=სა-დგომი (სიტყვიდგან დგომა).

\*) 1035 წელს გადაწერილ და ეფთვიმეს ნათარგმნ დავთინში სწერილია („ქართული მწერლობა“, გვ. 231): „უთხრნა მეპურისტეთა შისტა: მკამელისაგან გამოვიდა კამალი“ და სხ.

\*\*) დღეს ჩვენ ვამბობთ „შენ გარდა“ და თითქმის არ გვეხმის, რომ აქ რდა ნიშნავს ზრდას. მეგრელები დღესაც ამავე ზმნას ხმარობენ: რდი-ზარდე, რდით-ზარდეთ, ვრდი-ვზარდე, რდი-ზარდე, რდუ-ზარდა, რდილი—ზრდილი, მორდუ-მორზარდი, ო-რდალი-სა-ზრდელი, მიირდი-მოირ-ზარდე; შემდეგ რ ისპობა: გადია—გამდელი=გამრდელი=გამზრდელი.

\*\*\*) „მათ თქვეს: მერემეთა უხუცესნი არიან და თვით მერემენიო“ („ამირ.-დარეჯ.“, გვ. 147).

„ალანოდი“ ჩვენ არ მიგვაჩნია „ურარტად“. სვან. ლანკე ნიშნავს საბალახეს, რემა-არვეთა საძოვარს. თვით „ნედლს თივას“ ქართულად ჰქვიან „ალერდი“ (იხ. ლექსიკ) ანუ ალარედი, ე. ი. სალარო (საბალახო) ადგილი და იონჯა-ბალახსაც უწოდებენ ალავერდ-ად, ალავერდ ად.

ამგვარს ჩვენს ახსნას, გვეგონია, ემოწმება ამ არმენიის მთების ძველი სახელიც: სანანად, რომელიც, ალბად, ნიშნავს სა-ლაროდ-ს, სა-ლარედს (საქონლის საძოვარ ადგილს, საბალახეს). ამ მთებში ცხოვრობდა ერი—კართუ=კარდუ=კართუხი=კარდუხი = კორდუ=კორდიენი=გორდიენი. ეს ერი ქურთების წინაპრებად მიაჩნიათ. გარნა ქურთთა წინაპარნი ქართლ. ცხოვრებით გადმოსახლდნენ აქ მე-VI საუკ. ქრ. შემდეგ. და სახელებიც გვიჩვენებენ, რომ ეს ერი თუ ქართუ=ქორთუები არ არიან, მათს იალადებზე (კორდზე) მცხოვრებნი უნდა იყვნენ, მაგრამ ამის შესახებ საუბარი გვექნება მეორე წერილში.

ამას გარდა, თვით მწყემსთა ანუ მგზავრად მყოფთა კარავი და აგრეთვე ქოხი იწოდება ლარად და ამისთანა ფაცხებს ამოსწვნენ ხოლმე ანუ ალარტვენ ლარტით (ნედლის წნელით).

ვიმეორებთ, გურგანი=ჰირკანი = ჯურჯანი=ვირკანი=ვარკანი ჩვენ მიგვაჩნია ჰურგანად, ურის მხარედ, და ამგვარს ჩვენს აზრს განამტკიცებს არმ თუ. მარტო ის, რომ გვექვიან ვირქ, გურჯი, ჯორჯან, არამედ კიდევ შემდეგი სახელებიც:

ა) ჭუნი=უნი (ასრე ეწოდებოდა ძველად, როგორც უკვე ვთქვით, წუნდასა და არტანს).

ბ) გურჯანი (სოფელია კახეთში).

ჰირკანიის სხვა ადგილების სახელები:

ა) Zadracarta (სატახტო ქალაქი იყო). ეს ჩვენ მიგვაჩნია ზადურ-ქართა-დ: ქანთ (სვ.)=ქართლი, ქანთა (მეგრ.)=ტფილისი, ორთავე სიტყვა შეწებებულა კავშირით ა, ვითარცა ტაბ-ა-ხმელ-ა (ტაბახმელა—ხმელი ტაბ). ა-ს აქ იგივე მნიშვნელობა აქვს, ვითარცა სიტყვებში: ყვირილ-ა, ჩხერიმელ-ა, კედელ-ა (მთაა), ჰერანგ-ა (მთაა), უნავირ-ა (მთაა), დაბ-ა (დაბალი ადგილი; შეად. მდაბიო).

ბ) Elburz (მთა იალბუზი ჰირკანიის კავკასიონისა. იხ. ქვემო).

ზ) ზურგანებს გარდა აქ ცხოვრობდნენ კადუსნი, გელნი, მარდნი, კასპნი და მათ ზემო იყო Giratbunda ანუ Ὀρπιχο-  
 ραβάντι. კიპერტს ჰგონია ომთო იგივე ბაქტრიული ენკდ-  
 ვაო, მალალი. (შეადარე ქართული: ერდო, ენკდვი) სტრა-  
 ბონი სწერს (გან, 58): *χορσβαντες* რეი-ს ამალაა და მოვიდ-  
 ნენო კოლხიდიდან ანუ ბაქტრიანიდანო“. ეს კორუბანტნი  
 ანუ კორიბანტნი და გირატუნდნი თუ არ არიან გარუბნელ-  
 ნი ანუ გარდუბნელნი, გარდაბანნი, მაშინ შეიძლება მივიჩ-  
 ნიოთ ორეთის მხრიდან გადმოსახლებულ ქართველებად. ორეთი  
 ქ. ცხოვრებით ათვლებოდა საქართველოს სამხრეთის მიჯნად  
 და მდებარებდა „ქურთთა ქვეყანაში“.

დ) *Iaxosion* (ქალაქი ჰირკანიაში, მთის კორონის ძირში).  
 იახონი ერქვა არან-ქართლიდგან მცხეთაში მოსულს მეფესაც  
 და ქმარსაც მედვისა, რომელმაც, როგორც უკვე ვთქვით,  
 დააარსა მიდია. „კორონის“ შეადარე ყორნისს.

ე) ჰირკანიის მთების ძირში ცხოვრობდა ერი *tapuri* და  
 მის გამო ქვეყანას ეწოდებოდა *Tapurasthana* და შემდეგ  
*Taberistan* \*). ორთავე ეს სახელი წმინდა ქართული გვგონია და  
 ასრეც უნდა რქმეოდა ტბის ნაპირას მცხოვრებ ერს: რაქულად  
 ტაში ნადგომს ღრმა წყალს ჰქვიან; მეგრ. ტობა — ღრმა, ტბა;  
 ქართ. ტბა = ტაბა (ტაბა-ხმელა), ტბორე, ტბოვრება და ტობა.  
 ტბორეს-თანა (= ტაბურასთანა) პირდაპირ გვიჩვენებს, რომ ეს  
 ერი მოსახლე ყოფილა ტბასთან, ე. ი. ზღვის ნაპირზე. (ტაბუ-  
 რი = ტბური). სხვანაირად ამ კრს ერქვა აპირი (გან, 143), ხოლო  
 ა-შინი უნდა ნიშნავდეს ამპირს და ა-შინი იმპირს, ისპირს.

3. *Parthia, Parthiene*. ქართლის ცხოვრების გმირის  
 ბარდოსის ნაწილს ერქვა ბარდავი, პარტავი, ბერდა. ჩვენ გვ-  
 გონია, ეს ორივე სიტყვა ერთ და იმავე ფესვისა უნდა იყოს.

\*) ყველა აქ აღნიშნული სახელები მოგვეყავს თანახმად პ. კაპერტის  
 წიგნის *Lehrbuch der alten geographie* და მისივე რუკებისა *Atlas  
 antiquus*.

პართიაში იყო ადგილები Kumis (შეად. კუმისი), Choa-rene (შეად. ხორენია), Kuhistan (შეად. კუხის-თა. კიპერტიც Bergland-ად (მთიან ქვეყნად) თარგმნის).

ზ. მედიაში იყო ადგილები Buzha, = Budija, Allabur Zikartu ანუ საგართი და Zarkâiov. შეადარე ქართულს:

ა) ხორნა-ბუჯი, ბუდი (ხორნაბუჯი იმავე ბუდს, ბოდბეს ერქვა; მეგრ. ხორჯა ნიშნავს დასახლებას, დო-ხორე = სასახლე = ქორი. ამიტომ ხორ-ნაბუჯი = ხორ-ნაბუდი = ქორნაბუდი, ესე იგი სახლი ნაბუდი, სახლი, საცა ბუდობენ, ცხოვრობენ). ბუდჯუგანს ინგილ. პატარა სახლი.

ბ) Allabur = ავლაბარი (?)

Gazaka = Ganzaka და აქვე Φραατα, Φραασπα, Φραασπια = სტრაბონის Οὔρα = Yera. \*) ეს სახელები მოგვაგონებს ჩვენებურებს — ვერა, განძა = განძაკი (ჯავახეთში). ფრაასპა-ს დაბოლოებაში ჩვენ გვესმის ქართული სიტყვა სპა, სპობა. (ხოსპიო, \*\*), ასპინძა, კასპი); აქვე იყო Ζπαντα ანუ Καπαντα (შეადარე: კაფაფ-თა = მთა, საცა ჰკაფვენ, კაპანი და სხ).

ნ. Karmania = Karmana (დღევანდელი ქირმანი). აქვე მოსახლეობდნენ უტნი (utier) და ჰქონდათ ქალაქი Aarmozia (მერმენდელი Ormuz).

რადგან ალაზან-ს ბერძნები ალაზონად სწერენ და არმაზ-ს ჰარმოზი-ად, ჰარმოზიკად, ამიტომ კარმანიის Armozia იგივე არმაზი უნდა იყოს. კარმანია შეიძლება იყოს იგივე გარმანი = გარბანი (შეად. დმანისი = დბანისი). მანი ჩვეულებრივი დაბოლოებაა სახელებისა: კოდმანი, გარმანი, ფლავისმანი, კოტმანი (ბორციე; მალალი, დიდი), ძველმანი და სხ. მეგრ. მანჯა ნიშნავს აგრეთვე წვას, გადარუჯვას. უტი ხევის. ნიშნავს მაგარს, გაუტეხელს, კერპს კაცს (იხ. ზემო: „ხევსური კაცი უტია“).

6. Sagartii = Zikartu = Zakruti = Zikirtu. სვან. ქართ = ქართლი, მეგრ. ქართი — ტფილისი, აფხაზ. აქირთუა — ქართვე-

\*) სვან. ვერ, გი ნიშნავს მიწას და რადგან ვ = უ (ვლა = მეგრ. ულა), ამიტომ ვერა მართლაც იგივე უერაა.

\*\*\*) ს და სპ ისპობა ხშირად: მასპინძელი = მაინძელი, სპილო = პილო.

ლი. ამიტომ საქართი=საქირთუა=საქორთუო. იმავე ძველს, ზემო აღნიშნულს, სახელებს უნდა უდრიდეს. თუარა-და, საგანა, საგნობა ნიშნავს აგრეთვე მიჯნაზე, სანაპიროზე ლაშქრობას, სამეფოს ნაპირების დაცვას.

7. Bactriane. Bactra. შეადარე ბაქტიანი=ბახტიონი. ტრა=ტრვა ნიშნავს ტარებას, „მრავალ სლვას“ (საბას ლექს). ბაკ-ტრა—მოძრავი ბაკი. ფშავ-ხევსურეთში დღესაც ცხვარ-საქონლის ბინებს უწოდებენ ბაკო-ს, ხოლო ბაკვა ნიშნავს მოზღუდვას, შემომავრებას. ბაკოვანი იგივე მობაკული აღდილია და ბაკმი იგივე ბაკი (საბას ლექსიკ.). ამ ფესვიდან წარმომდგარა სოფლების სახელები: ბაკულიანი (ბორჯომის ახლოს), ბაკმები (დღუშ. მ), ბაკო (ბათ. ოლქი). შეიძლება ამავე ფესვისა იყოს ბაკო-ც (დღევანდელი ბაქო), მით უმეტეს, რომ ბაკო ნიშნავს აგრეთვე ქურქელთა და ფიალთა პირსაც (საბას ლექსიკ.), ხოლო ზღვა ხომ იგივე დიდი ქურქელია და ფიალი. საქართველოში ბევრს შეფეს ერქვა ბაკური, ე. ი. ბაკური, კაცი ბაკის პატრონი, მწყემსი \*).

8. Margiane მდინ. მარგოს-ზედ. შეადარე: მარგიანი (გვარია სვანეთში), მარგვეთი, მარგი და სხ.

### ზოგადი მთის სახელები.

პლინი ამბობს, ინდოეთის კავკასიონს სხვა და სხვა სახელი ჰქვიათ, — იმაუსი, ემოდუსი, პერაპამიზუს, ცირცი, ხამბადის, პარიადრეს, ხოათრას, ორეგეს, ოროანდეს, ნიფატეს, ტავრუს, კავკაზუს, რომელიც პირკანიის მხარეს ცნობილია პირკანიის კავკაზად, მერე კასპიისად, პარიადრესად, მოსხისად, კორაკსად და სხ.

1. Zagrus. ხოათრასის გაგრძელებას ერქვა ზავრუს, ზავროს. შეადარე სვან. ზავარ, რომელიც ნიშნავს მთის ზურგს, დაძავრულს ქედს.

\* ) კკუაზე ახლოა, ლეგენდარული მოვაკან ჩაეთვალეთ მობაკოდ, ვიდრე მოვაკნად, მოვაკედ.

2. Taurus. ჩვენ გვგონია, ქართულის თაურის-ს მსგავსებით ძველ მწერლებს ამ მთისათვის დაურქმევიათ ტაურუს (ხარი) თაურის შეიძლება იყოს ა) თაური, ესე იგი თავიანი, თაური) და ან თა-ურისი, ე. ი. ურის მთა (ინგილ. თაჲ=სვ. თანალ=მთა). იმავე ფესვისა გვგონია თრიალეთი: ინგილ. თავის ტყავს ჰქვიან თავრიალი (თავრიალეთი=თრიალეთი). თუმცა ეს თრიალეთი თითქო ენათესავება სიტყვას თრევა (ბოლო-თრია) და მის მიერ ტრიალ-ს (სასთაული=სასტული).

3. კაგკასია. ქართულად: კაგკასი და კაგკასიანი (მთა), კაგკასია (ქვეყანა) და კაგკაგი (ქალაქი). უსლარი არწმუნებს მკითხველებს (Древ. сказ., 486), მე XVIII საუკუნემდე ქართველებმა კავკასის სახელი არ იცოდნენ და ეს სახელი საქართველოს ისტორიასა და გეოგრაფიაში შემოიღეს ვახუშტმა და ვახტანგმაო. ეს დიდი ტყუილი უკვე აღვნიშნეთ ათიოდე წლის წინად. შატბერდ. კრებული მე X საუკუნისა ხშირად იხსენიებს ამ სახელს=კაგკასიას (იხ. გვ. 29, 73 და სხ.).

ძველეს ქართველი მთიულები ეძახიან ძაუგ-ს. ამ ძაუგის ადგილას აშენდა კავკავი. ბუტკოვი სცდება, როდესაც ამბობს (II, 165), კავკავი ზაურის ადგილას აშენდაო; ზაურისაკი არა, ძაუგისა. კაგკაგი გამეორებული ფესვის სიტყვაა: კავ-კავი, ვითარცა აღმართ-აღმართი, თავ-თავი, შავ-შავი და სხ. კაგკაგნიშნავს მაგრებას, ჭერას, შეყენებას, შეჩერებას. თვით სახლსაც აკავებენ, ე. ი. კავებს უმაგრებენ თავხეზე, რომ ორივე მხრივ დაქანებული, და არა ბანიანი, სახურავი გადაჰფინონ. მაშასადამე კაგკაგი არის ის, რომელიც აქეთ-იქით სახლის სახურავივით გადაწოლილა და უკავია გზა-კვალი ან და კავ კავზედ ასვენია, აღმართულ მიწოლილა. ნამდვილადაც ეს მთა ხომ სწორეთ ასრეთია, ე. ი. კავ-კავი.

ღაბოლოება სი აქ იმავე მნიშვნელობისაა, როგორც მრავალ სხვა სახელებში (ეგრი-სი, ქუთაი-სი, მანგლდ-სი, ოლთი-სი და სხ.), შეადარე:

|                      |         |
|----------------------|---------|
| სახელობ. კავკავი     | რუვი    |
| ნათეს. ა) კავკავი-სი | რუვი-სი |
| ბ) კავკავი-სი        | რუვი-სი |
| ზ) კავკავი-სი        | რუ-სი   |

მსები დღესაც კავკასს უწოდებენ კავკავი-ს.

4 ადბუზი. ამ მთის სახელი ძველად უნდა ყოფილიყო იალბურსი ანუ ალბორცი, რადგან სხვები მას უწოდებენ ელბრუს. ზაგროსის მწვერვალსა და ჰირკანის კავკასიონს ერქვა ალბორს, ალბორჯ და ჰირკანიაშივე იყო დემავენდი. აგრეთვე მთა ლაბუზი (იხ. კიპერტის რუკა).

პლ. იოსელიანი შენიშნავს (Алевская святыня; გვ. 2), რომ ალვეი სიმაღლეს ნიშნავს ქართულად. მართლაც გვხვდება სიტყვა ალვა, რომელიც ნიშნავს „სიგრძეზედ ამართულს“ (იხ. საბას ლექსიკ.) და სიგრძისავე მაჩვენებელია ალაბი. ბორჯი, ბურჯი, ბურსი, ბორსი ჩვენ გვესმის ქართულ ბორცვად (სიტყვიდამ აბურცება). და ალ[ა]ბორცი—მაღლა ამართულ მთას უნდა ნიშნავდეს. შეადარე ბრუც-საბძელი, ბორცუის-ჯვარი.

ჰირკანის ლაბუზი თუ იგივე [ი]ალბუზი არ არის, შეიძლება ნიშნავდეს „საფუტკრეს“ (მეგრ. ბაზი=სვ. ბუზულ-ფუტკარი; ლა-ბუზი=სა-ბუზე): იმ მთებში მრავალი ფუტკარი იყო, როგორც ზემო ვთქვით.

## ბ. ადმოსავლეთი

### ა) ფანდაუსის ლეგენდებით და ქართლის-ცხოვრებით.

სპარსთა მითიურ მეფეების შესახებ ჩვენს მემატეანეს აშრულია ცნობები წიგნიდამ „სპარსთა ცხოვრება“. ამ „სპარსთა ცხოვრებაშია“, დასძენს მემატეანე, „არა ყოველი მართალია, არამედ უმრავლესი—ტყუილი“ (ქ. ცხ; გვ. 24).

რა წიგნი იყო ეს „სპარსთა ცხოვრება“?

ჩვენ ვიცით, რომ სპარსთა გმირული თქმულებანი მათის ცხოვრების ნაადრევ ხანას ჯერ არ იყო შეერთებული და ნაციონალურ ეპოსად გარდაქმნილი. ომის ქარიშხალი და უცხოელთა უღელი უუძველეს დროითგან ჰმუსრავდა ერანელთა მოდემის პოეზიას, ერის ცხოვრების უკეთილშობილესს ქმნილებას. გარნა სრულად არ შთაინთქა ეს პოეზია. თქმულებანი გადაეცემადა მოდემიდან მოდემას ვიდრე არ გამოჩნდა აბუ-კასიმ-მანსური, ფირდაუსად („სამოთხის მგოსნად“) წოდებული და ეს ზეპირ თქმულება არ შეჰკრიბა ერთ წიგნად, „შაჰნამე“ (1000 წელს თუ მეXI ს. ქრ. შ.). ვიცით ისიც, რომ ფირდაუსამდეც სპარსთ ჰქონდათ წიგნი „დაბისტანი“, რომელშიაც აგრეთვე შეტანილია ერანული თქმულებანი. ამას გარდა თვით ხოსრო ნუშირვანმა (მე-VI-ს ქრ. შ.) ერთ წიგნად შეაკრებინა ძველნი თქმულებანი.

რომელი ამ წიგნთაგან ჰქონია ხელში ჩვენს მემატიანეს, არა სჩანს. ხოლო ის კი ცხადია, რომ ამ „სპარსთა ცხოვრებად“ „შაჰნამე“ არ იქნებოდა: რაც ქართლ. ცხოვრებაშია მონილი ბუნთურქთა შესახებ, ის აღნიშნულია აგრეთვე „მატიანის ქრონიკაში“, რომელიც შედგენილია VII—VIII საუკუნეს, ფირდაუსი კი სწერდა 1000 წლის ახლო ჟამს ანუ ამაზედაც უგვიანეს დროს.

ამას გარდა, თუ „სპარსთა ცხოვრება“ ყოფილიყო „შაჰნამე“, მაშინ ქართლის ცხოვრებისა და „შაჰნამეს“ მოთხრობა საესებით მსგავსნი იქნებოდნენ და გმირების სახელებიც—ერთად იგივე, ამას გარდა ჩვენი მათიანე სადმე მაინც მოიხსენებდა „შაჰნამეს“ უმთავრესს გმირს, როსტომს.

ამიტომ „სპარსთა ცხოვრება“, „ნებროთის წიგნის“ მსგავსად, უნდა იყოს ძველი დროის თხზულება, თარგმნილი ქართულად რამდენიმე საუკუნით ადრე „სამოთხის მგოსნისა“.

„შაჰნამე“-თა

ქართლ. ცხოვრებით.

1. ძალუმურსი იყო კაცობრიობის წინაპარი და მან პირნი (ამის შესახებ ჩვენი მათიანე სდუმს).

ველმა დაიდგა თავზე გვირგვინი და სამეფო სარტყელი შემოირტყა. მისი შვილი სიამეკი დევებთან ბრძოლაში მოკვდა. ეს დევები ბოროტს არიანს გამოეგზავნა.

ზუზანგ სიამეკის ძემ დაამარცხა დევები, ცეცხლის დასაკვესებელი ხერხი მოიგონა, ცეცხლს აღუგო საცეცხლე. მის მოადგილე თამურაზმა დააწყნარა დევები, ერს ასწავლა ქსოვა, რთვა, მღერა, ხედნა. გამოეფდა ჯიმშედი, რომელმაც უბრძანა ერს მალმერთეთო.

2. მრი განუდგა ჯიმშედს და მეფედ გამოაცხადა უცხოელი ზოპაკი, მეგობარი ბელხებულისა. ჯიმშედის შვილი ფერიდუნი მის შიშით დაიძალა ელბორსის მთებში და იქ იგი გამოკვება ძროხამ—ფურმაჯემ.

16 წლის ფერიდუნი ჩამოვიდა მთიდან, დაამარცხა ზოპაკი (აშდაკი), შეჰკრა იგი და მიაბა მთის დემავენდის გამოქვაბულში. ზოპაკმა იმეფა 1000 წელიწადი.

პ. ფერიდუნმა იმეფა 500 წ. თავისი სამეფო ჩააბარა სამს შვილს—სელმს, ტურს, ირეჯს.

„ნებროთიანით“ ცეცხლი ცილამ ჩამოიტანა ნებროთგმირმა. ბერძენთა ლეგენდით ეს საქმე მოიმოქმედა პრომეთეოსმა, რომელიც ამის გამო კავკასიონზე მიმსჯვალა ღმერთმა.

აფრიდონმა დაიპყრო ერანი და სხვა ქვეყნები და ყველგან თვისნი კელადნი დააყენა. საქართველოში ერისთავად გამოგზავნა არდამი. მან ასწავლა ქართველებს ქვით, კირით შენება. ააშენა „ზღვის კარი“ და დაარქვა დარუბანდი.

აფრიდონმა შეჰკრა ბევრასპი, გველთა უფალი და მიაბა მთასა კაცთა შეუვალს.

თავის შვილს იარედს აფრიდონმა ჩააბარა ერანი და საქართველო.

4. აფრასიაბი (ფრაჰარშა), ტურის ჩამომავალი და თურანის მეფე ამარცხებს მოწინააღმდეგეთ და აღმართავს ალამს ჯემშიდის ტახტზე.

5. შირი რუსტემ, ძე სალისა და რუდაბესი, ამარცხებს აფრასიაბს და ამეფებს კაიკაზადს (კავაკაუადს), ფერიდუნის ჩამომავალს. რუსტემი გმირულად იცავს ერანს კავაუსისა (კაიკავუს), კავასიავარეშისა (სიავაკუშ) და კაიხოსროს ჟამსაც.

6. პრიმანი ებრძვის გმირს რუსტემს; მის ძეს ზორაბს, რომელიც თურანში დაიბადა, მამის წინააღმდეგ გზავნის. მამა ჰკლავს მას. დიდად სწუხს რუსტემი, რომ ზორაბს თავის შვილად სცნობს.

7. სიავუშს რუსტემი ასწავლის საგმირო საქმეებს. სიავუშის წინააღმდეგია რუდაბე. სიავუშში თურანს განივლტის აფრასიაბისას, გარნა ამის ძმა ჰკლავს მას. რუსტემი შედის თურანს და ჰკლავს აფრასიაბს.

8. ტახტზე ჯდება კაიხოსრო, სიავუშ ბედნიერის ძე. იმართება დიდი ბრძოლა ერანსა და თურანს შორის. ამათ შევლიან ბევრი სხვა მეფეები: ქაჯნი, ხაზარნი, ალანნი. ერანელნი სძლევენ თურანელებს და კავკას-

ძლიერდება ქეკაპოსი, ლეკეთს გალაშქრება უნდა, გარნა ვინმე გრძნეული, ხოზანიხის შთამომავალი, აბრმავებს მას. ქეკაპოსი ხარკს ადებს ქართველობას, მაგრამ როდესაც მიდის თურანელების წინააღმდეგ, ქართველები და ყველა თარგამოსიანი თავისუფლდებიან სპარსთა უღლისაგან. ქეკაპოსი მათ წინააღმდეგ გზავნის ფარშორატს, გარნა ამარცხებენ.

შველა ეს უფრო დაწერილებით, ვიდრე შაჰნამეშია, ზეპირ გადმოცემით იცის ქართველმა ერმა. „ქართლ ცხ“ კი ამის შესახებ არას ამბობს.

საქართველოში მოდის კაიხოსრო, ძე შიოშ ბედნიერი<sup>2</sup> სა, თურანს მოკლულისა. იგი ამარცხებს ქართველებს, აოხრებს ბევრ ქალაქებს და დაბრუნებისას ადარბადაგანს აშენებს სალოცავს.

ჭაიხოსრო ლაშქრით შედის თურანს: ჰსურს მამის სისხლი აიღოს. ქართველები თავისუფლდებიან სპარსთა უღლისაგან.

ამავე დროს გურგანის ზღვის მხრიდან შემოდის

თა წინააღმდეგ მიდიან, მიაწვევენ კავკასიონის (ყაფის) ძირამდე და ხაზარეთამდე. ფარემუზი აობრებს ალანთა და ლუნძთ ქვეყნებს. თურანთა მეფე უთმობს სპარსებს ბალხს, ალანიას, დევისტანს და მთას ყაფისას.

საქართველოში ბუნთურქნი, ლტოლვილნი ქაიხოსროსაგან სულ 28 სახლობ. იგინი ქართველებს აღუთქვამენ შემწეობას წინააღმდეგ სპარსთა. ეს თურქნი (თურანელნი) მაგრდებიან სარკინეთს, ურბნისს, უფლისციხეს.

9. შეფდება ვაშტაშაბ და ამ დროს შემოდის ახალი სჯული ხარატუსტრისა. აფრასიაბ თურანელის შვილის შვილი აჯასპ ამ სჯულის წინააღმდეგია და შედის ერანში. შპენდიდად ვაშტაშაბისძე ამარცხებს მას.

შემოდის საქართველოში სპანდიათ—რვალი, ძე ვაშტაშაბისა. აღარბადაგნიდგან ბრუნდება, აცნობებენ-რა თურქნი სპარსეთს შეესივნენო და პაპა მოგიკლესო.

სია ამ ლეკენდარულ მეფეებისა.

შანშაბე-თი

„როსტომიანი“

ქართლ. ცხოვრ.

კამორს  
სიამეკ  
ჰუშანგ  
თაჰმურაზ  
ჯიმშედ  
ფრიდუნა

ჯიმშედ  
ფრიდონ

ფრიდონ

სელომ, ტურ, ირეჯ

ერაჯ

იარედ

მინოჯერ  
კააკუვად  
კააკაფუს  
სიავაკუშ  
ფრაფარშა  
სიავუშ  
ქაიხოსრო  
ლოპრასპ

მანუჩარ  
კააკუვად  
ქეკაოზ

ქეკაპოს

სიოშ  
ქაიხოსრო  
ლოუარსაბ

ფარშოროტ  
შიოშ ბედნიერი  
ქაიხოსრო

|                                       |                          |                 |
|---------------------------------------|--------------------------|-----------------|
| გუშტაშაბ<br>(ვაშტაშაბ)                | გოშტაშაბ                 | ვაშტაშაბ        |
| შპანდიდატ ჯავშნიანი<br>რუსტემ (გმირი) | სპანდიატ-რვალი<br>როსტომ | სპანდიატ-რვალი  |
| აფრასიაბ (თურანელი)                   | ბაამან                   | ბაამან არღაშირ. |

### ბ) სხვა წყაროებით.

აწინდელი სპარსეთი ძველად, როგორც ვთქვით, იწოდებოდა მიდიად. არიელთა შემოსევამდე აქ სხვა ერი ცხოვრობდა, ჩვენით, ეს ერი იყო ქართველთა მოდგმისა და სახლობდა აქ სხვა და სხვა სახელით (ფარიკანი, საგართი, კადუსი, კარმანი, უდი, მარდი, ჰირკანი (გურგანი), კედროსი (ე. ი. ზღვის პირის ხალხი), მარგიანი, ბაქტრიანი, კასპი).

ლენორმანის სიტყვით (არიელნი კელტნი) მოსახლეობდნენ მარგიანის მახლობლად, ბაქტრიანას. უპირველეს ყოვლისა დაიძრნენ კელტნი და მოედნენ მერვსა და ჰირკანიას და შემოვიდნენ კავკასიას, იქ, საცა შემდეგ დამკვიდრდნენ იბერნი და ალბანელნი, ე. ი. ეჭანას სახელშენნი—ქართველნი \*) (ლენორმან, РУКОВОД. КЪ ДР. ИСТ. ВОСТОКА, ტ. II, 128), შემდეგ ჰირკანიისა და არიანისკენ დაეშვნენ ერანელნი ბაქტრიიდან, დაახლოვებით 3000 წელს ქრ. წ. (იქვე, 147). მათ შორის გამოჩნდა ბრძენი ზერდუშტი, რომელმაც შემოიღო ახალი სჯული. მისმა სჯულმა ღმერთნი დაუახლოვა კაცს და შიბუნების ძალთა მაპიროვნებელთ ზნეობრივი თვისება მიასაკუთრა, ყოველ ღვთაებას თავისი განსაკუთრებული წეს-რიგი მიუჩინა და ყველა იგინი დაუმორჩილა ორს უმაღლესს ღმერთს—კეთილს, აჭურა-მაზდას და ბოროტს—სხვა-მანათს. ბუნების მაპიროვნებელი კეთილი ღმერთები დაუქვემდებარა აჭურამაზდას და ბოროტი ღმერთები კი—ანგრომანიუსს, და ეს

\*) თავის „ასურულ წერილებში“ ლენორმანი პირდაპირ ამბობს, რომ მიდიაში არიელები შემოვიდნენ მხოლოდ მე-IX—VIII ს. ქრ. წ. და მანამდე აქ მოსახლეობდნენ მესხნი, ტიბარენნი და თურანელები.

ღმერთები ზოგი კეთილ და ზოგი ავსულებად იქცნენ. ეს სჯული მან დაამყარა ძველს ცნებებზე და არც უარჰყო საღმთოს შეწირვის ძველი წესები, გარნა ახალს სჯულში უპირატესობა მიეცა „განწმენდის“ კანონებს და ბოროტ ძალთა წინააღმდეგ საბრძოლველ ცნებებს. უპირატეს საქმედ შეიქმნა სამსახური ბუნების ღმერთებისა. ერი მზის პატივსაცემლად და მისთვის სხვერპლის შესაწირავად ძველებურადვე აღიოდა მზით. განათებულს მთის მაღალს მწვერვალებზე და სამსხვერპლოზე ანქრევდა „ჰაომის“ წვენს, „განმამაგრებელს“, „უკვდავების მომცემელს“. წინანდებულად ერი თაყვანს სცემდა ცეცხლს, მიწას „მომთმენს“ და „მორჩილს“, წყალს, წმინდა მთებიდგან მომდინარეს, გამანაყოფიერებელს მინდვრისას და საძოვრისას, შეიარაღებულს სეროშს, დღის თანამგზავრს, ღამის მოჩვენებათა განმდევნელს. უკეთეს სახსრად ბოროტ ძალთა დასაძლევად გამოაცხადა ზნეობრივი წმინდა ცხოვრება, შემუშავებით განაყოფიერება მიწისა, დახოცვა მავნებელ ცხოველებისა, ზომების მიღება წინააღმდეგ ზამთრის სისასტიკისა, უდაბურ ადგილებისა და ქარიშხალთა; სიმართლე და პატიოსნება დაევალა კაცს, აგრეთვე დაცვა სულისა ცოდვისაგან და ლოცვითა და განწმენდით სინათლის ღმერთისადმი მისწრაფება, დაახლოვება.

სახელდობრ რა დროს ცხოვრობდა ზოროასტრი, არ იციან. ზოგი ამბობს 5000 წლით უწინარეს ტროადის აღებისაო, ზოგი 6000 წლ. უწინარეს პლატონისაო, ზოგი 600 წლ. უწ. დარიოს I-ისაო, ზოგი მე VI საუკუნეშიო, კვიროსის ჟამს. ლენორმანი კი ჰფიქრობს XXV—XXVI ს. ქრ. უწინარესო (ტ. II, 150).

მთელი „არიელობა“ მიდიისა და აქაური ბინადარი ერი ემორჩილებოდა ბაბილონსა და ქალდეას, მერე ასურეთს, მხოლოდ 736 წ. ქრ. წ. მიდიამ მოიპოვა თავისუფლება და დაისვა საკუთარი მეფე, დეჰოკი. ამ დეჰოკმა ორონტის საღმთომთაში ააშენა დიდი ქალაქი ეკბატანი (აგბატანი) და აღმართა კერპი ანაჰიტა არდვისურის წმ. წყაროზე. გამეფდა მისი ძე ფრაორტი და უფრო განავრცო სამეფოს მიჯნები სპარსთა შემომავ-

რებით. სპარსნი შესდგებოდნენ შვიდ თემისაგან და ფრაორტმა ამათ უფროსად დაუდგინა ახემენიდი (ჰაქმანისი). ასურელებმა დაამარცხეს ფრაორტი რაღას ქალაქთან... ყველა ეს ცნობები ლეგენდარულია. ტიგლატ-ფალ-ასარის (745—727 წ.) წარწერებით მიღია რომ დაიპყრა ამ მეფემ, აქ ნახა მრავალი თემი, რომელთა უფროსებად მამასახლისები იყვნენ. შემდეგ ფრაორტისა გამეფდა, ლეგენდითვე, მისი ძე ციაქსარი (633—593 წ.). ამის მეფობაში მიღიას შემოესივნენ სკვითები მადიასის წინამძღოლობით. ეს სკვითები სცხოვრობდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში, ვოლგასა და დონს შორის, დიდხანს იგინი ტრიალებდნენ კავკასიის ლელე-ყურეში და 625 წელს მიესივნენ მიდიას და აიკლეს თითქმის მთელი მცირე აზია. იგინი ონავრობდნენ აქ 18 წლის განმავლობაში და მერე ზოგი მათგან გასწყდა მიდიელებთან ბრძოლაში და ზოგი სამშობლოშივე დაბრუნდა.

ამ სკვითების შემოსევას „ქართლის ცხოვრება“ ხაზარების შემოსევას ეძახის. უახლოვეს მიზეზად ხაზარების („სკვითების“) შემოსევისა ჩვენი მატთან სთვლის იმას, რომ ამ შემოსევის წინად ქართველებმა (თარგმოსიანთ) აიკლეს მთელი ჩრდილოეთი კავკასია და ხაზართა საზღვრებზე დასდგეს ციხე-ქალაქნი (ქ. ცხ., 22). ამას, რასაკვირველია, ვერ მოითმენდნენ იქაური დაქსაქსული ველოურები. მათ მოახერხეს შეჯგუფება, ამოირჩიეს „ჩინებული“ მეფე, დიდის სიმრავლით გამოვლეს ზღვისკარი (დარუბანდი), შემუსრეს ყოველნი ქალაქნი არარატისანი და მასისისანი, ხოლო ვერ აიღეს ცირე-ქალაქნი თუხარისი, სამშვილდე და მტკვრის ციხე (ხუნანი). ისწავეს არაგვის კარიც (დარიალანი) და მოხარკე ჰყვეს ყოველნი. მეფე მათი რომ დაბრუნდა, თავის ძეს უობოსს მისცა ტყვე სომხითისა და ქართლისა და დაასახლა იგი კავკასოს ნაწილში, თერგიდგან დასაუღლეთისკენ ზღვამდე (აზოვისა) და ამ ქვეყანას დაერქვა ოვსეთი (ოვსეთი უნდა იყოს იგივე უობოს-ეთი: ოვსი = მეგრ. ოფსი, რომელიც შემოკლებული უობოსი უნდა იყოს, მით უმეტეს, რომ უ ხშირად ისპობა: რუსი = ინგ. ურუს = სვან. მ-ურუს).

სწორედ ეს ხაზარნი უნდა ყოფილიყვნენ ის ბუნთურქნი და ჰონნი, რომელთაც გარდმოვლეს კავკასი კასპიის ზღვის იქიდგან, ე. ი. ჰირკანიიდგან, მით უმეტეს, რომ ამ ბუნთურქებს ქართლ. ცხოვრება სთვლის (გვ. 16) სასტიკ წარმართებად და ყივჩაყად, ხოლო ყივჩაყი იგივე ხაზარეთია.

ქართლის ცხოვრება არა სცდება, როდესაც ამბობს ოცნეთი წარმოსდგა „სომხეთისა“ და ქართლის ტყვეების გადასახლებით ყუბანის ხეობაშიო. რომ ოსეთშიაც არის ქვეყანა ბასიანი და მასისის ძირს არეზისა და ჭოროხის სათავეშიაც, ეს მხოლოდ ამ გადასახლებით უნდა აიხსნას, აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ოსური ენა სავსეა ქართულ სიტყვებით (ხუცაუ=ლუთა, ქანი=ქნა ქმნა) და სხვ.) და ზოგიერთ გრამატიკულ ფორმებითაც (თაგაურ თა=თაგია-თე) და სომხურსაც ენათესავება რაოდენათმე.

606 წელს ციკსარმა სხვა მეფეების დახმარებით აიღო ნინეცია. ციკსარის სიკვდილის შემდეგ გამეფდა მისი შვილი, ასტიაგი, რომელიც უზრუნველად ცხოვრობდა ეკატანას. იგი ჩამოაგდო ტახტიდგან კვიროსმა (558 წ.) და ამან დააარსა სპარსეთის სახელმწიფო.

აი როგორ, რა გზით და ვის შემწეობით შეიქმნა კვიროსი სპარსთა სამეფოს დამაარსებლად და ამ სამეფოს პირველ ხელმწიფედ.

6. ღამასკელი, რომელიც ცხოვრობდა ცესარისა (+44 წ. ქრ. წ.) და აგვისტოს (+14 წ. ქრ. წ.) შამს, მოგვითხრობს (გან, 210):

„მაშინ (მიდიის მეფის ასტიაგის, კვიროსის დედის მამის შამს) კადუსიანთ მტრული განწყობილება ჰქონდათ სპარსეთის ხელმწიფესთან. მათ მამფალად იყო ონოფერნი. ამან უღალატა თავის ერს, მიემხრო სპარსთა მეფეს. მოციქული აახლა ასტიაგს და სთხოვა, ვინმე სანდო კაცი გამომიგზავნე, მოველაპარაკო, როგორ გადმოვიდე თქვენს მხარესო. და მან გაუგზავნა კვიროსი მის დასახმარებლად. ხოლო კვიროსმა ხელშეკრულება დასდო ონოფერნთან და კადუსიანები წაიყვანა წინააღმდეგ ასტიაგისა“.

ასტიაგმა შეჰკრიბა დიდი ჯარი. მაგრამ კვიროსმა შემუსრა მისი ძალა. და თვით ასტიაგი დაატყვევა. ასრე დასრულდა მიდიელთა თავისუფალი ცხოვრება. 558 წელს ქრ. წ. და დაარსდა ახალი სამეფო, სპარსთა.\*)

ღანაშთენი ძლევამოსილობაც კვიროსს ერგო იმავე კადუსიან—ჰირკანელების დახმარებით.

ქსენოფონტეს „კიროპედია“-ში ვკითხულობთ:

წიგნი მე 5, 23: გამეფების შემდეგ კვიროსმა მოინდომა გაელაშქრა ასურელთა მეფის წინააღმდეგ. მოიწვია ჰირკანიის მეფე და ჰკითხა:

„მითხარ, ასურთა მეფე მარტო შენ გთვლის მტრად, თუ სხვაცა ჰყავს მტერი?“

„უპასუხა: „უამრავი და ვაშკაცი მოდგმა კადუსიანთა უკიდურესი მტერია მისი, აგრეთვე ჩვენს მეზობლებს საკებს დიდი უბედურება დაატეხეს, რადგან მათი დაპყრობაც უნდოდათ“.

„თუ ეგრეა“—ეუბნებოდა კვიროსი—გწავთ, რომ იგინი ჩვენთან ერთად გაილაშქრებენ წინააღმდეგ ასურთა მეფისა?“

„დიდის სიხარულითო“, მიუგო ჰირკანიის მეფემ.

წიგნი იგივე, მ. 24: მოლაპარაკების შემდეგ ლაშქრობაში მონაწილეობა მიიღეს კადუსთ, საკთ და ჰირკანელთ. კადუსიანთა ჯარი „პელტასტი“ იყო 20,000 და ცხენოსანი 4000, საკთა ქვეითი ჯარი იმდენი იყო, რამდენიც შეეძლოთ საომრად გამოეყვანათ.

\*) თეიმურაზ ბატონიშვილს დიოდორ სიცილიელიდან გადმოუთარგმნია შემდეგი საყურადღებო ცნობა (გვ. 100—101): „მითა მეფე იყო არსეი. იგი გადაემტერა პერსითს. ეს 4,000 კაცით განივლტო კადუსიანთ ქვეყანას, რომელსა ვწოდებთ ივერია. პერსითის და ცოლად ჰყვანდა აქაურს მამასახლისს. პერსითმა განამხნო ქართველნი, რათა არ დაე მორჩილნენ მიდელთ, რომელთაც მათი დაპყრობაც უნდოდათ. ქართველთ სპასპეტად ამოირჩიეს პერსითი. ამან შეკრიბა საქართველოში 200,000 მეომარი და მიდიას საზღვარს წაიყვანა. არსეი არბაკისძე 80000 მეომრით დაუხვდა. შვიქმნა სასტიკი ბრძოლა მიდელნი იძლივნენ. ქართველებმა მათ მოუკლეს 50,000 კაცი.“

ნ. ვ. ვი: ლაშქარი მიდიოდა ამ რიგად: ხრისანტს მიჰყავდა ჯავშნიანი მეომრები, მას მიჰყევბოდნენ: არტავაზი სპარსთა პელტასტებით და მებისრეებით, ანდამია—მიდიის ქვეითი ჯარით, ემვა—არმენიის ლაშქრით, არტუხი, — ჰირკანის ჯარით, თემერადა—საკებით, დათამი—კადუსიებით.

რომ მართლაც კვიროსსა და სომეხთ მეფეს ქართველები დაჰხმარებიათ ასტიაგთან ბრძოლაში, ეს სჩანს ქორენელის სიტყვიდამაც (გვ. 67): „სომხის მეფემ შემოიკრიბა ლაშქარი კათბადუკიილამ, ივერიილამ და ალბანიილამ და ყოვლის თავის ძალონით მიესია მიდიის მეფე აჟდახს“ (ასტიაგს).

ვიმეორებთ, ამ ლაშქრით კვიროსმა შემუსრა ასურეთი და დაიპყრა ბევრი სხვა სამეფო.

### 3. სომეხთა სამეფოს დასსება.

ვანის ლურსმულ წარწერების ზედმიწევნით შესწავლის შემდეგ პატკანოვმა გამოაცხადა (Ванскія надписи, გვ. 33): „მე VIII-VII საუკუნის ქრ. წინანდელ დროის „არმენიის ისტორია“ სრულიად არ ვიცითო,“ და ვანის წარწერების აღმოჩენამდე კი იგივე პატკანოვი ამტკიცებდა (1869 წელს), რომ 3,000 წლის ქრ. წ. და ამაზედაც უფრო ძველ დროს „არმენთა“ ტომმა იწყო გადმოსახლება არარატის ქვეყნებში და განდევნა აქაურობიდან ბინადარი მოსახლე ვრი უცნობის მოდგმისა და სემისნიო“ (იხ. Исслѣдов. о діалектахъ арм. языка, გვ. 5).

ზარნა საისი გადაქრით აშობს, სომხებს მეექვსე საუკუნ. ნახევარშიაც არ მოეხწიათ ვანის არე-მარემდეო (О клинообразн. надпис., 8-9).

სტრაბონი მოგვითხრობს (მ. ქორენელის „დამატება“, გვ. 348): სომხეთი წინაპირველად მცირე მაზრა იყო და გადიდდა ანტიოქოზ დიდის (224-187 წ. ქრ. წ.) სპასპეტების არტაკსიასისა და ზარიადრიასის ეამს, რომელნიც გახელმწიფდნენო.

ეს ცნობა ეწინააღმდეგება კსენოფონტეს ნათქვამს შესახებ „არმენიის“ მეფის ტიგრანისა, კვიროსის თანამედროვისა. ჩვენ გვგონია, ტიგრანი სწორედ სომხების მოთავე იყო და მეფედ დაადგინა კვიროსმა\*) და დაუპყრა ქალღთა ის ადგილები, სადა ამ ქალღთ ჰქონდათ რემათა და არვეთა გამოსაზრდელი საძოვრები და ამ მე-რემენე და მე არვენების სახელი დაერქვა თვით ტიგრანის სამეფოს, ჰაიქ-ს, ჰაიასტანს, არმენი-ას (რემენებისა და არვენ-ების სამშობლოს).

საქართველოსა და სპარსეთს შორის მიჯნის გასამაგრებლად ამ მიჯნაზე ახალის სამეფოს დაარსება კვიროსის გულითადი საწადელი უნდა ყოფილიყო: ამით იგი დაიცავდა სპარსეთს მეომარ ქართველების შესევისაგან, იმ ქართველებისა, რომელთა შემწევობით სამეფო დაიარსა და მერე, მადლობის მაგიერ, გადაემტერა და ბრძოლა აუტეხა.

ასრეთი დასკვნა ჩვენ გამოგვყავს შემდეგის ცნობილად კიროპედია“-სი.

„პიროპედია“, წიგნი მ, თ. 1, მ. 34): ქალღნი (ხალღნი) ემტერებოდნენ ტიგრანს. კვიროსმა ტიგრანი აიყვანა ერთის მთის მწვერვალზე და ჰკითხა: „როგორია ის მთები, საიდგანაც ქალღნი ჩამოდიან სარბევად?“ — „იმ მთებზე მუდამ არიან ქალღთა გამსტრობნი და მტერს რომ დაინახვენ, ერთ ურთს უყვირიან და ატყობინებენ“ (თ. II, მ. 1)

მეორე დღეს ტიგრანმა მოიყვანა 14,000 მეომარი. ვიდრე ტიგრანი მოვიდოდა, კვიროსმა უთხრა თავისიანებს: „მეგობრებო! თუ ის მთები, რომელნიც ეკუთვნიან ქალღებს, დავიქირეთ და ერთს მწვერვალზე დავდგით ჩვენი სიმაგრე, მაშინ ჩვენი შიში ექნებათ სომხებსაც (არმენებს) და ქალღებსაც“ (იქვე,

\*) *Lettres assyriologiques*-ში ლენორმანი ამბობს: „სომხებს არ ახადიათ არავითარი ნაციონალური თქმულება ტიგრან 1-ლამდე, რომელიც კვიროსის თანამედროვე იყო. რაც შეეხება ამაზე წინა დროს, ყველა მოთხრობა სომხთა მწერლებისა მომდინარეობს მ. ქორენელის წიგნიდან და ეს წიგნი კი დამყარებულია მარ-აბას-კატინას ისტორიაზე, რომელიც შეიცავს უფრო მეტს ტყუილს, ვიდრე სიმართლეს.“

მ. 4). ქალდთ შენიშნეს მტერი. შეიყარნენ და გორიდგან გორას თავისიანებს აუხმაურდნენ (მ. 6). ქალდნი შეჭურვილიყვნენ მსუბუქ ფარებით და შუბებით. იგინი უძლიერეს ერად ითვლებოდნენ ამ მხარეს; ვინც სასყიდელს მისცემდა, მას ემსახურებოდნენ, რადგან იყვნენ მეომარნი, თუმცა და ღარიბნი მათი ქვეყანა იყო მთიანი და მცირე მოსავლიანი (მ. 7).

ძვიროსი და სომეხნი მიესივნენ. ქალდნიც ძლიერად ეცნენ. სომეხებმა „ჩვეულებისამებრ“ პირი იბრუნეს და მოჰკურცხლეს. ქალდნი გამოეკიდნენ, გარნა კვიროსმა შემოუარა მათ. ქალდნი შეფერხდნენ, ზოგი გაიქცა, ზოგი დახოცეს და ზოგი შეიპყრეს (მ. 9-10).

ძვიროსმა იქვე ციხის აგება იწყო. მოჰგვარეს ტყვე-ქალდნი. კვიროსმა უთხრა მათ: „თქვენ დასარბევად და ასაოხრებლად კი არ მოვსულოვარ, არამედ რათა თქვენ შორის და სომეხთა შორის მეგობრული ზავი დავდო. ამ მწვერვალის დაჭერამდის თქვენ არ გინდოდათ ზავის დადება და სძარცავდით სომეხებს. ახლა კი სულ სხვაა. გამითავისუფლებიხართ. წადით შინ და სხვებთან ერთად მოილაპარაკეთ, ომი გსურთ, თუ მშვიდობა. (მ. 12—13).

ქალდნი რომ წავიდნენ, ტიგრანმა მოახსენა კვიროსს: „ამთგან მოსვენება არა გვქონდა და ახლა ისე უშიშროდა ვარ, როგორც არასდროს. უფრო მეტ ფულს მოგცემდი, თუ ქალდთ ამ მთებიდამ გარეკავდი“. (მ. 16).

ამასობაში ქალდნი დაბრუნდნენ და სამშვიდობო ამბავი მოუტანეს. კვიროსმა ჰკითხა:

— რად ხართ ღარიბნი, მიწის სიმცირის გამო ხომ არა?

— ღიახო, უპასუხეს.

— ხომ არ იკისრებთ გამოილოთ იმდენივე ხარჯი, რამდენსაც ხდილობენ სომეხები, თუ მოგეცათ უფლება შეიმუშაოთ სომხის იმდენი მიწა, რამდენიც გსურთ?

— „აიო“, უპასუხეს, „თუ დავრწმუნდებით, რომ ხელშეუხებლად ვიქმნებით მათ მიერ.“

— არ ღათანხმდებით, ქალდო, — რადგან თქვენ გეკუთვნით კარგი მთები, დაუთმოთ იგინი საძოვრად სომხებს და მათგან მიიღოთ საბალახე (ფასი)?

— ლმერთს გეფიცებითო, დაუმატეს ქალდო, თუ იგინი დაიქერენ ჩვენს მწვერვალებს, მაშინ არა თუ მათს მიწებს, ჩვენს საკუთარსაც დამწვიდებით ვერ შევიმუშავებთო.

— მაშ კარგი, მწვერვალებს მე თვითონ დავიქერო.

შემდეგ ასრეთი ზავი დასდეს ქალდთა და სომეხთ შორის: ორივე ერმა დამოუკიდებლად იცხოვროს, გარნა ცოლქმრობა ერთერთ შორის ჰქონდეთ, აგრეთვე საზიარო მიწები და საძოვრები და მტრის მოგერება ერთერთის დახმარებით. (17—13).

„მაშინ დადებული ხელშეკრულება ქალდთა და არმენთ მართველს შორის აქნობამდე დარღვეული არ არისო“, დასძენს იქვე კსენოფონტე, რომელიც კვიროსისა და ტიგრანის აქეთ ასის წლის შემდეგ ცხოვრობდა (450—513 წ.).

ამას დაუმატებთ-რა სტრაბონის სიტყვას, რომ სომხეთის სამეფოს დაარსების შემდეგ ანტიოქოზის სპასალართაგან და მათ მიერ იბერების და სხვა მეზობელ ხალხების ზოგიერთ ადგილების დაპყრობისა წარმოსდგა ახალი, სომხური ენაო, ისე, რომ დღეს (სტრაბონის უამს) იმ ქვეყნის (არმენიის) ყველა ხალხი ერთს ენაზე ლაპარაკობსო, აგრეთვე მივიღებთ-რა მხედველობაში თვით მ. ქორენელის სიტყვას, რომ „არამმა უბრძანა იმ ქვეყნის მცხოვრებთ შეისწავლონ სომხური ენაო,“ უნდა დავასკვნათ: სომხის ენი, ძველ სამარტელებიგით, არის ნაწვეი ენი. მათი ენა შედუღებული ენაა, წარმომდგარი, აღბად, მადიასთან ერთად გადმოვარდნილ რომელიმე მოდგმის ენისა და აქვე დაშთენილ ბინადარ ერის მე-რემენ-მე-არვენეთა ენისაგან. და რადგან ამ რემენ-არვენთ, რომელთაც თვისი სახელი გადაულოცეს ახალს სამეფოს ჰაიკისას, ჩვენ ვთვლით ქართველებად, ამიტომ ამ არმენ-სომეხთა ენა უნდა სავსე იყოს ქართულსიტყვებით და მისი გრამატიკაც ქართულის გრამატიკის ზედგავლენის ქვეშე უნდა შემუშავებულიყო და აგრეთვე თვით

პოლიტიკური წესწყობილობაც. ამის თავდებია მ. ქორენელის სიტყვები: „ჰაიკი რომ შემოვიდა არმენიაში, 300-მდე კაცი ჰყვანდა, მას მიემხრნენ უცხოეთითგან მოსულნი თავის ქონებით. აქ დახვდა მას ბინადარი ერი, რომელიც ამას წინაღობა განიბნა. ჰაიკმა იგინი დაიმორჩილა. არ ვიცით, ამბობს ქორენელი, წინანდელი შთამოება გადაშენდა თუ ამბობების გამო ამოწყვეტეს და მათ მაგიერ შეადგინეს რაზმ-დასები სხვათაგან და უწოდეს სასახლის ლაშქრად. უთუოთ წინანდელნი შთამომავლობდნენ ტომისაგან ჩვენთა პირველთა მეფეთა იმის მსგავსად, ვითარცა აწ ივერიაში ჩვენ ვხედავთ სეფეწულებს (ეს უკანასკნელი სიტყვა ქართულადვეა მოყვანილი).

ამას გარდა რადგან მიდიაში, საზოგადოდ, არიელების შემოსვლამდე უფლობდნენ ქართველი მოდემისანი და მათ გაბატონების შემდეგაც აქ დიდხანს იყვნენ ქართველნი და მრავალნი სამუდამოდ დარჩნენ და შეილივნენ არიელებში, ამიტომ სპარს — ქართულ ლექსიკონში მყოფ უამრავ საერთო სიტყვათა შორის გარდა მწერლობით შემოღებულებისა, დანაშთენი სიტყვები უნდა იყოს წმინდა ქართულის ფესვისა.

#### დ. კვირქოსის ცხოვრების დასასრული.

კვირქოსმა, აღვიდა-რა ტახტზე და დაიპყრა-რა მრავალი სამეფოები, მალე დაივიწყა სამსახური მის მომხრე სამთავროებისა. ჯერ იყო-და ქალღთა მთებზე განამტკიცა სომეხთ სამეფო და მერე ჩრდილოეთისკენ წავიდა საკებისა და თურქთ დასამორჩილებლად.

ჰიპერტის რუკაზე Sacaseni აღნიშნულია იქ, საცა ქართველთა რანი იყო, რომელსაც ეჭირა მტკვრის მარჯვენა ნაპირი ბერდუჯითგან (დებელიდგან) ბარდავამდე (განჯამდე) Sacas-დ აღმოსავლეთში იწოდებოდნენ სკვითები. მაშასადამე საკა-შენი ყოფილა ქვეყანა საკებისა (შეადარე თამარა-შენი, ხოდა-შენი ყოფილა ქვეყანა საკებისა (შეადარე თამარა-შენი, ხოდა-შენი) (შენი წარმომდგარა ზმნიდამ შენება, რომლისაგან გვაქვს

შინ, შინა და სახანა „აღშენებული“ (იხ. საბას ლექსიკ.). თვით საჯა შეიძლება იყოს ქართული საკა, საკანი, ესე იგი გამოქვაბული: ძველი მწერლები ამბობენ, სკვითები გამოქვაბულებში ცხოვრობდნენო. საკ-ეთი ადვილად შეიცვლებოდა სკვით-ად).

არც ერთ წყაროდგან არა სჩანს, რომ კვიროსს გამოელაშქროს ამ საკების წინააღმდეგ, თუმცა-ღა ვებერი ამბობს, ვითომ კვიროსს თავის სამეფოს საზღვარი მიეტანოს კავკასიონამდე, დაეპყრას ველური (!) მარდები და კადუსიანები და ვითომ სახელები ივერთ მდინარეებისა კირ (მტკვარი), კამბიზ (გორი?) გვიჩვენებდენ, რომ სპარსთა მფლობელობა ამ ქვეყნებში აღრევე დამყარებულიყო (ვებერ, III, 389).

ძალაქ გორს არასდროს არა რქმევია კამბიზი და თვით „გორს“ არავითარი მსგავსება არა აქვთ „კიროსთან“: ამ ქალაქს ეს სახელი დაენახლა ძველადგანვე მის შუაგულს აბურცებულ გორა-დამ. სად გორა=გორი, სად კირი და კვიროსი!

თვით კირ (Cyrus=მტკვარი) და კამბიზ (იორა) ვებერს და არიელების მოტრფიალე ევროპელ მეცნიერებს აურევიათ: სწორედ ძველ Persis-ის წინ, კარმანიასა და მის შორის აგრეთვე იყო მდინარეები Cyrus და Araxes, რომელნიც იქვე მცირე ტბას ერთოდნენ (იხ. Atlas antiquus).

რომ კვიროსი აწინდელს მტკვარს და არაქსზედ არ გადმოსულა, ეს მტკიცდება პლუტარხოსის ჩვენებითაც, რომელიც ამბობს: „აღმოსავლეთ ივერიელნი წინად არ ემორჩილებოდნენ არც მიედიელებს და არც სპარსებს. იგინი მაკედონელთა უღელსაც გადურჩენენ“ (გან, 124).

შართალი უფრო ის უნდა იყოს, რომ კვიროსმა მიიძხრო იგივე კადუსიან — ჰირკანელნი და გაილაშქრა იმ საკებისაკენ, რომელთა სამშობლო იყო თურანი, ოკსუსსა და იაკსარტზე აქაური საკები იყვნენ ტანით მაღალნი, გრძელ—თმიანნი, ცხოვრობდნენ ტყეებში, გამოქვაბულებსა და კარვებში. მათ ჰქონდათ მხოლოდ ერთად ერთი ქვითკირით აგებული კოშკა, სავაქრო საქონლის საწყობად. (ვებერ, III, 389). აქ კვიროსი მოკლეს საკებმა — მასსაგატებმა. ეს კოშკოვანი მასსაგატები

ჩვენ ოსებად მიგვაჩნია: წინადაც ვთქვით, რომ მასივ ოსურად კაშკაშს ნიშნავსო, ხოლო მასსაგეთი, ვითარცა ხაზარ (ოსურ.—სახლი)—ხაზარ ეთი.

### მ. ალექსანდრე მაკედონელის ღაშქრობა

ძვიროსის მოადგილეებმა დაიპყრეს მრავალი ქვეყნები ინდოეთიდან ხმელთა-შუა ზღვამდე ეგვიპტითურთ და მერე არა ერთხელ შეესივნენ თვით საბერძნეთს და იქიდგან სკვითებს, რომელნიც მოსახლეობდნენ შავიზღვის ჩრდილოთ კერძო, დონისკენ. ამდენის ძლევამოსილობით სპარსეთის მეფეები გაამაყდნენ, გაყვინიზდნენ. ამავე დროს მათ მიერ დამონებულნი ერნი, მეტადრე ბერძენნი, დაუძინებელ მტრად გაუზდნენ სპარსელებს და ელოდნენ მარჯვე დროს, სისხლი აეღოთ, მტარვალნი დაეცათ, შეემუსრათ. ეს დროც დაუდგათ.

მაკედონიის მეფის შვილმა ალექსანდრემ შეაერთა დანაწილებული სამთავროები საბერძნეთისა, შეჭკრიბა დიდი ლაშქარი, მცირე-აზიას გადმოვიდა და შეებრძოლა დარიოზს. იგი ზედიზედ დაამარცხა. აღმოსავლეთის სამთავრო-სამეფოები ზოგინებით, ზოგი ბრძოლით აიღო, დაიპყრა ეგვიპტეც და გამოეკიდა გაქცეულს დარიოზს. ხელახლა დაამარცხა იგი არბელასა და გავგამელას (1 ოკტ. 331 წ.) და მერე აიღო ბაბილონი, საცა 30 დღე ილხინა. შემდეგ აღმოსავლეთისკენ წავიდა. სუზა უომრად დაემორჩილა. აიღო პერსეპოლისი და ცეცხლს მისცა. აქედგან ეკატანისკენ წავიდა. აქ იმალეობდა დარიოზი. მოუახლოვდა თუ არა ალექსანდრე ეკატანს, დარიოზი გაიქცა რადას. ალექსანდრე გამოეკიდა და პირკანიის ქვემო კასპიისკარები დაიჭირა. დარიოზი გადავიდა თაფურების ქვეყანაში და ტარას დადგა. აქ შებოჭა მისმა ერისთავმა (სატრაპმა) ბესმა და აღმოსავლეთისკენ გაიქცა. ჰეკატომფილის მინდვრებზე უკვე ეწეოდა ალექსანდრე, ბესმა მოჰკლა დარიოზი (3 ივლ. 330 წ.) და გაიქცა ბაქტრიანისკენ. ალექსანდრე მივიდა პირკანიის ქალაქ ზადრა კარტას, საცა, შემდეგ ელბურსის ძნელ

გზების გავლისა, მოასვენა ჯარი. აქ გამოეცხადნენ მას წარჩინებული კაცები და მათ შორის არტაბაზი და მისი შვილები არიობარზან და არსამ. ალექსანდრემ ძველივე თანამდებობა დაუმტკიცა მათ. დაიპყრა ჰირკანია, მემომარნი კალუსიანნი, შემდეგ წავიდა და დაიპყრა პართია, არიანა, გამოეკიდა ბესს ბაქტრიანაში, ბესმა გადავლო ოქსიანა და ოქსუსს იქით ნავტაკს გამაგრდა სოგდიანის ციხეების დაიმედებული. მაგრამ შეიპყრეს მარაკანდს (სამარყანდს) და მოჰგვარეს ალექსანდრეს. ბესსი ჯვარს აცვეს. აქედან ალექსანდრემ ჩავლო ინდოეთისკენ, ინდოთა მეფე პიროსი დაამარცხა და გედროზიით დაბრუნდა სუზას, მერე ეკატანს და ისევ კალუზია—საგართიასა და ჰირკანიას და აქ დაათვალიერა ნისეის მინდორი, საცა ძველადგანვე ფრიად კარგის ჯიშის ცხენები იზრდებოდნენ. ჰირკანიის მთებში დააქრევინა ხე-ტყე ნავების ასაშენებლად: მას სურდა ინდოეთიდგან ევროპას ეზიდა სავაჭრო საქონელი კასპიის ზღვასა, მტკვარსა, რიონსა და შავს ზღვაზედ. იგი მალე ამის შემდეგ გარდაიცვალა (11 ივნ. 324 წ.).

ალექსანდრე მაკედონელის ძეობედ შემოსვლა საგართიას ფრიად საყურადღებოა იმ მხრით, რომ ამით მართლდება შატბერდის ქრონიკის ნათქვამი: „ალექსანდრემ ვერ აიღო სარკინეთი და წავიდაო (ინდოეთს), ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ მეორედ მოვიდა და მაშინ სძლია ბუნთურქებს და დაიპყრა ქალაქი სარკინეთიო“.

ბქედგან ცხადად სჩანს, რომ ჩვენი მემატიანე საქართველოდ საქართიას გულისხმობს და არა თვით ივერიას, აწინდელ ქართლს. რომ ალექსანდრე მთლაც ყოფილა საქართველოში, ე. ი. საგართიას, ამას იწმობს იულიოს სოლინიც. იგი ამბობს, ალექსანდრემ დაიპყრა აზია, არმენია, იბერია, ალბანია და გადავიდაო ტავროსსა და კავკასზედ (იგულისხმება ჰირკანიის კავკასი). საგულისხმოა აქ ის, რომ მეფე ალექსანდრეს ჯერ დაუპყრია აზია (სპარსეთი და ინდოეთი), მერე იბერია (კასპიის მხრისა) და ალბანია (კიპერტის რუკებით—ბაქოს მხარე).

პი თვით ქართულის წყაროების თქმულება ალექსანდრეს გამოლაშქრების შესახებ.

### შატბერდას კრებულათ:

პირველ ოდეს ალექსანდრე მეფემან ნათესავნი იგი ლოთის შვილთანი წარიქცინა და შეკადნა იგინი კედარსა მას ქუეყანასა, იხილნა ნათესავნი სასტიკნი ბუნთურქნი, მსხდომარენი მდინარესა ზედა მტკუარსა მიხუევით ოთხ ქალაქად, და დაბნები მათი:

სარკინე ქალაქი, კასპი, ურბნისი და ოძრაკე და ციხენი მათნი—ციხედიდი, სარკინისაჲ, უფლისციხე, კასპისა, ურბნისისა და ოძრახისა.

და უკვრდა ალექსანდრეს და ცნა, რომელ იეზოსელთა ნათესავნი იყვნეს ყოველსა კორციელსა ჯამდეს და სამარე მათი არა იყო, მკუდარსა შეშკამდეს. და გვრემლო ბრძოლასა მათი მეფესა და წარვიდა.

### ქართლის ცხოვრებით.

ალექსანდრემ დაიპყრნა ყოველნი კიდენი ქუეყანისანი, ესე გამოვიდა დასავლით და შევიდა სამხრით, შემოვიდა ჩრდილოთ, გადმოგლო კავკასნი და მოვიდა ქართლად და ჰპოვნა ყოველნი ქართველნი (?) უბოროტეს ყოველთა ნათესავთა სჯულითა: რამეთუ ცოლქმრობისა და სიძვისათვის არა უჩნდათ ნათესაობა, ყოველსა სულსა ჯამდეს, მკუდარსა შესკამდეს. იხილა-რაჲ ესე ნათესავნი, სასტიკნი წარმართნი, რომელთა იგი ჩვენ ბუნთურქად და ყიფიყად უწოდთ, მსხდომარენი მდინარესა მტკურისასა მიხვევით, დაუკვირდა ალექსანდრეს, რამეთუ არა რომელნი ნათესავნი იქმოდეს ამას.

და პოვნა ციხე-ქალაქნი ძლიერნი შუა ქართლ: წუნდა, ხერთვისი მტკურისა, ოძრაკე მოკიდებული კლდესა ლადოსსა, თუხარისი მდინარესა ზედა სპერისასა, რომელსა ჰქვიან ქორახი, ურბნისი, კასპი და უფლისციხე, ქალაქი დიდი მცხეთა და უბანნი მისნი—სარკინე, ციხედიდი და ზანავი უბანი ურიათა, და რუსთავი და დედაციხე, სამშვილდე და მტკვრისციხე, რომელ არს ხუნანი და კახეთის ქალაქნი.

მაშინ მოვიდეს ნათესავნი მბრძოლნი, ქალდეველთაგან გამოსხმულნი, ჰონნი და ითხოვეს ბუნთურქთა ოჯახისაგან ქვეყანა ხარკითა და დასხდეს იგინი ზანავს.

და ეპყრათ იგი. რომელ ხარკითა აქუნდა, ჰრქვან მას ხარკი. და შემდგომად რაოდენისამე ჟამისა მოვიდა ალექსანდრს, მეფეს ყოვლისა ქვეყანისაჲ და დაღეწნა სამნი ესე ქალაქნი და ციხენი და ჰონთა დასცა მახვლი.

ხოლო სარკინესა ქალაქსა ებრძოლა ათერთმეტ თთულს და დადგა სარკინესა დასავლით კერძო და დასცა ვენახი და რომ გამოიღო ქსნით და დასხნა კაცნი მერუვენი დასტაგითა რუხსათა და ჰრქვან ადგილსა მას ნასტაგისი.

და მერმე გამოიღო სარკინე: თვთ დაყარეს და მეოტი იქმნნეს.

ამათ ყოველთა ციხეთა და ქალაქთა შინა ჰოვნა კაცნი სასტიკად მბრძოლნი. და განუყოლაშქარი მისი და ყოველთა ამათ ციხე ქალაქთა გარემოადგინნა და თვთ დადგა მცხეთას და დაუდგინნა ლაშქარნი იმიერ და ამიერ, ზემოთ და ქუემოთ და თვთ დადგა ქსანსა ზედა, ადგილსა, რომელსა ჰქვიან ნასტაგისი, მტკვრის ციხესა და თუხარისსა არა ბრძოდა, რამეთუ ვერ შეუძლებდა დაპრობად ხოლო სხუანი ესე ციხენი და ქალაქნი დაიპყრა ექუს თთულს.

ხოლო სარკინელთა ბუნთურქთა აგინეს მეფესა. განუწყრა ალექსანდრე და არღარა ინება ზავი და ვედრება მათი არა შეიწყნარა და რქვა მათ: „ვინათგან მაგინეთ მე, ესე არს ნაწილი თქუნი, რათა დაგხოცნე ყოველნი“. და მოიცვა ქალაქი სარკინე და ვერა სადით განერა ერთიცა კაცი. ხოლო სარკინელთა შესჭირდა: რამეთუ ბრძოდა თერთმეტ თთულს. იწყეს ფარულად კლდესა კათა და განკურიტეს კლდე იგი, რომელი რბილ იყო და ადვლად საკურთელი, და განერნეს ხურელსა მას სარკინელნი ღამე და შეივლტოდეს კავკასად და დაუტევეს ცალიერადი ქალაქი. დაიპყრნა ალექსანდრე ყოველი ქართლი.

და ამან ალექსანდრემ მოსრნა ყოველნი იგი ნათესავნი აღრეულნი ქართლს მყოფნი და უც-

და თანა ჰყვანდა ალექსანდრეს მეფესა აზოჲ, ძს არან ქართლისა მეფისაჲ, და მას მიუბოძა მცხეთაჲ საჯდომად და საზღვარი დაუდვა მას ჰერეთი და ეგრისწყალი და სომხითი და მთაჲ ცროლისა და წარვიდა.

ხონი იგი ნათესავნი აღრეულნი ქართლს მყოფნი და უცხონი იგი ნათესავნი მოსრნა და დაატყვევევნა და დედანი და ყრმანი უცებნი, 15 წლისა უმცირესნი, და დაუტევნა ქართლოსიანნი; და დაუტევა მათ ზედა პატრიკად სახელით აზონ ძე იარედლოსისი, ნათესავი მისი, ქუწყანით მაკედონით, და მისცა ასი ათასი კაცი ქუწყანით რომით, რომელსა ჰქვიან ფროტათოს. ესე ფროტათოსელნი იყვნეს კაცნი ძლიერნი და მხნენი, ეკირთებოდეს ქუწყანასა რომისასა. და მოიყვანა ქართლად, მისცა აზონს პატრიკსა და დაუტევა ქართლს ერისთავად აზონ პატრიკი და ამის თანა სპანი იგი მპყრობლად ქართლისა.

და უბრძანა ალექსანდრემ აზონს პატივსცემდენ მზესა, მთოვარესა და ვარსკულავთა ხუთთა და მსახურებდენ ღმერთსა უხილავსა დამბადებელსა ყოველისასა. ესე სჯული მოიგონა მან და დაუდვა ყოველსა ქუწყანსა და წარვიდა.

ხოლო ესე აზოჲ წარვიდა არან ქართლად მამისა თვისისა და წარმოიყვანა რვაჲ სახლი და ათნი სახლნი მამამძუძეთანი და დაჯდა ძუელ მცხეთას და თანა ჰყუანდეს

ძვალად წარვიდა\*) აზონ მამისა თვისისა მიმართ არიანესსა და მოიყვანა მუნით ათი სახლი ჩინებულთა და ათასი სახლი მდაბიონი და ყოველნი დედანულითურთ მათით მოვიდეს და

\*) ანტონი კათოლიკოზის ვარიანტით (ისტ. თეიმურაზისა, გვ. 111).

კერპნი ლუთად გაცი და გაიმ დაეშენნენ ქართლს და თანა ჰყ-  
და ესე იყო პირველი მეფე ვეს მათ კერპნი ლუთად.  
მცხეთას შინა აზოჲ ძს არან  
ქართველთა მეფისაჲ და მოკვ-  
და და შემდგომად მისა დადგა  
ფარნაუზ.

1. „ჰონნი შეხაღნა კეღარსა ქვეყანასა“. ეს ონნები ანუ ჰუნნები კეღარიტნი 457 წ. ქრ. შ. ებრძოდნენ პართელებს (გან, II, 68). ძველად იგინი კასპელების მეზობელნი იყვნენ. დიონოსი პერიეგეტელის კომენტარიებში სწერს ევსტათე (გან, 142): უნნებს იქით კასპები არიანო. უნნი სკვითის მოღმისა-  
ნი არიანო და სპარსელები თურქებად უწოდებენო. მიდიელებს შშვიდობა აღუთქვესო და ამისთვის გამოართვეს 40,000 ოქროს ფული და ისე გამდიდრდნენ, რომ აკეთებდნენ ოქროს ლოგინებს (ტახტებს), მაგიდებს, სკამებს, სელებს და სხვ.

2. ალექსანდრე რომ გამოეკიდა ბესს და ზადრაქართას მივიდა, აქ დარჩა სულ ხუთმეტოდე დღე და ამ ხნის განმავლობაში იგი ვერ შესძლებდა ჰირკანიის გამოვლას და კადუზიანთა, საგართიელთა, მარდებისა, გელებისა და კასპელთა დაპყრობას. თუნდაც ამ მეომარ თემებს არ ებრძოლათ მასთან, მაინც მარტო ზადრაქართითგან აქეთ მოსვლა-წასვლისათვის დასჭირდებოდა უკანასკნელი 3-4 თვე და ალექსანდრე კი მიეჩქარებოდა აზიის შუაგულისკენ, რომ ხელთ ეგდო ბესსი, რომელმაც დარიოზი მოჰკლა და სპარსეთის ხელმწიფობა მოინდომა. შატბერდის ქრონიკაც ამბობს, „ვერ ეძლო ქართს ბუნთურქებთან და ჰონნებთან ბრძოლა და წარვიდაო“. აქ „ვერ ეძლო“ „ვერ ეცალას“ მნიშვნელობით ნათქვამი უნდა იყოს.

3. მეორედ რომ მოვიდა ალექსანდრე, მაშინ შემუსრა ბუნთურქნიო, ამბობს შატბ. ქრონიკა. აქ, აღბად, იგულისხმება ალექსანდრეს ბრძოლა კადუსიანთა, გელთა, კასპელთა და ჰირკანელთ მეზობელ მარდებთან მაშინ, როდესაც სუზაკატანით მეორედ მოვიდა ჰირკანიისკენ.

დიოდორ სიცილიელი ამბობს (გან, 93): „ალექსანდრემ მოიარა ჰირკანია და მისი მეზობლად მყოფი ქვეყნები. კასპიის ზღვის პირ-პირ რომ მიდიოდა, მარდების ქვეყანაში შევიდა. ამ ხალხმა, ჯან-ლონით ძლიერმა, არავითარი ყურადღება არ მიაკცია მეფის განდიდებულს შემძლებლობას და არ დაუხვდა და პატივი არა სცა. პირიქით, მარდებმა შეჭკრიბეს 8000 მეომარი, მთის გზები შეუკრეს და წინ გადაელობნენ მაკედონელებს. მეფე მიესია, უმეტესი მათგან გასწყვიტა და დანაშთენნი შერეკა მიუვალს ადგილას. როდესაც ცეცხლს მისცა მათი ქვეყანა, ისე მოხდა, რომ მეფის მეჯინიბენი, რომელთაც მეფის ცხენები მიჰყავდათ, უკან ჩამორჩნენ. ბარბაროსნი მიესივნენ ამათ და მოსტაცეს ყველაზე უმჯობესი ცხენი. ალექსანდრეს ეწყინა და მკვიდრთა ენაზე გამოუცხადა მარდებს, თუ ცხენს არ დამიბრუნებთ, გაგიოხრებთ მთელს ქვეყანას და თქვენც ცოცხლად ვერ გადამირჩებიტო. ბარბაროსებმა ცხენი დაუბრუნეს, მიართვეს საჩუქარიც და 50 კაცი აახლეს და პატიება ითხოვეს. ყველაზე წარჩინებულნი მათგან მეფემ მზევლად\*) დაიტოვა.

4. „აზონს მისცა 100000 კაცი ქვეყანით რომით, რომელსა ჰქვიან ფროტათოს. ესე ფროტათოსელნი იყვნეს კაცნი ძლიერნი და ეკირთებოდეს ქვეყანასა რომისასა“.

ფრიად საგულისხმო ცნობაა. რას მოასწავებს სიტყვა:

„აზონისთვის მიცემული 100000 კაცი ქვეყანით რომით ეკირთებოდეს ქვეყანასა რომისასა“? აქ არავითარი წინააღმდეგობა არ არის. „რომ-გვარად“ იწოდებოდა აწინდელი ხვარახანი (ქ. ცხ., 328), ხოლო ფროტათოსად მდ. ეფერატი. მაშასადამე ეს რომ გვარელ-ფროტათოსელნი ყოფილან რომის (საბერძნეთის) მტერნი და იგინი აღბად დაიმორჩილან ალექსანდრემ და მისცა იბერთ მეფეს, რომელმაც თავის მხრივ აღუთქვა ერთგუ-

\*) „მზევალი“-ს თავდაპირვანდელი სახე სვანებს დაუცავთ—ზ ა ვ ა ლ, ე. ი. ის, ვინც ორს ერს ახავებს, მათ შორის ზავს ჰკრავს. ხავი—მზავალი და არა ხევი—მზევალი.

ლება და მის ლაშქრობისათვის ხელშეწყობა კავკასიონის კარების გამაგრებით. რომ იბერთ მეფეს ალექსანდრესთან მეგობრული განწყობილობა ჰქონდა, ეს ცხადად სჩანს პლინიუსის სიტყვით:

„როდესაც ალექსანდრემ ინდოეთისკენ გაილაშქრა, იბერთ მეფემ უძღვნა ერთი უჩვეულებრივოდ დიდის ტანის ძაღლი. ალექსანდრეს გაუკვირდა ასეთი დიდი ძაღლი. რომ ნახა და მიუსია მას დათვები, ტახები, მაგრამ ძაღლი ფეხზედაც არ წამოდგა. იმპერატორმა ძაღლი მოაკვლევინა. ეს ამბავი მიესმა იბერთ მეფეს, რომელმაც სხვა ძაღლი გამოუგზავნა და შემოუთვალა: „წვრილ ნადირებს ნუ აბრძობებ, სპილოს მიუსიეო ანუ ლომს.“ ალექსანდრემ სცადა. ძაღლმა ლომიც გაგლიჯა და სპილოც დასცა“ (გან, 111).

იბერიისა და კადუსია-საგართია-ჰირკანიის დამოკიდებულებას ნათელს ჰფენს შემდეგი საყურადღებო ცნობაც.

„თავად-აზნაურთა სიაში“, რომელიც ძველ სიგელ-ჯუჯრების თანახმად შეადგინა მეფე ერეკლე II-ემ, სწერია: თავადნი აბაშიძენი გადმოსახლდნენ ინდოეთის ეთიოპიიდან ანუ აბაშეთიდან (გვ. 12), ხოლო ორბელიანნი (ბარათაშვილნი და გუგუნავანი) დიდის სათათრეთიდან, ქვეყნიდან ჩინეთის მხრისაკიტიადამ. ჯამბაკურ, ბარათა და ბოშ იძულებულ იყვნენ დაეტოვათ თვისი ქვეყანა; იგინი დიდის ძლიერებით აიყარნენ და მოვიდნენ რანის ქვეყანას, რომელსაც აწ ქვიან ყარაბალი. ბოში დასახლდა აქვე სიონ-ს, შემდეგ სისიანად\*) წოდებულს, და ამისი წილი მოსახლეობა დაიფანტა სპარსეთისა კედმოთა ცარიელთა ადგილებთა შინა, ხოლო ჯამბაკური და ბარათა ეგეძნენ მეფე ფანანავს ქანთლოსიანს, რათა მიეცა ადგილი საქართველოს შინა დასახლებლად. და მან მიუბოძა სომხთსა ადგილსა შინა, კერძოდ გორისა და თრიალეთისა მხარესა

\*) ამ ქვეყანას (ყარაბალს) უწინ ერქვა სივნიეთი (სომხ. სიუნ) და ფრიად საყურადღებოა, რომ თავდაპირველი მისი სახელი ყაფილა სიონი.

და აღვილთა შინა მისთა. და ჯამბაკურ და ბარათა 5000-მდე მეკომურით დაესახლდნენ მუნ. (ივერია, 1884, № IV).

თვით ბარათაშვილების გუჯრის პირით მათს წინაპარს ჰრქმევია ბირიან აბაში და ეს ბირიან აბაში გადმოსახლებულა 768 წელს, მაშინ, როდესაც საქართველოში მეფობად ბაგრატ დაჯდომისძე. ამ 768 წელს და შემდეგაც არავითარი ბაგრატ დაჯდომისძე არა სჩანს: არჩილ + 718 წ., იოანე არჩილისძე (718—786), აშოტ აღარნასესძე (786—826), ბაგრატ აშოტისძე (826—876) დავით ბაგრატიისძე (876—881), აღარნასე დავითისძე (881—929), სუმბატ აღარნასესძე (923—958), დავით სუმბატისძე (958—994), გურგენ; ბაგრატ გურგენისძე (980—1014) და სხ.

ამას გარდა, 768 წლებში, მის წინათაც მირილამ მოკიდებული, და შემდეგაც საქართველოსა და საზოგადოდ მთელს სპარსეთ-კავკასიაში ბატონობდნენ არაბნი და იმ დროს გრძელის გზის გამოვლა თითქმის 100000 კაცით (მაშინდელი 5,000 კომლი ამხედ ნაკლები არ იქნებოდა) და საქართველოში დასახლება ყოვლად შეუძლებელი იყო. ამიტომ ბარათიანთ-გუჯრის პირის თარიღი ჩვენ შეცდომად მიგვაჩნია, მით უმეტეს, რომ ბარათაშვილების გადმოსახლების შესახებ გვაქვს ისეთი ჩვენება, რომელიც თვით მეფე ერეკლეს ამოუღია ძველ სიგელ-გუჯრებიდამ. სწორედ ფარნავაზის შამს მთელი აღმოსავლეთი შერაყია მაკედონელის ლაშქრობამ, თემნი და ერნი გადასხ-გადმოსხა.

ჩვენ ვფიქრობთ, ეს 5000 მეკომური ბარიან-ორბელიან—აბაშთა და ბოშის სახლიკაცობა, რომელიც „გაიბნა სპარსეთსა და სისიანს“, იყო ის მხედრობა, რომელსაც ებრძოდა ალექსანდრე მარგიანა-ბაკტრიანას, ცერათსა და სამარყანდს. ჭკუაზე ახლოა, რომ ის ბესსი, რომელიც დარიოზის მოკავშირე იყო და რომელსაც გამოეკიდა ალექსანდრე, იყო სწორეთ ჩვენი აბაში ანუ ბოში, მამა ფარნავაზისა და ძმა მამასახლისის სამარასი.

პი ზოგი-რამ წვლილი, ამ აზრის გამამაგრებელი:

ა. ბესს ეგონა დავიმაღლებიო მთის სიმაგრეთა შემწეობით ადგილსა ნავტაკს (ვებერ, III, 207).

ბ. ეს ადგილი ახლო იყო ოქსიანა—ბაქტრიანადგან.

გ. ბესსი შეიპყრა მარაკანდს (=სამარყანდს)

დ. ალექსანდრემ იქ ნახა ქალაქი Kurapolis ანუ Kuraeschata ანუ Kurukschaethra.

ე. ალექსანდრემ ააშენა ქალაქი კავკასიაში (ინდის მხრიდან ჰირკანიისკენ მომავალს კავკასიონის ძირში) და დაასახლა აქ დაძაბუნებულნი მეომარნი და აგრეთვე კიდევ 7,000 სხვა მეომარი.

ვ. ვიდრე ბაქტრიას აიღებდა ალექსანდრე, ბარბაროსნი დასცინოდნენ. სოგდიანის ციხე მალლა ამართულიყო ნავტაკსა და ბაქტრიას შორის და ვიწრო ბილიკი უღალს კლდეზე მასში შემავალი კარი იყო. ციხიდგან დასცინოდნენ მეფეს: „შენმა მეომრებმა ფრთები გამოისხან და ისე შემოვიდნენ ჩვენს სიმაგრეშიო.“

ალექსანდრემ ალყა შემოარტყა ბუნთურქებს, სარკინეთს შემალულებს, რუ გამოიღო ქსნით და ამ ადგილს დაერქვა ნასტაკი.

ქსანი და ფშავთა ბაქტრიანი (ბახტრიონი) აქვე იყო.

შარნავაზს მოუკლა მამა (ბოში, აბაში?) და ბიძა სამარ.

ალექსანდრემ აიღო თავადი ციხე ცხეთა, ტკურის ცხეთა.

ალექსანდრემ მცხეთაში დასტოვა ძე არან ქართლის მეფისა და მისცა მას 100000 მეომარი ფროტოსელნი.

სარკინეთის მეომარნი დასცინოდნენ ალექსანდრეს. მან შეუთვალა: „ვინათგან მაგინეთ, ესე არს ნაწილი თქვენი, რათა დაგხოცნე ყოველნი“.

ზ. პირკანიაში მაკედონელთ ნახეს წყარო, რომელიც კლდიდად გამოდიოდა და რომელსაც ერქვა სტიბეტეს.

აღიქსანდრემ რუ გამოიღო და დასტაგითა რუისაითა დასხა მერუვენი და ამ ადგილს დაერქვა ნასტაგი (შატბ. კრებ.). საბას ლექსიკ. სტაგა—რუს. სათავე. ამ ნასტაგის შორიახლო არის აგრეთვე ნოსტე და გოსტიბე, გოსტიბეთი, რომელიც უახლოვდება ბერძნების ნახულს სტიბეტესს.

საზოგადოდ, აღიქსანდრესი, ფარნავაზ—აზოს ისტორია ფრიად არეულია. ყველაზე სანდო ძველ მწერლებში, სტრაბონი ამბობს: „ყველას არა სწამს ძველი გადმოცემები, გავრცელებული აღიქსანდრე მაკედონელის სადიდებლად. იგინი; ვინც მოიგონა ეს გადმოცემანი, ცდილობდნენ უფრო პირფერობით ეამებინათ მეფისთვის, ვიდრე ეთქვათ მართლად. ამ მიზეზით, მაგალ., სახელი კავკასიონისა, რომელიც კოლხიდასა და შავზღვას ზემო აღმართულა, გადაანათლეს ინდოეთის მთებს და მის ახლო ზღვას. უფრო მეტი დიდება იყო აღიქსანდრესთვის დაეპყრა აზია ინდოეთის მთებამდე, ვიდრე მხოლოდ პონტოსი და კავკასიის ყურემდე! და ამიტომაც დიდება და სახელი ამ მთისა და მოსაზრება, რომ იაზონმა თავის ლაშქრობაში მიახწია უშოაკესს კავკასიის ძირამდეო და გადმოცემა, რომ პრომეთეოსი მიჯაჭვეულ იყო მსოფლიოს განაპირა კავკასიონზედ—ყველა ეს შეიქმნა მიზეზად, რომ მწერლებმა მეფის საამებლად ამ მთის (კავკასიონის) სახელი გადაიტანეს ინდოეთს (გან, 74).

ასეა თუ ისე, ჩვენ მაინც მტკიცედ გვწამს, რომ მაშინ აღმოსავლეთი საქართველო შესდგებოდა ორ სამეფოსაგან—ცხეთისა (იბერიისა) და საგართიისა (პირკანიისა), საცა მოსახლეობდნენ კასპნი, გელნი, მარდნი, კადუსნი, გურგანნი, მარგიანნი, ბაკტრიანნი, უტნი, კარმანნი. ამ ორ სამეფოთაგან პირველი, იბერია, მეგობრულად დაუხვდა აღიქსანდრეს და

შემწეობა აღუთქვა, მისმა მეფემ საჩუქრებიც მიართვა. ხოლო მეორე იყო დარიოზის მოკავშირე და, მაშასადამე, მტერი ალექსანდრესი. ამ კასპიის მხრის საქართველოს ერთი მამასახლისთაგანი, ბესსი, იქნება იგივე ბოში (აბაში) და მისი ძმა მამასახლისივე სამარ მძვინვარედ ეომნენ მაკედონელს, არ დაინდეს დარიოზ, მოჰკლეს იგი, რომ მის სიკვდილით ძალა შეემატებინათ თავისთვის და მთელის ერანის ძალ-ლონით შებრძოლებოდნენ შემოსეულს მტერს. თუ ესრე არ ყოფილიყო, მაშ რად დახოცავდა ალექსანდრე მამასახლისს სამარას და მის ძმას, ფარნავაზის მამას? იგი ხომ მათივე მტრების ბუნთურქების გასაწყვეტად მოდიოდა? სამარა მართლაც ცხეთის მამასახლისი რომ ყოფილიყო, მას როგორ მოჰკლავდა ალექსანდრე, როდესაც ჯერ ერთი, იგი მტკვრის ხეობაში არ შემოსულა და მეორეც, იბერთ ხომ თავის ძეფე ჰყვანდათ და ამ მეფემ ძღვენიც მიართვა მაკედონელს და მეგობრობაც გამოუცხადა!

იმ დროის ისტორია ჩვენ ასე გვცხატება. ალექსანდრე გარდაიცვალა 11 ივნისს 323 წელს. აღმოსავლეთი აირია, შეირყა. მრავალი მეფე მამფალი გაჩნდა. ვინც მიმალულ იყო, წამოყელყელავდა. ამ ხანს ფარნავაზ ქართლოსიანმა, იქნებ იმავე ბესსის ძემ, შემოიკრიბნა ბირიან-აბაშ-ორბელიან-ბოშნი, 100,000-მდე მეომარი, წამოვიდა და დაიჭირა ალგეთისა და ქციის მხარე გორამდე, მიიბირა ცხეთის მეფის კელადი მამასახლისები, მაგალ., ქუჯი, ტახტიდგან ჩამოაგდო ცხეთის მეფე, თვით გახელმწიფდა და ჯავრი ამოიყარა, რომ ამ იბერთა მეფემ შემწეობა არ აღმოუჩინა მაკედონელთან ბრძოლაში.

რაც შეეხება აზოს (=აზონს) და მის მამა არანს, ჩვენ გადაჭრით ვერ ვიტყვით, რომ იგინი სწორედ ფარნავაზის წინად მეფობდნენო. შეიძლება, ჩვენს მემატიანეს აზუ, ძე ირან-ზუსი, ვანის მეფისა, რომელიც ჩანს 719—716 წ. ქრ. წ. გადმოეყვანოს მე-IV საუკუნეში. ეს კი ცხადია, რომ აზოა (=აზონი) დიდ პატივდებაში ყოფილა ქართლოსიანთა არემარეში.

ა. ძველს რუკებზე კიპერტისა ჩანს აზოს სახელის ქალაქები—აზონიუს ჰირკანიაში და აზონიუს კარდუხების ქვეყანაში. (აზონიუსი ალბად იყო აზონისი და ბერძენ-რომაელებმა აზონიუსად აქციეს).

ბ. ტაციტი (56—117 ქრ. შ.): „აზონი მოვიდა კოლხიდის თავისუფალ ტახტის დასაქერად“.

ბ. იუსტინე (130—170 ქრ. შ.): „თითქმის მთელმა აღმოსავლეთმა იაზონს, როგორც თავისს დამფუძნებელს, დაუდგა ტაძრები და პატივისცა, როგორც ღმერთს“.

დ. პლინიუს (29—79 ქრ. შ.): „ალბანელნი, ამბობენ, იაზონის ჩამომავალნი არიანო“.

მ. სტრაბონი (66 წლ—გან ქრ. წ.): „იაზონმა კოლხიდიდგან... შემოიარა იბერია, ალბანია და ნაწილი არმენიისა და მიდიისა. ამას მოწმობენ მის პატივად აგებულნი ტაძარნი და სხვა ძეგლნი.“

აქ, ეჭვი არ არის, უცხოელ მწერლებს, რომელთაც იცოდნენ მხოლოდ ლეგენდარული იაზონი და ისტორიული აზონი, იქნება, სულაც არ იცოდნენ, საკმაოდ აერეოდათ ცნობები, გარნა მათი გადმონაცემი ჩვენის წყაროებითაც მტკიცდება.

ა. სახელი აზონ, იაზონ ფრიად გახშირებულია ჩვენში, მეტადრე იმერეთს.

ბ. ჩვენი მატეანე მოწმობს, რომ აზონის ლაშქარს აზნაურობა ებოძაო. ეს „აზნაური“ ანუ მატეანის აზრით „აზონაური“ სწორედ ღვთიურობას მოასწავებს. ასრე: აზნაური=სვან. აზნავირ=მეგრ. ჟინისქუა. ჟანა (სვან. ჟი, ჟიბავ) უდრის ქართულს ზენა-ს და ჟინისქუა (ჟინი-სქუა) ნიშნავს ზენას შვილს. პრეფიქსი ა იგივეა, რაც მეგრული ა და მერმენდელი სა: ა-ზენაური=სა-ზენაური (შეადარე: ა ჟარი=სა-ყარი; ა სული=ო-სური). რომ მართლაც აზნაური იგივე აჟინაურია, მტკიცდება ამითაც: საინგილოში არის სოფელი (ხეობა), რომელსაც ჰქვიან აზნაური და აგრეთვე აჟინაური.

თვით თქმულება, რომ „ალბანელნი იაზონის ჩამომავალნი არიანო“, „იაზონმა მოიარა კოლხიდა, იბერია და ალბანიაო“, —

ადვილად გავრცელდებოდა, რადგან აზონის სახელი ისმის აქ უველგან: ალაზანი=ბერძნულად — ალ-აზონი, ტრაპეზონი= ტრაპ-აზონი (1042 წელს გადაწერილს ქართულს წიგნში სწერია მეგრელთა ქალაქად, ხოლო სვანურად ზან სამეგრელოს ნიშნავს, ე. ი. ჯან-ს).

აზოს მამა იყო არანი. მ. ქორენელი ამბობს (გვ. 83—84): „არანი, კაცი ბრძენი, სახელოვანი ინიშნება დადიანად (მეფის მოადგილედ) მტკვრის ხეობისა, რომელიც არის ქვეყანა დიდი, ჩინებული, დასახლებული. იგია ჩამომავალი სისაკისა (იხ. ზემო სისიანი, სიონი=ყარაბალი). მისგან ჩამომავლობენ უტნი, გარდმანნი (გარდაბანელნი), წოდენი და გარგარნი. ეს გარგარნი მირდატის ჩამომავლობაა. იგინი, ნაბუ-ქუდურ-ასარმა ივერია რომ დაარბია, გადაასახლა პონტოს“.

არან მეფის სახელი დაუცავს დღესაც სოფელს, რომელსაც ჰქვიან არანისი. არან-ად იწოდებოდა მთელი ქვეყანაც, რანი (მტკვრის მარჯვენა მხარე დებედიდგან მოკიდებულია განჯისკენ).

### 3. კადუსნი ანუ კახნი.

შატბერდის ქრონიკასა და ქართლის ცხოვრებაში კვითხულობთ:

ა) მოიწია კტაეთა, დაბასა, რომელსა ჰქვიან ბოდინი (შატბერდის ქრ., 19)

ბ) დაბასა ბუდს კახეთისასა (21)

გ) მიეახლა კუხეთს, დაბასა ბუდისასა (ქ. ც., 98)

დ) მოიწია ქვეყანასა კახეთისასა, დაბასა ბუდს (შ. ქ., გვ. 1)

ე) დაბასა ბოდს კახეთისა ქვეყანასა (იქვე, 58)

ვ) დავმარხეთ (წმ. ნინო) ბოდს, დაბასა კახეთისასა (გვ. 71).

ცხადია, კახეთი ყოფილა იგივე კხოეთი=კტოეთი, კუხეთი და კატეთი, ე. ი. ქვეყანა კახ-თა=კუხ-თა. დღესაც ხმარე-

ბაშია ა) კახი, კახიძე, კახიანი, კახა (კაცის სახელია, ბ) კუხი, კუხიანიძე და გ) კატები (სოფელია ძველს სერეთში, საინგილოს).

რომ კატები იგივე კახეთია, სჩანს იქიდან, რომ ამ ქვეყანაში მცხოვრებთ თავისთვის უნდა ეწოდათ კახნი, კუხნი, კატნი და კადნი (ტ=დ: იმტენი=იმთენი=იმდენი, მოხვდა=ინგ. მოხტო და მრ. სხ.), ხოლო თვის ქვეყნისთვის კი

ა) კატები—კადები

ბ) კატეთი—კადეთი—კახეთი

შითარცა ე-თა არის საცხოვრებელ ადგილის მაჩვენებელი დაბოლოება, ისრევე ე-ხა. შეადარე:

ფარა—ფარები

ღვინო—ვენახი (მეგრ. ბინები)

ლ ხშირად აკლდება: ღვათი (სვ., ხევ.)—ვათი, ღვაქარი—ვაქარი. მაშასადამე, ვენახი იგივე ღვენახია, ღვენეთი, ფარები იგივე ფარეთი.

ამას გარდა თა, ხა, სა, ყა, შემოკლებულად აღნიშნავენ მრავლობით რიცხვს (მესამე პირს):

უკეთებია—თ

ჰყავ—თ

(ინგ.) უკეთებია—შ

ჰყავა—შ

(სვან.) ასყა—ხ

ხა-ყა—ხ

არღე-ს=სვან. არდა-ხ; აკეთებენ (შჩადიან)=სვ. ხა-შდბა-ხ და სხ.

აქ თ (=დ) შ, ხ მიგვაჩნია დასაწყის ხმებად სიმრავლისა და სიდიდის მაჩვენებელ სიტყვებისა:

თ: ინგ. თაჲ (შთა). დიადს რასმე ეხლოც ვადარებთ შთას, დევს. ამას გარდა ინგ. დაჲ=დია=ინგ. დაჲდა=დიადი=სვან. ხოშა (ამაკე ფესვიდგან გვაქვს დიდი).

შ(=ს): ყველა, ყოლა, ყუელა; სუ=სულ=სრუ=სვან, სურუ=მეგრ. შურო.

ხ: სვან. ხეაჲ=ბევრი (შეადარე: ხვაჲი=ინგ. ხოე).

შემოკლება ანუ გაგრძელება პირვანდელ მარცვლისა ქართული ენის კანონია, ასე:

არის—არს—არი—ა (კაცი-ა)

კაჲარის—კაჲარს—კაჲს—კას (=კაი-ა კა-ა); მამისა-ყენა = მამისა-ყენა = მამის-კენ (—ყენ (= მამისა—კ. მოკუდი = მოკუვი = მო — კ.

თუარირომ = თუარომ = თუარ = თორე = თორემ = თორ = თვარ.

შიმეორებთ, კატეხი კატეთი გვეგონია და კადუსი იგივე კადუხი\*), ე. ი. ქვეყანა კადთა. ამ კადუსთ ანუ კატთ თვით ცკატეც, რომელიც ცხოვრობდა 550 წ. ქრ. წ., სთვლის კასპიის ზღვის პირა მოსახლედ (გან, 8).

ტოკეთის ანუ ივრის ხეობის ერთი სახელთაგანი იყო აგრეთვე სუჯეთი (ქ. ცხ., 239) და ამ სუჯეთში ცხოვრობდნენ სოჯნი = სუჯნი. ეს სოჯნი წმ. ნინომ მოაქცია, კაწარეთს (პატარძელის ზემო). რომ მივიდა.

მცხეთა იყო უყაგთა ქვეყანაში (შატბ. ქრ., გვ. 11). საბას ლექსიკ: „უტიკეთი. — ბაღდადი“, მართლაც სახარებაში (მარტოქართულს სახარებაში) ვკითხულობთ (საქმე, 2, 9):

„რომელნი ვართ პართნი და მიდნი და უყაგნი და ელამიტელნი და მკვდრნი შუამდინარისანი და ჰურიასტანისანი და კაბადუკიასანი, პონტოსანი“.

აქ ერნი ჩამოთვლილნია ჩრდილოეთიდგან (პირკანის ქვემოდგან) სამხრეთისკენ სპარსეთის სრუტემდის (პართნი, მიდნი, უტიკნი და ელამიტნი) და იქიდგან ჩრდილოეთისკენ შავ ზღვამდე (შუამდინარისანი, ჰურიასტანისანი, კაბადუკიასანი და პონტოსანი). ექვი არ არის, უტიკებად აქ სუზიანელნი იგულისხმებიან, ვინაითგან სუზიანას ქვემო იყო ელამთა ქვეყანა.

რომ ჩვენი სუჯი (სუჯი) იგივე სუზა-ა, ექვს გარეშეა: ჯერ ერთი, რომ ს ხშირად ისპობა (სულა = მეგრ. ულა = ვლა) და მეორეც სუზას ერქვა აგრეთვე ჰუზა (Huzha). ჰუზა-

\*) კოლხი სრულიად კანონიერად წარმოდგარა სიტყვიდამ კოლხ: სვან. ბალახ = ბალახი, ბალხი = ბალახის. კოლხ-ი, ე. ი. ქვეყანა კოლხეთისა:

დამ ადვილად წარმოსდგებოდა სუზა, რადგან ჰ=ს: ქრისტე=ქრიჰტე, და აგრეთვე უჟიკეთი.

ძალდთა ტომი განთქმული იყო მკედლობით, რკინისა, ვერცხლისა, ფოლადის შემუშავებით, ოქრომკედლობით. კადუსთა სახელიც, გვეგონია, ამავე მკედლობას მოასწავებს.

აბოს „ცხოვრებაში“ სამკედლოს მაგიერ სწერია სამკადური, ხოლო მეგრ. ჰკადუ და სვან. მ-სკიდ ჰქვიან მკედელს. აი კიდევ სიტყვები, რომელნიც მკრელს, კრას აღნიშნავენ: სვ. ჰადა=ქართ. კადა (კული), სვ. (ლი)—კადი=ქართ. კადვა (კრა, პობა), კადვა (ცხენისა), კადვა (წისქვილის ქვისა), კადვა (წისქვილის რუსი), კატა (შუბი). რომ კედლობა ჩვენში გავრცელებული ყოფილა, ამის თავმდებია სახელები კედლიძე, კედლიშვილი, კედლეური, კედისი. ეს უკანასკნელი სიტყვა მეგრულის გამოთქმით იქნება ჰკადუსი=ჰკადეში=ჰკადუში, რომელიც უახლოვდება კადუსსაც და ქალდთა ქვეყნის აკადსა და კადეშსაც და იმ ური-კატტუებსაც, რომელთა ღმერთი იყო ზადდი ანუ ზადი. (იხ. ქვემო, ქალდთა ისტორიაში).

მ. ჯანაშვილი

# უცხოეთის მიმოხილვა

1. ბელგრადის დრამა.—2. გერმანიის საპარლამენტო არჩევნები.—3. კიდევ ოპორტიუნისმი.

სერბიის რევოლუციის ამბავი ეხლა ყველას ეცოდინება: მეფე-დედოფალი, კარისკაცი, რამდენიმე მინისტრი და ჯარისკაცი ერთ ღამეს გაუღიტეს. ამ საშინელ საქმის სული და გული სერბიის ჯარის აფიცრობა იყო.

როცა დეპეშამ პირველად ეს ამბავი მოიტანა და თან ისიც მოაყოლა, რომ სერბიის ერთ-აღტაცებულია ობრენოვიჩების დაღუპვით, მკითხველს უნებლიეთ გაიხსენებდა ობრენოვიჩების მეფობის ხასიათს.

რა იყვნენ უკანასკნელი ობრენოვიჩები სერბიისათვის? ობრენოვიჩების დინასტია იმ თავითვე დიდი უბედურება იყო სერბიისთვის, სწერს ერთი სერბიული გაზეთი. „მილანის და ალექსანდრეს მეფობის დროს ევროპის ყველა ერები დასცინდნენ სერბიას, რომ ითმენდა დინასტიას, რომელმაც თავის ბოროტ-მოქმედებითა და გიჟურ მოქმედებით სახელი გაიტეხა და სამეფოც დაღუპა. სახელმწიფოს მთელი ენერჯია იხარჯებოდა სამეფო სახლის წევრთა განხეთქილებაზე, რომელიც შედეგი იყო მათ გარყვნილებისა, განქორწინებისა და ძალმომრეობისა; ეკონომიური, ფინანსიური და პოლიტიკური საქმეები კი სრულებით უყურადღებოდ იყო დატოვებული. ვალი ხუთას მილიონ ფრანკამდეა ასული და რა გაკეთდა? მხოლოდ ერთად ერთი რკინის გზა. მილანის გარყვნილი პიროვნება ცნობილია; რა გვარად აწეწ-დაწეწა სახელმწიფო საქმეები აგრეთვე. და